6/3-11
1990/2

ISSN—0132—6058

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
ეთნოგრაფიისა და
სელოვნების
ისტორიის
სერია

4

1990

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1990

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. ჟორდანია, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), ი. ცქიტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мусхелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 15.IX.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.XII.90; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; პირ. ნაბეჭდი თაბახი 18,2; საღრიცხვო-საგამომც. თაბახი 14,26;
შეკვეთა № ტირაჟი 1600;
ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

196 47

შინაარსი

წერილები

რ. მეტრეველი, კლიოს მფარველობის ქვეშ 7
ლ. თოიძე, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა 17
ვ. სილოგბავა, ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები 79
ძ. ამირეჯიბი, კოპტური ეთნორელიგიური თემის მნიშვნელობა თანამედროვე ეგვიპტეში 120

ცნობები და შენიშვნები

ზ. ბრაბგავაძე, კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების ქართიზაციის საკითხისათვის . . 137
ვ. ლუნაშვილი, ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ისტორიიდან 151
ბ. ბამყრელიძე, ჩაჩნეთის მესაქონლეობა და მთიელთა მიგრაციის საკითხები 168
ვ. ფირფილაშვილი, ობოლეთის ტყეში ობოლთა თავშესაფრის შესახებ 178

ძველი ცივილიზაციები: ახალი აღმოჩენები

ე. ასტახიშვილი, ებლას ცივილიზაცია 195

მწერლის მემკვიდრეობიდან

ი. ჭავჭავაძე, შობა მაცხოვრისა 205

ქრონიკა და ინფორმაცია

აკად. ს. ჯანაშიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომები . 207

საქართველოს

ЭАМЗЕЕЕЕЕ
ЗЛЕЕЕЕЕЕЕЕ

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Р. В. МЕТРЕВЕЛИ, **Под покровительством Клио** 7
Л. М. ТОИДЗЕ, **Образование Юго-Осетинской автономной области** . . 17
В. И. СИЛОГАВА, **Эпиграфические этюды и заметки** 79
К. Р. АМИРЕДЖИБИ, **Значение коптской этнорелигиозной общины в современном Египте** 120

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

З. Д. БРАГВАДЗЕ, **К вопросу картизации восточных регионов Колхиды** . 137
В. Д. ГУНАШВИЛИ, **Из политической истории Цхразмийского эриставства** . 151
Б. В. ГАМКРЕЛИДЗЕ, **Скотоводческое хозяйство Чечни и вопросы миграции горцев** 163
П. М. ПИРПИЛАШВИЛИ, **О сиротском приюте в Оболетском лесу** . . 178

ДРЕВНИЕ ЦИВИЛИЗАЦИИ: НОВЫЕ НАХОДКИ

Э. К. АСТАХИШВИЛИ, **Цивилизация Эблы** 195

ИЗ НАСЛЕДИЯ ПИСАТЕЛЯ

И. Г. ЧАВЧАВАДЗЕ, **Рождество Христово** 205

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Научные заседания, посвященные 90-летию со дня рождения акад. С. Н. Джанашиа 207

ეროვნული ბიბლიოთეკა

CONTENTS

ARTICLES

R. Metreveli—Under the Klio's Defence 7
L. V. Toidze—Formation oF South Ossetian Autonomous Oblast . . . 78
V. I. Silogava—Epigraphic Studies and Notes 118
K. R. Amiredjibi—Some Notes about the Parts oF Coptic Community in Modern Egypt 136

PROCEEDINGS AND NOTES

Z. D. Bragvadze—On the Problems of Kartisation in Eestern Regions of Colches (Kvirila Ravine) 150
B. V. Gamkrelidze—Herding Among the Chechens and the Question of Migration Among Mountain Peoples 176
P. M. Pirpilashvili—To the Problem of the Orphanage in the Oboleti Wood . 194

AN OLD CIVILIZATION AND A NEW FINDINGS

E. Astakhishvili—Ebla's Civilization 195

FROM A WRITER'S LEGACY

I. Chavchavadze, The Birth of Our Seviour 205

CHRONICLE AND INFORMATION

The Scientieic Session Devoted to the 90 th Anniversary of the Birth of Acad. S. Ianashia. 207

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
როინ მეტრეველი

კლიოს მფარველობის ქვეშ

„როცა საზოგადოება თელემ,
ისტორიკოსი უნდა ფიზიზლობდეს“.
ჟ. ლეგოფი

ისტორია ძველთაგანვე გამორჩეული დარგია მეცნიერებისა. მისი მფარველი მუზაც — კლიო (ბერძნულ მითოლოგიაში ზეესისა და მნემოსინეს ასულად რომაა მიჩნეული), გამორჩეულია რვა დანარჩენი მუზისაგან (რომლებიც მისივე დები იყვნენ), რადგან მხოლოდ მას აქვს უფლება „დიდების მინიჭებისა“. თავისთავად ის ფაქტი, რომ ისტორის მფარველი მუზა სხვა, ხელოვნების მფარველ მუზათა შორისაა მოხსენიებული და ხელოვნების ღმერთის — აპოლონის წინამძღოლობით მოქმედებს, იმაზე მიუთითებს, რომ ისტორია ხელოვნების უმაღლეს რანგშია აყვანილი. აქედან გამომდინარეობს ის პასუხისმგებლობა, რაც ისტორიის მეცნიერების წინაშე დგას: პასუხისმგებლობა ხალხისა და მომავლის წინაშე. მაღალი შეხედულებისანი იყვნენ ისტორიის მეცნიერებაზე ძველი ისტორიკოსები. სამაგალითოდ მხოლოდ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის დასახელება იკმარებდა. კვლევის პრინციპები, რაც „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“-ს ავტორმა თავის შრომას დაუდო საფუძვლად ჭეშმარიტი და უზადოა. უფრო წინ არსებითად არ წასულა ჩვენი ისტორიოგრაფია.

ისტორიის როლის განსაზღვრას თანამედროვე პირობებში, ისტორიის სხვადასხვა დარგის განვითარებას, კვლევის მეთოდოლოგიურ სიახლეებს და სხვა მრავალ საკითხს მიეძღვნა ისტორიულ მეცნიერებათა მსოფლიო XVII კონგრესი, რომელიც 1990 წლის 26 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე გაიმართა ქ. მადრიდში. კონგრესი ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავს მიეძღვნა. ეს თარიღი, როგორც ცნობილია, ორი წლის შემდეგ, 1992 წელს სრულდება და მისი აღნიშვნისათვის განსაკუთრებულად ემზადება მსოფლიო საზოგადოებრიობა.

ორიოდე სიტყვით კონგრესის მიმდინარეობის შესახებ. იგი 26 აგვისტოს გაიხსნა. გახსნის ცერემონიალი მოკლე იყო. კონგრესის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს მეცნიერ ისტორიკოსთა მსოფლიო კომიტეტის პრეზიდენტმა ე. დელა ტორე ვილარმა (მექსიკა), ვიცე-პრეზიდენტმა, კონგრესის მასპინძელმა და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ბენიტო რუანომ (ესპანეთი), ამ კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა მ. ბურგასმა (ესპანეთი) და სხვ. წარმოდგენილი იქნა მოხსენება ქრისტეფორე კოლუმბის დროინდელი ესპანეთის შესახებ (პროფესორი მიგუელ ანგელ ლადერო ქუესადა).

კონგრესზე წარმოდგენილი იყო ე. წ. „დიდი თემები“: ამერიკის აღმოჩენა ევროპელების მიერ; ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები; ქრონოლოგიის პრობლემები; მეგალოპოლისების ისტორია; ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ასპექტები; რევოლუციები და რეფორმები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ სექციებში, რომლებიც სხვადასხვა ხასიათისა იყო, მრავალი კონკრეტული საკითხი იქნა განხილული: ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემები; წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხები; დიდი ადგილი დაიკავა რელიგიის ისტორიის საკითხებმა. ამასთან ერთად დამახასიათებელი იყო ადამიანის კონკრეტული პრობლემებისაკენ შემობრუნება. კვლევის ცენტრში ადამიანთა პრობლემები მოექცა: მათი ქცევის, მდგომარეობის, ურთიერთობის თუ სხვა საკითხები. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეთნიკურ პრობლემებს, მიგრაციისა და სხვ. საკითხებს. ყურადღება მიექცა ყველა ფენის ადამიანთა ქცევისა და მდგომარეობის საკითხებს, რაიდების, მონაზვნების, მსახურთა და სხვ. გვერდით გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი ე. წ. მარგინალებს (ასე მაგალითად, ერთ-ერთი სექციის სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენება ბიზანტიის მეძავების შესახებ), ცალკე სექცია იყო „ავადმყოფები და საზოგადოება“.

უაღრესად საინტერესო იყო მეთოდოლოგიის საკითხების განხილვა. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიოგრაფია დიდად დაეზარალა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ჩარჩოებში მოქცევამ. ნიშანდობლივია, რომ ეს დებულება თვით საბჭოთა მხარემ წამოაყენა. განსხვავებით წინა კონგრესებისა და უცხოელ მეცნიერებთან სხვა შეხვედრებისაგან აღარ იყო უსაფუძვლო კამათი და დავა სხვადასხვა კონცეფციასა და პრობლემაზე.

დღესდღეობით ჩვენში საყოველთაოდ იქნა აღიარებული, რომ სოციალურ ურთიერთობათა მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემის არსებობამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა (კერძოდ ისტორიის მეცნიერების) განვითარებაშიც შექმნა ნაკლოვანებათა წარმოქმნის ობიექტური საფუძველი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფერომ დაკარგა თავისი ავტონომია, დამოუკიდებელი ხასიათი. ისეთი ტრადიციული არსებითი თვისებები, როგორიცაა ჭეშმარიტების ობიექტურობა, კვლევის თავისუფლება, სამეცნიერო შემოქმედების დამოუკიდებლობა მსხვერპლად შეეწირა საკმაოდ ვულგარულად გაგებულ „სოციალურ“ დაკვეთას.

დღეს უკვე ხმამაღლა ვამბობთ, რომ საზოგადოებათმცოდნეობის და მისი სოციალური პრაქტიკასთან დაკავშირების ფორმები, აღარ შეესაბამება საზოგადოების წინაშე მდგარ გარდაქმნის ამოცანებს, რომლებიც გადამწყვეტ და დაუყოვნებლივ ცვლილებებს მოითხოვენ. ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობა (მათ შორის თანამედროვე სოციალიზმად წოდებული), უნდა იქნას შესწავლილი, როგორც რთული წინააღმდეგობრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური ფორმების სრულყოფამდე ჯერ კიდევ შორს მყოფი საზოგადოებრივი ფორმაცია. კატეგორიულად უნდა იქნას უარყოფილი რეალური სოციალიზმისა და მისი სასურველი მოდელის არარეალურ კაპიტალიზმთან დაპირისპირება. ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ კარგად უნდა შევისწავლოთ კაპიტალიზმის დროს საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოშობენ შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის პროგრესულ ფორმებს. აუცილებელია ახლებურად დავინახოთ ადამიანთა ცივილიზაციის პერსპექტივა.

ისტორიულ მეცნიერებათა მსოფლიო XVII კონგრესზე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ისტორიული ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის პრობლემებმა; ეთნოკრიზისებმა, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო. საერთოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა ეროვნული და ეროვნებათშორისი საკითხები. აუცილებელი ხდება სახელმწიფოს ეროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული პოლიტიკის არსებითი რეორგანიზაცია. აქ ისტორიკოსებმა თავისი კონ-კრეტული სიტყვა უნდა თქვან. კონგრესზე წამოყენებული იქნა ე. წ. „უნივერ-სალურ ღირებულებათა პარადიგმა“, რომელიც გულისხმობს ადამიანთა უფლე-ბების დაცვას, ადამიანის სრულ თავისუფლებას, სამართლებრივ სახელმწიფოს რეალურ არსებობას და სხვ. ჰუმანიტარულ საკითხებს. საერთოდ კონგრესს წითელ ზოლად გასდევდა ჰუმანიზმის სული.

არ შემიძლია არ აღვნიშნო: როცა კატეგორიულად მოვითხოვთ ისტორი-ული ხასიათის მაღალხარისხოვან გამოკვლევებს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენში არსებობდა მრავალი პრობლემა, რომელთა კვლევაზე, უფრო ზუსტად მათი გამოკვლევისათვის აუცილებელ წყაროებთან ისტორიკოსებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ხალხმა უნდა იცოდეს მართალი ისტორია, ჭეშმარიტი ისტო-რია. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხშირად ამ საქმის გაკეთებას ხელს უშლის არაპროფესიონალიზმი, ამა თუ იმ საკითხზე მოუყვარულის დონეზე წერა. ეს გლობალური მოვლენა, განსაკუთრებით წახალისებული საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში, არც ჩვენი რესპუბლიკისათვისაა უცხო. რატომღაც მიაჩნიათ, რომ ისტორიაზე წერა და მსჯელობა ყველას შეუძლია. პროფესიონალიზმი და კომპე-ტენტურობა ყველაზე მეტად სწორედ საზოგადოებრივი მეცნიერებისთვისაა საჭირო. თანამედროვე ვითარებამ აუცილებელი გახადა კვლევის ახლებური მეთოდოლოგიისათვის ზრუნვა.

დღევანდელ ეტაპზე ისტორიკოსთა ვალია ღრმად გაიაზრონ ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ისტორიული განვითარების რეგიონალური და ეროვნული კომპონენტები, სრულად გახსნან მსოფლიო ისტორიული პროცესის მრავალსახეობა. სწორედ მსოფლიო ისტორიული პროცესის ტიპოლოგია ქმნის შესაძლებლობას გადაიჭრას ისტორიული შემეცნების ერთი კარდინალური პრობ-ლემათაგანი — განისაზღვროს საკუთრივ ისტორიული კანონზომიერების სპე-ციფიკა.

საერთოდ ისტორიის ღრმა ცოდნა რომ საჭიროა და მისი გათვალისწინე-ნება აუცილებელი — ეს მრავალჯზის გვიჩვენა ცხოვრებამ. მრავალი მაგალი-თია იმისა, როცა ისტორიის გაკვეთილების გაუთვალისწინებლობამ ბევრჯერ ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. დღეს განსაკუთრებით ღრმად უნდა ჩავუ-კვირდეთ პოლიტიკურ ისტორიას; დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ ეკონო-მიკური ისტორიის ისეთ გლობალურ საკითხებს, როგორიცაა დემოგრაფიული, ენერგეტიკული, სასურსათო და ეკოლოგიური.

ქართველმა ისტორიკოსებმა ღრმად უნდა შეისწავლონ 1956 წლის 9 მარ-ტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, მისცენ მას სათანადო შეფასება (მიგვაჩნია რომ, ეს ჯერჯერობით არ გაკეთებულა სათანადო დონეზე) და შთა-მომავლობას რეალური, ღრმად გააზრებული და შეფასებული ისტორია და-უტოვონ.

ზოგადისტორიული პროცესის არსის მრავალფეროვნება განპირობებულია მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური სპეციფიკითაც. ე. წ. „თანამედროვეობის ეთნი-კურ პარადოქსადაა“ მიჩნეული, რომ ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის ინტერნაციონალიზაციასთან ერთად შეინიშნება ეთნიკური თვით-შეგნების აშკარა ზრდა. ამ უკანასკნელის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ეთ-ნოსის წევრთა და მათ წინაპართა ისტორიული ბედის ერთიანობა. აქედან გა-მომდინარეობს გაზრდილი ინტერესი ეთნოგენეზის პრობლემებისადმი, მსოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოოს ხალხთა ეთნიკური ისტორიისადმი, აუცილებლობა მათი ქვეყანათმცოდნეობით-რეგიონალური და გლობალური განხილისა. ამგვარი გამოკვლევები და მათგან გამომდინარე რეკომენდაციები უზრუნველყოფენ თანამედროვე ეროვნულ ურთიერთობებში წინააღმდეგობათა და დეფორმაციის გადალახვას.

ისტორიულ მეცნიერებათა მსოფლიო XVII კონგრესზე მრავალი სექცია მუშაობდა. ეს, რა თქმა უნდა, კარგი იყო, მაგრამ რთული და ძნელი დასასწრებად, რადგან ისინი ერთდროულად მიმდინარეობდნენ. საერთოდ მიგვაჩნია, რომ მომავალ კონგრესებზე უფრო უნდა შემოიფარგლოს განსახილველი პრობლემატიკა, რაც მონაწილეს საშუალებას მისცემს დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესები.

ამ სტრიქონების ავტორს პლენარული სხდომების გარდა დასწრება და მუშაობა მოუხდა შუა საუკუნეების ისტორიის სექციის, ბიზანტინისტიკის, დიდი ქალაქების ისტორიის, აზიური ფეოდალიზმის სექციების სხდომებზე.

ჩვენ საშუალება გვქონდა შეეხვედროდით ისტორიკოსთა მსოფლიო კომიტეტის ახლად არჩეულ პრეზიდენტს პროფესორ თ. ბაკერს (დიდი ბრიტანეთი), გავუზიარეთ ჩვენი შთაბეჭდილებები და შევთავაზეთ წინადადებები. ერთი ასეთი წინადადება გასლდათ ხუთი წლის შემდეგ მომავალ კონგრესზე კავკასიის ისტორიის პრობლემატიკის ცალკე, გამოკვეთილად განხილვა. საქმე ისაა, რომ საკითხები კონგრესზე ისე იხილება, რომ არაა გათვალისწინებული ის თავისებურებები, რაც კავკასიისათვისაა დამახასიათებელი. მაგ., ფეოდალიზმის პრობლემების განხილვისას სრულიად იყო უგულებელყოფილი საქართველოს (ასევე ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების) ფეოდალიზმის თავისებურებები. ბატონი ბაკერი დაგვეთანხმა რიგი საკითხების სამომავლოდ გადაჭრის აუცილებლობაში. ამასთან აღგვიჩქა, რომ მომავალი წლის დასაწყისში ვიზიტად ჩამოვა საქართველოში, სადაც გაეცნობა საქართველოს ისტორიკოსთა საქმიანობას. ვფიქრობთ, ამ დროისათვის საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საქართველოში ისტორიკოსთა დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის დაფუძნების საკითხი.

ერთი შენიშვნაც. ვფიქრობ, დრო და ადგილი კონგრესის ჩატარებისა არ იყო გონიერულად შერჩეული. საქმე ისაა, რომ აგვისტოს ბოლოს, როცა კონგრესი მიმდინარეობდა მადრიდში 40° ტემპერატურა იყო და, ბუნებრივია, მუშაობის ნაყოფიერება (განსაკუთრებით დღის მეორე ნახევარში) დაბალი იყო. XVIII კონგრესის ჩატარების ადგილად მონრეალი შეირჩა. ეს ფარული კენჭისყრით მოხდა. ასე განსაჯეთ, ტოკიოსა და ლონდონს კანადის ქალაქი მონრეალი ამჯობინეს. აქ, რასაკვირველია, თავისი როლი შეასრულა მასპინძელთა მონდომებამ და ქალაქის მზადყოფნამ კონგრესის ჩატარებისათვის.

2 სექტემბერს უკვე ახალმა პრეზიდენტმა თ. ბაკერმა დახურულად გამოაცხადა ისტორიკოსთა მსოფლიო XVII კონგრესი და ამგვარად, მადრიდმა მონრეალს გადაულოცა ესტაფეტა.

მრავალი ახალი ინფორმაცია მოგვცა ჩატარებულმა კონგრესმა, მრავალი პრობლემა დააყენა და მრავალ საკითხზე დაგვფიქრა.

მინდა ზოგიერთ საკითხზე მოვუთხრო მკითხველს. ჩვენი ინფორმაცია ჩვენივე კვლევის პრობლემატიკიდან გამომდინარეობს — შუა საუკუნეების ისტორიის კვლევის პრობლემებს, კვლევის მეთოდებს შეეხება თანამედროვე პირობებში. ვფიქრობთ, ამგვარი ცნობები, რომლებიც დამყარებულია დასავლეთ

ევროპელ, ამერიკელ თუ რუს ისტორიკოსთა მონაცემებზე, მათი შრომებისა და რეფერირებული მასალების მიმოხილვაზე, არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ჩვენი საისტორიო საზოგადოებისათვის.

ხშირად, ჩვენს ისტორიოგრაფიაში დასავლეთის მეცნიერებაზე (ისტორიული მეცნიერება გვაქვს მხედველობაში) ღღნიშნავდით, რომ იგი მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის შესაბამის მწვავე კრიზისს განიცდდა. ამჟამად კი, როცა ჭეშმარიტებაზე ხმამაღლა შეიძლება ლაპარაკი, ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ დასავლეთის მეცნიერების განვითარების აღმავალ ეტაპებს. ისტორიული მეცნიერების XVII მსოფლიო კონგრესმა თვალნათლივ დაგვანახვა ერთიანი და მთლიანი მსოფლიო ისტორიული მეცნიერების განვითარების გზები. ვფიქრობთ, ქართული ისტორიოგრაფიაც ამ პროცესის განუყოფელ ნაწილად უნდა იქცეს.

შეეხერდებით შუა საუკუნეების ისტორიის კვლევის ზოგიერთ მიმდინარეობაზე. დასავლეთის თანამედროვე მედიევისტიკის ძირითადი ამოცანაა წარსულის ინტეგრაციული შეცნობა, როცა იგი აღიქმება, როგორც ადამიანის ქცევის განუყოფელ ურთიერთდაკავშირებულ და მთლიან სისტემად. რამდენადაც ადამიანის ქცევა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში უშუალოდ განისაზღვრება გარემო რეალიებით, ამ ქცევისა და ყველა მისი შედეგის გაგება შეუძლებელია მოცემულ მომენტში ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი სამყაროს სურათის ანალიზის გარეშე. ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევაში ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურით სტრუქტურირებული ადამიანის პიროვნების შესწავლა, ისე როგორც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში პიროვნების ზოგადისა და განსაკუთრებულის გამოვლენა, წარმოჩნდება ისტორიული შემეცნების არსებით მომენტად. საკითხებისადმი ამგვარი მიდგომა ფრანგი ისტორიკოსებისათვის, ე. წ. „ანალების“ სკოლის ერთ-ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლებისთვისაა დამახასიათებელი. ამ მიმართულების ტიპიური წარმომადგენელია ჟ. ლეგოფი. ამავე მიმდინარეობის მიმდევრები არიან ის ინგლისელი მეცნიერები, რომლებიც თავიანთ ნაშრომებს აქვეყნებენ ჟურნალ „Past and Prezent“-ში; გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — ე. წ. „ყოველდღიურობის ისტორიის“ შესწავლის მიმდევრები; ავსტრიაში — ისტორიკოსები, რომლებიც სწავლობენ მატერიალურ კულტურასა და შუა საუკუნეების ყოფას — (ცენტრი ქ. კრემსში); იტალიაში — ე. წ. „მიკროისტორიის“ მკვლევრები (ჟურნალი „Quaderni Storici“).

ფრანგმა ისტორიკოსმა ჟ. ლეგოფმა ისტორიული მეცნიერების ზემოხსენებულ მიმდინარეობას კონკრეტული დეფინიცია მისცა: „კარგი ისტორიული მეცნიერება“ (იხ. Le Goff J., Histoire et memuar, P., 1988). ამგვარი ისტორიის შექმნის რეალიზება შესაძლებელია შრომებში, რომლებშიც გაშუქებულია წარსულში ადამიანთა ცხოვრების ყველა მხარის ურთიერთმოქმედება, „სხვენიდან სარდაფამდე“ (მ. ვოველი), ე. ი. შემეცნების სფეროდან დაწყებული მატერიალური წარმოების სფეროამდე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დასავლეთის ისტორიკოსები თავიანთ მიღწევებს იდეალიზებულად კი არ წარმოიდგენენ, არამედ პირიქით — კრიტიკულად განიხილავენ. იმდენად დიდია მათში დაუმაყოფილებლობის გრძნობა, რომ სოციალური ისტორიის კვლევას ზოგჯერ „კრიზისში“ მყოფად მიიჩნევენ. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტერმინში ჩადებული შინაარსი არსებითად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსხვავდება ჩვენი ისტორიოგრაფების მიერ ადრე კრიზისად მიჩნეული ფაქტებისაგან. ფ. ფიურე, მ. სერტო, ა. ბეზანსონი და სხვ. მიიჩნევენ, რომ დღესდღეობით ისტორიკოსებს არა აქვთ ისტორიული განვითარების პროცესების ობიექტური აღდგენის საშუალება. მათ ხელში არსებული მონაცემები წარსულის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთის ფარგლებში ცალკეული ფენომენის განხილვის საშუალებას იძლევა. ამიტომ, მაგალითად, „ანალების“ სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ წარსულის გაბმული გადმოცემისა და მისი სისტემური ანალიზის ადგილი წარსულის ცალკეული მოვლენების ღრმა კვლევამ უნდა დაიკავოს. ეს ნარკვევები კი თავის ადგილს მოიპოვებენ ეკონომიკის, დემოგრაფიის, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიისა თუ სხვა დარგების წიაღში.

„ანალების“ სკოლის ამ წარმომადგენელთა მოსაზრებას ეწინააღმდეგებიან ჟ. ლეგოფი, ჟ. შმიდტი, ჟ. ბონი, ბ. ლეპტი, რ. შარტიე, ჟ. დიუბი, რ. ფოსიე და სხვ., რომლებიც არ უარყოფენ შუა საუკუნეების კვლევის, მისი ისტორიული შემეცნების სირთულეს, რაც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია ისტორიული ცოდნის დივერსიფიკაციის გაფართოებასთან, მეორე მხრივ — სამეცნიერო კვლევის შედეგების ვერიფიცირებულობის მოთხოვნილების გაზრდასთან. ისინი გამოსავალს ხედავენ ადამიანის ქცევის, ეპოქის კულტურისა და ადამიანის პიროვნების სტრუქტურის სოციალური სისტემების ინტეგრაციულ ანალიზში. მედიევისტთა ეს ჯგუფი თვლის, რომ ისტორიის პერსპექტივები, უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია სოციალური მეცნიერებების, განსაკუთრებით მენტალობის შემსწავლელი კულტურანთროპოლოგიისა და სოციოლოგიის განვითარებასთან. ისტორია მათ მიერ გაგებულია, როგორც ჭლობალური მეცნიერება, რომელიც განიხილავს საზოგადოებრივი ადამიანის ცვლილებებს დროში (Le Goff J., Preface à la nouvelle édition; La nouvelle histoire,—P. 1988).

„როცა საზოგადოება თვლემს, ისტორიკოსი უნდა ფიზიზლობდეს“ — ჟ. ლეგოფის ეს სიტყვები მედიევისტის დიდ ამოცანაზე მიუთითებს. მისი აზრით, ისტორიკოსმა ყველა სხვა რეალობას უნდა დაუპირისპიროს მენტალური წარმოდგენების რეალობა. სწორედ მენტალური ანალიზის შერწყმას მატერიალური კულტურის ისტორიის ანალიზთან, შეუძლია გამოიყვანოს ისტორია ეპისტემოლოგიური კრიზისიდან.

უნდა შეენიშნოთ, რომ დასავლეთის ისტორიკოსები შეშფოთებული არიან იმ საფრთხით, რაც შესაძლებელია მსოფლიო ცივილიზაციას ელოდეს. ატომური ომები ამ საფრთხის ერთ-ერთი გამოვლენაა. მის ზოგად გამოხატულებად მეცნიერები სთვლიან შემეცნების დეჰუმანიზაციას, რაც თითქმის მთელს მსოფლიოში შეიმჩნევა, ზნეობრივი ორიენტირების გაფერმკრთალება-დაკარგვის ტენდენციას, ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი თვითგადარჩენის ინსტინქტის თანდათან გაქრობას. გრძნობენ რა პასუხისმგებლობას კაცობრიობის დეგრადაციის გამო, დასავლეთის მეცნიერები ხმამაღლა აცხადებენ სოციალურ მეცნიერებათა საერთო კრიზისის შესახებ.

ისტორიული ცოდნის ეპისტემოლოგიური პრობლემები არანაკლებ აქტუალური ჩვენთვის, ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის. ათეული წლების მანძილზე პიროვნების დეპერსონალიზაციამ ისტორიული მეცნიერების წიაღში მძიმე პრობლემები დააყენა. ჩვენი ისტორიული მეცნიერების განვითარება მომავალში ითვალისწინებს მის გამდიდრებას პლურიდისციპლინარული მიდგომით. ამას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, საჭიროა გადაილახოს შეხედულება ისტორიაზე, როგორც ადამიანის პიროვნების სტრუქტურის მიღმა მყოფ წინასწარ ცნობილი გზით ფატალურად მიმავალზე.

ჩვენს ხელთ არსებული ცალკეული ლიტერატურისა და რეფერირებული მასალების საფუძველზე თანამედროვე დასავლურ მედიევისტიკაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი პრობლემები:

1. მენტალობის ისტორიის ზოგადი საკითხი. ეს მოვლენა შეისწავლება თეორიულ-შემეცნებითი თვალსაზრისით (ჟ. ლეგოფი, პ. ბიორკი, ჟ. სონნე), ყურადღება ექცევა იმას, თუ რაოდენ ღრმა კვალი დაამჩნია ცალკეული კონკრეტული ეპოქის კულტურამ ადამიანის პიროვნების სტრუქტურაზე, თუ რამდენად იყო ურთიერთდაკავშირებული აღქმა და პიროვნების ქცევა მისი კონკრეტული ფუნქციონირების სოციალურ, წოდებრივ და მატერიალურ რეალობასთან; 2. ადამიანთა ქცევის სპეციფიკა, რომელიც განპირობებულია სქესობრივ-ასაკობრივი თავისებურებით. მამაკაცი, ქალი, ბავშვი, მოხუცები — ეს ადამიანის პიროვნების სხვადასხვა „კლასებია". სწორედ მათი სხვაობა-მსგავსების საკითხები, ცხოვრების თავისებურებანი შუა საუკუნეების სხვადასხვა ქვეყანაში, შეადგენს დასავლეთის მედიევისტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას; 3. რაინდობის გლობალური კვლევა. სწორედ რაინდობამ შეასრულა განსაკუთრებული როლი არა მარტო ხელისუფლებასა და პოლიტიკაში, არამედ სოციალურ-კულტურული თვალსაზრისითაც. რაინდობის სამყაროს სრული სურათის შესწავლით წარმოჩნდება და გაიაზრება შუა საუკუნის ადამიანთა ქცევის სისტემა; 4. მეთოდოლოგიის პრობლემები. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე მეცნიერებაში ისტორიული სინთეზის პრობლემას. არსებითი როლი აქვს ისტორიულ დემოგრაფიას, რომელიც უაღრესად დიდ საქმეს აკეთებს „დიდი ისტორიისათვის", ამარაგებს რა ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ილუსტრაციებით (მაგ. ოჯახი, შობადობა, სიკვდილიანობა, ქორწინებები და სხვ.), დემოგრაფიის ფარგლებშია მოქცეული ისტორიისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელი პრობლემები; ადამიანის კვება, პროდუქტების წარმოება, ავადმყოფობები, სოციალური სისტემები და სხვ.

ერთი სიტყვით, დღის წესრიგშია შუა საუკუნეების ადამიანის („ჰომო მედიევალ") მთელი სიღრმით შესწავლის საკითხი.

მენტალობის პრობლემა შუა საუკუნეებში თავისთავად რთულია და მისი შესწავლა გაძნელებულია. გერმანელი ფ. გრაუსი მენტალობის შესასწავლად მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, უხვად სარგებლობს სხვა მეცნიერებათა (სტრუქტურული ლინგვისტიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, რაოდენობრივი ანალიზის) მონაცემებით (Graus F., Mentalitaten im Mittelalter. Metodische u. inhantliche Probleme, Konstanz: Sigmaringen, 1987). მეცნიერი მიუთითებს იმ ნაკლოვან გარემოებაზეც, რომ ხშირად მენტალობის შესწავლა აღწერილობით ხასიათს ატარებს.

მენტალობის განმარტებას იძლევიან თავიანთ შრომებში გ. ტალენბახი, რ. შპრანდელი, ფ. შმალე და სხვ. გ. ტალენბახის განმარტება შემდეგია: მენტალობა — ესაა ბუნებრივი, თავისთავად ცხადი, ზოგჯერ იმპულსური მოქმედება და რეაგირება; ესაა აზროვნების სახე, რომელიც არანებისმიერია, და ზემოქმედებისადმი მცირე მიდრეკილება აქვს. კარგად ვლინდება დღიმებში, ანდაზებში, როცა მათ წარმოშობასა და ზუსტ მნიშვნელობას არავინ უფიქრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, და როცა ისინი, ბუნებრივად, თითქმის უნებურად ამოცურდებიან ქვეცნობიერად (Tellenbach G., Mentalitat (ideologie und Herrschaft im Mitte lalter), Darmstadt, 1982). ფ. გრაუსი მიიჩნევს, რომ მენტალობა წარმოადგენს კოლექტიური ქცევის არავერბალურ დისპოზიციას, რომელიც წინასწარი რეფლექსის გარეშე მოქმედებს.

მენტალობის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელია ამ ფენომენის კოლექტიური ხასიათი. მას აქვს გარკვეული „კოდი“ გონებრივი გახსწყობისა და ქცევითი რეაქციის „დაპროგრამებისთვის“. ფ. გრაუსი დარწმუნებულია, რომ შეცდომაა ლაპარაკი „ეროვნულ მენტალობასა“ და „წოდებრივ მენტალობაზე“.

მნიშვნელოვანია საკითხი ისტორიული შემეცნების პროცესში მენტალობის ისტორიის როლისა და ადგილის შესახებ. მენტალობის კვლევის ევრისტიკულ ეფექტურობაში მეცნიერები არ ეჭვობენ. მეცნიერთა ერთი ნაწილი (ჟ. ბლოკი, ჟ. დიუბი, ჟ. ლეგოფი) მენტალობის ისტორიას განიხილავენ, როგორც ზოგადი ისტორიის ასპექტს, მეორე ნაწილი (ფ. არიესი, ე. ხირნიკსი, რ. რაინჰარდტი) — როგორც განსაკუთრებულ დისციპლინას თავისი კვლევის კონკრეტული საგნით.

ერთი სიტყვით, სხვადასხვა მოსაზრებაა მენტალობის ისტორიის როლის, ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ. მისი კვლევის აუცილებლობა კი დასავლეთის ისტორიკოსებისათვის აქსიომაა.

დასავლეთის ისტორიკოსთა კვლევის პროგრამაში დიდი ადგილი უკავია „გაადამიანურების“ პრობლემას. მთელი სიგრძე-სიგანით შეისწავლება შუა საუკუნეების ადამიანი. ყოველგვარი მცდელობაა იმისა, რომ დაიხატოს მაქსიმალურად სრულყოფილი სოციალურ-კულტურული პორტრეტი შუა საუკუნეების ეპოქისათვის დამახასიათებელი ადამიანთა ტიპების: მონაზონისა და რაინდის, გლეხისა და მოქალაქის, ვაჭრისა და წმინდანის, ქალისა და „მარგინალის“. მოკლედ შევჩერდები ამ უკანასკნელ ტერმინზე. მიმაჩნია, რომ იგი კარგად ასახავს შინაარსს, რომელიც მასშია ჩადებული. მარგინალია [ლათინური margo (marginis)] არის წიგნის ან ხელნაწერის კიდეზე, არშიაზე მთავსებული სათაური ან შენიშვნა. ზემოხსენებული „მარგინალი“ შუა საუკუნეების საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებიდან გარიყულს უდრის. ჩვენში ხშირად ამგვარი პიროვნების ასასახავად „დეკლასირებულს“ ხმარობენ (მაგალითად დეკლასირებული ელემენტებია: გლახაკები, მეკობრეები, მეძაღები და სხვ.). ვფიქრობთ, ეს ტერმინი ჩვენშიც უნდა დაინერგოს.

დასავლეთის მეცნიერები სწავლობენ რა შუა საუკუნეების ადამიანს, ყურადღებას აქცევენ ზოგად მენტალურ სტრუქტურებს (იდეალები, ღირებულებები, რწმენები, ცრურწმენები), რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ხალხს.

შუა საუკუნეების საზოგადოებას სწამდა, რომ ადამიანი — მეფე იყო იგი თუ მთხოვარი, მონაზონი თუ რაინდი, უნივერსალური და მუდმივი მოდელი იყო. შუა საუკუნეების ქრისტიანული ანთროპოლოგიისათვის ადამიანი უპირველეს ყოვლისა ღვთის შვილია, რომელიც მოწოდებულია იბატონოს ბუნებაზე, მიწაზე, ცხოველებზე. ამასთან ადამიანს მემკვიდრეობად ერგო ადამის ცოდვები, რის გამოც იგი განწირულია მძიმე შრომისათვის, ტანჯვა-წამებისათვის და გზის დასასრულს სიკვდილისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ეპოქაში ქრისტიანობა ადამიანს წარმოსახავდა ხან ნეგატიური, ხან პოზიტიური სახით. გადასვლა უპირატესად პესიმისტური ხედვიდან ოპტიმისტურში სრულყოფილი ხდება XII—XIII სს. ადამიანის ამ არსებით გადაადგილებაში იცვლებოდა შრომის ინტერპრეტაციაც.: წყველა-კრულვისა და მონანიების შრომიდან გადარჩენისა და შემოქმედებითი შრომისაკენ. XIII საუკუნიდან იკონოგრაფიამაც ადამიანი დაფიქსირა, როგორც ამაყი, თავისთავში დარწმუნებული ფენომენი (მეფეები, პაპები, პრელატები, მდიდარი მოქალაქეები და მსხვილი ფეოდალები).

ქრისტიანულმა ანთროპოლოგიამ შვა ორი კონცეფცია შუა საუკუნეების ადამიანის შესახებ. ერთი მათგანია ადამიანი — მოგზაური, რომელიც თავის მოგზაურობას ახორციელებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში. თავისი არჩევანის შესაბამისად იგი მიემართება მარადიული ცხოვრებისაკენ, ან ტანჯვისა და სიკეთილისაკენ. შუა საუკუნეების ადამიანი თავისი დანიშნულებით პილგრიმია, მოხეტიალე რაინდი ან ჯვაროსანი. მეორე კონცეფციის მიხედვით, ადამიანის დანიშნულება მონანიებაშია, ცოდვებისაგან განწმენდაშია. XIII ს-დან ევროპაში გავრცელდა ადამიანთა მიერ ყოველწლიური აღსარებისა და მონანიების პრაქტიკა.

„შუა საუკუნეების ადამიანი“ — მისი მთავარი სოციალური ხორცშესხმა გვიანდელ ანტიკურ პერიოდში და ადრეფეოდალურ ხანაში იწყება. ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულიდან შუა საუკუნეების ადამიანის შეგნებაში ადგილი აქვს მრავალფეროვანი სტატუსების ცვლას. XIV—XV სს. ფეოდალური სისტემის „კრიზისმა“ სოციოკულტურული ტიპოლოგიის ახალი ტრანსფორმაცია განაპირობა, რამაც, თავის მხრივ, პიროვნებათა ახალი ტიპები მოგვცა.

შუა საუკუნეების იდეოლოგიის შესაბამისად, ადამიანის ვალია — დარჩეს იქ, სადაც იგი ღმერთმა მოათავსა. ამაღლება ცოდვაა, დამდაბლება — სირცხვილი. შუა საუკუნეების მონაზონთა ტკბობა სიმყუდროვესა და მშვიდობაშია. რაინდის ცხოვრება მშვიდობასა და ძალადობას შუაა, ღმერთსა და სისხლს შორისაა, ძარცვასა და გაჭირვებულთა დაცვის მიჯნაზეა (ფ. კარდინი). რაინდული ცხოვრების მთავარი პოსტულატებია ეკლესიისადმი სამსახური და გაჭირვებულთა და სოციალურად სუსტთა (ქვრივ-ობლების) დაცვა. რაინდი „ქრისტეს ჯარისკაცობაზე“ ოცნებობს. მეორე მხრივ, ესპანეთის რეკონკისტა და ჯვაროსნული ომები რაინდობას ფართო ასპარეზს უხსნიდა. თუ ადრინდელ შუა საუკუნეებში „ქრისტეს მებრძოლი“ იყო მონაზონი, ასკეტი, მარტვილი, XI საუკუნიდან ეკლესიამ, რომელსაც რაინდების მხარდაჭერა სჭირდებოდა, დაიწყო იარაღის კურთხევა. ამიერიდან შესაძლო გახდა წმინდანად შერაცხულიყო ის პირი, რომელიც იარაღით იცავდა ქრისტიანობის კეთილდღეობას.

XIV—XV საუკუნეებიდან, როცა ცეცხლმსროლელი იარაღი გაჩნდა, რაინდის სოციალური და მორალური პრესტიჟი შესუსტდა. ამასთან რაინდულმა ინსტიტუტმა თავისი როლი შეასრულა შუა საუკუნეების ადამიანის ინდივიდუალიზაციის საქმეში, რაც, თავის მხრივ, ცივილიზაციას მოასწავებდა (ე. ელიასი).

ყველაზე მცირე წყაროები მოიპოვება შუა საუკუნეების გლეხობის სულიერი სამყაროს შესახებ (ეს შენიშვნა სავსებით ვრცელდება საქართველოზეც).

დასავლეთის ისტორიოგრაფიაში წამყვანი ადგილი უკავია შუა საუკუნეების ქალაქების ისტორიის კვლევას. შეისწავლება საქალაქო ცხოვრება და მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქები, ქალაქის გავლენა შუა საუკუნეების ადამიანზე (მცირდება ოჯახური წრე, მაგრამ ფართოვდება სოციალურ ურთიერთობათა წრე, ადამიანი ყურადღების ცენტრში აყენებს ფულსა და ვაჭრობას). ამგვარად, მოქალაქე სრულიად ახალი სოციოკულტურული ტიპია შუა საუკუნეებისა. საგანგებოდ შეისწავლება ადამიანი მეზობლებითურთ, ქუჩისა და კვარტლის ცხოვრება; ტავერნა, სასაფლაო, ეკლესია, მოედანი. ქალთა შეხვედრის ადგილი ჭის მახლობლადაა, სადაც ისინი ერთად რეცხავენ, ერთად ქსოვენ, ნახულობენ საპატარძლოს და ა. შ.

მთავარი ისაა, რომ ქალაქი იმორჩილებს ადამიანს, ზეიმობს მასზე გამარჯვებას. ამასთან არიან ძლიერი ადამიანები, სულითა და კრიტიკული აზროვნებით. ესენი არიან „ინტელექტუალები" (მ. ფუმაგალი ბიონინო ბროკერი). დასავლეთში პროფესიონალი — ინტელექტუალის ტიპის ფორმირება XII—XIII სს. ხდება, როცა შეხედულება სწავლების შესახებ იმ რწმენად იქცევა, რომ იგი (სწავლება) ქალაქის სპეციალიზებული შრომის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ანაზღაურდება ქალაქის, ეკლესიის, ან უშუალოდ, მოსწავლეების მიერ.

დასავლეთის მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქალები ყოველდღიურ ცხოვრებაში, მიგდებული ბავშვები, ბავშვები და ოჯახი, საოჯახო წყობა შუა საუკუნეების ქალაქში. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისეთი საკითხების ღრმად მიმოხილვას, როგორიცაა: მახვილის იდეოლოგია (ჟ. ფლორი), ღირსებისა და უღირსობის საკითხი მხატვრულ ლიტერატურაში (ი. რობრო), ოჯახის განვითარება და ქორწინება ევროპაში (ჯ. გუდი) და სხვ.

ცალკე უნდა ითქვას იმ გარემოებაზე, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შუა საუკუნეების არქეოლოგიურ შესწავლას. საერთოდ ღრმად ვითარდება ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

ერთი სიტყვით, ისტორიული მეცნიერების განვითარება მთელს მსოფლიოში საინტერესოდ, განსაკუთრებული აღმავლობით მიდის. ამ სტრიქონების ავტორი შორსაა იმ აზრისგან, რომ დასავლეთის მეცნიერთა ყველა გამოკვლევა უზადოა და მათი უკრიტიკოდ მიღება შეიძლება. ერთი რამ კი აუცილებელია, ჩვენ უფრო ახლოს და ღრმად უნდა გავიცნოთ ის მიმდინარეობები, რაც თანამედროვე მსოფლიო ისტორიულ მეცნიერებაში შეიმჩნევა, შეკისწავლოთ კონკრეტული ნაშრომები და საჭიროებისამებრ შეძლებისდაგვარად გავითვალისწინოთ. ეს თავისთავად ჯერ კიდევ რთული საქმეა, მაგრამ უკვე იწყება საქართველოს საისტორიო საზოგადოების მიერ გარკვეული კონტაქტების დამყარება საზღვარგარეთელ ისტორიკოსებთან. უნდა შევეცადოთ, რომ ეს კონტაქტები ურთიერთსასარგებლო გაეხადოთ. დღევანდელ ვითარებაში, როცა მეცნიერებათა აკადემიის ყველა ინსტიტუტსა თუ დანაყოფებს რეალური დამოუკიდებლობა აქვთ, უფრო აქტიურად და ფართოდ უნდა მოხდეს მეცნიერთა გაცვლა, განსაკუთრებით უნდა წახალისდეს უვალუტო გაცვლა, რაც რეალური და განსახორციელებლად მარტივია.

ჩვენი ამოცანაა — აქედანვე დავიწყოთ მზადება ისტორიულ მეცნიერებათა მსოფლიო XVIII კონგრესისათვის, რომელიც ხუთი წლის შემდეგ მონრეალში გაიმართება. ამ კონგრესზე საქართველოს ისტორიული მეცნიერება მრავალფეროვანი გამოკვლევების შედეგებით უნდა წარდგეს...

კლიოს მფარველობა არ აკლია ისტორიას. „დიდების მიმნიჭებელი" მუზის ძალა ვინძლო არც ქართველ მეცნიერებს მოაკლდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13647

ლევან თოიძე

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა*

1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება ხდებოდა, საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში 1920 წელს გადასული ოსთა შეიარაღებული რაზმები დაბრუნდნენ და წითელი არმიის ნაწილებთან ერთად (მათს შემადგენლობაში) აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ რევოლუციურ ლოზუნგებს ამოფარებული ექსტრემისტებიც, რომელნიც თავს სოციალიზმისათვის მებრძოლებად ასაღებდნენ, სანამდვილეში კი „რევანშისტულ“ მიზნებს ისახავდნენ და სოციალიზმს დროებად იყენებდნენ.

წითელი არმიის ნაწილებს საქართველოდან 1920 წელს გახიზნული ყველა ოსი არ შემოჰყოლია, ნაწილი ჩრდილო კავკასიაში დარჩა. გავეცნოთ ორ დოკუმენტს, რომლებითაც ირკვევა, თუ როგორ მოხდა მათი დაბრუნება. 1921 წლის 14 მარტს გ. კ. ორჯონიკიძემ ქ. ვლადიკავკაზიდან მიიღო თერგის ოლქის ჯარების სარდლის სმირნოვისა და გენშტაბის უფროსის შავროვის შემდეგი დეპეშა:

«В связи с советизацией Грузии наблюдается стремление эмигрантов Южной Осетии вернуться домой, дабы не пропустить срока весенних работ. Южно-Осетинский окружной комитет РКП(б) просит предоставить ему право разрешения на проезд в Южную Осетию отдельным эмигрантам, особенно сохранившим инвентарь, дабы скорейшим образом восстановить хозяйственную жизнь Южной Осетии и переход этот разрешить безболезненно. Прошу разрешить этот вопрос»[1].

აი, გ. ორჯონიკიძის სპასუხო დეპეშაც:

«Командвойск Теробласти т. Смирнову, копия т. Такоеву. Тифлис 17/III—21 г.

Абсолютнейшая свобода возвращения всех выселенных меньшевиками осетин само собой решается провозглашением Советской Грузии. Нет больше осетинского вопроса, осетины являются полными хозяевами своей судьбы. Грузсов-

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 3.

[1] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი (შემდგომში — მლი ცპა), ფ. 85, აღწ. 15, საქ. 261, ფურც. 2.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 4

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

правительством ассигновано миллиард рублей на помощь разоренных меньшевиками осетин Южной Осетии. Передайте пожалуйста всем осетинам Южной Осетии, что ничто решительно не мешает их возвращению к себе. Орджоникидзе»[2].

ოსების დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ოსთა და ქართველთა ურთიერთობა. ოსები ეპატრონებოდნენ საქონელს, რომელიც, მათი აზრით, ქართველებს დარჩათ ოსთა 1920 წლის ივნისის აჯანყების ჩაქრობისა და აჯანყებულთა ჩრდილო კავკასიაში გახიზნის შემდეგ. თუმცა საქართველოს სსრ საგანგებო კომისიაში მიაჩნდათ, რომ ამ დავაში არც ერთი მხარე არ იყო ბოლომდე მართალი[3].

სათანადო ორგანოებმა ვერ გაითვალისწინეს ის სავალალო შედეგები, რაც საქართველოში ოსთა არაორგანიზებულად დაბრუნებას უნდა მოჰყოლოდა. დავიმოწმოთ ადგილები სოფლების: სვერის, ქემერტის, მინდიანის, ყაფლანის, კასრანის და მონასტრის მეხოვრებთა მიერ 1921 წლის 25 აპრილს დაწერილი ერთობლივი განცხადებიდან, რომელიც საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდების მცველმა ნონა ხუციშვილმა გააცნო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ მკითხველს: „...გვაქვს შეტად ცუდი მდგომარეობა, დღეს ჩვენ ვიმყოფებით ლტოლვილებად, ვართ ჩვენს სახლებს მოწყვეტილნი. ოსების შემოსვლის შემდეგ გვიხდება 3 თვე (ასეა დედანში — **ლ. თ.**), რაც გამოქცეული ვართ სახლებიდან... ცხინვალში დაგვიწვეს 78—80 სახლი და რაც გადარჩა საქონელი და ავეჯი და ჭირნახული წაიღეს ჯავის რაიონისაკენ... რაც ვთხოვთ, ცემითა და მუქარით გვიპასუხებენ. ამ დროს ამოხოცეს 32 კაცი, მათში ზოგი დაწვეს და ზოგიც ცემით დახოცეს, გაუპატიურეს ქალები, დედები, პატარები... გთხოვთ უმორჩილესად მოგვცეთ იარაღი, რომ დავიცვათ ჩვენი თავი და მივიდეთ ჩვენს სახლებში ან მოგვცეთ ქართული ჯარი, რომელიც ჩადგება სამძღვარზედა, თორემ არ შეგვიძლიან ჩვენ იქ ცხოვრება, რადგანაც მუდამდღე ხდება დაცემა, იტაცებენ თუ რამე დარჩა ამ ოხრებულს სოფლებში, ანგრევენ სახლებს და მიაქვთ ოსებისაკენ... შეგვაწუხეს ჯარმა, რომელიც დგას დღეს ცხინვალში. მოდიან სახლებში და გვაწუხებენ. გვთხოვენ ჭირნახულევს, საკლავს და აფუჭებენ ჭირნახულს და ვენახებს და არ გვაქვს ღამე ძილი. მუდამ ღამე ხდება დაცემა. მასთან საქონელი გვყამს მუდამ სახლში, რადგანაც გვეშინიან მოტაცების. თუ წავიყვანთ საძოვრად, მოდიან და იტაცებენ, რადგანაც არ ეშინიათ“[4].

ასეთმა ძალადობამ კიდევ უფრო დაამძიმა ქართველი ხალხის გულისტკივილი, საქართველოს ოკუპაციით რომ იყო გამოწვეული. პირველ ხანებში უმართავი გახდა ოსთა და ქართველთა ურთიერთობა. საქირო შეიქნა განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების გამოგზავნა დედაქალაქიდან.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ ხუსტად გამიჯნული არ იყო გორის მაზ-

---

2 მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 261, ფურც. 1.

3 საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის (შემდგომში — სუიცსა), ფ. 281, აღწ. 1, საქ. 92, ფურც. 123.

4 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წლის 20 იანვარი. სტატია „შიდა ქართლი — ისტორია და თანამედროვეობა. საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ.

რის და ცხინვალის რევკომების სამოქმედო სფეროები. თვით ცხინვალში არსებობდა ორი რევკომი: სამხრეთ ოსეთისა და ცხინვალის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ 1921 წლის 23 მაისს მიჩანშეუწონლად ცნო ცხინვალში ორი რევკომის არსებობაᲜ, მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველა რა. ხშირად ხდებოდა შეხლა-შემოხლა იმის თაობაზე, თუ ვისი მმართველობა უნდა გავრცელებულიყო ამა თუ იმ რაიონზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დადგა სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიის მინიჭების საკითხი, რაც ერთობ ძნელი გადასაწყვეტი შეიქმნა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, გასარკვევი იყო რომელ ტერიტორიაზე და რა სახის ავტონომია უნდა მიენიჭებინათ სამხრეთ ოსეთისათვის. მეორე, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რევოლუციურ კომიტეტს, რომელთაც ვერაფრით ვერ დავწამებთ არაინტერნაციონალიზმს, გაუჭირდათ სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის მიერ წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება (სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი, ზუსტად ამ სახელწოდებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა, თუმცა, მაშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეული თავისი სტატუსითა და ტერიტორიით ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული).

და, აი, 1921 წლის 6—8 სექტემბერს გაიმართა სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებული სხდომა სამხრეთ ოსეთის პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების მონაწილეობით, რომელმაც განიხილა „სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევისა და პოლიტიკური მოწყობის საკითხი“. სხდომამ დაადგინა:

> «1. Признать необходимым образование социалистической советской республики Юго-Осетии с центром в Цхинвали; 2) Социалистическая Советская Республика Юго-Осетии добровольно вступает в федеративную связь с социалистической Советской Республикой Грузии; 3) При выработке формы федеративной связи между обеими республиками гарантируется трудящимся Юго-Осетии максимум политических прав; 4) Социалистическая Советская республика Юго-Осетии обязуется в границах, соответствующих наличным этнографическим, географическим и экономическим условиям, гарантировать свободное экономическое и культурное развитие трудящихся Юго-Осетии, согласно прилагаемому проекту; 5) Настоящее постановление представить объединенному заседанию Кавбюро Р. К. П., Ц. К. К. П. Грузии и Ревкома Юго-Осетии для окончательного разрешения данного вопроса»[6].

ამ დადგენილებაში სამი ისეთი საკითხია დაყენებული, რომელთაც არ შეიძლებოდა ქართველი ხალხის გულისწყრომა არ გამოეწვია. ეს გახლავთ თვითგამორკვევის ფორმის (სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა), რესპუბლიკის

---

5 იხ. მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 11, ფურც. 26.

6 სუიცსა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 164.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაქალაქის (ცხინვალი) და ტერიტორიის საკითხები (სამხრეთ ოსეთის საზღვრებში, ამ დადგენილების დანართის მიხედვით, მრავალი ქართული სოფელი უნდა შესულიყო).

მაშასადამე, უნდა შექმნილიყო სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. საქართველოში ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული იყო აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკები.

მოკლედ მათს შესახებ.

საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფად აღიქვა ჩვენმა საზოგადოებრიობამ არა მარტო ის, რომ ქართული მიწების ნაწილი მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს გადაეცა, ან კიდევ მათს მფლობელობაში იყო და დარჩა, არამედ ისიც, რომ საქართველოს ერთიან ტერიტორიაზე მაშინ რამდენიმე ავტონომიური ერთეული შეიქმნა. ავტონომიური ერთეული კი არა და აფხაზეთში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადეს (ყოველგვარი ავტონომიურის გარეშე). თითქოს უცნაურ ფაქტთან გვაქვს საქმე — საქართველოში ორი თანაბარუფლებიანი (სახელწოდებით ასე იყო) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩამოყალიბდა.

ამ „უცნაურობის“ ახსნა გაგვიადვილდება, თუ გავიხსენებთ რა პირობებში აარსებდნენ რესპუბლიკებს ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

რევოლუციას მომხრეები სჭირდებოდა და ლოზუნგებიც ისეთი უნდა ჰქონოდა ფართო მასების მხარდაჭერას რომ უზრუნველყოფდა. იმპერიის არარუს მოსახლეობაში ერთ-ერთ ასეთ ლოზუნგად ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა ითვლებოდა და ამიტომაც კომუნისტური პარტიის მიერ ამ ადრიდანვე აღიარებულმა ლოზუნგმა რევოლუციის პერიოდში წინა პლანზე წამოიწია. დამოუკიდებლობის იდეამ მოიცვა დიდი თუ მცირე ერები და ეროვნებები. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს იდეა ერთობ პოპულარული გახდა თვით რუსულ ოლქებშიც კი. 1918 წელს შეიქმნა დონის საბჭოთა მთავრობა, ყუბან-შავიზღვისპირეთის რესპუბლიკა და ა. შ. მოსკოველ მუშაკთა ჯგუფმა საბჭოების მესამე ყრილობის შემდეგ 14 გუბერნიის გაერთიანება მოიწადინა და 1918 წლის 20 მარტს ამ გაერთიანების სახკომსაბჭოც შეიქმნა. პეტროგრადში ფუნქციონირებდა ჩრდილოეთის ოლქის სახკომსაბჭო. მალე გაჩნდა მსგავსი გაერთიანება ურალის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს სახით. მასში შედიოდა უფის, ვიატკის, ორენბურგისა და პერმის გუბერნიები. ასეთი ხელოვნური საოლქო „დამოუკიდებელი“ წარმონაქმნები 1918 წლის დამლევამდე რუსეთის სხვა რეგიონებშიც არსებობდა[7].

ბუნებრივია, დამოუკიდებლობის იდეამ დიდი გასაქანი პოვა არარუს მოსახლეობაში, კერძოდ კავკასიის ხალხებში. ქართველმა ერმა თვით განახორციელა ეს იდეა — 1918 წლის მაისში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. გაიშალა მუშაობა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის გარკვეული ავტონომიური მმართველობის დასაწესებლად. ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის ცალკეული შეხლა-შემოხლაც ხდებოდა ამ ნიადაგზე. რთული იყო საკითხი. ყოველმხრივი შესწავლა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებაც აუცილებელი ჩანდა.

---

7 იხ. კ. გ. ფედოროვი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1917—1920) (რუს. ენაზე), 1957, გვ. 88—89.

ზოგიერთ ეროვნულ უმცირესობასთან საქართველოს მთავრობის გართულებულ ურთიერთობას მოხერხებულად იყენებდნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდნენ ეროვნულ უმცირესობებს მთავრობასთან ბრძოლაში, გამარჯვების შემთხვევაში ავტონომისაც ჰპირდებოდნენ მათ. ხელისუფლებისათვის ბრძოლის პოლიტიკით იყო ეს განპირობებული. ეროვნული უმცირესობები მეწშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ არმიაში ეგულებოდათ ბოლშევიკებს და ამიტომაც გულუხვ დაპირებებსაც არ აკლებდნენ მათ. დაპირებები გულწრფელი იყო. ხელისუფლების სათავეში ქართველი ბოლშევიკების მოსვლისთანავე დაპირებები საქმედ იქცა. 1921 წლის მარტში, მაგალითად, აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. მოსკოვის, ლენინგრადის, დონის, ყუბან-შავიზღვისპირეთისა და სხვათა „დამოუკიდებელ“ გაერთიანებათა მაგალითის დამოწმებით გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ „სამოსტიინური“ ხასიათის „უცნაურობები“ არცთუ ისე „შვიათი იყო თვით სუფთა რუსულ ოლქებშიც კი. რა გასაკვირია, რომ მას ადგილი ჰქონდა აფხაზეთშიც.

არა, საკამათო ის როდია, ერგებოდა თუ არა აფხაზეთს ავტონომია. საუბარია იმაზე, რომ საბჭოთა სინამდვილეში იმ დროსაც ეროვნული სახელმწიფოებრიობის უმაღლესი ფორმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო. შემდეგ მოდიოდა სამი ტიპის ავტონომიური ერთეული: ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და შრომითი კომუნა. რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა ბაშკირეთის, თათრეთის, ყირგიზეთის, თურქესტანის, მთის, დაღესტნის, ყირიმის, იაკუტიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და ჩუვაშეთის, მარის, ყალმუხეთის, ვოტის. კომის, ყაბარდო-ბალყარეთის, ბურიატ-მონღოლეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ოირატის (ალტაის), ადიღეს (ჩერქეზეთის) ავტონომიური ოლქები, აგრეთვე კარელიისა და ვოლგისპირეთის გერმანელთა შრომითი კომუნები. აქ ჩამოთვლილ ხალხთაგან ზოგიერთები მოსახლეობის რაოდენობითა და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის მოცულობით ჭარბობდნენ აფხაზებსა და აფხაზეთს (ზოგიერთი, აფხაზეთის მსგავსად, საზღვრისპირა, ზღვისპირა მდებარეობითაც გამოირჩეოდა), მაგრამ მაშინ ვერც ერთი მათგანი ვერ ჩამოყალიბდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. მხოლოდ აფხაზები და აფხაზეთი ჩათვალეს ასეთი სახელმწიფოებრივი სტატუსის ღირსად. არ არის აქ რაღაცნაირი საგანგებო ვითარება? რაღა თქმა უნდა არის. საკითხი ნაჩქარევად გადაწყდა. განა საკამათოა, რომ ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის იმ დროს ნათდაუნებურად არსებული რთული ურთიერთობის მოწესრიგება აფხაზეთისათვის შედარებით უფრო დაბალი ტიპის ავტონომიის მინიჭებითაც შეიძლებოდა? მაგრამ მაშინ საქართველო ხომ ნაკლებად „დასჯილი“ იქნებოდა. საქართველოს „დასჯა“ კი აუცილებელი იყო, რადგან მან გაბედა და 1918 წელს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა, ამასთან საქმესაც არა უშავს რა უძღვებოდა. თავიდათავი ის იყო, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო და ქართველ კომუნისტთა საგრძნობი ნაწილი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მაშინ წინდახედულობას ვერ იჩენდნენ. მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის იდეებით გატაცებულნი და მის მოლოდინში ნაკლებმნიშვნელოვნად თვლიდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის მთლიანობის დაცვას. ამ საკითხზე ზრუნვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაგმობ ნაციონალიზმად და კომუნისტისათვის შეუფერებელ საქციელად მიიჩნევდნენ. არა, სუბიექტურად ქართველი ხალხის მტრობა კი არ ჰქონდათ გულში ჩადებული, მაგრამ ეგონათ, რომ რევოლუციის ინტერესებთან შედარებით ეს ისეთი მეორეხარისხოვანი საქმეა, რომლისთვისაც არ ღირდა არაქართულ რეგიონთა „რევოლუციური მასების“ განაწყენება.

ამიტომაც მოხდა, რომ მთელი 10 წლის მანძილზე აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ამ ხნის მანძილზე საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ სპეციალური ხელშეკრულებით (1921 წლის დეკემბრისა) იყვნენ დაკავშირებული (მსგავსი სახელშეკრულებო კავშირი რუსეთის სფს რესპუბლიკასაც ჰქონოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან).

საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკებს შორის სპეციალური ხელშეკრულების დადებაც აფხაზეთის მხრიდან გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდა. საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ, რომელმაც 1921 წლის 1 ნოემბერს ორჯონიკიძის, კიროვის, მიასნიკოვის, ნაზარეტიანის, ფიგატნერის, მავრინის, მრავიანისა და ეშბას მონაწილეობით იმსჯელა საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე და დაადგინა:

> «1. Считать необходимым приступить к выработке проекта договора о взаимоотношениях между Грузией и Абхазией. 2. Для разработки проекта договора выбрать комиссию в составе т.т. Эшба, Элнава, Леграна под председательством тов. Леграна. 3. Разработанный проект договора представить на утверждение Президиума Кавбюро ЦК РКП. 4.Работа комиссии должна быть закончена к 10-му ноября»[8].

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ იყო აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის სხვა, კიდევ უფრო მიუღებელი ვარიანტიც. 1921 წლის 16 ნოემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო, რომლის სხდომას ესწრებოდნენ ორჯონიკიძე, ფიგატნერი, ნაზარეტიანი, ელიავა, მდივანი, მარკოვი, მირონოვი, ეკროვი, ადნო, ეშბა და ღოღობერიძე, იძულებული გახდა მიეღო ასეთი გადაწყვეტილება:

> «1. Считать экономически и политически нецелесообразным существование независимой Абхазии; 2. Предложить тов. Эшба представить свое окончательное заключение о вхождении Абхазии в состав федерации Грузии на договорных началах или на началах автономной области в РСФСР»[9].

ქართველ ხალხს ახლაც არაფერს ეკითხებოდნენ. რაც შეეხება საქართველოს „ფედერაციაში“ აფხაზეთის დარჩენას, ეს, საფიქრებელია, საბოლოოდ იმან გადაწყვიტა, რომ თუ აფხაზეთი რუსეთის სფს რესპუბლიკაში შესვლას მოისურვებდა, ძას, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ავტონომიური ოლქის უფლებებს ანიჭებდნენ.

---

[8] მლი ცპა. ფ. 64, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 85.

[9] იქვე, გვ. 89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 24 ნოემბრის დადგენილებასაც, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს — ორგბიუროს ურთიერთდამოკიდებულებას ეხებოდა. ამ დღეს კავბიურომ დაადგინა:

> «1. Оргбюро Абхазии организационно связывается с ЦК КПГ, сохраняя название РКП; 2. Тов. Эшба вводится в ЦК КПГ на правах полноправного члена»[10].

კავბიუროს ამ სხდომას ესწრებოდნენ: ორჯონიკიძე, ელიავა და ნაზარეტიანი. გამოკითხვის წესით ეს დადგენილება მიზანშეწონილად ცნეს კიროვმა, მდივანმა და ფიგატნერმა[11].

ერთი კია. აფხაზეთის სახელმეკრულებო რესპუბლიკას საკავშირო, ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკების წარმოებაში განიხილავდა (თავსებდა) და ეს აისახა სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაშიც, სადაც აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად არის მოხსენებული. „აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, — აღნიშნულია კონსტიტუციაში, — და სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბახისა და ნახიჩევანის ავტონომიური ოლქები ეროვნებათა საბჭოში ეზიარნენ თითო წარმომადგენელს."[12].

აფხაზეთი ფაქტობრივად ავტონომიურ რესპუბლიკად არის ნაგულისხმევი ზოგიერთ იმდროინდელ პარტიულ დოკუმენტშიც. 1922 წლის 27 ოქტომბერს, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი:

> «О числе мест в ЦИК, представляемом Центру, автономным республикам, Армии...».
>
> და დაადგინა «Предоставить; Центру 35, автономным республикам Абхазии, Аджаристана и Южно-Осетии по 3 места»[13].

როგორც ვხედავთ, აქ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ავტონომიურ რესპუბლიკებად არიან დასახელებული. და აქ ოქმის შემდგენლის დაუდეკრობასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე მხოლოდ, არამედ საერთო ტენდენციასთან — აფხაზეთს, აჭარასა და სამხრეთ ოსეთს ამ შემთხვევაში ერთი ტიპის ავტონომიურ (!!) ერთეულებად განიხილავენ.

აჭარის ავტონომიაც განსაკუთრებულ ვითარებაში შეიქმნა. მას საფუძვლად ეროვნული ნიშანი არ დასდებია. საბჭოთა სინამდვილეში ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როცა მთელ ერს და მის შემადგენელ ნაწილს ცალ-ცალკე რესპუბლიკები შეუქმნეს. ცხადია, აჭარის ავტონომიის შექმნა ქართველი ხალხის ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა. იგი რელიგიური და საგარეო-პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. საქმე ისაა, რომ აჭარა-საქარ-

---

10 მლი ცპა, ფ. 64, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 105.

11 იქვე.

12 სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია — საბჭოთა კონსტიტუციის ისტორია (1917—1956 წწ.), 1957 (ოუს. ენაზე), გვ. 463.

13 ცლისფა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 192, ფ. 215.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს განუყოფელი ნაწილი — ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად თურქეთის სამსაუკუნოვან მფლობელობაში მოექცა და მხოლოდ რუსეთ-თურქეთის 1877—78 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად დაუბრუნდა სამშობლოს (ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს რუსეთის ამ ამაკს, თუმცა ისიც ცხადია, რომ რუსეთი მაშინ საკუთარი იმპერიის გაფართოებისათვის ზრუნავდა და არა საქართველოსათვის). თურქეთის ბატონობამ თავისი დაღი დასვა აჭარელთა ყოფასა და კულტურას. მუსლიმანური რელიგიის მიღების შემდეგ აჭარა თურქეთისა და, საერთოდ, მუსლიმანური აღმოსავლეთის ძლიერ იდეოლოგიურ ზემოქმედებას განიცდიდა.

აჭარამ ბოლომდე ვერ დაიწია თავი ამ გავლენას რუსეთის იმპერიაში შესვლისა და საქართველოსთან შეერთების შემდეგაც. თურქეთმა 1918 წელსაც სცადა აჭარის ხელმეორედ მიტაცება. მან აქ შექმნა თურქოფილური ორგანიზაცია, რომელიც აჭარის კვლავ თურქეთის მფლობელობაში გადასვლას მოითხოვდა. თურქოფილურ ძალებს დაუპირისპირდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც საქართველოს ფარგლებში აჭარის ავტონომიის ჩამოყალიბების საკითხი დააყენა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ძირითადად შესაძლებლად მიიჩნია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება და კონსტიტუციითაც დადასტურა ეს, მაგრამ მისი რეალური განხორციელება ვერ მოასწრო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დადგენილებით შეიქმნა. აჭარაში ავტონომიური მმართველობის დაწესება წინასწარ იყო გადაწყვეტილი რუსეთის სფს რესპუბლიკისა და თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით (ესეც საქართველოს ფიქტიური დამოუკიდებლობის მაჩვენებელი). თუმცა ამ ხელშეკრულებაში არ იყო დაკონკრეტებული აჭარის ავტონომიის ფორმა და ამდენად, შეიძლებოდა არჩევანიც გაკეთებულიყო, უფრო დაბალი ტიპის ავტონომია დაარსებულიყო (ი. ფეტკარაძე), ავტონომიური მმართველობის შემოღება კი გარდაუვალი ჩანდა, რადგან ამ იდეას მაშინ აჭარლებიც თანაუგრძნობდნენ.

აჭარის ავტონომიის ბიდი ღღეს მთელმა ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, (ცხადია, თვით აჭარლების სურვილისა და მოსალოდნელი შედეგების მაქსიმალური გათვალისწინებით. აქ დიდი წინდახედულობა და სიბრძნე გვმართებს. პირველი და გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით აჭარლებს, რომელთა ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონე არასოდეს ეჭვს არ იწვევდა.

ამრიგად, საქართველოს სს რესპუბლიკაში, მის კუთვნილ ტერიტორიაზე გასაბჭოების პირველ წელსვე შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (რომელიც იმავე წლის დეკემბერში კახდა სახელმეკრულებო, ხოლო მოგვიანებით ავტონომიური რესპუბლიკა), აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და აყენებდნენ საკითხს სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ. იმისდა მიუხედავად, სამართლიანი იყო თუ არა საკითხის ასეთი გადაწყვეტა, უდავოა, ეს მომენტი კიდევ უფრო ართულებდა საქართველოს კომუნისტების მდგომარეობას, რომელიც წითელი არმიის მიერ საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების (ოკუპაციის) პირობებში, ბუნებრივია, ისედაც უაღრესად მძიმე იყო. მკითხველმა იცის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ „საქართველოს ხალხის მოღალატეებად“ გამოაცხადა საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს რევკომის წევრები, რომლებიც მოუძღოდნენ „რუსეთის საბჭოთა ლაშქართ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ"[14], საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

შექმნილ ვითარებაში ქართველ ბოლშევიკებს საქმით უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათთვის უცხო არაა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. წინაღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გამონახავდნენ საერთო ენას ქართველ ხალხთან, განსაკუთრებით მის ინტელიგენციასთან. მით უფრო რომ ზოგიერთი ქართული პოლიტიკური პარტია ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებასთან შეურიგებლობისაკენ მოუწოდებდა, ხოლო კომუნისტურ პარტიას, არც თუ უსაფუძვლოდ, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დარღვევას საყვედურობდა. დამახასიათებელია ამ მხრივ გრიგოლ ლორთქიფანიძის გამონათქვამი, რომელსაც აქვე უცვლელად დავიმოწმებთ: „ჩამოშვრილი ტერიტორიების გარეშე დარჩენილი საქართველო ფორმალურად გამოცხადებულ იქნა საქართველოს საბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკათ. მაგრამ თვით ეს საქართველოც ძლიერ დასერა და დასჭრა რუსეთმა პოლიტიკურთა და ტერიტორიალურთა. ამ მიზნით, მან გამოაცხადა აფხაზეთის ჯერ დამოუკიდებელი, შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა, ასეთივე რესპუბლიკა აჭარაში და ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთისა. ყველა ამ ე. წ. რესპუბლიკების შექმნა და მათი საქართველოსადმი დაპირდაპირება და მისგან მაქსიმალურათ გამოთიშვა ძველი რუსიფიკატორული პოლიტიკის ახალ ფორმაში გაგრძელებაა. აფხაზეთის რესპუბლიკა რუსეთს სჭირია, როგორც საქართველოში შემოსვალი ჭიშკარი და საკოლონიზაციო პოლიტიკისათვის დასაყრდნობი პლაცდარმი. ასეთსავე პოლიტიკურსა და სტრატეგიულ როლს აკისრებს მოსკოვის იმპერიალიზმი ე. წ. სამხრეთ ოსეთს. ნამდვილი ოსეთი კავკასიონის ქედს გადაღმა კასრის ხეობის იქით, მაგრამ იქ რუსეთმა სრულიადაც არ დაინახა საჭიროთ შეექმნა წმინდა ოსური სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ჩრდილო ოსეთისა ან სხვა რამ ამგვარი სახელწოდებისა. იქ ოსები, ინგუშები და სხვები ერთ ავტონომიურ მთის რესპუბლიკაში დასტოვა, ხოლო საქართველოში, სადაც ოსობა წარმოადგენს ხიზნებსა და კოლონისტებს მათთვის ოთხი მაზრიდან (ფორის, დუშეთის, მოროანბისა და რაჭის) ხელოვნურათ გამოსჭრა ოსური ავტონომია მრავალ წმინდა ქართული სოფლების შიგ ჩართვით. ეს ზომაც მიჰართული იყო, რასაკვირველია, იქითკენ, რომ ოსურ-ქართული შური გაეღვივებია და საქართველოში შემოსასვლელი ჭიშკრები მოსკოვის ხელში ყოფილიყო სავსებით და ამ მიზნისათვის, ასე წარმოიდგინეთ იმდენათ აწამეს და აჯახრაკეს ავტონომიური ოსეთის საზღვარი, რომ მის ფარგლებში მამისონის გადასავალიც კი მოაქციეს რაჭის მხრიდან"[15].

ამ ნაწყვეტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილი და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე სიმართლეს ამბობს. ქართველი ხალხის გულისტკივილს იგი ძირითადად სწორად გადმოსცემს. ეს პრობლემა მაშინ ნამდვილად იდგა. თვით კომუნისტების დამოკიდებულება აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვადასხვა ასპექტისადმი არაერთგვაროვანი იყო. თუმცა ძირითადად კომუნისტთაგან თითქმის არავინ უარყოფდა ამ რეგიონებისათვის სხვადასხვა

---

14 გაზ. «ერთობა», 1921 წლის 23 თებერვალი.

15 გრ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფიქრები საქართველოზე (ხელნაწერი), გვ. 270—271.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმით ავტონომიური უფლებების მინიჭებას. კამათი მხოლოდ ფორმებსა და საზღვრებზე ჰქონდათ.

აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთისა და აჭარისათვის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა რეგიონისათვის ავტონომიური მმართველობის უფლების მინიჭების წინააღმდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც არ გამოდიოდა. ეს ნათლად ჩანს საქართველოს კონსტიტუციიდან, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა. მასში ცალკე თავად (მეთერთმეტე) არის გამოყოფილი „ავტონომიური მმართველობა“, სადაც ვკითხულობთ: „მუხლი 107. საქართველოს რესპუბლიკის განყოფილ ნაწილებს — აფხაზეთის (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ხაჭათალას (ხაჭათალას ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა. მუხლი 108. წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით“[16].

მივუბრუნდეთ სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტკომის 1921 წლის 6—8 სექტემბრის დადგენილებას. საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნა კიდევ უფრო მიუღებელი და შეუსაბამო იყო, ვიდრე აფხაზეთისა, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. ისეთი რესპუბლიკა ჩრდილო კავკასიაში მდებარე ნამდვილ ოსეთშიც არ შექმნილა (მაშინ, სხვათა შორის, ჩრდილო ოსეთში არც ავტონომიური რესპუბლიკა და არც ცალკე ოლქი არსებობდა). ნამდვილად კურიოზული იყო ეს მოთხოვნა, იმდენად კურიოზული, რომ, როგორც შემდეგ ვნახავთ, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროც კი ვერ დაეკმაყოფილებს მას.

სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტკომის გადაწყვეტილებით 6—8 სექტემბრის დადგენილებას თან დაერთოს „მოკლე განმარტებითი ბარათი“, რომელშიც მოცემული იყო ცდა დაესაბუთებინათ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობა.

მოხსენებითი ბარათი შედგებოდა შემდეგი განყოფილებებისაგან: სამხრეთ ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მოსახლეობის რაოდენობა, სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური მდგომარეობა და მისი მოსახლეობის კულტურული განვითარების დონე, ისტორიულ-სოციალური განვითარება, სამხრეთ ოსეთის ღარიბ გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ისტორია, დასკვნა. დავიმოწმოთ ორიოდე ადგილი ამ მოხსენებითი ბარათიდან:

«Общность интересов и усилившееся культурно-политическое развитие масс объединяет осетинских крестьян с грузинскими, и в дальнейшем их деятельность протекает в тесном единении вплоть до разгрома Юго-Осетии. С начала февральской революции до октябрьского переворота внутри Осетии боролись только две мелкобуржуазные группы: С. Д. (меньшевиков) и С. Р. **О глубоком общественно-классовом расслоении не было и речи потому, что движение носило характер национального освобождения,** и кулацкий элемент играл некоторую роль. Беспартийная интел-

---

16 საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათუმი, გვ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

лигенция группировалась в большинстве вокруг С. Р. **Большевистская организация, зародившаяся** в октябре 1917 года в Тифлисе, работала в то время исключительно среди осетинских рабочих и **не имела никакого влияния на крестьян.** В процессе борьбы меньшевики, куда входили главным образом рабочие, побеждают, и временно крестьянские массы идут за ними. К началу октябрьского переворота их изменническая политика начинает проявляться, и массы с наиболее честными рабочими отходят от них... **После ликвидации восстаний с июля 1918 года в Юго-Осетии зарождаются правильные парторганизации большевиков** под руководством Тифлисской секции, перенесшей центр тяжести своей деятельности в деревню. К октябрю 1919 года Юго-Осетия покрывается сетью правильно организованных ячеек, районных организаций (17 райкомов) с числом членов и сочувствующих до 2.000 человек, объединенных уже в Юго-Осетинский партком... Происходившие в этот период народные съезды выдвигают на повестку дня вопрос о политическом самоопределении Юго-Осетии с ориентацией на Терскую, в то время, Советскую республику. Вопрос был поставлен настолько серьезно, что на пять съездов приезжают столпы меньшевизма: И. Церетели, И. Рамишвили и др. **Большевики побеждают, и правительство Жордания разрешает вопрос с помощью германских солдат.** Окончательно же вопрос о самоопределении снимается с повестки дня во: 1. нашествием **карательной экспедиции генерала Каралова** и Горийского уездначальника Карцивадзе, разгромивших Народный Совет в Цхинвале. 2. Нашествием экспедиционных войск меньшевистского правительства под командованием полк. Химшиева, **после неудачного октябрьского выступления. Поход сопровождался расстрелами, поджогами, насилием и тому подобными бесчинствами.** Партия уходит в подполье, наиболее видные товарищи изгоняются в Терскую область. С этого времени по июнь 1920 года меньшевистское правительство держит в разных частях Юго-Осетии значительные войсковые силы. **Бесчинства их и административный произвол делает гнет невыносимым. В июле 1920 года по всей Осетии вспыхивает всеобщее восстание,** в результате чего в Цхинвале объявляется Советская власть на всей территории Юго-Осетии. Ряд неблагоприятных обстоятельств для повстанцев дают меньшевикам возможность **ликвидировать революционное движение с небывалой жестокостью и зверством. К великому несчастью бессознательная часть грузинских крестьян, под влиянием шовинистической агитации меньшевиков, приняли участие в гнусных деяниях правительства.** До февраля 1921 года оставшаяся часть населения Юго-Осе-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ТИИ остается под гнетом правительства, подвергаясь жестким гонениям. **Вот почему главным образом с момента прихода Советской власти трудовые массы Юго-Осетии резко выставляют принцип самоопределения** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია—ლ. თ.) ბარათის ავტორები შემდეგ დასკვნებს აკეთებდნენ:

«1. Так как географически Юго-Осетия составляет одно сплошное целое в пределах вышеуказанных границ (в (ამ საზღვრებში ქართული სოფლებიც იყო მოქცეული—ლ. თ. население ея этнографически однородно с особым национально-бытовым укладом жизни и хозяйственный быт ее обладает специфическими чертами — необходимо образовать из нее С.С.Р.

2.Степень классового расслоения и самосознания трудовых масс Юго-Осетии (необходимых для нормального развития республики) настолько высока, что обеспечивает республике нормальное развитие культурно-экономических сил ее.

3. Образование такой политической единицы, при данных объективных условиях, создает благоприятную почву для приобщения трудящихся Юго-Осетии к Советской власти (школа, суд и другие учреждения на родном языке) и скорейшего изживания чувства национального угнетения, которое появилось, главным образом, в период меньшевистского господства.

4. Свободное и успешное развитие культурно-экономических сил Юго-Осетии возможно только в том случае, если включить в состав ее те районы со смешанным населением, которые являются единственным культурно-экономическим центром Юго-Осетии и органически связаны с нею»[17].

მაშასადამე, სამხრეთ ოსეთის რევკომი და პარტიული კომიტეტი ადასტურებდნენ, რომ: 1) სამხრეთ ოსეთის გლეხთა მოძრაობა კლასობრივ ნიადაგზე კი არ იყო აღმოცენებული, არამედ იგი ეროვნულ ხასიათს ატარებდა; 2) ბოლშევიკური ორგანიზაციები სამხრეთ ოსეთში მხოლოდ 1918 წლის ივლისის შემდეგ იქმნება, მანამდე თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას სამხრეთ ოსეთის გლეხობაზე არავითარი გავლენა არ ჰქონია. ე. ი. 1918 წლის მარტის შეიარაღებული გამოსვლა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ მომზადებული არ იყო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბარათის ავტორთა აზრით, ამ გამოსვლას ეროვნული ხასიათი ჰქონდა; 3) 1919 წლის ოქტომბრის შემდგომ პერიოდში სამხრეთ ოსეთში გამართული სახალხო ყრილობები აყენებდნენ სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური თვითგამორკვევისა და თერგის რესპუბლიკასთან მისი შეერთების საკითხს.

ყოველივე ამის შემდეგ აღარ უნდა უკვირდეთ, რომ ქართველი ხალხი და საქართველოს მთავრობა სასტიკად ილაშქრებდნენ ოსი ექსტრემისტების

---

17 სუიცსა. ფ. 281. აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 165—166.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ. ბარათის ავტორები მხოლოდ იმ რეპრესიებზე ლაპარაკობენ, რომლებსაც საქართველოს შეიარაღებული ძალები ახორციელებდნენ ოსთა აჯანყებების ჩასაქრობად, ხოლო კრიტიკასაც არ ძრავდნენ იმაზე, თუ რა ვანდალურ აქციებს მიმართავდნენ ოსი ექსტრემისტები სამაჩაბლოს ძირძველი მოსახლეობის წინააღმდეგ.

მოხსენებითი ბარათის ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ოსეთის საკითხი სამოლოდ გერმანელთა ჯარისკაცთა დახმარებით გადაწყვიტა. ეს არ არის სწორი, რადგანაც ლაპარაკია 1919 წლის ოქტომბრის შემდგომ პერიოდზე, როცა საქართველოში გერმანელთა ჯარი უკვე აღარ იყო.

ავტორებს ისე გამოუდით, თითქოს ოსთა 1920 წლის ივნისის აჯანყება ოსი მოსახლეობისადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ნაწილების უდიერმა დამოკიდებულებამ გამოიწვია. ჩვენ უკვე ვნახეთ რამ გამოიწვია ეს აჯანყება და ვინ იყო მისი სულისჩამდგმელი.

ავტორები სინანულით აღნიშნავენ, რომ „ქართველი გლეხობის შეუგნებელი ნაწილი მენშევიკთა შოვინისტური აგიტაციის გავლენით“ მთავრობის ღონისძიებებში მონაწილეობდა. ვულსხმობენ ოსთა აჯანყების ჩაქრობაში ქართველი გლეხობის მონაწილეობას. ჩვენ ის გვიკვირს, ნამდვილად გვიკვირს, რომ ექსტრემისტების წაქეზებით ოსი გლეხობის, მართლაც, „შეუგნებელმა ნაწილმა“ ხელი აღმართა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, თორემ ის რა გასაკვირია, რომ ქართველმა გლეხობამ (მისმა შეგნებულმა თუ „შეუგნებელმა“ ნაწილმა) მონაწილეობა მიიღო საკუთარ სახლში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში.

ისიც გაუგებარია, თუ სამხრეთ ოსეთის რევკომი და პარტკომი რატომ მოითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის მაინცდამაინც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას. განა რა ობიექტური პირობები იყო, ან რა ფაქტები მოიყვანეს ისეთი (თუნდაც ყველა მათგანი მართალი ყოფილიყო), რომლებიც აუცილებელს ხდიდნენ სწორედ ასეთი რესპუბლიკის შექმნას. თანაც თავიდანვე ჰქონდათ გამიზნული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ქართული სოფლების გაერთიანებაც.

მოხსენებით ბარათში ნახსენებია „გენერალ კარალოვის დამსჯელი ექსპედიცია“. ამასთან დაკავშირებით ერთი დოკუმენტი გვინდა გავაცნოთ მკითხველს. 1922 წლის 11 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე და საჭიროდ მიიჩნია, რომ სამხრეთ ოსეთის პარტკომის დახმარებიო მოეძიათ მასალები მოხსენებისათვის. რომელშიც ეაწუქებული იქნებოდა გენერალ კარალოვის დამსჯელი რაზმის საქმიანობა სამხრეთ ოსეთში 1919 წლის მაისში[18].

ცენტრალურ კომიტეტში ამ საკითხის განხილვის საბაბი გახდა ცალკე კავკასიის არმიის განსაკუთრებული განყოფილებიდან 1922 წლის ივნისში შემოსული შემდეგი წერილი:

«В секретариат Ц.К.П. Грузии.

Прошу поручить одному из компетентных членов К.П. Грузии составить доклад о действиях карательного отряда генерала Каралова в Южной Осетии в мае 19-го года и

18 იხ. მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 683.

ეროვნული ბიბლიოთეკა

направить таковой по возможности не позднее 20-го июня в особотдел ОКА.

В докладе желательно осветить, главным образом следующие пункты:

1) Сколько было выступлений в Южной Осетии за время меньшевистского правления; 2) Какой характер **(белогвардейский** (ხაზგასმა ჩვენია — **ლ. თ.**), или коммунистический) носили выступления в мае 1919 года; 3) Кто отличался наибольшей активностью из лиц командования в экспедиции генерала Каралова»[19].

მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ დოკუმენტის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რა ხასიათისა იყო გამოსვლები სამხრეთ ოსეთში 1919 წლის მაისში. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია. ყოველ შემთხვევაში დენიკინთან ამ გამოსვლების კავშირი რომ გამოსარიცხავი არ არის, ეს უეჭველია.

სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტკომის 1921 წლის 6—8 სექტემბრის გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა აგრეთვე „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი“ და „სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრების პროექტი“. საზღვრების პროექტში სათითაოდაა ჩამოთვლილი სოფლები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში უნდა გაეერთიანებინათ. მათ შორის მოჰყვა ბევრი ქართული სოფელიც (ქართული და შერეული მოსახლეობით) გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებიდან. სამხრეთ ოსეთის საზღვრების პროექტში დასახელებული სოფლები საინტერესოა ქართული ტოპონიმიკის თვალსაზრისით. თვალში გეცემათ სოფლთა სახელწოდებების ქართული წარმომავლობა[20].

„სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი“ სულ 15 მუხლისაგან შედგებოდა. მასში ჩამოთვლილი იყო სახალხო კომისარიატები, რომლებიც რესპუბლიკაში უნდა შექმნილიყო, განსაზღვრული იყო მათი კომპეტენციის სფერები (მათგან ზოგი საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატებს ექვემდებარებოდა, ზოგიც დამოუკიდებელი რჩებოდა) და სხვ. კონსტიტუციის პროექტში მაგალითად, ნათქვამი იყო:

«Столицей С.С.Р. Юго-Осетии является г. Цхинвали»;

С.С.Р. Юго-Осетия состоит в федеративной связи с С.С.Р. Грузией;

«Для борьбы с контрреволюцией организуется особая Юго-Осетинская конная воинская часть с командованием на русском языке»;

«Всеми финансовыми и техническими средствами С.С.Р. Юго-Осетия снабжается из средств С.С.Р. Грузии»;

«Языком сношения между С.С.Р. Юго-Осетией и С.С.Р. Грузией служит русский язык»[21].

---

19 იხ. მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 700.

20 იხ. სუიცსა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 168—169.

21 იქვე, ფურც. 167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვნახეთ, კონსტიტუციის პროექტიდან დამოწმებულ ამონაწერებში რუსული ენის გამოყენების საკითხზე ორჯერ არის ყურადღება გამახვილებული. ეს უმთავრესად იიხსნება ცარიზმის დროს სამხრეთ ოსეთში შექმნილი ენობრივი სიტუაციით, რომლის გამოსწორებას არც ახალი რუსეთი ცდილობდა. გარდა ამისა, აქ აშკარად იგრძნობა ქართული ენის უპატივცემულობაც[22].

გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს ურთიერთობიდან. 1919 წლის 4 მარტს სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს სწერდა:

> «Южно-Осетинский Национальный Совет просит Вас не отказать сделать распоряжение подведомственным учреждениям и должностным лицам о том, чтобы переписку с Осетинским национальным Советом и Осетинскими Обществами велась на русском языке, так как знающих грузинский язык в учреждениях Осетии почти нет, а о содержании переводчиков за отсутствием средств не приходится и говорить»[23].

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს ამ თხოვნასთან დაკავშირებით სამთავრობო დაწესებულებებში რამდენიმე დოკუმენტი შეიქნა. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

1919 წლის 7 მარტს საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორს სწერდა (ასლი სხვა უწყებებსაც დაეგზავნა): „გაახლეთ რა სამხრეთ-ოსეთის ეროვნული საბჭოს შუამდგომლობის პირს, მიწერ-მოწერის წარმოების შესახებ რუსულ ენაზე, გთხოვთ, რათა ხსენებული შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნას“[24].

1919 წლის 11 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი რესპუბლიკის საქმეთა მმართველობას აცნობებდა: „დამატებით თქვენს ა/წ. მარტის 7-ის № 605 მომართვისა და თანახმათ ბ-ნ მინისტრის განკარგულებისა, იუსტიციის სამინისტროს კანცელარია გთხოვთ გვაცნობოთ ვისის განკარგულებით გამოიგზავნა იუსტიციის სამინისტროში საქართველოს ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა მასთან ყველა მიწერ-მოწერის რუსულ ენაზე წარმოების შესახებ და გაქვთ თუ არა ამ საგნის შესახებ რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება, ვინაიდან სამინისტროს კანცელარია აწარმოებს მთელ მიწერ-მოწერას ქართულ ენაზე“[25].

ამ მიმართვაზე საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველის პასუხი, რომელიც 1919 წლის 17 მარტით არის დათარიღებული, ასეთი იყო: „პასუხათ თქვენი ა. წ. მარტის 11 № 1144 მომართვისა მთავრობის საქმეთა მმართველობა გაცნობებთ, რომ განკარგულება ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობის შეწყნარების შესახებ, რომ მიწერ-მოწერა ჩვენ დაწესებულებათა და მათ

---

22 შდრ. ნ. ხუციშვილი, „შიდა ქართლი — ისტორია და თანამედროვეობა“, გაზ. „ახალგაზრდა კოშენსტი“, 1990, 20 იანვარი.

23 სუიცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. 355, ფურც. 3.

24 იქვე. ფ. 2.

25 იქვე, ფურც. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის ხდებოდეს რუსულ ენაზე — მოახდინა მთავრობის საქმეთა მმართველმა. მთავრობის დადგენილება ამის შესახებ არ ყოფილა და არც უნდა ყოფილიყო, რადგანაც თავისთავად ცხადია, რომ სხვა ერებთან მიწერ-მოწერა უნდა სწარმოებდეს თან ენაზე ან იმ ენაზე, რომელზედაც მათ სურთ რომ მიწერ-მოწერამ იწარმოოს. სხვანაირად მოქცევა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დაწესებულებებს არ შეუძლიათ, რადგანაც ეს იქნებოდა ღალატი იმ პრინციპებისა, რომელზედაც არის აგებული ჩვენი რესპუბლიკა. და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ოსურ ეროვნულ საბჭოს თხოვნა ადვილი დასაკმაყოფილებელია, ამ თხოვნის შეუსრულებლობა უსამართლოც იქნებოდა“[26].

იუსტიციის სამინისტრო არ დაკმაყოფილა მთავრობის საქმეთა მმართველის ამ პასუხმა და 1919 წლის 20 მარტს კვლავ გზავნის ოფიციალურ წერილს მთავრობის საქმეთა მმართველობაში: „პასუხად თქვენის ა. წ. მარტის 7-ის № 605 მომართვისა ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობის შეწყნარების შესახებ, რომ მიწერ-მოწერა სამინისტროსა მასთან სწარმოებდეს რუსულ ენაზე, იუსტიციის სამინისტროს კანცელარია გაცნობებთ, რომ მას არ შეუძლიან დაიცვას თქვენს მომართვაში აღნიშნული წესი მიწერ-მოწერისა, ვინაიდან კანცელარიას აქვს ბ-ნ მინისტრის კატეგორიული განკარგულება, რომლის მიხედვით სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს კანცელარია როგორც სახელმწიფო დაწესებულება, სახელმწიფო ენაზე უნდა აწარმოებდეს მიწერ-მოწერას, თუნდაც ქვეშევრდომი არაქართველ ტომს ეკუთვნოდეს.

ხსენებული განკარგულების გაუქმება ან შეცვლა შეადგენს მხოლოდ მინისტრის ან რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციას“[27].

და კიდევ ერთი დოკუმენტი. 1919 წლის 24 მარტს საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ე. გეგეჭკორს სწერდა: „6 ამა მარტს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე, ჩემდამი რწმუნებულ მმართველობაში შემოვიდა სამხრეთ-ოსეთის ეროვნული საბჭოს თხოვნა, რომელშიც ხსენებული საბჭო შუამდგომლობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის დაწესებულებათა და მათ შორის მიწერ-მოწერა სწარმოებდეს რუსულ ენაზე, რადგანაც ქართული ენის მცოდნენი მათ თითქმის არ მოეპოვებათ, ხოლო თარჯიმანთა შენახვა, უსახსრობის გამო, არ შეუძლიათ.

ვიხელმძღვანელე რა ამა წლის 1 ოქტომბრის (ასეა დედანში — **ლ. თ.**) პარლამენტის დადგენილებით, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ პარლამენტს არ თუ არ უფიქრია ეროვნულ უმცირესობათა თავის ენაზე მიწერ-მოწერის წარმოების უფლების შეზღუდვა, არამედ ამის შესახებ ცალკე კანონის გამოცემაც კი საჭიროთ დაინახა და აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ სხვა ერებთან მიწერ-მოწერა, თანახმად იმ პრინციპებისა, რომელზედაც არის აგებული ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, უნდა წარმოებდეს იმ ენაზე, რომელზედაც მათ სურთ, მე შევატყობინე ყველა სამინისტროებს, რომ ეს სამართლიანი თხოვნა ოსთა ეროვნული საბჭოსი დაეკმაყოფილებინათ. პასუხად ჩემი მიმართვისა (ა. წ. 7 მარტის, № 605), იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დი-

[26] სუიცსა, ფ. 1861. აღწ. 1, საქ. 355, ფურც. 4.
[27] იქვე, ფურც. 1—2.

რექტორი შემეკითხა რა უფლების ძალით გავუგზავნე მას ზემოთ აღნიშნული ჩემი მიმართვა.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცდენად ამა თვის 10 მარტს ამ საქმის შესახებ მე თქვენ გაგიკეთეთ მოხსენება და თქვენც, გაიზიარეთ რა ზემოთ მოყვანილი ჩემი მოსაზრება, დამავალეთ მიმწერა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორისათვის, რომ თხოვნა ოსთა ეროვნული საბჭოსი დაეკმაყოფილებინათ. პასუხად აღნიშნული მიმართვისა, ხსენებული დირექტორი მწერს, რომ მას: „არ შეუძლიან დაიცვას“ ჩემს „მომართვაში აღნიშნული წესი მიწერ-მოწერისა“. ესე იგი, ის, დირექტორი არ ემორჩილება ჩემს, მთავრობის საქმეთა მმართველის განკარგულებას.

მიმაჩნია რა პირდაპირ დაუშვებლათ ამნაირი საქციელი იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორისა, საჭიროდ დავინახე მომეხსენებინა ზემოთ აღნიშნული თქვენთვის შესაფერი ზომების მისაღებათ“[28].

ამ დავაში მტკუანისა და მართლის გარჩევისაგან ამჯერად თავი შეეკავოთ. დავიხსომოთ, მხოლოდ თუ როგორ ზრუნავდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობათა დაცვისა და საქართველოს სახელმწიფო ენის — ქართული ენის ფუნქციის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე განვრცობისათვის. დავიხსომოთ ისიც, რომ ე. გეგეჭკორიცა და კ. ჯაფარიძეც იმ მთავრობის წარმომადგენლები არიან, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიას ეროვნულ უმცირესობათა მჩაგვრელის როლში გამოჰყავდა. მკითხველი იუსტიციის სამინისტროს პოზიციასაც გაეგებით მოეკიდება, ცხადია.

ამ მიმოწერიდან ისიც კარგად ჩანს, რომ სამხრეთ ოსეთის მესვეურები იმ დროიდანვე უწყობდნენ ხელს სამხრეთ ოსეთში (გორის მაზრის ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე) რუსული ენის პოზიციების გაძლიერებას ქართული ენის ხარჯზე.

ახლა ვნახოთ რა ბედი ეწია სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტიული კომიტეტის 1921 წლის 6—8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ დადგენილებას სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის თაობაზე. ცხადია, საკითხი უნდა გადაეწყვიტათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტსა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს. ამ უკანასკნელის სიტყვა გადამწყვეტი იყო.

გაერთიანებული სხდომის დადგენილება და მასთან დაკავშირებული სხვა მასალები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1921 წლის 27 სექტემბერს გაუგზავნა საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტს. ამ უკანასკნელმა 1921 წლის 10 ოქტომბერს „სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის საკითხი“ განსახილველად გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები. მათ უნდა გადაეწყვეტათ სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის ფორმის, მისი დედაქალაქისა და საზღვრების საკითხები. საქმეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ მოაბა თავი. 1921 წლის 31 ოქტომბერს მან მოისმინა შ. ელიავას მოხსენება ამ საკითხზე და დაადგინა:

---

28 სუიცსა, ფ. 1661, აღწ. 1, საქ. 355, ფურც. 12—13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«1. Предоставить Южной Осетии права Автономной Области; 2. Предложить Ревкому Грузии совместно с Южно-Осетинским Исполкомом определить границы Южной Осетинской Автономной области»[29].

კავბიუროს დადგენილებაში ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრის შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს საკითხი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა 1921 წლის 17 ნოემბერს, როცა ა. ჯატიევისა და მ. ორახელაშვილის მოხსენების საფუძველზე დაადგინა:

«Принципиально признать гор. Цхинвали входящим в Южно-Осетинскую автономную область как административный центр последней»[30].

1921 წლის 23 ნოემბერს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა შემადგენლობა კომისიისა, რომელსაც უნდა დაედგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები, და საქართველოს რევკომს წინადადება მისცა ამ კომისიაში შეეყვანა კაკაბაძე, შოტი, ჯატიევი და გაგლოევი[31].

კომისიის პირველი სხდომა 1921 წლის 5 დეკემბერს გაიმართა. კომისიის თავმჯდომარედ კირილე კაკაბაძე აირჩიეს, მდივნად — სერგო გაგლოევი. იმსჯელეს კომისიის მუშაობის გეგმებსა და მეთოდებზე. დადგინეს, რომ:

«При нанесении границ Автономной области Юго-Осетии руководствоваться соображениями целесообразности, удобствами административного управления, экономическим и культурнонациональным тяготением населенных пунктов к тому или иному центру. Причем для практического проведения в жизнь постановления ЦК, о признании Цхинвали административным центром последней, комиссия по ознакомлении на месте считает достаточным ограничиться пропагандой и разъяснением истинного положения, дабы рассеять распускаемые среди населения слухи»[32].

მაშ ასე, გადაწყდა რომ იქმნება სამხრეთ ოსეთის არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და არც ავტონომიური რესპუბლიკა, არამედ ავტონომიური ოლქი. ამ საკითხს რაიმე გართულება არ გამოუწვევია. უთანხმოება მოჰყვა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალის გამოცხადებასა და ოლქისათვის ქართული სოფლების გადაცემას. თუმცა ცხინვალს რაიონის ქართული სოფლების კომუნისტურ უჯრედთა კრებამ 1921 წლის 5 დეკემბერსვე დაადგინა:

«Выслушав доклад т. Какабадзе об образовании Автономной области Юго-Осетии с центром в гор. Цхинвале собрание комячеек признает правильным постановление ЦК

---

29 მლი ცპა, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 80.
30 მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 7.
31 მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 31.
32 სუიცსა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Компартии Грузии об образовании А.О.Ю.О. с центром в Цхинвале и приветствует это постановление»[33].

ცხინვალის რაიონის კომუნისტებმა, რომელნიც პარტიული დისციპლინის ერთგული იყვნენ, მხარი დაუჭირეს ზემდგომი ორგანოების დადგენილებას. კ. კაკაბაძეს აქ დიდი შრომა არ დასჭირდებოდა. სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა ქართულ უპარტიო მოსახლეობაში. 1921 წლის 5 დეკემბერს ცხინვალში ორი კრება ჩატარდა. ერთზე უკვე ვთქვით. მეორე კრება ცხინვალის რაიონისა და ქ. ცხინვალის ქართველმა მოქალაქეებმა ჩაატარეს. ელერდოვის მოხსენების შემდეგ საერთო კრებამ დაადგინა:

«Собрание граждан представителей груз. сел большинством голосов высказалось против включения Цхинвали в состав Ав. О. Ю. О. Собрание в большинстве своем состояло из кулацко-меньшевистских элементов. Настроение в селах таково, что местные коммунисты не в состоянии выступать против них по слабости организации»[34].

კრების მესვეურებმა ვერ შეასრულეს პარტიული დავალება — კრებას ვერ მიაღებინეს მონაწილეთა ნების საწინააღმდეგო დადგენილება. ყველაფერი თურმე „კულაკურ-მენშევიკურმა უმრავლესობამ“ გადაწყვიტა, ყოველ შემთხვევისათვის ოქმში ასე ჩაწერეს.

230 კაცი აწერდა ხელს სოფლების დვანის, ნულისა და ავნევის მცხოვრებთა ერთობლივ განცხადებას, რომელიც 1921 წლის 26 დეკემბერს დაიწერა: „ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერელნი ჯორის მაზრის ცხინვალის რაიონის ს. ს. დვანის, ნულისა და ავნევის მცხოვრებელნი, ამა რიცხვში შევიკრებენით ს. დვანში საერთო კრებაზე და ვიქმნიეთ მსჯელობა ქ. ცხინვალის და მის რაიონის ოსეთის ადმინისტრაციულ მართვა-გამგეობაში მოსალოდნელი გადასვლის შესახებ. ამ მეტად მძიმე და საყურადღებო საკითხის გამოსარკვევად, რათა ხალხს თავიდან აცილებოდა ის პროვოკაცია, რაიც იწვევდა ამ ორ მოძმე ერთა შორის მტრობასა და შუღლსა, სსრ მთავრობის მიერ იყო დანიშნული და გამოგზავნილი კომისია ამხ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც, როგორც გავიგეთ, ჰქონდა დავალება, რომ შეეკითხეოდა ქ. ცხინვალისა და მისი რაიონის მოსახლეობას, რომლებიც შესდგება, სულ ქართველებისაგან, სულ მცირედ გამონაკლისით, თუ რა აზრისანი იყვნენ ქ. ცხინვალის სამხრეთ ოსეთის მართვა-გამგებლობაში გადაცემის შესახებ. ამაზეც ყველა სოფლებსა გვყვანდა ქ. ცხინველში გაგზავნილი ხუთ-ხუთი კაცი, სოფლის ნდობით აღჭურვილი. კრება მოხდა ქ. ცხინვალში, დაახლოებით ამ სამი კვირის წინათ. დაესწრნენ ყველა სოფლის წარმომადგენელნი (45 სოფელი). მოისმინა რა კრებამ კომისიის მოხსენება ცხინვალის ბედ-იღბალზე, რომელმაც თავის მოხსენებას მისცა განმარტება, რომ ქ. ცხინვალის გადაცემა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ცენტრად, არავითარი საწინააღმდეგო არ უნდა იყოს ქართველობისათვის და ამასთანავე, შეეკითხა კრებას გამოეთქვა აზრი ამ საკითხის შესახებ. კრებამ ერთხმად, კატეგორიულად პროტესტი განაცხადა ქ. ცხინველის და მისი. რაიონის სამხრეთ ოსეთზე გადაცემის შესახებ. ...გარდა ამისა, კრებამ სურვილი გამოსთქვა და დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ოსეთის ეროვნულ თვით-

33 სუიცა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 173.

34 იქვე, ფურც. 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორკვევას და გაუსვა ხაზი, რომ ეს თვითგამორკვევა მოხდეს თავიანთივე ეროვნულ ფარგლებში. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ქ. ცხინვალი თავისი რაონით გადაეცეს სამხრეთ ოსეთს, სცნო რა კრებამ ოსეთის ასეთი მოთხოვნილება მიზანშეუწონლად და უკანონოდ, რაც გამოიწვევს ჩვენი ერის პოლიტიკურად და ზნე-ჩვეულებრივ დაჩაგვრა-დამონავებას, ერთხმად დიდი პროტესტი განუცხადა ქ. ცხინვალისა და მისი რაიონის სამხრეთ ოსეთის მართვა-გამგეობაში გადაცემის შესახებ.

დიდი ხნის ბეჭობის შემდეგ ერთხმად დავადგინეთ შემდეგი: რადგანაც დღევანდლამდის ჩვენ ხალხს ამ კომისიის დადგენილების შინაარსი არაფერი არ გაგვიგია, თუ რამდენად ანგარიში გაუწია კომისიამ ხალხის პროტესტს, ან რანაირი რეზოლუცია გამოუტანეს, არის დამაკმაყოფილებელი ხალხის სურვილისა თუ არა. ამაზედ მოემართავთ სსრ მთავრობას, რათა ჩვენ მიერ ამორჩეულ დელეგატის პირით გვამცნოს ვითარება ამ ფრიად საჭირო საკითხის შესახებ და იმედს გამოვთქვამთ, რომ ვინაიდან ქ. ცხინვალი და მისი რაიონი არის ფართედ დასახლებული ქართველებით, რომელთა რიცხვიც მინიმალურად უდრის ხუთი ათას მეკრმფურსა და გარდა ამისა, ქ. ცხინვალი ითვლებოდა და ითვლება კიდეც, როგორც ეთგრაფიული მდებარეობით, აგრეთვე მის გარშემორტყმულ ქართველებით დასახლებული სოფლებით, ქართლის შუაგულ კუთხედ. ამისათვის განმეორებით დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა ანგარიშს გაუწევს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას და მოსალოდნელ ჩვენ და ოსებს შორის ეროვნული შუღლის თავიდან ასაცილებლად ქ. ცხინვალი თავისი რაიონით დასტოვოს სს რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფარგლებში...“[35].

კიდევ რამდენიმე ამონაწერი ქართული სოფლების მცხოვრებთა საერთო კრებების ოქმებიდან:

„...რისთვის უნდა ვიყოთ მოქცეულნი ოსეთის ფარგლებში ეროვნებათა თვითგამორკვევის აღსასრულებლად. მით უმეტეს, რომ მათი ენა ჩვენთვის სრულიად გაუგებარია და უცხო, მხოლოდ რაც შეეხება ეროვნებათა უმრავლესობას, მთელი ეს ჩრდილოეთი მხარე რაიონისა, მცირე გამონაკლისით, დასახლებულია ქართულ ენაზედ მოსაუბრე, მემკვიდრე ქართველებით“ (სოფ. ძარწემი, 1921 წლის 25 დეკემბერი).

„... თუ ჩვენს მოთხოვნაზე უარს გვეტყვით „...მთავრობამ მაშინ მოგვცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენ ძველად განთქმულ გულგმირულ ჩვეულებას“ (სოფ. ქორდი, 1921 წლის 25 დეკემბერი).

„...ჩვენ მუდამ ომს გვქონდა და ახლაც გვაქვს ოსებთან ძმური, მეგობრული, ნათესაური კავშირგანწყობილება. ეხლაც გულახდილად ვაცხადებთ, რომ მათთან, ოსებთან, ჩვენ მტრობა-ქიშპობას არ გავწევეთ. ქართველებმა იცხოვრონ თავიანთ ფარგლებში, ჰქონდეთ განსაზღვრული მიწნები, ჰყავდეთ თავიანთი მოსამსახურე, მოსამართლე. ოსებმა კიდევ თავიანთ ფარგლებში გაანგარონ თავიანთი საქმე ისე, როგორც თვითონა სურთ. ეს ორი ეროვნება თავიანთ საზღვრებს ნუ გადავლენ“ (სოფ. ტირძნისი, 1921 წლის 26 დეკემბერი).

---

35 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წლის 20 იანვარი, ნ. ხუციშვილის დასახ. პუბლიკაცია.

„...ვატანთ რა ამ დადგენილებას ჩვენს წარმომადგენლებს, იმედს გამოვთქვამთ, მთავრობა ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებას შეიწყნარებს და თავზე არ მოგვახვევს ამას, რაც ხალხს არ სურს“ (სოფლები ზემო ნიკოზი, ქვემო ნიკოზი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი. 1921 წლის 27 დეკემბერი)[36].

ასეთი იყო ქართული მოსახლეობის აზრი. ახლა ვნახოთ რას ფიქრობდა ამ საკითხზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ სწავლობდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობას (უწყებრივად ევალებოდა) და რომელსაც პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა ზემდგომი პარტიული ინსტანციების გადაწყვეტილება.

საარქივო ფონდებში დაცულია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბესო კვირკველიას მოხსენებითი ბარათი სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის თაობაზე, რომელიც ჯერ კიდევ 1921 წლის 27 სექტემბერს განსახილველად გაეგზავნა საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტს. იგი ასე იწყება: „სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა სამაზრო ერთეულის უფლებებით გეოგრაფიულ და ეკონომიური მოსაზრებებით, საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლებლად მიაჩნია.

სამხრეთ ოსეთი როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული არ არსებობს. არის მხოლოდ ოსობით დასახლებული ცალკე რაიონები, რომელთაც ურთიერთშორის არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად. თვითეული ამ რაიონთაგანი წარმოადგენს განუყოფელ ორგანულ ნაწილს სხვა და სხვა გეოგრაფიულ და სამეურნეო პროვინციებისას. ეს რაიონები ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან გადაუვალ მთებით და ამასთანავე თვითეულს მთგანს აქვს სრულიად თავისუფალი გამოსავალი მხოლოდ ბარში. იგინი ერთი მეორეს მოწყვეტილნი არიან წლის განმავლობაში რამდენიმე თვით და თვითეული მათგანი ეკონომიურად დამოკიდებულია იმ ველთან, რომელთანაც დაკავშირებულია გეოგრაფიულად“[37].

მოხსენებითი ბარათი იწერება იმ პერიოდში, როცა სამხრეთ ოსეთის რევკომი და პარტკომი აყენებდნენ საკითხს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს კი შეუძლებლად მიაჩნდა არათუ სამხრეთ ოსეთის სს რესპუბლიკის, ან ავტონომიური რესპუბლიკის, ან თუნდაც ავტონომიური ოლქის შექმნა, არამედ საერთოდ ამ რეგიონის ცალკე სამაზრო ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფაც.

სამხრეთ ოსეთის ცალკე სამაზრო ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის მიზანშეუწონლობას (თუ კი მის ფარგლებში ქართული სოფლებიც მოექცეოდა) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი უმთავრესად გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ეკონომიკური თვალსაზრისით განიხილავდა.

ოსთა კომპაქტური დასახლება ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში. გორის მაზრაში ოსური დასახლებით გამოირჩეოდა მდ. ფრონის სათავეები, ყორნისისა და წუნარის რაიონები, სადაც, სახალხო კომისარიატის მონაცემებით, ოსთა მოსახლეობა მცხოვრებთა

---

36 კრებათა ოქმები. იხ. სუიცა, ფ. 600, აღწ. 2, საქ. 5. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წლის 20 იანვარი.

37 ლილეფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 10, ფურც. 121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

88 პროცენტს უდრიდა. დიდი ლიახვის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ სოფ. ქეხვამდე. ამ სოფლის სამხრეთით მხოლოდ ქართველებით დასახლებული სოფ-ლები იყო, სადაც ოსთა რიცხვი მცხოვრებთა 15 პროცენტს არ აღემატებოდა. ასევე იყო პატარა ლიახვის ხეობაშიც, სადაც ოსები სოფ. ვანათამდე ცხოვ-რობდნენ. ვანათის ჩრდილოეთით განლაგებულია ქართული სოფლები: ბელო-თი, ორი ხოფურა, საცხენე, აწრიისხევი და სხვ. დუშეთის მაზრაში ოსები ცხოვ-რობენ არავისა და ქსნის სათავეებთან, რაჭის მაზრაში — ჯოჯურას სათავეს-თან, ჩასავალის რაიონში.

გორისა და რაჭის მაზრებს ერთმანეთისაგან ყოფს გადაუვალი მთა, რომ-ლის სიმაღლე 9 000 ფუტამდე აღწევს. ყველაზე დაბალი ადგილი ამ მთისა 6440 ფუტია. ასე რომ ჩასავალში მცხოვრები ოსების ეკონომიკური და ადმი-ნისტრაციული დაკავშირება გორის მაზრის ოსობასთან, მით უმეტეს ზამთარში, ტექნიკურად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაშინ როცა რაჭის მაზ-რის ადმინისტრაციული ცენტრი — ონი სულ რაღაც 7—10 ვერსით იყო და-შორებული ჩასავალის რაიონთან. „ამგვარათ ჩასავალის რაიონის მიწებება გო-რის მაზრის ოსობასთან იქნება სრულიად ხელოვნური, ბუნების და ეკონომი-ური ურთიერთობის საწინააღმდეგო კავშირი“, ნათქვამია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენებით ბარათში.

ამავე მოსაზრებებს ეყრდნობოდა ბ. კვირკველია, როცა გორისა და დუ-შეთის მაზრათა ოსობის ადმინისტრაციული და ეკონომიკური გაერთიანების შეუძლებლობას ამტკიცებდა. გორისა და დუშეთის მაზრებს, აღნშნავდა იგი, „ყოფს თოელიანი მთები, რომელთა სიმაღლე 11.333 ფუტამდის ადის და არ-სად 7.500 ფუტზე დაბლა არ არის და ეს მთები წლის განმავლობაში 7—8 თვე სრულიად გარდაუვალია. ამავე ბუნებრივ გეოგრაფიულ მიზეზების გამო არავითარი სამეურნეო კავშირი ამ ორ რაიონს შორის არ არსებობს. კობის რაიონი ე. ი. დუშეთის მაზრის ზემოთაღნიშნული ჩრდილო დასავლეთის სექ-ტორი, სადაც ოსების მოსახლეობა 60% არ აღემატება, დაკავშირებულია ეკო-ნომიურათ დუშეთთან სამხედრო გზით, რომელიც 30—40 ვერსით დაშორე-ბულია ამ რაიონს. გორის მაზრის ოსობასთან კავშირისათვის კობის რაიონის ოსობა იძულებული იქმნება იაროს წელწადში რვა თვე მაინც დუშეთზე — მცხეთაზე — გორზე — ცხინვალზე და შემდეგ ოსეთში — რისთვისაც დაახლო-ვებით 150 ვერსის გავლა დასჭირდებათ. ამ რაიონს ერთათ ერთი გამოსავალი მთელი წლის განმავლობაში არის მხოლოთ სამხედრო გზა, რომელიც მას რო-გორც გეოგრაფიულად, ისე ეკონომიურათ აკავშირებს მხოლოდ დუშეთთან, მაშასადამე, ამ რაიონის მიწებება გორის მაზრასთან ბუნების და ეკონომიკის საწინააღმდეგო კავშირი ექნება“.

რჩებოდა მხოლოდ გორის მაზრა, სადაც, როგორც ითქვა, ოსები სახლობ-დნენ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონის ხეობებში (სულ 32 000 სული). მაგრამ, ბ. კვირკველიას აზრით, ამ ხეობებში განლაგებული სოფლების ბაზაზეც არ შეიძლებოდა ცალკე სამაზრო აპარატის შექმნა, რადგან ამის სა-შუალებას ადგილობრივი პირობები არ იძლევაო. ყორნის — წუნარის რაიონი მდ. ფრონის ხეობით ქართლის ველს უკავშირდება და მას „დიდი ლიახვის ხეობისაგან ყოფს რუსთავ-ზარიკოჯახის ქედი, რომლის სიმაღლე 6.230—5.664 ფუტზე დაბალი არ არის და წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს მთასა და ველს შორის. გზების სრული უქონლობა და ბუნებრივი საზღვარი რუსთავ-ზარიკო-

ჯახის ქედი, მეურნეობის მხრივ ყორნის — წუნარის რაიონს აკავშირებს ქართლის ველთან — ტირიფონასთან და საერთო მას არაფერი აქვს ლიახვის ხეობის ოსობასთან. ამ რაიონის ერთათ ერთი გამოსავალი არის მხოლოდ თიღვა — ოქონაფცა — გომი და არავითარ შემთხვევაში ლიახვის ხეობის ოსობასთან მას კავშირი არა აქვს".

გეოგრაფიული პირობები შეუძლებელს ხდის დიდი და პატარა ლიახვის ხეობების დაკავშირებასაც. „აქაც მიწელი ხეობის სიგრძეზე გადაჭიმულია მთების გრეხილი, რომელთა სიმაღლე 11.000—6.000 ფუტზე დაბლა არ არის და ზამთრის თვეებში გადაუვალი სიმაღლენი არიან".

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო. კომისარიატის მოხსენებით ბარათში გაკეთებული იყო ასეთი დასკვნა: „...ოსების მიერ დასახლებული რაიონები მოკლებული არიან გეოგრაფიულ მთლიანობას და შეადგენენ გეოგრაფიულად და ეკონომიურად სრულიად სხვა და სხვა პროვინციების ნაწილებს, ასეთ ჩამონაჭრებიდან ხელოვნურად შემდგარ ადმინისტრაციულ ერთეულის შექმნა განუხორციელებლად უნდა ჩათვალოს ტოპოგრაფიული პირობების გამო..."

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა თავისი აზრი გამოთქვა იმის თაობაზეც, თუ როგორ უნდა გადაჭრილიყო ეს პრობლემა. მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: „ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ხელოვნური გაძოკვეთა სამაზრო ერთეულის ოსეთისათვის ყორის, დუშეთის და რაჭის მაზრებიდან შეუძლებელია, მაშასადამე, ოსების მოსახლეობა თვითეულ ამ მაზრისა უნდა დარჩეს იმ მაზრაში, რომელშიც იყო აქნობამდისაც. ამასთანავე თვითეულ ამ რაიონში გარდა წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულისა — თემისა, უნდა შეიქმნას სარაიონო ერთეული. ასეთები იქნება ჩასავალის — რაჭის მაზრაში, კობისა — დუშეთის მაზრაში, ყორნის, წუნარისა, დიდი ლიახვის ხეობისა და პატარა ლიახვის ხეობის — ყორის მაზრაში. ამავე დროს თვითეულ ამ მაზრის რევკომში ოსურ მოსახლეობას ეყოლება წარმომადგენელი, რომელიც დაიცავს ოსთა ინტერესებს მთელ მაზრის მასშტაბში. ამ უკანასკნელს, ე. ი. ოსურ მოსახლეობის წარმომადგენელს სამაზრო რევკომში უფლება უნდა მიეცეს რევკომის დადგენილება, თუ იგი ეწინააღმდეგება ოსურ მოსახლეობის ინტერესებს, განსაჰიერთს საქართველოს რევკომში, რომელიც სადავო საკითხის შესახებ გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამგვარად საკითხის გადაწყვეტას გვიკარნახებს ოსური მოსახლეობის ადგილობრივი გეოგრაფიული პირობები და მათი ეკონომიური ინტერესი"[38].

ჩვენ უკვე ვიცით სამხრეთ ოსეთის პრობლემაზე ყორის მაზრის ქართული მოსახლეობისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აზრები. ახლა ვნახოთ როგორ წყდებოდა ეს საკითხი ზემდგომ ინსტანციებში. ცხადია, საკითხის სირთულეს ყველა გრძნობდა. ცდილობდნენ ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავალი მოეძებნათ. ვერ ახერხებდნენ. ესეც გასაგებია. კომუნისტი ხელმძღვანელები, როგორც წესი, საკითხის პოლიტიკურ მხარესაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ოსთა თვითგამორკვევას ისინი აუცილებლად მიიჩნევდნენ. პოლემიკა მხოლოდ თვითგამორკვევის ფორმასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის საზღვრებს ეხებოდა.

---

38 მლისუა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 10, ფურც. 121—122.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსებით დასაშვებია, რომ რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 31 ოქტომბრის, ჩვენთვის უკვე ცნობილ, გადაწყვეტილებაზე ერთგვარი გავლენა იქონია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნულმა პოზიციამაც. ამ დღეს ხომ კავბიუროომ გარკვეულწილად კომპრომისული დადგენილება მიიღო — სამხრეთ ოსეთს მიანიჭა სტატუსი არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა (რასაც სამხრეთ ოსეთის რევკომი და პარტკომი მოითხოვდნენ), არამედ ავტონომიური ოლქისა.

გარკვეული „კომპრომისი“ შეიძლება დავინახოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1921 წლის 12 დეკემბრის შემდეგ დადგენილებაშიც, რომელიც კ. კაკაბაძის, გ. გაგლოევის (სასაზღვრო კომისია) და ბ. კვირკველიას მოხსენების საფუძველზე იქნა მიღებული (პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდნენ: მ. ორახელაშვილი, მ. ოკუჯავა, ს. ქავთარაძე, ბ. მდივანი, ლ. დუმბაძე, მ. ტორორეიძე, ლ. ღოღობერიძე და სხვ.):

«1. Местопребыванием административного центра Автономной области Осетии признать г. Цхинвали с распространением автономной власти на территории, населенные осетинами, исключая Часавальское общество, которое остается в составе Рачинского уезда и Кобийского района, остающегося в составе Душетского уезда.

2) Детально границы автономной Осетии будут определены особой комиссией, уже работающей в этом направлении.

3) Впредь до перелома настроения населения Цхинвальского района в пользу включения этого района в Автономную Осетию, власть над городом и окружающими его грузинскими селами, оставить в руках районного ревкома, входящего в состав Горийского уезда»[39].

ეს დადგენილება მოწმობს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გარკვეულწილად ანგარიში გაუწია ქართული მოსახლეობის პროტესტებს. კერძოდ, მან ჩასავალის საზოგადოება და კობის რაიონი შესაბამისად რაჭისა და დუშეთის მაზრათა შემადგენლობაში დატოვა. თუმცა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად მაინც ქ. ცხინვალი მიიჩნია. რთული მდგომარეობიდან გამოსავალს ცენტრალური კომიტეტი მაშინ იმაში ხედავდა, რომ ქ. ცხინვალისა და მიმდებარე ქართული სოფლების მმართველობა დროებით გორის მაზრას დაქვემდებარებულ რაიონულ რევკომს მიანდო. ეს ასე უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ ქართული მოსახლეობის განწყობილება სამხრეთ ოსეთისათვის ქ. ცხინვალის გადაცემის საკარგებლოდ არ შეიცვლებოდა. წინ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო იყო. სასაზღვრო კომისიას საბოლოო დასკვნა ჯერ კიდევ არ წარმოეღგინა. კომისია დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ქართული მოსახლეობის განწყობილება სამხრეთ ოსეთისათვის ქ. ცხინვალისა და მიმდებარე ქართული სოფლების გადაცემის საკარგებლოდ, ცხადია, არ იცვლებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტთა ერთ წყებას ჩვენ უკვე ვიცნობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება სხვა მასალებიც. სპეციალური კო-

39 მლისუა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისიის მოხსენებით ბარათში, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს რომ წარედგინა, ნათქვამია: 1921 წლის „ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში, როდესაც ხმები გავრცელდა, რომ ცხინვალის რაიონი ქალაქითურთ უნდა გადავიდეს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაზე, მთელმა ქართველმა მოსახლეობამ ცხინვალის რაიონისა, სახელდობრ, სოფლებმა: კეხვამ, ქვემო ახაბეთმა, ზემო ახაბეთმა, არბომ, დიცმა, კორდმა, ქვემო ნიქოზმა, აფნევმა, ძარწეშმა, დაგვრისმა, ნულმა, ზემო ხვითმა, ქვემო ხვითმა, ზემო ნიქოზმა, ყელქცეულმა, ქემერტმა, ჭურთამ, თამარაშენმა, ვანათმა და თვით ცხინვალმა, ესე იგი, 20 სოფელმა წარმოგზავნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში თავისი წერილობითი დადგენილებანი, რომლებითაც ისინი თხოულობენ ძველ ადმმინისტრაციულ ე. ი. გორის მაზრის ფარგლებში დარჩენას. შუამდგომლობა ამათი იმდენად კატეგორიული ფორმით იყო გამოთქმული, რომ არავის ეშვი ვერ დაებადა მათი ასეთი ნებასურვილის სინამდვილესა და გულწრფელობაში. ბევრი ამ სოფელთაგანი ამასაც კი ამბობდა — სჯობს ცოცხალთ დაგვხოცოთ, სადმე აქედან გადაგვასახლოთ, ვიდრე ოსეთის ხელისუფლების ქვეშ დაგვტოვოთო“[40].

ასეთივე პოზიცია ეკავა თვით ცხინვალის რევკომს, რომელიც საქართველოს სსრ შინსახკომს აცნობებდა, რომ ცხინვალისა და რამდენიმე ქართული სოფლის გლეხობა „აცხადებს, თუ მთავრობა ასეთ ნაბიჯს გადადგამს, ჩვენს მდგომარეობას არ გაეცნობა, ამ შემთხვევაში სჯობს ყველანი დაკოხოცოთო“[41]. ცხინვალის რევკომი სთხოვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ცხინვალისა და ქართული სოფლების გადაცემის საკითხს ჯერჯერობით მაინც დადებითად ნუ გადაწყვეტდა, „თორემ, ვიმეორებთ, ჩვენ ნამდვილი ცნობები გვაქვს მიღებული და ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ სისხლის ღვრა აუცილებელიაო“[42]. სწორედ ასეთ ვითარებას ითვალისწინებდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, როცა 1921 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ რევკომს სთხოვდა „სამხრეთ ოსეთისათვის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის საკითხის რევოლუციონურ კომიტეტის მსჯელობიდან დროებით მოხსნას, ვიდრე მოწესრიგდებოდეს ურთიერთობა ქართველთა და ოსთა შორის...“[43].

1922 წლის იანვარში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცეს ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება. „რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ცხინვალისა და მისი რაიონის კვლავ ისტორიულ საზღვრებში დარჩენას“[44].

გავეცნოთ კიდევ რამდენიმე ქართული სოფლის მკვიდრებთა კრებების დადგენილებებს, რომლებიც გაანალიზებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისიის ზემოხსენებულ მოხსენებით ბარათში:

„1) **სოფ. ნედლათიდან.** ოქმში, რომელიც დაწერილია 26 თებერვლის (1922 წლისა — **ლ. თ.**) თარიღით, ნათქვამია, რომ ჩვენ ნედლათის მცხოვრებნი მიწერილი ვიყავით ოქონას. დღეს ოქონა სამხრეთ-ოსეთს დაექვემდებარა და ჩვენც მძიმე პირობებში ჩავცვივდით, სხვათა შორის იმიტომაც, რომ **წარმო-**

40 სეიესა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81.

41 იქვე.

42 იქვე.

43 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება რუსულათ და ოსურათა�ა, რაიც ჩვენთვის გაუგებარიაო. თხოულობენ გორის მაზრის, გომის რაიონის ავლევის თემზე მიწერას, სადაც აქამდე ვიყავით მიწერილნო.

2) **სოფ. ხუნდისუბნიდან:** ამ სოფლის მცხოვრებნი, ოქონაზე მიწერილნი ოგივეს ამბობენ და იმასვე თხოულობენ, რასაც ნედლათის მცხოვრებნი.

3) **სოფ. ბინდარადან.** ამ თემის მცხოვრებნი (ავლევის თემისა გომის რაიონისა) 9 მარტის დადგენილებით ამბობენ: ჩვენ არ გვემხრობა (?! — ლ. თ.) მორჩილება სამხრეთ-ოსეთისა (**შორს არის, გლახა სასიარულო გზები გვაქვს**) და ამიტომ გთხოვთ გორის მაზრაზე გადაგვრიცხოთ.

4. **სოფ. თიღვიდან.** ამ სოფლის მცხოვრებნი ამბობენ: გადაგვრიცხეს ცხინვალზე, ე. ი. ოსეთის ხელისუფლების ქვეშ დაგვაყენესო, წინად კი ვიყავით ავლევის თემში (გორის რაიონი), ეხლაც ვგსურს ვიყოთ გორზე მიწერილნო.

5) **სოფ. ალაბარიდან.** ოქმში, რომელიც ა. წ. 15 თებერვლის თარიღითაა შედგენილი, ნათქვამია: ვართ ოქონის რაიონისა, გვეწვევიან ცხინვალისაკენ, ჩვენ — კი გვსურს ვიყოთ მიწერილი გორზედ...

6) **სოფ. საცხვეთიდან.** იანვრის 20-ის დადგენილებაში ამ სოფლის მცხოვრებნი ამბობენ: ხოფელი ქართველებითაა დასახლებული. ოსების ხელ-ქვეშ ყოფნას მეტს ვეღარ შევიღლებთ, ღამის არის ავიყარნოთ და გადავსახლდეთ სადმე, რადგან ოსები დაჯარალებულნი არიან, ყველა ხარჯებს მთავრობისა თუ თავის სასარგებლოთ, ჩვენს კისრიდან იღებენო...

7) **სოფ. ზემო და ქვემო ოქონიდან.** ამ სოფლების მცხოვრებნი ა/წ. 22 თებერვლის დადგენილებით თხოულობენ — ზემო. და ქვემო ოქონა დარჩეს გორის მმართველობის ქვეშ, როგორც დღემდის იყო, ახლა კი რატომღაც სამხრეთ-ოსეთი გვიერთებსო"[45].

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს დადგენილებები მიღებულია მაშინ, როცა დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. ქართული მოსახლეობის პროტესტები მიმართულია მათთვის მიუღებელი მოსალოდნელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ (პროტესტები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგაც არ შეწყდება).

საგულისხმოა, რომ ქართული მოსახლეობის ამ აზრს ოსური მოსახლეობის ნაწილიც იზიარებდა. გორის სამაზრო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილება 1922 წლის 21 მარტს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს აცნობებდა:

„ბევრია იმისთანა მაგალითები, რომ **ხსვადასხვა რაიონებში ოსები აცხადებენ სურვილს**, რათა ისინი ჩამოვაშოროთ ოსეთის რევკომს, რადგან მათ სურთ ქართველებთან ერთად ცხოვრება, რადგან მათ, ოსებს, ქართველებთან გასაყოფი არა აქვთ და თუ ვინმე ამას მოიითხოვს ე. ი. ოსების ცალკე ყოფნას, ყოველივე ეს სიცრუეა ან რაიმე მოსაზრებით დაინტერესებულიაო". აღნიშნავს რა ამას, განყოფილების გამგეს საჭიროთ მიაჩნია საგანგებო კომისიის დანიშვნა შექმნილ მდგომარეობის გამოსაძიებლად. თან ამ მიმართვას დართული აქვს დადგენილება ს. ხურვალეთში ა/წ. 12 მარტს — შემდეგი შინაარსისა: ჩვენ ქვემო-ჭალის რაიონის სოფლების 1) ზემო-ბაღების, 2) ქვემო, 3)

44 სუესა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81.

45 იქვე. ფურც. 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუდიანთ-კარის, 4) საღორეთის, 5) ჩაჩანაანთ კარის, 6) მეტეხმანის და 7) ღვდულეთის წარმომადგენლებმა დავადგინეთ: რადგანაც არწეკის — მე-3 რაიონის აღმასკომი ძალით მოითხოვს ამ სოფლების მცხოვრებთაგან მათთან შეერთებას ადმინისტრაციულად და ახდენს ჩვენს მიმართ სხვა და სხვა განკარგულებებს, ჩვენ კი მათთან კავშირი არა გვსურს, ვუფუზავნით დადგენილებას უმაღლეს მთავრობას, რათა მან წინადადება მისცეს მე-3 რაიონის სოფ. არწეკის აღმასკომს (ოსური აღმასკომია), რომ იგი ჩამოგვეხსნას, რადგან ჩვენი ღრმა სურვილია ვიქვემდებარებოდეთ ქვემო-ჭალის რაიონის აღმასკომს (ქართველი აღმასკომია), როგორც ეს მთავრობისაგან არის დაწესებული. ამ დადგენილებას ხელს აწერს 14 წარმომადგენელი ყველა ზემოთ დასახელებული სოფლებისა, რომელთა ხელისმოწერას ადასტურებს ქვემოჭალის აღმასკომის თავმჯდომარე საკუთარი ხელისმოწერით და ბეჭდის დასმით.

ამ დადგენილებას მეორე გვერდზე ერთვის ასეთი დამატება: „1922 წ. 13 მარტს — ქვემო-ჭალა. ჩვენ, ხურვალეთის თემის სოფ. წინაგარის მცხოვრებთა წარმომადგენელნი, ხუბულური და ქიჩინაშვილი (ოსები) ჩვენი სოფლის მცხოვრებთა დავალებით, ვაცხადებთ სურვილის ზემოხსენებულ დადგენილებაში აღნიშნულ სოფლებთან ერთად შეეუერთდეთ ქვემო-ჭალის რაიონს, როგორც ვყოფილვართ მამაპაპურათ, რადგან უფრო ახლო და მოხერხებულია ჩვენთვისო“. ამათ ხელის მოწერასაც ადასტურებს ივანე თავმჯდომარე ქვემო-ჭალის აღმასკომისა.

რას გვიჩვენებს ეს საინტერესო დოკუმენტი? ა) **რვა სოფლის ოსობა** თხოულობს — ქართველთაგან ნუ გამოგვთიშავთ და ქვემო-ჭალის ხელისუფლების ქვეშ დაგვტოვეთო; ბ) **ეს რვა სოფელი** ეკუთვნის ისეთ უდავო წმინდა ქართულ ტერიტორიას, როგორიც **არის ხურვალეთის თემი;** გ) პრეტენზიის ძალაუფლების გავრცელებისას, ამ რვა ქართულ სოფლებზე აცხადებს, როგორც სჩანს, არწეკის უფრო ჩრდილოეთით მდებარე სოფლის აღმასკომი, **სადაც** ავტონომიური ოსეთის ხელისუფლებაა.

ორივე უკანასკნელი დოკუმენტები კი, — ნათქვამია შემდეგ მოხსენებით ბარათში, — ე. ი. ის, რაც გომის რაიონის ავლევეის თემს ეხება და ის, რაც ქვემო-ჭალის რაიონის ხურვალეთის თემს, ნათელყოფს ერთს გარემოებას — ავტონომიური ხელისუფლება სამხრეთ-ოსეთისა ვრცელდება ისეთ რაიონებსა და თემებზე, რომელნიც სრულიად უდავო ქართული ტერიტორიაა. ეს გარემოება, რომლის დასაბუთებას ჩვენ ამ მოხსენების დიდი ნაწილი მოვანდომეთ, იმდენად უდავო და აშკარა იყო თვით მმართველ წრეებისათვის, რომ, როგორც ვსთქვით, მთავრობამ და კომ. პარტიის ცენტრალურმა ხელმძღვანელმა ორგანომ შესაძლებლად ვერ დაინახეს თავიანთ დადგენილებებში სამხრეთ ოსეთის ავტონ. ოლქის შესახებ შეეტანათ დუშეთის მაზრის კობის რაიონი და რაჭის მაზრის ჩასავლის საზოგადოება, გარდა იმისა, რომ თვით ქალ. ცხინვალი სამხ. ოსეთის აღმინისტრ. ცენტრათ გამოაცხადეს მხოლოდ პირობით: იგი ასეთ ცენტრათ უნდა მას შემდეგ გამხდარიყო, თუ ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა გამოსთქვამდა სურვილს ავტონომიურ ოსეთში შესვლისას, მანამდი კი ქალ. ცხინვალში და მის რაიონში გორის მაზრის ხელისუფლება რჩებაა“[46].

დიახ, ასი პირობას, როგორც ვნახეთ, მართლაც შეიცავდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 12 დეკემბრის დადგენილე-

---

46 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 84—85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად ქ. ცხინვალის გამოცხადების თაობაზე. ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ქართული მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არ შეცვლილა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც არ შეცვალა ამ საკითხზე თავისი ადრინდელი დადგენილება. 1922 წლის 15 ივნვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელსაც ესწრებოდნენ ორახელაშვილი, მდივანი, დუმბაძე, ცინცაძე, ნაზარეტიანი, ეშბა, ლოლობერიძე, ბოლქვაძე, მურდალეიშვილი (ცენტრალური კომიტეტის წევრები) სვანიძე, კაკაბაძე, კახიანი, რუდაკოვი, დევდარიანი, კანდელაკი (მოწვეულნი) და ტექნიკური მდივანი ზარიკაშვილი, მოისმინა კ. კაკაბაძის მოხსენება სამხრეთ ოსეთში გამართული პოლიტიკური კამპანიის შესახებ და დაადგინა:

«1. Подтвердить прежнее постановление о включении г. Цхинвали в Авт. Юго-Осетинскую область (за 7, пр. 3);

2. Вопрос о клине с 12 грузинс. дерев., лежащими севернее Цхинвали, оставить открытым до съезда Советов Грузии»[47].

აქედანაც ჩანს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უჭირს ქართული სოფლების ბედის გადაწყვეტა. ეს ურთულესი საკითხი მან საქართველოს საბჭოების ყრილობას მიანდო.

ქართული და ოსური მოსახლეობის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა, რასაც, შესაძლოა, შეიარაღებული შეტაკება მოჰყოლოდა. ვერც ერთი მხარის ბოლმდე განიარაღება ვერ მოხერხდა. საზღვრების დაუზუსტებლობა კიდევ უფრო ამძაფრებდა მდგომარეობას. 1922 წლის 30 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მახარაძის, კაკაბაძის, ორახელაშვილის, საბაშვილის, მამულიას, გასვიანის, ამასის, კანდელაკისა და ზარაქიშვილის (ტექნიკური მდივანი) მონაწილეობით განიხილა საკითხი „Об определении границ Юго-Осетинской автономной области“ და დაადგინა:

«Автономию Юго-Осетии в определенных комиссией границах декретировать ВЦИКу. Обязать всех т.т. Горийского уезда проводить это постановление всеми мерами и ответственность возложить на них»[48].

სამხრეთ ოსეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, ცხადია, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს რაც შეიძლება მალე გამოეცათ დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. 1922 წლის 19 აპრილს ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური — აღმასრულებელი კომიტეტისა (ასეთი ორგანო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიულ გაფორმებამდეც არსებობდა) და საოლქო პარტიული კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ, რომელმაც დაადგინა, რომ დეპეშა გაეგზავნათ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის და ეთხოვათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიულად გაფორმების დაჩქარება[49].

---

47 მლოსფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 189, ფურც. 2.

48 მლოსფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 366.

49 მლოსფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 263, ფურც. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა უთუოდ რთული იყო. ყურადღებას ის იპყრობს, რომ საქართველოს მმართველმა პარტიამ, მიუხედავად ქართული მოსახლეობის წინააღმდეგობისა, საბოლოდ მაინც სამხრეთ ოსეთის მესვეურთა მოთხოვნის დაკმაყოფილება ამჯობინა — მიზანშეწონილად მიიჩნია ქართული სოფლების მიერთება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან. ქართველ კომუნისტთა იმდროინდელი წარმოდგენებით ეს იყო ეროვნული საკითხის გადაჭრა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ძვირად, ერთობ ძვირად დაგვიჯდა ეროვნული საკითხისადმი ასეთი მიდგომა. ცხადია, საკითხი შეთანხმებული იყო (თუ მეტი არა!) რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსთან.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ოფიციალური თარიღია 1922 წლის 20 აპრილი. საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ ამ დღეს მიიღეს დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის თაობაზე. გავითვალისწინოთ ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი ამ დოკუმენტისადმი და მთლიანად დავიმოწმოთ იგი:

დეკრეტი № 2

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი; აღნიშნული ოლქის ცენტრად იქნეს ქ. ცხინვალი.

2. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შედგენილობაში მოთავსდეს ტერიტორია, რომელიც უჭირავს სამხრეთ-ოსეთის ხალხს შემდეგ საზღვრებში:

ა) ჩრდილოეთით სანაპირო ხაზი გაივლის კავკასიონის მთავარ ქედზე მთიულთა ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ;

ბ) დასავლეთით — სანაპირო ხაზი იწყება მთიელთა სოც. საბჭ. ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებიდან მდინარე ჩანჩახის სათავესა და მის შენაკადებთან, გადასჭრის სიმაღლეს 8.872, მიემართება წითელტის ქედის გასწვრივ, გადასჭრის მდინარე ჩანჩახს, შენაკადი გესკეს შესართავში გაგრძელდება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გესკეს მთის კალთებზე ამა მდინარის დასავლეთით; გადასჭრის გესკეს მთას, ჭვარის მთას, სიმაღლეს 6.062, მდინარე ღარულას სოფ. დაბლა-კეკაჟას ქვევით, მდინარე ქეედრულას, სოფ. ქვედის აღმოსავლეთით; დაეშვება ველუანტის მთის კალთებზე, გადასჭრის სიმაღლეს 7.616; გადასვლის ქუდევის მთას, 2.932-ს სიმაღლის ცოტა დასავლეთით; გაგრძელდება აღმოსავლეთ-სამხრეთის მიმართულებით, 6.013 სიმაღლის ძირის გასწვრივ; გადასჭრის მდინარე ყვრინილის მარჯვენა შენაკადს სოფ. პერევის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გაივლის სოფ. პერევის აღმოსავლეთით; გადასჭრის მდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარე ყვირილის 2.170 სიმაღლეს აღმოსავლეთით, მიებჯინება პერანგის მთას 5.201 სიმაღლეზე; მიემართება სამხრეთით ამა მთის კალთებზე ძირულის მთის დასავლეთით; გადასჭრის უკანასკნელს და გაივლის კაპრების — სერის ქედს, 4.172 სიმაღლემდე; გაგრძელდება მდინარე ჭარათ-ხევის ზემო მიმდინარეობით და შემდეგ კაპრების — სერის ქედის კალთების იქით, მდინარე ლოპანის დასავლეთით.

გ) სამხრეთით: სანაპირო ხაზი გაგრძელდება ჭორჭან-წნელისის გზით, გადასჭრის მდინარე ლოპანს, წნელისის ქვევით, მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. ატოცის ზევით, გადასჭრის მდინარე ფრონას სოფ. ოქონის ქვევით, მიიმართება სამხრეთით, მდინარე ფრონის აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ფრონის მარცხენა შენაკადს, სოფ. ქვათეთრის ქვევით; შემდეგ გადასჭრის მდინარე ფრონას (ყორნისისა) სოფ. და დვანას ზევით; გაივლის დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურად ჩრდილო-დასავლეთის მხრით; გადასჭრის მდინარე დიდ ლიახეს ქალაქ ცხინვალის ქვევით და სოფელ ერგნეთის ზევით; მიებჯინება სოფ. ერედვას; გადასჭრის მდინარე პატარა-ლიახეს, სოფ. არბის ზევით, მდინარე ჭარბულას, სოფელ მერეთისა და კოშკის ზევით; მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ოთრევას სოფ. ფლავისმანის ზევით და მდ. ალურას და მეჯუდას, სოფ. აძვისა და მეჯვრისხევის ცოტა ზევით; გრძელდება სოფ. ყირბალისა და ბერშუეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით; გადასჭრის მდინარე ტარტლას სოფ. წინაკარის ქვევით, მდინარე ლეხურის მარჯვენა შენაკადს სოფ. ხურნალეთის ზევით, შემოუვლის სოფელთა ჯგუფს: ორჭოშანს, ებრევსა და სხვ., გადასჭრის მდინარე ლეხურს სოფ. საკორინთოლსა და ოძისის ჩრდილოეთით; გადასჭრის მდინარე ქსანს სოფ. ოძისის ზევით და მიებჯინება იფნიანის ქედის მთას;

დ) აღმოსავლეთით: სანაპირო ხაზი იფნიანის ქედის მთიდან მოუხვევს ჩრდილოეთით და გადასჭრის ხნარცვსა, გაივლის სოფ. მიქელიანთკარის, ირმის სოფლის და სხვა სოფლების ხაზის დასავლეთით; შემოუვლის ჩრდილოეთით 6 409 სიმაღლის შუა კალთებს, გადასჭრის უკანასკნელს ეკლესიის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთით; შემდეგ გაგრძელდება ჩრდილოეთისაკენ ქედით მდ. ალევის მიმდინარეობის გასწვრივ ამა მდინარის აღმოსავლეთით; გადასჭრის ჭარტალას მთას 8.283 სიმაღლეზე, საფერშეთის და ტახტის მთებს, გაგრძელდება მდინარე არაგვისა და ქსნის შენაკადების შუა წყალთა გამყოფი ქედის ხაზით; გადასჭრის სიმაღლეებს: ყურყუტასა, მუნჯუხსა და ლომისის უღელტეხილს მონასტრის ნანგრევებთან და მიემართება ჯამურის უღელტეხილამდე; გადასჭრის მდ. არაგვის მარჯვენა შენაკადებს — განისისა, ერეთისა და სხვა სოფლების დასავლეთით; გაგრძელდება ჩრდილო-დასავლეთით მდ. არაგვის ზემო-მიმდინარეობით; მოუხვევს დასავლეთით, გადასჭრის ლაზგ-წითის მთას და მიემართება წყალთა-გამყოფი ქედის ხაზით მდინარე თერგისა და დიდი ლიახვის შენაკადების შუა, გადასჭრის 12.117, 11,333 და 12,572 სიმაღლეებს და მიებჯინება ვაილკ-პარსის მთას.

3. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მმართველი ორგანოებია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ადგილობრივი საბჭოები.

4. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საქმეთა მმართველობისათვის დაარსდება სახალხო კომისარიატები: ა) შინაგან საქმეთა, ბ) იუსტიციისა, გ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლებისა, დ) ჯანმრთელობისა; ე) შრომისა და სოც. უზრუნველყოფისა; ვ) მიწათმოქმედებისა ზ) სასურსათო, თ) ფინანსთა, ი) სახალხო მეურნეობის საბჭო და კ) მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

შენიშვნა: 1: სამხრეთ-ოსეთის განსაკუთრებული სახალხო კომისართა საბჭო არ დაარსდება და სახალხო კომისარიატები მოქმედებენ, როგორც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი.

შენიშვნა 2: გარეშე საქმენი და საგარეო ვაჭრობა რჩება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში.

სამხედრო საქმეს განაგებს სამხედრო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატს და მოწყობილ იქნება უკანასკნელის მიერ სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლა დარჩება საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოთა გამგებლობაში, რომელნიც მოწყობილ იქნება უკანასკნელის მიერ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

5. რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაცულ იქნეს და მოეწყოს ერთიანი საფინანსო და სამეურნეო მოქმედება, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატები: სასურსათო, საფინანსო, შრომისა, სახალხო მეურნეობის საბჭო და მუშათა და გლეხთა ინსპექცია დარჩებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ქვემდებარეობაში; ამასთანავე უკანასკნელთა ყოველი განკარგულება და ღონისძიება განხორციელებულ უნდა იქნეს სამხრეთ-ოსეთის სახალხო კომისარიატების მიერ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

შენიშვნა: მეხუთე მუხლში დასახელებული სახალხო კომისრები დანიშნულ იქნებიან საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების მიერ, სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით და დამტკიცებულ იქნებიან უკანასკნელის მიერ.

6. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, მიწათმოქმედებისა და სოციალურ უზრუნველყოფისა; ავტონომიური არიან თავის მოქმედებაში და პასუხისმგებელნი საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების წინაშე, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

7. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი ყველა საჭირო საფინანსო და ტეხნიკური საშუალებებით მომარაგებულ იქნება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საერთო სახსრიდან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს უშუალო განკარგულებისამებრ სამხრეთ-ოსეთისა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

8. იმ ადმინისტრაციული ერთეულების ფაქტიური გადაცემას, რომლებიც მიეთვისება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს, აწარმოებს შერეული კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისია, შემდგარი სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მოსახლეობრივ დაინტერესებული მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთაგან.

აღნიშნულ კომისიას დაევალება თავისი მუშაობა დაამთავროს არა უგვიანეს ამა 1922 წ. მაისის 1-სა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აპრილის 20.

ტფილისი-სასახლე[50].

დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ გორისა და სხვა მაზრების ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაცხოველდა. მოსახლეობა იმ ქართული სოფლებისა, რომლებიც დეკრეტის ძალით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს მიაკუთვნეს, კელავ უგზავნიდა საჩივრებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ეს საჩივრები (კრებათა დადგენილებები, განაჩენები) გაანალიზებულია სპეციალური კომისიის ზემოადნიშნულ მოხსენებით ბარათში, რომელიც 1922 წლის 16 დეკემბერს გაეგზავნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. გეგეჭკორის ხელმოწერით. გავეცნოთ ამ დოკუმენტსაც:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის პრეზიდიუმს

ვარდგენ რა ამასთანავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სპეციალურ კომისიის მოხსენებას, ფაქტიურ მასალით დასაბუთებულს, და მიმაჩნია რა საჭიროთ, რომ ორ მეზობელ ერთა შორის ერთხელ და სამუდამოდ მოელოს ბოლო ყოველივე უთანხმოება-კონფლიქტებს, ტერიტორიალურ ნიადაგზე აღმოცენებულს, და დამყარდეს მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა, ვშუამდგომლობ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა მიღებულ იქმნას ჯერჯერობით მხოლოდ პრინციპიალური გადაწყვეტილება — გადასინჯულ იქმნას დეკრეტი ნომერი მე-2. რაც შეეხება იმ საკითხს დეტალურ გარკვევას, თუ რა ცვლილებანი იქმნას შეტანილი ამ დეკრეტში, ეს მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს საკითხის განხილვა სპეციალურ კომისიაში სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი — ა. გეგეჭკორი[51].

ახლა დავიმოწმოთ მოხსენებითი ბარათის ის ადგილები, რომლებიც ქართული მოსახლეობის უკმაყოფილებას ეხება:

---

50 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 26, ფურც. 5—6.

51 იქვე. საქ. 62, ფურც. 62, ფურც. 79.

«1. ოქმი, ა. წ. მკათათვის 11-ს შემდგარი, საერთო კრებისა ქვემოდ დასახელებულ 10 სოფლისა: თიღვისა, ოქონისა, სუნსისისა, ნაბაკვევისა, ტყის უბნისა, შინდარისა, ნედლათისა, ალი-ბარისა, ახალშენისა და ხუნდისუბნისა. ოქმში ეკითხულობთ: «სამხრეთ ოსეთის ხაზის გავლების დროს მოვყევით მის ფარგლებში, რაც წარმოადგენს ეკონომიური თვალსაზრისით დიდ უხერხულობას — ა) ცხინვალში სიარული არ გვეხერხება, ძველთაგან ჩვეულნი ვართ გომში, სურამში და გორში სიარულს, რომელთა ბაზრითაც ვსარგებლობდით მუდამ და სადაც საღდება ყოველი ჩვენი ნაწარმოები; ბ) ცხინვალის გზები იმდენად ძნელი სასიარულოა, რომ ყოველად აუტანელია ჩვენთვის და ჩვენი საქონლისათვის და გ) დაწესებულებებში სიარულის დროს, ჩვენი საქმეებისა გამო, მიგვაქვს იმავე დროს გასასყიდლათ ყოველი ჩვენი ნაწარმოები და ამით ვიმატებდით სამუშაო დღეებსო... დავადგინეთ: ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ოლქზე მიწერა გამოიწვევს ჩვენს დაღუპვას, კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ა დ მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ, რ ა თ ა ჩ ვ ე ნ ი ს ო ფ ლ ე ბ ი დ ა რ ჩ ე ს გ ო რ ი ს მ ა ზ რ ის ფ ა რ გ ლ ებ ში და მიეწეროს მახლობელ საცხურის თემს.

2. ს ო ფ. ჭ ა რ ე ბ ი ს მ ცხ ო ვ რ ებ ნ ი ა. წ. 23 აგვისტოს განაჩენით თხოულობენ: ჭარები გადდის ოსების, სახელდობრ: ცხინვალის აღმასკომზე, რომელიც დაშორებულია ჩვენგან 30 ვერსით; ჩამოდის მდ. პატარა ლიახი, რომელმაც მოდდება იცის 1 თებერვლიდან სექტემბრის გასვლამდი, ასე რომ ამ მიზეზით კაცი ვერ გადის... გარდა ამისა ჩვენ ქართველები ვართ და არ ვიცით ოსური ენა... ამ მოსაზრებათა გამო, გვინდა ა რ ა ო ს ებ ი ს, ა რ ა მ ე დ ტ ყ უ ი ა ვ ი ს რ ა ი ო ნ ი ს ა ღ მ ა ს კ ო მ ზ ე ვ ი ყ ვ ე თ მ იწ ერ ილ ნი, რომელიც ჩვენზე ახლოა.

3. ტ ყ უ ი ა ვ ი ს თ ე მ ი ს ს ო ფ ე ლ დ ი ს ე ვ ი ს და კ უ ლ ბ ი თ ი ს მ ცხ ო ვ რ ებ ნ ი ა/წ 26 აგვისტოს განაჩენთ აცხადებენ: „სამხრეთ-ოსეთზე ჩვენი მიწერა არც ისტორიულად, არც გეოგრაფიულად, არც ეთნოგრაფიულად და არც ეკონომიურად მიზანშეწონილათ და სამართლიანად არ მიგვაჩნია, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩ ვ ე ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ებ ს გ ვ ა რ ტ ო მ ო ბ ი თ, უცხო ტომის ხელში არ გადაგვცემს, რომელთანაც ჩვენ არ გვაკავშირებს როგორც ზემოხსენებული გარეუბანი, ისე არც ენა და არც ზნე-ჩვეულებან�eო“.

4. რაჭის მაზრის აღმასკომი ა/წ 20 აგვისტოს თარიღით ატყობინებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს: „რაჭის მაზრის ქართველ გლეხობის საბუთებით შეძენილი უძრავი ქონება, სახნავი, საძოვარი მიწები და ტყეები მოჰყვა სამხრეთ-ოსეთის ოლქში და დღეს თითქმის სადაოთ ხდება ეს მათი საკუთრება, რადგან ამ ადგილებს ოსები თავიანთ საკუთრებათ სთვლიან... გლეხობისათვის ტყით სარგებლობა იმ მხრითაც უხერხული ხდება, რომ ნებართვის ასაღებათ მათ ცხინვალში უნდა წავიდნენ, რომელიც 70 ვერსის მანძილზეა... აღმ. კ ო მ ი ტ ე ტ ი თ ხ ო ვ ლ ობ ს: შ ე ჩ ე რ ებ უ ლ ი ე ქ მ ნ ა ს ო ს ე თ ი ს ფ ა რ გ ლ ებ ში შ ე ტ ა ნ ა ი მ ტ ყ ე ებ ი ს ა, რ ო მ ე ლ ნ ი ც ქ ა რ თ ვ ე ლ გ ლ ე ხ ობ ი ს ს ა კ უ თ რ ებ ა ს შ ე ა დ გ ე ნ ს, წ ინ ა ღ მ დ ე გ ს შემთხვევაში კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის მოსალოდნელიაო“.

5. ამასვე ადასტურებენ რაჭის მაზრის წედისის თემის ს ო ფ. წ ე დ ი ს ი ს, ქ ვ ე დ ი ს... მცხოვრებთა რწმუნებულნი, რომელნიც თავიანთ განცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაში ა/წ. 6 სექტემბერს დაწერილში, ამბობენ: „ოსების საზღვრებში მოხვდა ზემო-რაჭის თითქმის ყველა სატყეო აგარაკები, სათიბები და სახნავი ყანები, რომელთა შორის უფრო საყურადღებოა წედისის თემის სატყეო აგარაკი, სახნავი და სათიბი ადგილები, რაიც ზემოაღნიშნულ სოფლების საკუთრებას შეადგენს; ეხლა კი ოსეთის განკარგულებაში გადავიდა. უნდა მოვახსენოთ ცენტრ. აღმასკომს (განცხადება ცენტრ. აღმ. სახელზეა), რომ თუ ის არ მიაქცევს ყურადღებას ასეთს მნიშვნელოვან საკითხს, იძულებული გავხდებით ყველამ თავები დავიხოცოთ და ჩვენი ოჯახები წყალში ჩაეყაროთ, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, ჩ ვ ე ნ ს ა გ ა რ ა კ ს, ს ა თ ი ბ ე ბ ს, ს ა ხ ნ ა ვ ი წ ყ ე ბ ს ი ს ე ვ ჩ ვ ე ნ დ ა გ ვ ი ბ რ უ ნ ებ ე ბ თ ე. ი. მ ო ა ქ ც ე ვ თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა შ ი“. ალბათ უნდოდათ ეთქვათ „რაჭის მაზრის ფარგლებშიო“, თორემ საქართველოს ტერიტორიაში ხომ ახლაც არის — ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია საქართველოა (ამ განმარტებას თვით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ძალეევა — **ლ. თ.**).

6. ს ო ფ. ძ ვ ი ლ ე თ ი ს მცხოვრებლებმა შემდეგი თხოვნით მიმართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (თხოვნას ა/წ 5 მკათათვის თარიღი აქვს): „სოფ. ძვილეთი აღმოსავ. დასავლეთით და სამხრეთით გარს შემორტყმულია ქართულ სოფლებით და ეს სოფლები და თვით ძვილეთი ეკუთვნიან ზემო ქართლს. წინად ვიყავით მიწერილი დირბის საზოგადოებაზე ანუ შემდეგ დირბის თემზე, ახლა მიგვაწერეს სამხრეთ-ოსეთის ოლქზე. ჩვენ ჰიტალო ქართველები ვართ, ოსური ენა სრულიად არ ვიცით. დირბის სასამართლო ჩვენგან სამ ვერსზეა, ხოლო თუ სამხრეთ-ოსეთის ფარგლში დავრჩით, მაშინ წუნარში 15 ვერსტზე მოგვიხდება სიარული. ამასთანავე მდ. დვანის ფრონე დიდია და ჩვენთვის ძალიან ძნელია იქ სიარული, ამიტომ გ თ ხ ო ვ თ მ ი გ ვ ა წ ე რ ო თ ი ს ე ვ დ ი რ ბ ი ს თ ე მ ზ ე, გ ო რ ი ს ზ ა ზ რ ა ზ ე ო და

7. ქსნის თემი (დუშ. მაზ.) შუამდგომლობს (დადგენილებით ა/წ 21 ოქტომიღებული):

„გამოგვეცხადა რა, რომ ქსნის თემი გადადის სამხრეთ-ოსეთზე, ჩვენ ეს ყოვლად შეუძლებლათ მიგვაჩნია: ა) ცხინვალი დაშორებულია ჩვენს თემზე 50 ვერსით მეტზე და ამ სიშორეზე სიარული საჩიერებისა თუ სხვადასხვა საქმისა გამო შეუძლებელია, რადგან მოითხოვს მუშა-კაცისაგან მოცდენას, წასვლა-წამოსვლაში არა ნაკლებ 3—4 დღისა, რაიც დამღუპველი იქნება იქ სიარული, მაშინ, როდესაც დუშეთი ჩვენზეა 18 ვერსის მანძილზე... რაც უნდა გაგვიჭირდეს ჩვენ ცხინვალში ვერ ვივლით და ბევრი უსამართლობა და ჩვენი გაჭირვება დარჩება მთავრობას გაუგებარი. ძლიერ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეზობელ სოფლებთან, რომლებიც მდებარეობენ დუშეთისაკენ, გვაქვს ახლო დამოკიდებულება მამულის და სხვა საქმეებისა გამო და ამათთან საქმის მოსაგვარებლათ უნდა ვიაროთ დუშეთს და ისინი კი თუ ჩვენზე საჩივარი ექნებათ, — ცხინვალს.ამნაირად სულ აგვეწეწება საქმე, ამიტომ, ვთხოვთ მთავრობას მიგვაწეროს ისევ დუშეთს და აგვაცდინოს მრავალი გაჭირვება და უსიამოვნება... ამგვარად, ქართველი მოსახლეობა ბორის მაზრისა დაეინებით კატეგორიულათ ერთსა და იმავეს ითხოვს, არაერთხელ, — სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახით (წერილობით თუ პირადად დეპუტაციის საშუალებით). ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თსა და იმავე სურვილს გამოსთქვამს ოთხჯერ — არ დაუმორჩილონ იგი ოსთა ხელისუფლებას"[52].

მაშასადამე, ქართული მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მრავალი ქართული სოფელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს უნდა შეერთებოდა. როგორც ვნახეთ, ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება არ ჩაცხრა მას შემდეგაც, რაც გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისთვის 1922 წლის 16 დეკემბერს წარდგენილ ზემოაღნიშნულ მოხსენებით ბარათში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია: „...ქართველი მოსახლეობა დღემდი განაგრძობს ამ გარემოებით გამოწვეულ უკმაყოფილების გამოთქმას, დრტვინვას და ასეთ უკმაყოფილების მიზეზზე ჩვენ უკვე მივუთითეთ, სახელდობრ: ა) სამხ. ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეტანილია დეკრეტით № 2 დასავლეთით რაჭის და შორაპნის მაზრების ნაწილები; ბ) აღმოსავლეთით დიდი ნაწილი დუშეთის მაზრისა და გ) სამხრეთით მთელი წყება სოფლებისა, რომელნიც თანახმად მთავრობისა და პარტიის ზემოდ აღნიშნულ დადგენილებათა (მუხ. მე-3) შეტანილ უნდა ყოფილიყვნენ ამ ტერიტორიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გორის მაზრის ქართველი მოსახლეობა, ოსთა მეზობლათ თუ ოსთა შორის მცხოვრები, თავის კატეგორიულ სურვილს გამოსთქვამდა დაემორჩილოს ოსეთის ავტონომიურ ხელისუფლებს, მანამდი კი ეს ქართველი მოსახლეობა გორის მაზრის ხელისუფლების ქვეშ უნდა დარჩენილიყო"[53].

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოთქმული ეს საყვედური საფუძველს მოკლებული არ არის. როგორც ზემოციტირებული დოკუმენტები მოწმობენ, ქართული მოსახლეობის აზრი უცვლელი დარჩა, იგი ბოლომდე წინააღმდეგი იყო სამხრეთ ოსეთისათვის ქართული სოფლების გადაცემისა. დეკრეტის გამოცემისას კი ეს მომენტი უგულებელყვეს.

აქვე გვინდა მკითხველს შევთავაზოთ სია იმ ქართული სოფლებისა, რომლებიც საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით (№ 2) სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გადაეცა. ამ სიაში, რომელიც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ (თავმჯდომარე გრ. გველესიანი, წევრები: დ. კარჩაშვილი და ს. გიორგაძე) შეადგინა, ნაჩვენებია ქართულ სოფლთა ეროვნული შემადგენლობაც. მთლიანად დავიმოწმოთ სპეციალური კომისიის მოხსენებითი ბარათის სათანადო ადგილი (სოფლთა დასახელებაში მოსალოდნელი უზუსტობისათვის მკითხველს წინასწარ ვუხდით ბოდიშს):

„აქაც ჩვენი აზრის გასაშუქებლათ, ფაქტიურ მასალას მივმართავთ. ჩამოვთვლით იმ ქართულ სოფლებსა, თუ ქალაქს, რომელნიც ოსეთის სამხრეთით მდებარეობენ და დეკრეტით (№ 2) სამხრეთ-ოსეთზე გადავიდენ.

---

52 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 82—84.
53 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. თამარაშენის საზოგადოებისა:

12 ქართული სოფელი*, სახელდობრ:

	ქართ.	ოსები	სხვ. ეროვნებისა	სულ
ზემო აჩაბეთი ქვემო აჩაბეთი თამარაშენი პატარა ძარწვემი დიდი ძარწვემი საბაწმინდა ქემერტი ხეითი დგვრისა ქეურთა კეხვი სვერი	4119	525	6	4650

2. ცხინვალის საზოგადოება:

I. ქალაქი	ქ. ცხინვალი	1185	0	2697	3832**
	ს. გუჯაბაური	186	40	0	226

3. წუნარის საზოგადოებისა:

I. სოფელი,	ნული	413	24	0	437

4. დირბის საზოგადოებისა:

I, სოფელი	ძველთი	324	10	10	344

5. ავლევის საზოგადოებისა:

11 სოფელი, სახელდობრ: ხუნდის უბანი შინდარა თიღვა ძალეთი ზემო ოქონა ქვემო ოქონა ნეიღლათი სუფნისი ნაბაკევი ჯვრისისი ბზისხევი	1526	334	0	1860

*) ქართულ სოფლებათ ვსთვლით ისეთ სოფლებს, სადაც ოსები 50% ნაკლებია.

**) 1917 წლის სამეურნეო აღწერაში ცხინვალის მოსახლეობის სტატისტიკა არ მოიპოვება. 1886 წლის საოჯახო სიებიდან შედგენილ სტატისტიკურ ნუსხით სულ 3832 მცხოვრებია, 1915 წლისათვის კი ადმინისტრაციის მიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით, — სულ 4618. დღეისათვის ეს ციფრი უნდა გაორკეცდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მერეთის საზოგადოებისა:

	ქართ.	ოსები	სხვ. ეროვნებისა	სულ
6 სოფელი, სახელდობრ: სნეკეი ზარდიანთ-კარი ქსუისი ჭარები კუბითი დისევი	1536	119	0	1655

7. ორტევის საზოგადოებისა:

1 სოფელი, სახელდობრ ვანითი	432	48	0	480

8. ბოლოთის საზოგადოებისა:

8 სოფელი, სახელდობრ:				
აწესრიხევი	299	0	0	299
საცხენეთი	289	0	0	289
ხაშურა	135	0	0	135
ხადურიანთ-კარი*	22	0	0	22
ბელითი	220	0	0	220
ზემო ავნევი*	287	0	0	287
ქვემო ავნევი*	127	0	0	127

სულ გადასულია 40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი, სადაც ოცათასამდე ქართველია, ხოლო ოსთა რაოდენობა უდრის — 1100 სულს".

აი, ასე შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მასში მრავალი ქართული სოფლის გაერთიანებით. დეკრეტის გამოცემას, ბუნებრივია, ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული გახდა სულ მალე შეეტანა ზოგიერთი კორექტივი 20 აპრილის დეკრეტში. 25 აპრილსვე მან დაადგინა: „ქართულ სოფლებში ადმინისტრაცია და მილიცია დარჩეს ქართული" და „კობის რაიონი ადმინისტრაციულად მიეწეროს დუშეთის მაზრას"[55]. ამ შესწორებებმა შექმნილი მდგომარეობა, ცხადია, საბოლოოდ ვერ განეუხტეს. შეიარაღებული შეხლა-შემოხლის საშიშროება კვლავ რჩებოდა. გახშირდა ექსცესები ორივე მხრიდან სამეურნეო თუ სხვა ყოფითს საკითხებზე. ამიტომ იღებდნენ

*) 1917 წლის სამეურნეო აღწერაში ამ სამი სოფლის შეცხოვრებთა რაოდენობა აღნიშნული არ არის, ამიტომ ჩვენ აქაც 1926 წლის საოჯახო სიებიდან ამოღებულ ცნობებთან ვსარგებლობთ და დღეისათვის ვაორკეცებთ.

54 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 85—86.

55 იქვე, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომებს მოსახლეობის განიარაღებისათვის. 1922 წლის 26 მაისს სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიულმა კომიტეტმა დაადგინა:

«Произвести разоружение по всей области беспартийных элементов. Для разоружения и подавления бандитизма в некоторые районы послать отряды с представителями обл. парткома, ЧОН и Политбюро. Одновременно обратиться Ц.К.К.П. Грузии, ЧОН, Наркомвоенмор и Грузчека о немедленном разоружении беспартийных в смежных с областью районах, где масса настроена контрреволюционно.

Особое мнение тов. Завадина: создать смешанную комиссию из представителей А.О.Ю.О. и смежных уездов для совместного разоружения районов не только входящих в А.О.Ю.О., но и в смежных, входящих уезды. Председатель Вл. Санакоев. Секретарь А. Чочиев»[56].

მკითხველი მიზდება, რომ აქ ჩვეულებრივი ბანდიტების განიარაღებაზე როდია საუბარი. სიტყვა «ბანდიტიზმის» მოშველიებით დადგენილების ავტორები ცდილობენ გაიოლებულად წარმოაჩინონ საქმე. „კონტრრევოლუციურად განწყობილ მასაში“ კი უმთავრესად სამხრეთ ოსეთისათვის ქართული სოფლების გადაცემით უკმაყოფილონი იგულისხმებიან. აქვე ნახსენები „პოლიტბიურო“ საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანოს იმდროინდელი სახელწოდებაა.

სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული კომიტეტის ამ დადგენილებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის რეაგირება ასეთი იყო: 1922 წლის 12 ივნისს მან მახარაძის, ოკუჯავას, ქავთარაძის, ცინცაძის, საბაშვილის, კანდელაკის, ბიბინეიშვილის, თუმანოვისა და ზირაქაშვილის მონაწილეობით განიხილა:

«Постановление Юго-Осетинского парткома с просьбой разоружить беспартийное население Юго-Осетии» და დაადგინა:

а) Предложить парткому постановление это в жизнь не проводить,

б) Предложить парткому дать сведения в ЦК, в каких местностях население должно быть разоружено и по каким мотивам, в) Поручить ЧК выяснить вопрос о необходимости и возможности разоружения. Материалы представить в ЦК на рассмотрение»[57].

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის განიარაღება ადვილ საქმედ არ ჰქონდათ წარმოდგენილი. მას, შეიძლება, ახალი გართულება მოჰყოლოდა. ამიტომაც ფრთხილობდნენ...

საგულისხმოა, რომ როცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ხელოვნურად ქმნიდნენ და მასში ქართულ სოფლებსაც ძალით აერთიანებდნენ, მაშინ, როგორც ითქვა, კავკასიონის იქეთა ოსეთს, რომელიც ოსთა ნამდვილი თავდაპირველი სამშობლოა, არავითარი საკუთარი ავტონომია არ გააჩნდა. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი მხოლოდ 1924 წელს წარმოიქმნა რუ-

56 მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფ. 583.

57 მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 559.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეთის სფს რესპუბლიკაში. 1936 წელს ამ ავტონომიურ ოლქს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიეცემა, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, გარკვეული ძალები სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის გაერთიანებას ცდილობდნენ. გადაიდგა სათანადო ნაბიჯებიც, რომელთა შესახებ, ალბათ, მოკლედ ჩვენც უნდა ვისაუბროთ. საკითხი განიხილეს ჩრდილო ოსეთის, სამხრეთ ოსეთის, სრულიად საქართველოსა და ამიერკავკასიის საბჭოთა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა[58].

გაერთიანების ინიციატივა ოფიციალურად ჩრდილო ოსეთიდან მომდინარეობდა. იქ ეს საკითხი 1925 წლის იანვარში, ჩრდილო ოსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზე წამოიჭრა. ამ პრობლემის გადაწყვეტა უშუალოდ ეხებოდა რუსეთის სფს და საქართველოს სს რესპუბლიკებს. ამიტომაც ორივე რესპუბლიკაში გაჩაღდა მოსამზადებელი მუშაობა. უწინარეს ყოვლისა უნდა გარკვეულიყო, თუ რომელ სახელმწიფოში (რუსეთის სფს თუ საქართველოს სს რესპუბლიკაში) შევიდოდა გაერთიანებული ოსეთი. აქ აუცილებლად გასთვალისწინებელი იყო ქართველი ხალხის აზრი. იგი, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდა ქართული ტერიტორიის (ოსებით დასახლებული გორის მაზრის ნაწილის) გასხვისებას. ადვილად გადასაწყვეტი არც ჩრდილო ოსეთის შემოერთების საკითხი იყო, რადგან ისიც უნდა განეჭვრიტათ, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ შემოერთებას მომავალში.

მოვლენები ასე განვითარდა: 1925 წლის 27—31 მარტს გაიმართა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების V ყრილობა, რომელმაც მე-10 საკითხად განიხილა:

> «Сообщение представителя Северо-Осетинского ЦИК тов. Каргиева о решении 1-го съезда Северной Осетии по вопросу объединения с Юго-Осетией» და დაადგინა:
>
> «1. Выслушав заявление представителя ЦИК Северной Осетии тов. Харитона Каргиева о состоявшемся решении съезда Советов Авт. области Северной Осетии об объединении Северной и Южной Осетии, 5-й съезд Советов Автономной области Юго-Осетии приветствует решение 1-го съезда Советов Автономной области Северной Осетии и считает своевременным постановку этого вопроса.
>
> 2. 5-й съезд Советов Юго-Осетии мыслит осуществление этого объединения Северной и Южной Осетии в пределах ССР Грузии.
>
> 3. 5-й съезд Советов поручает новому ЦИКу Юго-Осетии совместно с ЦИКом Северной Осетии образовать объединенную специальную комиссию по изучению вопроса объединения обеих Осетий.
>
> 4. По изучению комиссией вопроса объединения окончательное разрешение его, т. е. объединения обеих Осетий поручить соответствующим ЦИКам»[59].

---

58 ამ ისტორიულ-იურიდიულ ფაქტს თავისი შეფასება მისცა იაკობ ფუტკარაძემ „კომუნისტში“ 1989 წლის 13 დეკემბრის გამოქვეყნებულ სტატიაში „სალი ძახილი“.

59 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 170, ფურც. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, სამხრეთ ოსეთის საბჭოების ყრილობამ აშკარად და გარკვევით გამოთქვა თავისი აზრი — სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანება საქართველოს სსრ ფარგლებში უნდა მოხდესო. გინდა ირწმუნო სამხრეთელ ოსთა ამ სურვილის გულწრფელობა, რადგანაც, ჯერ ერთი, მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში ოსთა დეფაციონალიზაციის ნაკლები საშიშროება არსებობდა (თუ კი ამას გაურბოდნენ), ვიდრე, ვთქვათ, რუსეთის ფედერაციაში; მეორე, ასევე ცნობილი იყო ქართველი ხალხის უკმაყოფილება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში შემავალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ბორის მაზრის ქართული სოფლების გადაცემის გამო, და ძნელი მისახვედრი როდი იყო, რომ უფრო მეტად გაძლიერდებოდა ქართველი ხალხის უკმაყოფილება და წინააღმდეგობა, თუ კი მთელი ე. წ. სამხრეთ ოსეთი სხვა რესპუბლიკას გადაეცემოდა. ამ წინააღმდეგობას შეეძლო ჩაეშალა საქმე, გაეძნელებინა მთავარი მიზნის მიღწევა, რაც ოსი ხალხის გაერთიანებაში მდგომარეობდა. ამიტომ სამხრეთელ ოსებს სრული საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ, რომ მათ მიერ არჩეული გზა ნაკლებ წინააღმდეგობრივი იქნებოდა. და კიდევ ერთ გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება. ჩრდილო ოსეთში ოსები თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობენ. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ოსთა ისტორიული კუთვნილებაა და ამ ქვეყნის (ტერიტორიის) ბედის გადაწყვეტა იდეალურ ვითარებაში, უწინარეს ყოვლისა, თვით ოსების საქმედ უნდა მიეჩნიათ. ამიტომ თუკი მთელი ოსი ხალხი გადაწყვეტდა საბჭოთა საქართველოსთან შეერთებას, საფიქრებელი იყო, რომ საბჭოთა რუსეთი ხალხის ნების წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა, ყოველ შემთხვევაში მას საამისო მორალური საფუძველი არ ექნებოდა. ყოველივე ამის გამო შეიძლება დავუშვათ, რომ ორი ოსური ავტონომიის საქართველოში გაერთიანების იდეას ორივე ავტონომიურ ოლქში მართლაც გულწრფელად უჭერდნენ მხარს. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ ძნელი იყო მათი ნამდვილი გულის წადილის ამოცნობა. ვინ იცის, იქნებ ეს გეგმა მომავალში „ქართული მიწა-წყლის მიტაცების შუალედურ ეტაპადაც“ (ი. ფუტკარაძე) კი ჰქონდათ წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ საქართველოსათვის ეს ერთი შეხედვით უვნებელი (ოთქოს სასარგებლოც კი) წამოწყება მეტად ძვირი დაუჯდებოდა თვით საქართველოს მომავალში, იმ ქარტეხილების დროს, საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელთა შეცვლას რომ მოჰყვებოდა ხოლმე უმთავრესად.

ასე იყო თუ ისე, საქმე დაიძრა. მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთში მოწონეს ოსთა ორივე ავტონომიის გაერთიანების იდეა და ისიც განსაზღვრეს, რომ ეს გაერთიანება საქართველოს ფარგლებში მოხდება, ჩრდილო ოსეთის ხელმძღვანელობამ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს აცნობა: „ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი ერთიანდებიან ერთ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად და შედიან საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში“[60].

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ამ იდეისათვის წინააღმდეობა არ გაუწევია. „თანახმა გახდა საკითხის ასე დაყენებაზე“ ჩრდილო კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტიც. თაკისი სიტყვა

---

60 გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 13 დეკემბერი, ი. ფუტკარაძის დასახ. სტატია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ეთქვა საქართველოს. და აი, 1925 წლის 15 ივლისს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ ამ საკითხზე მოისმინა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლის ტაკოევის მოხსენება და ერთხმად მოიწონა საქართველოს ფარგლებში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების გაერთიანების იდეა. დავიმოწმოთ რამდენიმე ადგილი ამ სესიაზე ტაკოევის გამოსვლიდან, რომელთა შესახებ იაკობ ფუტკარაძეს მოუთხრო გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ზემოდასახელებულ სტატიაში. ტაკოევმა განაცხადა: სამხრეთ ოსეთი „გადაჭრით მოითხოვს ჩრდილოეთ ოსეთისაგან, რომ... გაერთიანება მოხდეს საქართველოს ფარგლებში“, ჩრდილოეთ ოსეთი „სურთვლის აცხადებს რსფსრ-ს ჩამოშორდეს და შევიდეს საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში“. კიდევ უფრო საგულისხმოა ტაკოევის მიერ გაცემული პასუხი მის მიერვე დასმულ კითხვაზე: „იქნება ვისმე ეგულისხმება ოატომ არის ორიენტაცია აღებული საქართველოზეო? იმიტომ, რომ ოსეთი არსებობდა და მხარდამხარ ვიდოდა საქართველოს რესპუბლიკასთან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელნი, და მით უფრო პასუხისმგებელი მოუშავენი, თვალნათლივ ჰხედავენ, რომ საღი ნაციონალური პოლიტიკა ისე მიზანშეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში“. გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაეერთიანდება ჩრდილო ოსეთს უკეთუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შესვლაზე“. ამავე სესიაზე ითქვა: «სამხრეთ ოსეთის მშრომელნი აცხადებენ, რომ მათ კულტურულ მოთხოვნილებათ და სამეურნეო საჭიროება საქართველოს რესპუბლიკა მთლად, სრულიად და უცილობლად აკმაყოფილებს. ამიტომ ისინი სცნობენ, რომ არავითარი საჭიროება არ არის და სრულიად უსარგებლოც იქნება რაიმე ახალი ექსპერიმენტის მოხდენა ე. ი. საქართველოდან გამოყოფა. აშკარაა, რომ სამხრეთ-ოსეთის ეს საღი ძახილი ყოველ მხრივ ყურადღების ღირსია“. ამ გამონათქვამთან დაკავშირებით სწორად შენიშნავს ი. ფუტკარაძე, რომ ოსი კაცის ეს ბრძნული სიტყვები უფროსი თაობის პოლიტიკურ ანდერძად გაცხადდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე[61].

მაშასადამე, საქართველოს ფარგლებში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების სასარგებლოდ თავიანთი აზრი გამოთქვეს, საქართველოსა და რუსეთის საბჭოთა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა. რა აზრისა იყვნენ ამ საკითხზე მაღალი პარტიული ინსტანციები? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს იძლევა ი. ბ. სტალინის დეპეშა, რომელიც გ. კ. ორჯონიკიძემ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის ივლისის სესიამდე დაახლოებით 2 კვირით ადრე მიიღო. დეპეშაზე მხოლოდ თვე და რიცხვია აღნიშნული, მაგრამ შინაარსის მიხედვით შეიძლება გაირკვეს, რომ იგი 1925 წელს განეკუთვნება. აი ისიც:

«Подана из Москвы 29.VI. Получена и расшифрована 30.VI. Тифлис. Заккрайком — Орджоникидзе.

Лично я не возражал против плана Осетии, но, ввиду поступивших возражений Юго-Востока, очень колеблюсь и не решаюсь дать никаких советов. Очень бы просил тебя

61 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 13 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

отложить ответом до нашей совместной встречи с Микояном. Сталин»[62].

ამ დეპეშიდან ჩანს, რომ ი. ბ. სტალინს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო საქართველოს შემადგენლობაში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანებისა („ოსეთის გეგმა“), მაგრამ იმის გამო, რომ „სამხრეთ-აღმოსავლეთს“ საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოუთქვამს, გადაჭრით ვერაფერს ურჩევდა გ. კ. ორჯონიკიძეს, რომელსაც, უნდა ვივარაუდოთ, სწორედ რჩევა უთხოვია მისთვის. დეპეშაში დასახელებულია ა. ი. მაქიოანი, რომელიც მაშინ პარტიის ჩრდილო კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო. ბუნებრივია, მისი აზრიც უნდა მოესმინათ ამ საკითხის გადაწყვეტისას. ა. ი. მიქოიანი ადრე რკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიუროს ხელმძღვანელობდა. ამიტომ, დეპეშაში მოხსენიებული „სამხრეთ-აღმოსავლეთი“ იქნებ თავის დროზე ამ ორგანოს საგამგებლოში შემავალ რეგიონს ნიშნავდეს. თუმცა ცნობილია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიურო მხოლოდ 1924 წლის მაისამდე არსებობდა, ი. ბ. სტალინის ეს დეპეშა კი 1925 წლის ივნისს განეკუთვნება.

ი. ბ. სტალინის დეპეშას ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების გამაერთიანებელი მოძრაობა თითქოს. უნდა შეეჩერებინა (დროებით მაინც). მაგრამ ეს ასე არ მოხდა. როგორც ვნახეთ, 1925 წლის 15 ივლისს ამ თემაზე მსჯელობა ჰქონდა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს; იმავე წლის 7 აგვისტოს კი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა (საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარდგინებით) განიხილა (27-ე საკითხად) ორი ოსური ავტონომიის გაერთიანების საკითხი და დაადგინა:

«Против постановления 2-й сессии Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета от 15-го сего июля об объединении Автономных областей Северной и Южной Осетии в одну Автономную социалистическую советскую республику не возражать.

Особое мнение члена Президиума ЗакЦИКа тов. Назаретяна А.: «Ввиду того, что в ближайшие пять-десять лет экономическое объединение невозможно, за отсутствием путей сообщения (перевал, соединяющий Сев. Осетию с Южной, закрывается на 9 месяцев), разрешение вопроса об объединении автономных областей Северной и Южной Осетии считаю преждевременным»[63].

ამრიგად, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების გზაზე სულ ცოტა ორნაირი წინააღმდეგობა გამოიკვეთა: ერთი — „სამხრეთ-აღმოსავლეთისა“, რაც, საფიქრებელია, იმაში მდგომარეობდა, რომ არ სურდათ საქართველოს ფარგლებში გაერთიანება (ვერ თმობდნენ ჩრდილო ოსეთს); მეორე — ამაიაკ ნაზარეტიანის პირით გაცხადებული (სამიმოსვლო გზების უქონლობა, საუღელტეხილო მოძრაობის სეზონურობა), რომელმაც, უნდა ვივარაუდოთ, ბოლო მომენტში გადამწყვეტი გავლენა იქონია გაერთიანების საკითხის უარყოფითად

62 მლი ცპა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 3333, ფურც. 1.

63 სუიცსა, ფ. 607, აღწ. 1, საქ. 320, ფურც. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტაზე. დიახ, ჩრდილო ოსეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანებისთვის აუცილებელი იყო მუდმივმოქმედი დამაკავშირებელი გზების გაყვანა, რაც მომავალში უნდა გაკეთებულიყო. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ როკის ულელტეხილის მშენებლობას.

და თუ ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ თუნდაც საქართველოს ფარგლებში გაერთიანება შემდგომ თვით საქართველოსთვის საზიანო აღმოჩნდებოდა (!), უნდა ვფიქროთ, რომ მაშინ ა. ნაზარეტიანის პირით გაცხადებულ „განსაკუთრებულ აზრსა“ და მის მხარდამჭერებს გადავურჩენივართ.

ოსეთის საკითხთან დაკავშირებით გვინდა მკითხველს გავაცნოთ ი. ბ. სტალინის კიდევ ერთი დეპეშა, რომელიც სხვა საინტერესო საკითხსაც ეხება და ამიტომ მთლიანად დავიმოწმებთ მას:

> «Подана из Москвы 17.IX. Получена и расшифрована 18.IX. Тифлис — Заккрайком РКП(б). Орджоникидзе. Жалею, что шутки о Мингрелии приняты всерьез легковерными товарищами. Можешь заявить от меня, что я не высказывался и не намерен высказаться в пользу Автономии Мингрелии. Можешь заявить об этом в той форме, в какой найдешь целесообразным. Насчет Осетии поговорим по приезде. Сталин»[64].

„სამეგრელოს ავტონომიის“ საკითხი ცალკე საუბრის თემაა. რაც შეეხება დეპეშის ბოლო ფრაზას, ოსეთს რომ ეხება, იგი მიგვანიშნებს, რომ ი. ბ. სტალინი 1925 წლის (დეპეშაში გამოგზავნის წელი არ არის მითითებული, მაგრამ უეჭველია, რომ ისიც 1925 წელს განეკუთვნება) სექტემბერშიც ყოყმანობს და გარკვეულ დირექტივას ვერ აძლევს გ. კ. ორჯონიკიძეს ამ საკითხში. ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნისა და საქართველოში მისი გაერთიანების საკითხს, ცხადია, საბოლოოდ ი. ბ. სტალინი გადაწყვეტდა. ღვთის მადლით, გადაწყდა იგი უარყოფითად და ამით არც არაფერი დაშავებულა.

მაგრამ იდეა გაერთიანებისა (უფრო სწორად — ქართული მიწა-წყლის მიტაცებისა) თურმე არ ჩამკვდარა. ამაზე მეტყველებს სამხრეთ და ჩრდილო ოსეთიდან ცენტრში გაგზავნილი წერილები, რომელთა ავტორები ყალბ ბრალდებას უყენებენ ქართველ ხალხს, უღვთოდ ამახინჯებენ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიას, ცდილობენ დაარწმუნონ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ინსტანციები, რომ სამხრეთელი ოსები იმყოფებიან აუტანელ მდგომარეობაში, რომელიც მათ თითქოს ქართველმა ხალხმა შეუქმნა და მოითხოვენ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიების გაერთიანებას რუსეთის სფს რესპუბლიკაში.

60-იან წლებში ოსი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა აშკარა ანტიქართული კამპანია გააჩაღა, რაც, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩა ქართულ საზოგადოებრიობას. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1973 წლის ივლისს განეკუთვნება ვკითხულობთ:

---

64 მლი ცპა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 3339, ფურც. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«В последнее время в произведениях некоторых осетинских писателей особенно будируется тема Давида Сослана в нездоровом антиисторическом аспекте. В этой связи назовем поэму Д. Хетагурова «Гоцци», выдержавшую два издания на осетинском языке в гор. Орджоникидзе. В поэме грузины названы «подзащитным народом», «утопающим в грязи», говорится, что грузины якобы насильственно отторгли исконные земли Осетии («урвали долину реки Риони»). В поэме «Гоцци» Давид Сослан представлен как кондотьер, наемник... Можно было бы не вспомнить эту... поэму, публикации которой на русском языке в 1960 году решительно воспрепятствовало Московское издательство «Советский писатель», если бы с этих же позиций не относились к данной теме некоторые писатели Юго-Осетии, в том числе З. Хостицоева, Х. Дзуццати и др. Надо сказать, что стихотворение Ш. Джикаева «Печаль Давида Сослана» (опубликованное в 1966, 1967, 1970 гг.) является прямым перепевом вышеуказанной поэмы «Гоцци». В произведении Ш. Джикаева также говорится о том, что «стонут свои (т. е. осетины) на свободе», «что стонет своя страна в цепях», что потомки никогда не помянут добрым словом Давида Сослана, что ему «на их пиру никогда не будет места», ибо «когда родину ты будешь чужд, — другому никогда не будешь родственником... Умрешь у них под забором.

В свое время некоторые осетинские критики выступили против подобных тенденций в литературе. — В стихотворении Ш. Джикаева, — писал Х. Джиоев, — показана реакционная идеология... Национальная вражда представлена здесь как идеал (журн. «Мах Дуг» № 5, 1967). К сожалению, ни автор, ни его сторонники не прислушались к голосу критики. Все современные «проблемы» национального «недовольства» некоторых писателей носят явно искусственный характер... Об этом свидетельствует хотя бы письмо Ф. Гаглоити (Гафеза), бывшего ответственного секретаря Юго-Осетинского отделения союза писателей Грузии. «Нам нужен патриотизм, может быть и национализм, — делился он своими мыслями (18.XII. 1966 г.) в письме, адресованному к писателю Р. Тедети. — Если бы положение сегодня у осетинского народа было таким же, как у грузинского или у русского народов, тогда бы ни один осетин не показал своих национальных чувств... Посмотри-ка на азербайджанцев, они тоже действуют точно, как наши соседи. Во имя будущности своего языка они накрыли своими лапами маленькие народы, живущие вокруг них. Ты же в России находишься, посмотри-ка вокруг: их литература, их искусство — все делается с целью укрепить руссизм (руссификацию). Пушкин заложил им хо-

ეროვნული ბიბლიოთეკა

роший фундамент: «Здесь русский дух, здесь Русью пахнет». Теперь посмотри на Шолохова, Твардовского, Грибачева, Федина и на многие сотни других. О чем они пишут? Заботятся ли, чтобы воспеть «дружбу между культурами и народами?» Черта с два!... Теперь все поставлено так, чтобы маленькие племена влились в утробу акул. Знакомясь с образцами художественного творчества Н. Джусойты, опубликованными на осетинском языке, и его статьями и публицистическими выступлениями, напечатанными на русском языке в центральной прессе, нетрудно заметить разительное противоречие. В своих статьях Н. Джусойты выступает как страстный поборник дружбы народов, сторонник тесных взаимосвязей братских литератур... Защищая... бесспорно правильную точку зрения на всесоюзной арене, Н. Джусойти... к сожалению, не всегда придерживается ее в своем художественном творчестве»[65].

ეს ვრცელი ამონაწერი დავიმოწმეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მოხსენებითი ბარათიდან, რომელსაც ხელს აწერენ ო. ნოდია, რ. მიმინოშვილი, ი. ბოგომოლოვი, გ. ცოცაშვილი, ვ. შადური, მ. კიკვაძე, ნ. წერეთელი. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ოსი ინტელიგენციის ერთი ნაწილი საკუთარი ხალხის გასაჭირზე ფიქრობს, მის ბედზე წუხს, რაც აშკარად ჩანს ამ ამონაწერიდანაც. მაგრამ უმადურობაა შენთვის მზრუნველს მტრობა დაუბრალო, მთელი სოფლების მჩუქებელს გადამგვარებელი უწოდო. ასეთ რამეებში კაცს მისამართები არ უნდა შეგეშალოს, აქცენტებიც სწორად უნდა დასვა. აქ დამოწმებული აზრებიდან ჩვენთვის, ცხადია, ბევრი მიუღებელი და უსაფუძვლოა. სხვა ხალხების მიმართ გამოთქმულ საყვედურებზე პასუხის გაცემაც სხვათა მოვალეობად მივიჩნიოთ. ამჯერად დავჯერდეთ მხოლოდ ორი ფაქტის კონსტატაციას: პირველი, ოსი ინტელიგენციის ერთი ნაწილი აშკარა ანტიქართულ განწყობილებას ქართულ ენის სახელმწიფო პროგრამის შემოშავებამდე დიდი ხნით ადრე ამჟღავნებდა, მეორე, ოსი ინტელიგენციის ეს ნაწილი პრეტენზიებს უყენებს არა მარტო ქართველ, არამედ რუს ხალხსაც. თანამედროვე ეტაპზე კი, როგორც ცნობილია, მას ბრძოლის მახვილი მხოლოდ ქართველი ხალხის წინააღმდეგ აქვს მიმართული. ამის შესახებ საზოგადოებრიობა ფართოდ არის ინფორმირებული.

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელთა ავტორები მხოლოდ და მხოლოდ უმადურ ექსტრემისტთა სახელს იმსახურებენ. ეს გახლავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სახელზე 1983 წლის 10 მაისს გაგზავნილი სხივარი, რომელსაც ხელს აწერენ იურისტი ს. ჯიოევი, ვაჭრობის მუშაკი ზ. დრიაევი, მძღოლი ტ. კუჩმაზოვი და პედაგოგი სიუკაევი. კონვერტზე, რომელშიც სხივარი იყო ჩადებული, გამგზავნის ასეთი მისამართია აღნიშნული: 355045, ქ. სტავროპოლი, ტამანის ქ. № 26, ს. ა. ჯიოევი. ეს მისამართი და გვარიც, შეიძლება, ფიქტიური იყოს, მაგრამ, ცხადია, ეს არაა მთავარი. მთავარია წერილის შინაარსი, მისი პროვოკაციული ხასიათი და ის,

65 მლისფა, ფ. 14, აღწ. 48, საქ. 157, ფურც. 62—64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეხება სამხრეთ ოსეთის ამბებს. საჩივარი შეიცავს ისტორიულ ნაწილს, გაუკუღმართებულს, ტენდენციურად და პრიმიტიულად შედგენილს. ავტორები ზოოლოგიურ სიძულვილს ამყოლებენ ქართველი ხალხის მიმართ, ყოველივე იმის მიმართ, რაც კი წმიდათა წმიდაა ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობაში.

მკითხველის წინაშე ბოდიში უნდა მოვიხადოთ და კვლავ ვრცელი ამონაწერები დავიმოწმოთ. საჩივრის ავტორები ი. ვ. ანდროპოვს სწერდნენ:

«В 1920 г. меньшевикам стало известно о том, что у наших бойцов нет уже ни одного патрона и тогда они направили свою гвардию против Юго-Осетии. Бойцы наши со слезами на глазах вынуждены были со своими семьями отступать через Главные Кавказские хребты в Северную Осетию. Имущество их разграбили меньшевистские негодяи, все деревни, села были сожжены дотла. Из 75 тысяч беженцев остались живыми не более 50%, остальные погибли от азиатской холеры.

Свидетельством тому является телеграмма В. И. Ленина от 18 декабря 1920 г. на имя Владикавказского Ревкома об оказании немедленной помощи беженцам, бежавшим от грузинских меньшевистских банд».

«...22 апреля 1922 г. ЦИК Грузии издал декрет, коим Ю/Осетия включается в состав Грузии, как автономная область, конечно, без согласия нашего народа. В то время в Центре нашего государства в верхах находились грузины и поддержали их».

«В 1979 г. была издана книжонка Издательством политической литературы в Москве, автор Э. Шеварднадзе, где он описывает интересные вещи, а именно: во время гражданской войны за власть Советов боролись яростно грузинские трудящиеся, а что Ю/Осетия кровь проливала за Советскую власть ему неизвестно, ему также не ведомо, что Ю/О была безжалостно сожжена меньшевиками, а в Грузии и гусиного хлева не повредили. Ему же неизвестно, что через Главные Кавказские горы перешла 2-я Ю/Осетинская бригада вместе с Ю/О повстанческими отрядами и они разгромили меньшевиков. Он же пишет, что в школах детей обучают на любом языке, не допуская никаких привилегий, ограничений или принуждений в употреблении тех или иных языков, т. е. получать образование на родном языке. На территории собственно Грузии проживает не менее 100 тыс. осетин, за пределами автономной области, где до господства Берия в школах преподавали предметы на русском и осетинском языках, а теперь на грузинском языке, т. е. происходит грузинизация осетинских детей... По переписи населения в 1926 г. население Ю/Осетии состояло из 130 тыс. человек, из них осетин 81%, грузин — 16%, остальные армяне, евреи и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(см. Путеводитель транспечати НКПС, под редакцией Э. С. Батенина, стр. 470, издания 1927 г. Москва)»...

«Далее, за последнее время в газетах пишут такие статьи, которые не признают существования Ю/Осетии, т. е. враждебные, именно: строительство транскавказской Рокской автотрассы окончено, которая соединила Северную Осетию с Южной Осетией.

Половина длины этой дороги проходит по территории СО АССР, а вторая половина этой дороги проходит только по территории Юго-Осетинской авт. обл. За эту дорогу вся осетинская нация вовеки будет благодарить наших верховных руководителей, которые положительно решили этот вопрос, но возмутительно то, что без шовинизма, без антиосетинской политики и здесь не обошлось и не обходится. Все время в газетах: «Заря Востока», «Вечер. Тбилиси», т. е. во всех газетах пишут, что транскавказская автострада соединит Северную Осетию с Грузией, т. е. наша авт. обл. Юго-Осетия исчезла, похоронили ее живьем. Отсюда простой вывод: грузинские меньшевистские банды открыто проводили политику: Южную Осетию растворить среди грузин, чтобы там ни одного осетина не было. Вот эта политика проводится и сейчас. Разве это не шовинизм?

Удивительно и то, что наши руководители проходят мимо такого отвратительного национализма. Неужели им неизвестно о том, что эта дорога проходит только по территории Северной и Южной Осетии, а в газетах читают, что указанная дорога соединила Северную Осетию с Грузией, но никто из руководителей нигде не задает вопрос шовинистам, а куда же делась автономная область Ю/Осетии? Возникает вопрос, когда же будет положен конец антиосетинской политике и кто положит такой конец и когда?»

«Юрий Владимирович, можно ли совместить такое отношение к нашей нации с Конституцией СССР? А если нет, то почему бы не объединить южную часть Осетии с Северной Осетией в составе РСФСР, ведь территория наша единая, теперь провели и первоклассную шоссейную дорогу с г. Алагира СО АССР и до центра Юго-Осетии г. Цхинвали. В крайнем случае провести среди юго-осетинского населения плебисцит и тогда народ скажет свое слово, как это принято в международном праве... Мы просим провести плебисцит населения Ю-Осетии об объединении с Северной Осетией и чтобы единая Осетия избавилась от географических названий север, юг, а была единая Осетинская автономная советская социалистическая республика в составе РСФСР — ОА ССР. Тогда все вышеприведенные вопросы будут решены легко».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ვ. ანდროპოვის სახელზე გაგზავნილი ეს საჩივარი სხვა დაუსაბუთებელ მტკიცებებსა და ცილისმწამებლურ გამოხდომებსაც შეიცავს (საჩივარი, ცხადია, მთლიანად არ მოგვიყვანია). ბრალდებები, რომლებსაც მომჩივანნი ქართველ ხალხს უყენებენ, მკითხველმა იცის, არ ახალია. ბევრ მათგანს, თანამედროვე ადამონნიხასელებიც რომ იმეორებენ, ქართულ პრესაში დამაჯერებელი პასუხიც გაეცა. მაგრამ, ვინაიდან ი. ვ. ანდროპოვის სახელზე გაგზავნილი საჩივრის თვით ფაქტი და მასში წამოყენებული ზოგიერთი პრეტენზია ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობია, გარკვეული პასუხი, ალბათ, ჩვენც გვმართებს.

დავიწყოთ იმით, რომ საჩივრიდან დამოწმებულ პირველივე ამონაწერში დამახინჯებულად არის გაგზავნილი საკმაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტი. კერძოდ, მომჩივანთა აზრით ვ. ი. ლენინი 1920 წლის 18 დეკემბრის დეპეშაში ელადიკავკაზის რევკომს სასწრაფო დახმარება აღმოეჩინა იმ ოსი ლტოლვილებისათვის, რომლებიც თითქოს „ქართველ მეწმენეკთა ბანდებმა“ სამხრეთ ოსეთიდან განდევნეს 1920 წლის ივნისის ოსთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. სინამდვილეში კი ვ. ი. ლენინის ამ დეპეშაში სრულიად სხვა ლტოლვილებზეა საუბარი, რაც ახლავე გახდება ცხადი. გავეცნოთ თვით დოკუმენტს.

«Телеграмма Владикавказскому Ревкому. Владикавказ, Ревком.

Копия члену реввоенсовета Кавфронта Орджоникидзе.

По полученным в Совнаркоме сведениям, беженцы гражданской войны, бежавшие от контрреволюционных банд в 1919 г. из селения Алагир в количестве, свыше 300 семей, находятся в станице Ардонской и в городе Владикавказе в чрезвычайно бедственном положении. Несмотря на все наши хлопоты, беженцы до сих пор не могут добиться возвращения в родные места или помощи по переезду и устройству на новых местах. Срочно удовлетворите законные требования беженцев и окажите им действительную помощь по устройству на постоянное жительство.

Написано 18 декабря 1920 г. Предсовнаркома Ленин»[66].

როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინის ამ დეპეშაში გარკვეული არის ნათქვამი, რომ საქმე ეხება არა სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილეთ ოსეთში 1920 წელს გაბიზნულ ოსებს, არამედ ჩრდილოეთ ოსეთში მდებარე სოფელ ალაგირიდან იმავე ჩრდილოეთ ოსეთის სტანიცა არდონსა და ქ. ვლადიკავკაზში 1919 წელს გაქცეულ ლტოლვილებს. შეიძლებოდა ყოველივე ეს უბრალო ფაქტობრივ უზუსტობად მიგვეჩნია და ყურადღებაც არ გაგვემახვილებინა მასზე. შეიძლებოდა წერტილიც დაგვესვა აქვე, მაგრამ იმის გამო, რომ საქმე გაკაქვს ისტორიული სინამდვილის არა მარტო ფაქტობრივ, არამედ პოლიტიკურ გაუკუღმართებასთანაც, იქნებ სჯობდეს მკითხველს მოკლედ მოვუთხროთ, თუ ნამდვილად ვისზე ზრუნავდნენ ამ შემთხვევაში ვ. ი. ლენინი და გ. ვ. ჩიჩერინი, ვინ იყვნენ ეს ალაგირელი ლტოლვილები?

---

[66] В. И. Ленин, Полн. собр. соч. т. 52, გვ. 299—300.
დეპეშას ხელს აწერდა გ. ვ. ჩიჩერინიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბსოლუტურად დადგენილია, რომ საქმე ეხება ქართველ ლტოლვილებს, იმ ქართულ ოჯახებს, რომლებიც 1919 წლის ივნვარში იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ სოფელი ალაგირი, სადაც კომპაქტური ქართული დასახლება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა. 1918 წლამდე ალაგირელ ქართველებს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ოსებთან, რაც სამოქალაქო ომის დროს მტრობით შეიცვალა. ამ წლის ივნისში ალაგირელმა ქართველებმა უმასპინძლეს ს. გეგეჭკორის შეიარაღებულ რაზმს, რომელიც საქართველოდან ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. რაზმის წევრები ალაგირელ ქართველთა ოჯახებში დაბინავდნენ. ზოგიერთი ალაგირელი ქართველი ს. გეგეჭკორის რაზმშიც ჩაეწერა, რასაც სათანადო რეაქცია მოჰყვა ოსეთში იმ დროს არსებული სხვა პოლიტიკური, კერძოდ, ანტისაბჭოთა ძალების მხრიდან. ეს სტუმრობა ძვირად დაუჯდათ ალაგირელ ქართველებს. იგი გახდა ერთ-ერთი მიზეზი მათი დარბევის, აწიოკებისა და ქონებრივი გაპარტახებისა.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ოსთა შეიარაღებული რაზმები ცდილობდნენ არაოსი მოსახლეობისაგან გაეწმინდათ თავიანთი მხარე და ამით ქონებრივადაც მოეთბოთ ხელი. ისინი ვასაქანს არ აძლევდნენ ქართველებს: ართმევდნენ გალეწილ პურს, ფქვილით დატვირთულ ურმებს, ცხენებს, ალაგირსა და მის მიდამოებს არბევდნენ ვ. ვანიეევს, პოლკოვნიკ უვალუკ ცალიკოვს, ს. ურუმოვის, ა. ურუმოვის, ყ. რევაზოვისა და სხვათა შეიარაღებული რაზმები, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ალაგირზე თავდასხმა, იქაური ქართული და რუსული მოსახლეობის განადგურება, მათი სახლ-კარისა და ქონების დაპატრონება. ალაგირზე პირველი თავდასხმა ოსთა შეიარაღებულმა რაზმებმა 1919 წლის 6 იანვარს მოაწყვეს, მაგრამ ქართველებმა წითელ გარნიზონთან ერთად უკუაგდეს ისინი. მეორე თავდასხმის მოგერიება კი შეუძლებელი შეიქნა: 1919 წლის 11 იანვარს მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმები შეიჭრნენ ალაგირში და საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოუწყვეს ქართველებს, არ ზოგავდნენ ბავშვებსა და მოხუცებს. 75 წლის ალექსი ლობჯანიძე, პელაგია პოტიომკინა და მისი მცირეწლოვანი შვილები თოკებით შეკრეს, თავიანთ სახლებში ჩაკეტეს, ცეცხლი წაუკიდეს და ისე დაწვეს, ბევრი დახვრიტეს, ბევრს ყელი გამოუჭრეს.

სწორედ ამ ამბების შედეგად აიყარა ალაგირიდან 300 ოჯახი და თოვლიან გზას გაუდგა. ბევრი ლტოლვილი გზაში დაიღუპა. თავდამსხმელებმა დაწვეს სახლები, გაანადგურეს და დაიტაცეს სურსათ-სანოვაგე, წაიყვანეს სახლნელი, გაძარცვეს ეკლესია, თავდამსხმელთა უმრავლესობა ქართველთა მიერ მტოვებულ ბინებში მოკალათდა, მათ ჭირნახულსაც დაეუფლა. კანონიერი მეპატრონეებისათვის სახლ-კარი შემდეგაც არ დაუბრუნებიათ[67].

აი ამ ლტოლვილებზეა საუბარი ვ. ი. ლენინისა და გ. ვ. ჩიჩერინის 1920 წლის 18 დეკემბრის დეპეშაში. ი. ვ. ანდროპოვის სახელზე გაგზავნილი საჩივრის ავტორებმა კი ეს ფაქტი სრულიად გაუკუღმართებულად წარმოაჩინეს.

ალაგირელი ქართველების ტრაგიკული ისტორიის ცოდნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ოსეთის ურთიერთობათა ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარის სრული წარმოდგენისათვის (ს. რეხვიაშვილი), ჩვენც

---

67 დაწვრ. იხ. სპარტაკ რეხვიაშვილის სტატია «ალაგირელ ქართველთა ტრაგედია», რომელიც «სახალხო განათლების» 1989 წლის 18 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ამ მიზნით მოვიხსენიეთ ეს აღმაშფოთებელი ფაქტი, რაც მუდამ შავ ლაქად დარჩება ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობათა ისტორიაში. აქაც საჩივრის ავტორებმა გვაიძულეს.

გარდა აღნიშნულისა, საჩივარი ბევრ შეუსაბამობას შეიცავს, მაგრამ როგორ დავღალოთ მკითხველი ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე საუბრით, როგორიცაა, მაგალითად, რომ:

— 1920 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ჩრდილო ოსეთში გადავიდა არა 75000 სამხრეთელი ოსი ლტოლვილი, არამედ დაახლოებით 20000 (იხ. Известия Ю.—Осетинского научно-исследовательского Института краеведения, Выпуск II, Сталинир, 1935, с. 122, 127 და სხვ.).

— სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა მუდამ და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტმა ეს მხოლოდ დაადასტურა;

— „ჩვენი სახელმწიფოს ცენტრში“ იმ დროს მყოფი ქართველი ხელმძღვანელი მუშაკები (ალბათ ი. ბ. სტალინსა და გ. კ. ორჯონიკიძეს გულისხმობენ) ოსთა და საერთოდ არაქართველთა უკანონო პრეტენზიებსაც კი უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვიდრე ქართველთა სამართლიან მოთხოვნებს.

— ედუარდ შევარდნაძე თავის 1979 წელს გამოცემულ წიგნში, როცა საბჭოთა ხელისუფლებისათვის «საქართველოს მშრომელთა ბრძოლაზე» ლაპარაკობს, რასაკვირველია, სამხრეთ ოსეთის მშრომელებსაც გულისხმობს. ის სავსებით სწორად მიუთითებს, რომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს აქვთ საშუალება მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება.

— საგაზეთო ცნობა იმის თაობაზე, რომ როკის ავტოტრასამ (ტრანსკავკასიის ავტოსტრადა) ჩრდილო ოსეთი საქართველოსთან დააკავშირა, არ შეიძლება ქართული „შოვინიზმისა“ და „ანტიოსური პოლიტიკის“ გამოვლინებად მივიჩნიოთ, რადგან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს ნაწილია (ე. ი. იგივე საქართველოა) თუმცა, ცხადია, არც ის იქნებოდა შეცდომა, თუ დაწერდნენ, ამ ავტოსტრადამ ჩრდილოეთ ოსეთი სამხრეთ ოსეთთან დააკავშირაო.

— 1926 წლის აღწერით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობდა არა 130 000 ოსი (ანუ მოსახლეობის 81%), როგორც საჩივრის ავტორები წერენ, არამედ 60 351 ოსი (მოსახლეობის 69.1%) და 23 538 ქართველი (მოსახლეობის 26,9%).

კმარა. ქართველი ხალხის მიმართ საჩივარში წამოყენებულ უსაფუძვლო ბრალდებებზე უფრო ფართო მსჯელობა ცალკე საუბრის თემად მივიჩნიოთ. ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანაა იმის დადასტურება, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკაში სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი გარკვეულმა ძალებმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯერ კიდევ 1983 წელს (იქნებ ადრეც) დააყენეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წინაშე. ასე რომ თანამედროვე ადამონნიხსელები ამ ძალთა სულიერი მემკვიდრენი არიან.

დიახ, ასეთ პრობლემებზეც გვიხდება დღეს საუბარი, სამწუხაროდ 20-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრი თითქოს წინასწარ გრძნობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალ გართულებებს. მან ხომ თავიდანვე საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფად აღიქვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნურად ჩამოყალიბება, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა ავტონომიური ერთეულების შექმნა. თუმცა იგი ტრადიციას არ ღალატობდა და აუცილებლად მიიჩნევდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა თუ ეთნიკური ჯგუფების უფლებათა დაცვას, მათ სამართლიან ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობებს უფლებებთან ერთად გარკვეული მოვალეობებიც უნდა ჰქონდეთ. ქართველ ხალხს არასოდეს არ უნდა მოეშალოს თავის გასაჭირში ეროვნულ უმცირესობათა თანადგომის იმედი. ეროვნული უმცირესობები კი ქართველ ხალხში მათს ქომაგს, დამცველსა და მფარველს უნდა ხედავდნენ. ეს უნდა იყოს ჩვენი ხალხების ურთიერთობის ამოსავალი წერტილი, რაც ყველამ უნდა შევიგნოთ. აქ ისტორიამაც ბევრი რამ უნდა გვასწავლოს. ისტორიის გაკვეთილები კი იმას მოწმობენ, რომ საბოლოოდ გონიერება იმარჯვებს უგუნურებაზე. ზღვარგადასული ემოციები როცა იქნება ჩაცხრება. ჩვენმა ხალხებმა კი ერთად უნდა იცხოვრონ. სხვა გზა არა გვაქვს. ჩვენ თავს ჩვენ თვითონ უნდა მოვუაროთ. სხვის იმედზე ყოფნა მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი როდია. ურთიერთდათმობა, კომპრომისი, მიტევება და შერიგება, — აი რამ უნდა გადაკვარჩინოს და კვლავაც დაგვაახლოვოს. ამაში უთუოდ დაგვეხმარება მართალი ისტორიის ცოდნა. უნდა ვიცოდეთ, თუ ვის, როდის, ვის მიმართ რა ცოდვა აქვს ჩადენილი. ისტორიული მეხსიერება მერმისის განჭვრეტასა და სამომავლო გაკვეთილების გამოტანას გაგვიადვილებს. მაგრამ ისტორიიდან მხოლოდ ის უნდა ავიღოთ, იმას მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რაც გვაახლებს ერთმანეთთან. ისტორიკოსის მთავარი ამოცანა ეს უნდა იყოს. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ნაშრომში ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის ნეგატიურ მხარეებზე მოგვიხდა საუბარი. მკითხველი ალბათ დარწმუნდა, რომ ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ, ვუპასუხებთ, ვცდილობთ მიუკერძოებლად და დოკუმენტურად დავასაბუთოთ უსაფუძვლობა ქართველი ხალხის მიმართ წამოყენებული ბრალდებებისა. აბა, როგორ არ უნდა ვთქვათ, მაგალითად, რომ სისასტიკე, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გამოიჩინეს 1920 წელს ოსთა აჯანყების ჩაქრობისას, გაპირობებული იყო კიდევ უფრო ულმობელი სისასტიკით, რომელსაც აჯანყებული ოსები იჩენდნენ ქართველთა მიმართ 1918—1919 წლებში. ასეთი ულმობლობის გამართლება არასაკადრისია კლასობრივი ბრძოლის თვალთახედვითაც. იგი ახალ კონფრონტაციამდე მიგვიყვანს.

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისა თუ ეთნიკური ჯგუფებისათვის ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შეურიგდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ქართული მიწა-წყლის მიტაცებისა და სხვა სახელმწიფოსთან მიერთების მცდელობებს. ვინ ვინ და მათ ხომ კარგად იციან საქართველოს ეთნიკური და დემოგრაფიული სიტუაცია, არც ის არის ძნელი მისახვედრი, რომ სწორედ ამ სიტუაციის გამო ქართველ ხალხს უკანდასახევი გზა აღარ აქვს. „მიდიხართ ამოდენა გზაზე სამხრეთ საქართველოსკენ, აქეთ-იქიდან საუკეთესო მინდვრები, ველებია გადაშლილი, სოფლიდან სოფელში შედიხართ... გარშემო კი ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულ მიწაზე ერთი ქართული სახლი არ მოიძებნება, ერთი ქართველი არ შეჭამენს, ერთი ღერი ქართული არ ისმის...“ (ირინა ტალიაშვილი). გულისშემძვრელია ეს ვითარება. ისიც ცხადია, რომ ამ რეალობამაც განაპირობა ქართული ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. შეცდომა, საბედისწერო შეცდომა იქნება, თუ ჩვენი ეროვნული უმცირესობები დაუპირისპირდებიან ამ მოძრაობას. ამით საერთო მტრის საქმე გაკეთდება. ქართული ეროვნული მოძრაობის პროგრამაში კი თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს რუსპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის ეროვნულ-კულტურულ სამართლიან მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის საქმიანმა ზრუნვამ.

ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალმა არ დაგვძახოს. ვიფიქროთ, ყველამ ვიფიქროთ ამაზე. გაგებით მოვეკიდოთ სხვათა გასაჭირსაც. დღეს არავის არ ულხინს. ჩვენი გაჭირვება, უმთავრესად, ავტორიტარიზმის, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ტოტალიტარული ბატონობის ეპოქამ მოიტანა. ნუ დავადანაშაულებთ ამაში რუს, ქართველ, აფხაზ, ოს თუ სხვა ხალხებს.

ნუ გვწყენს ნურავინ, თუ ქართველი ხალხი მტკიცედ მოითხოვს, რომ საქართველოში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა პატივი სცენ ქართულ კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს, იზრუნონ რესპუბლიკის სახელმწიფო ენის — ქართული ენის დაუფლებისათვის.

ქართველი ხალხი იმასაც მოითხოვს, რომ არაქართველებით დასახლებული ქართული მიწა-წყალი არ გადაიცეს ქართველთა და არაქართველთა დენაციონალიზაციის კერად. და ეს არავის არ უნდა აღიზიანებდეს...

ერთი სიტყვით, უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული საკითხი ჩვენში ახალ გადაწყვეტას ელის. ეს არც არის გასაკვირი. ბუნებრივია, რომ წითელ არმიის მიერ ძალდატანებით გასაბჭოებულ საქართველოში იგი სამართლიანად ვერ გადაწყდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ი. ბ. სტალინის აზრი, რომელიც მან, რკპ(ბ) XII ყრილობის მიერ შექმნილი ეროვნული საკითხის სექციის სხდომაზე გამოთქვა 1923 წლის 23 აპრილს. ლენინის (იგი სხდომას არ ესწრებოდა), ნოჯაევის, რაკოვსკის, ტროცკისა და სხვათა სასასუხოდ სტალინმა ამ სხდომაზე განაცხადა:

> «...Тут говорили, что я мастер по национальным вопросам. Товарищи, я должен сказать, что никогда я на это звание не претендовал. Я дважды отказывался от доклада по национальному вопросу и оба раза мне единогласно приказывали делать доклад. Я скажу, что я несведущ в этих делах, кое-какие знания я имею в этом вопросе, но мне это надоело хуже горькой редки. Почему это обязательно Сталин должен делать доклад. Где это написано. Почему он должен отдуваться за грехи, которые творятся на местах. Это нигде не написано. Однако мне приказали и в качестве подневольного человека, я на съезде выступил, как докладчик. Это ответ тов. Ходжаеву...
>
> 2-я палата это не то же самое, что Наркомнац. Я два года дрался за уничтожение Наркомнаца и получил отказ. Это орган, ничего не делающий и тормозящий работу. Меня не

ეროვნული ბიბლიოთეკა

освобождали от наркомства. Я и здесь был подневольным человеком. Все-таки то, что я предложил, это не есть наркомнац. Наркомнац — комиссариат агитационный, никаких административных прав наркомнац не имеет, а предлагал создать 2-ю палату... Вот узда (2-я палата) против великорусского шовинизма... У тов. Раковского неясность по национальному вопросу. Вы полагаете, что если НКИД в республиках будут упразднены, а на этом настаивает тов. Ленин, чтобы они были слиты (голос: объединены)... извините, никакого союза у нас не будет, если у каждой республики будет свой наркоминдел.

Тов. Ленин забыл, он много забывал в последнее время. Он забыл, что вместе с ним мы принимали основы Союза (голос — он не был на пленуме). Тов. Ленин забыл резолюцию, принятую на октябрьском пленуме о создании союза, где говорится о влиянии 5-ти комиссариатов, объединении пяти и оставлении нетронутыми 6-ти комиссариатов. Это тов. Ленин принял и утвердил. Затем это внесли в ЦК, который тоже это утвердил. Я готов представить любой документ.

Вы скажите прямо, тов. Раковский, что вы против объединения, это я пойму. У Вас сорвалась фраза — конфедерация, Вы не за Союз, а за конфедерацию. Это я пойму. Вы скажите прямо, что Вы требуете того, чтобы в Донбассе руководила не центральная власть, а украинская (Раковский — неправда) .Пока Вы этого не скажете, я Вам отвечать не буду. Относительно конфедерации, я хотел рассказать историю.

Я был на фронте, на Юге, тов. Ленин перед 2-м конгрессом Коминтерна прислал свой проект по национальному вопросу и просил меня отозваться, также как и других. Там говорилось, что мы, Коминтерн, будем добиваться федерирования национальностей и государств. Я тогда сказал, это все хранится в архивах ЦК, — не пройдет это. Если Вы думаете оставаться в рамках федерирования национальностей старой России, — это еще понятно, но если Вы думаете, что Германия когда-либо войдет к Вам в федерацию на правах Украины, — ошибаетесь. Если Вы думаете, что даже Польша, которая сложилась в буржуазное государство со всеми атрибутами войдет в состав Союза на правах Украины, — ошибаетесь. Это я говорил тогда. И тов. Ленин прислал грозное письмо — это шовинизм, национализм, нам надо Центральное мировое хозяйство, управляемое из одного органа.

Старый ленинист Раковский склоняет и спрягает фамилию товарища Ленина, но не мешало бы ему посмотреть коекакие документы о конфедерации. Вы, товарищ Раковский,

ეროვნული ბიბლიოთეკა

должны знать, что по вопросу о конфедерации даже в рамках международных, тов Ленин стоял решительно против...

Нельзя обижать националов, нельзя поляка называть полячком, туркестанца называть татарской лопатой, нельзя грузина назвать капказским человеком. Да, поляка нельзя назвать полячком, а ковырять Польшу штыком можно? Прощупать Польшу штыком можно? Оказывается, что с точки зрения национального самоопределения это сделать можно. Нельзя туркестанца назвать татарской лопатой, хорошо, оставлять там войска русские можно? Тов. Троцкий сказал кусочек правды. Но не всю правду, а вся основа в этом. Нельзя (не разборчиво — Л. Т.) человека назвать капказским человеком, а оставлять там войска с точки зрения национального самоопределения можно? Нельзя бухарца назвать — я даже не знаю как его назвать — но вводить туда свои войска можно? С точки зрения определения прав национальностей этого делать нельзя. В чем же дело? В том то и дело, что в национальном вопросе есть свои предель. Это важный вопрос, но есть другой более важный вопрос, о власти рабочего класса. Вот в чем дело. Мы обязаны проводить в жизнь принцип самоопределения народов, безусловно, но кроме этого есть право рабочего класса на свою власть...

Вы должны честно и открыто сказать всем националам (национал, кажется, теперь ругательное слово), что мы иногда вынуждены идти против права самоопределения национальностей, против их интересов, за сохранение рабочими своей власти.

В этом не вина, а беда наша. И те, которые здесь охотно раздают обещания, должны это сказать честно, что мы нарушаем право на самоопределение и не можем не нарушать. Ибо вопрос национальный есть подчиненный вопрос в отношении к вопросу рабочему. Вам нужны цитаты из книги тов. Ленина? Я могу представить сколько угодно цитат. Национальный вопрос у тов. Ленина есть вопрос подчиненный высшему вопросу — рабочему вопросу. ...к поправке тов. Троцкого я вношу дополнение — чтобы начать формирование национальных частей, грузинских, армянских, азербайджанских, украинских и т. д. Нельзя, конечно, торопиться, так как было в Грузии, но начать это дело постепенно и подсечь основу недовольства в республиках, которое там имеется, выведя наши войска. Первое требование самоопределения — это вывод войск. Сейчас мы себе этой роскоши позволить не можем. Вот в чем беда. Если вывести войска из Грузии, туда войдут турки, пострадает революция»[68].

---

[68] ВЛО ცპა, ფ. 50, აღწ. 1, საქ. 48, ფურც. 59—67.

ძვირფასი დოკუმენტია. იგი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ ი. ბ. სტალინს XII ყრილობაზე „უჭირდა“. მის ვეულიკორუსულ პოლიტიკას „ნაციონალები“ დაუპირისპირდნენ. ი. ბ. სტალინის მოწინააღმდეგეთა შორის მთავარი ადგილი ეჭირა ქართველ კომუნისტთა ერთ ჯგუფს, რომელსაც მაშინ ვ. ი. ლენინიც უჭერდა მხარს. ვ. ი. ლენინს ამ დროს უკვე დაწერილი ჰქონდა ცნობილი ნაშრომი „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ“. ამ ნაშრომსა და ვ. ი. ლენინის სხვა ბოლოდროინდელ დოკუმენტებში მკაცრადაა გაკრიტიკებული ი. ბ. სტალინი, ფ. ე. ძერჟინსკი და გ. კ. ორჯონიკიძე. ვ. ი. ლენინი მათ „გარუსებულ სხვატომელებს“ უწოდებს და ბრალსა დებს ეროვნებათა მიმართ ვეულიკორუსული სულისკვეთების გამოვლინებაში. ი. ბ. სტალინისთვის ყველაფერი ეს ცნობილია. მან თავი უნდა იმართლოს. ამიტომ იგი იძულებულია ყველაფერი ბოლომდე თქვას და შეულამაზებლად წარმოაჩინოს საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის პრაქტიკა. ი. ბ. სტალინი აღიარებს და მარქსისტული დოქტრინის საფუძველზე ამართლებს კიდეც, რომ რევოლუცია ზოგჯერ იძულებულია არათუ პატივი არ სცეს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, არამედ გაილაშქროს კიდეც მის წინააღმდეგ. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინსაც გადასწვდა. სამეგრელო ჩახედული კითხველი უთუოდ მიხვდება, რომ ი. ბ. სტალინის მიერ დამოწმებული სიტყვები, პოლონელის, ქართველის, თურქესტანელისა თუ სხვა ხალხების წარმომადგენელთა ეროვნული ღირსების შელახვის დაუშვებლობას რომ ეხება, ვ. ი. ლენინს ეკუთვნის (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36. გვ. 692). ი. ბ. სტალინიც, რასაკვირველია, დაუშვებლად მიიჩნევს „ნაციონალთა“ სიტყვიერ შეურაცხყოფას. აქ ის ეთანხმება ვ. ი. ლენინს. მაგრამ ამასთან იგი აღნიშნავს, რომ „ნაციონალთა“ ეროვნული ღირსების, მათი უფლებების უფრო მეტი შელახვა სწორედ მაშინ მოხდა, როცა წითელი არმია პოლონეთს ხიშტით მიადგა, საქართველოსა და თურქესტანში კი დაუპატიჟებლად შევიდა და დარჩა. აქვე უნდა ითქვას, რომ ი. ბ. სტალინი როდი გმობს წითელი არმიის ნამოქმედარს. პირიქით, იგი ვ. ი. ლენინთან და სხვებთან ერთად, თვით გახლდათ დასახელებული ქვეყნების მიმართ წითელი არმიის მიერ განხორციელებული აქციების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ი. ბ. სტალინმა უბრალოდ ის დაადასტურა, რომ ერთიც დაუშვებელია და მეორეც, მაგრამ სხვა გამოსავალი არა ვვიქვსო...

სხვა გამოსავალი მაშინ ვერ „იპოვეს“. იგი მალე უნდა გამოინახოს.

* * *

აქვე დანართის სახით მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე დამახასიათებელ (ზოგჯერ უთანიერთსწინააღმდეგო) მასალას 1920 წლის ქართული პრესიდან. ვფიქრობთ, ეს მასალები დაგვეხმარება სამხრეთ ოსეთის 1920 წლის აჯანყების ხასიათის გარკვევაში (დანართი განკუთვნილი იყო ჟურნალის წინა ნომრისთვის, რომელშიც ტექნიკური მიზეზების გამო ვერ გამოქვეყნდა).

გაზეთი „სახალხო საქმე“. 1920 წლის 23 მაისი. გლეხიშვილის სტატია „ბოლო უნდა მოეღოს!“.

„არაერთხელ წაგვიკითხავს გაზეთებში ცხინვალისა და როკის რაიონებში სამხედრო მოქმედების თაობაზე. წაგვიკითხავს და ცოტა არ იყოს გაგვკვირვებია: განა რა მოხდა ამ მიმართულებით, რომ ამ ჩვენი ჯარები დარაზმულან. არაფერი მატნებრო, მე აქ ვცხოვრობ ნუდმივ და ერთხელაც ვერ ვნახე თათრების, ან ლეკების, ან სხვა რომელიმე მტრის ჯარები, თუმცა ჩვენები კი ბევრჯელ მეტყვიან: მაშ ვინ აიკლო ცხინვალი 1918 წ. მარტში ვის გადასწვა იგი, ვინ მოიტაცა მშრომელი ხალხის ქონება და მისი ეაი-ეაგლახით შეძენილი აცალდიდებათ? ვინ და ჩვენი რესპუბლიკის უმადურმა შვილებმა. ეს უმადური შვილები არიან თავისი ცრუინტელიგენტების მიერ თავგზა არეული ოსები. ამ ცრუ-იტელიგენტებს არ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწონათ ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან ამით ბმილი ადგილები ეკარგებოდათ და დაიწყეს ჩრდილოეთისაკენ ყურება და მისი იმედებით ცხოვრება.

ცხინვალის ოსი-ინტელიგენტებს ზოგიერთი დაშნაკელებიც უშერდნენ მხარს და დამეგობრებულებმა იწყეს ხალხში პროვოკაციის გავრცელება საქართველოს წინააღმდეგ. აიარაღებდნენ ხალხს, ემზადებოდნენ რაღაც ამბებისათვის და იყვნენ ერთ ამბავში. არა ერთსა და ორს ოსს უთქვამს, რომ ყველა მამაკაცი დავალებულია შეიძინოს იარაღი და ვინც თავისი ნებით არ შეიძენს, იმას ძალათ გაუყიდიან ძროხას ან ხარს და შეაძენინებენ იარაღსო. აგიტაციამ და პროვოკაციამ თავისი საქმე გააკეთა, ხალხი არიე-დარია. როცა შინაური არეულობით და გარეგან მტრის მუქარით ისარგებლეს, დაესხნენ ცხინვალს და აიწოიკეს. ლოზუნგი ასეთი იყო: „ქარქინ ბახარ მეტეთი!“ (ეფრი ეშამთი მეტეთოშიო). მაგრამ ეს მათი ავანტიერა მათთვისვე ზარალით დამთავრდა. მაშინ ჩვენი სამხედრო ძალის საუკეთესო ნაწილი აქ იყო დაბანდებული, ბათომი კი ჯერ კიდევ გაუწერპნელის, ახალგაზრდა გამოუცდელი ჯარის ანაბარად იყო.

მას შემდეგ არა ერთხელ და ორჯელ შეუჩოჩქოლებია ცხინვალი ოსეთს. რა წამს რომელიმე ძალას დაინახავენ ჩვენს წინააღმდეგ მომართულს, მაშინვე თვითონაც სამზადისს შეუდგებიან და აბა ცხინვალელებს, იყავით შიშში და ვაი-ვაგლახში. ბოლშევიკები ვართ, კარგია ღმერთმანი, ბოლშევიკდება ყველა ის, ვისაც კი საქართველო სძულს, და ნეტავი მაცოდინა, რატომ სძულთ ოსებს საქართველოს რესპუბლიკა? ხარ,ებს ისანი არ იმდიან, სალდათად არ მიდიან, რესპუბლიკას ეროფრი ეხმარებიან და ყოველისფერს კი ნარგებლობენ. აუარბელი ხარჯები მიდის მათზე და განა იმიტომ, რომ მტრულად იყვნენ ყოველთვის! ფენიკინი იყო კოკასიაში, ისინი ფენიკინთან გარბოდნენ, ბოლშევიკები არიან და იმათთან გარბიან. ეს ყოველისფერი კი მათი ინტელიგენციის საქმეა, თორემ მე ხალხისაგან ზშირად გამიგონია გულწრფელი ჩიგილი: დაგვანებონ თავი, ჩვენ არაფერი გვაქვს სარჩუბარი და სადაედარაბოო. დიახ, ვიტყვი და მუდამ ვამბობ, ეს მათი ინტელიგენციის საქმეა. ცხინვალში გახსნეს სკოლა ასე წოდებული „Ирон гимназ“, სადაც მხოლოდ რუსულ ენაზეა სწავლება, აქ, რა თქმა უნდა, ოსის ბავშვები არიან და ბევრმა დაშნაკელმა თავისი შვილი მიაყვანა ამავე „Ирон гимназ“-ში, თუმცა თვითონ [მას] კი საქართველო „ემსახურება“ და ჯამაგირებს საქართველოს ხაზინიდან იღებს. ჰო, და აი სასწავლებელში ისე მოწამლეს (დედანშია — „ბოსწავლეს“ — ლ. თ.) ახალი თაობა, რომ დაფაროლეს სიძულვილის ბოვშვებში ინანა თავი და მათ კიდევ ზაუკადეს შენობას ცეცხლი, სადაც ცხინვალის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელია მოთავსებული. ეს კიდევ არაფერი, რომელნიც მოზრდილები იყვნენ გაიქცნენ ამ ცოტა ხანში კავკავში და ბოლშევიკებს შეუერთდნენ. რა თქმა უნდა მათ სოციალიზმისაკენ კი არ უნდოდათ წასვლა, არამედ ცხინვალისაკენ ნდა, სერთოდ, საქართველოს წინააღმდეგ. მათი ამბიდები კი არხეინად დასეირნობენ ცხინვალში.

ეხლა კიდევი სდგას ჯარი ცხინვალში და მიემგზავრება ჯავა-როკში. მე მგონია ეხლა კი უნდა უკანასკნელად გადაწყდეს საკითხი: ვისთან გვაქვს საქმე, თუ ყაჩაღებთანა გვაქვს, მაშინ ყაჩაღების წინააღმდეგ ჩვენ ომს არ ვიწყებთ, მხოლოდ მათ სასტიკადა ვსჯით და თუ მტრის წინააღმდეგ, მაშინ მათ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში ყოფნა არა სდომიათ და მათი გამოსვლები ისე უნდა აიხსნას, როგორც ომის გამოცხადება.

ასეთ გარემოებაში ყოფნა კი, როგორც აქამდე იყო, ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ყოველთვის შიშით და კანკალით მოელიან ცხინვალის მცხოვრებლები ან დღეს ჩამოვლენ ბრბოები და აგვაწიოკებენ ან ნვალაო“.

„ გ ა ზ ე თ ი „ ე რ ო ნ ბ ა“. 1920 წლის 12 ივნისი — „ი ს ნ ვ ი ს ო ს ე ბ ზ ე“ (ს ტ ა ტ ი ა ხ ე ლ მ ო წ ე რ ე ლ ი ა).

„ოსები კვლავ ამოძრავდნენ. ისინი ფიქრობენ საქართველოს რესპუბლიკის დანგრევას და ჩვენს „ჩამორჩენილ“ კუთხეებში თავისი კულტურის შტაბანს. ამ „კულტურის“ მეთაურნი არიან ყოფილი ქველი მოხელეები, ხოლო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სამერკველი ქველი, ჩვენს ხალხში საკმარისად ცნობილი „სტრაფნიკები“. მათ ეკავიერნათ ჩვენი დემოკრატია, რომელმაც დაამხო ქველი წესწყობილება. მათ სძულთ ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც მათ ლიმზრდელ და მასაზრდოებელ რუსეთის თვითმპყრობელობის სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს. ამ სამი წლის განმავლობაში, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში, ქველი ბსიზოოოგიით და სულისკვეთებით გაჟღენთილმა წრეებმა რამოდენიმეჯერ მოახდინეს შეიარაღებული გამოსვლები. რესპუბლიკამ ბოლო მოუღო მათ გამოსვლებს და ყველანაწ დემოკრატიული წეს-რიგი დაამყარა. ოსებს კი ვებოდიშებოდით. ვეეგონა, რომ შეიგნებენნ თავიანთ მოვალეობას რესპუბლიკის წინაშე. ამ ორი წლის განმავლობაში მათ ერთი ჯარის კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი არ მოუცია სახელმწიფოსათვის. ერთი შაური არ შეუტანიათ რესპუბლიკის ხაზინაში და როგორც პარაზიტები ცხოვრობდნენ რესპუბლიკის დანარჩენ მოქალაქეების ხარჯზედ. ეს მათ არ იკმარეს, როგორც ეტყობა, მათ მეთაურებს გადაუწყვეტიათ, რომ უკეთესი იქნება, რომ მოსაგებია, თუ ცხინვალის რაიონში მცხოვრებ ქართველ დემოკრატიას დაიმონავებდნენ, მათ ქონებას ხელში ჩაიგდებდნენ და ჩვენ მოქალაქეებს ხარკს დაადებდნენ კონტრიბუციის სახით ყოველდღიურ ხარჯებისათვის.

იმ ადამიანებს, რომელთაც ამ ორი წლის განმავლობაში არავითარი ეალი არ მოუხდიათ რესპუბლიკის წინაშე, სურთ ჩვენი მშვიდობიანობის სიყვარული ბორტად გამოიყენონ. დღეს რესპუბლიკამ უნდა სთქვას „კმარა". და მოელი თავისი სიძლიერით უნდა შეაგებინოს თავაშვებულ ბრბოებს, თუ რას ნიშნავს რესპუბლიკანური წეს-რიგის დაცვა და მოქალაქეს ელემენტარულ მოვალეობის ასრულების საქმიროება. აჯანყებულ ოსებს მეთაურობენ ჩრდილოეთიდან მოსული შეიარაღებული მოყაჩაღე ბრბოები. ასე ესმით კავკავის კომუნისტებს ხელშეკრულების ასრულება. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ მოსკოვის მთავრობამ ეს არ იცის, რომ ის წინაღმდეგია თავისი „პერიფერიების" ამნაირ გამოსელებისაო. შეიძლება მართლაც ტაქტიური მოსაზრებით დღეს არ უნდოდეს მოსკოვს გაამწვავოს დამოკიდებულება ჩვენს რესპუბლიკასთან. თუ ეს სა არის, მით უარესი მოსკოვის მთავრობისათვის. მაშასადამე, მას არ შესწევს ძალა ალაგმოს მისი ბანდები. რესპუბლიკის მთავრობა ერთხელ და სამუდამოდ ალაგმავს ქვეყნის მოღალატეებს. ის ვალდებულია სამუდამო ბოლო მოუღოს ამ ვანდიკის.

ის მკაცრი ზომები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა იძულებული ხდება მიმართოს მესამეთ აჯანყებულ ოსეთის რაიონის ასალგამავათ, იქნება წმინდა თავდაცვითი აქტი ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ტრის წინააღმდეგ, ეს იქნება მოძალადეებთან და მტარვალებთან ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაცავად, რესპუბლიკის და დემოკრატიის დასახსნელად".

გაზეთი „კომუნისტი". 1920 წლის 13 ივნისი. „ყველას გასაგონათ (სამხრეთ ოსეთის აჯანყების გამო)". სტატია ხელმოუწერელი

„ოსეთი კვლავ აჯანყდა და თავის შინ მან საბჭოთა ხელისუფლება (მთავრობა) გამოაცხადა; ის ისწრაფვის ეროვნული თვითგამორკვევისაკენ. ასეთი აჯანყება იქ დაახლოებით ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მესამეჯერ ხდება. აქედან აშკარაა, თუ რანაირ სერიოზულ მოელენასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე. თითოეული პოლიტიკური პარტია ვალდებულია ნათლად და გარკვევით გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ოსეთის აჯანყების შესახებ. თავისთავად იგულისხმება, რომ საქართველოს სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების დამოკიდებულება ამ წვრილ ეროვნებათა ნაციონალური თვითგამორკვევის საკითხთან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, წინდაწინვე ყველასათვის აშკარაა: ეს პარტიები არავითარ თვითგამორკვევის უფლებას არ ცნობენ არა თუ საქმით, არამედ სიტყვითაც კი და ამიტომ ისინი გადაჭრით ძალადობის მომხრენი არიან და ითხოვენ, რომ სამხრეთ ოსეთის აჯანყება იარაღის საშუალებით იქნას ჩაჩრობილი. ნათელი და აშკარაა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება ამ აჯანყებასთან, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ეროვნული თვითგამორკვევა კომუნისტების პროგრამამ ყველას გასაგონათ ამბობს, რომ ყველა ეროვნებას აქვს უფლება ნაციონალური თვითგამორკვევისა სრულ გამოყოფამდე და ცალკეულ სახელმწიფოს დაარსებამდე. მაშასადამე ამ უფლებას ვერ წაგართმევენ ჩვენ ვერც სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ, რამდენადაც მათ განსაზღვრული ტერიტორია უჭირავთ და რამდენადაც ისინი სხვა ეროვნებათა ტერიტორიას თავს არ ესხმიან. ამის თხოვნილნს ნამდვილი, ჭეშმარიტი დემოკრატიზმის პრინციპი, და ამიტომ ნაციონალური მოძრაობის ყოველივე ძალდატანებითი ჩაქრობა დაუშვებელია და დასაგმობია.

ასეთია ორი ერთი მეორეს ძირიანთან საწინააღმდეგო შეხედულება კონკრეტულად ოსეთის ხალხის თვითგამორკვევაზე. პირველი შეხედულება საესებით გამოხატავს ბურჟუაზიის იმპერიალისტურ სულისკვეთებას, მეორე დგას პროლეტარიატის თვალთახედვის წერტილზე და ეყრდნობა მუშათა ინტერნაციონალის საფუძველზე. მაგრამ არის კიდევ მესამენაირი დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის აჯანყებასთან, რომელიც სიტყვით სცნობს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ საქმით მას უარყოფს. ასეთია ქართველ მენშევიკების დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის საკითხთან. სიტყვით ეს პარტია სცნოს ერთა თვითგამორკვევას, მაგრამ საქმით ის ეროვრეკ მმართველი პარტია საქართველოში, ოსების ნაციონალურ მოძრაობას ძალდატანებით აჭრობს. ჩვენ ვამბობთ, რომ მენშევიკების ასეთი პოლიტიკა ვერ გამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლდება მუშათა ინტერნაციონალის პრინციპებით; მისი გამართლება შეიძლება მხოლოდ კაპიტალისტური ან იმპერიალისტური იდეოლოგიით.

მენშევიკების გაზეთები „ბორბა“ და „ერთობა“ ენერგიულით შეუდგნენ ასეთი პოლიტიკის გამართლებას. კიდევ მეტი ისინი მოითხოვენ რომ ჩვენ, კომუნისტებმა, დავადასტუროთ ეს ძალმომრეობის პოლიტიკა წვრილ ერთა მიმართ. მენშევიკებს გონიათ, რომ ჩვენ განგება არაფერს ვამბობთ ამბდის, მაგრამ ჩვენ არა ვართ ჩვეული სიჩუმეს, როცა ეს საჭიროა, მით უმეტეს ასეთ საკითხში.

თავის პოლიტიკას სამმხრეთ ოსეთის შესახებ მენშევიკები ამართლებენ შემდეგი სამუოთებით: 1) სამხრეთი ოსეთის თვითგამორკვევა ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებას. 2) ოსეთის შეიარაღებული ჯანყება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დარღვევაა; 3) ოსეთის მოძრაობა, ეს ჩამორჩენილი კეთილის მოძრაობაა, ისაა მოძრაობა საშუალო საუკუნოების ახალი დროის დემოკრატიის წინააღმდეგ, რასაც საქართველის დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს, ერთი სიტყვით, ოსეთი ქართული ვანდეა, რომელიც რევოლუციის და დემოკრატიის სახელით დასჯილი და დამარცხებული უნდა იქნასო. ვერც ერთი ამ საბუთთაგანი კრიტიკას ვერ უძლებს. რით უნდა შეუშალოს ხელი პატარა ოსეთის თვითგამორკვევას შედარებით დიდ საქართველოს დამოუკიდებლობას. აშკარაა, თუ დიდი რუსეთის არსებობა, ხელს არ უშლის პატარა საქართველოს არსებობას, ის პატარა ოსეთის არსებობა ხელს ვერ შეუშლის საქართველოს არსებობას, რომელიც სრულებით არ საჭიროებს პატარა ოსეთის ტერიტორიას. მეორე მხრით, საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება აქ არაფერ შუაშია. საბჭოთა რუსეთმა, თანახმად მის მიერ აღსარებულ პრინციპისა ეროვნული თვითგამორკვევის უფლებისა, მან იცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, მან უარი განაცხადა მის ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა წვრილ ეროვნებათ, როგორიც არიან თუნდაც ოსები, ეროვნული თვითგამორკვევის უფლება ამ ხელშეკრულების ძალით აღარ აქვთ. ამის მტკიცება პირდაპირ აბსურდია. მაგრამ მენშევიკები ამბობენ, რომ ჯანყებას საიდუმლოთ ხელი შეუწყო და დაეხმარა საბჭოთა რუსეთი. მაგრამ ოსეთი წინათაც ორჯერ ჯანყდა, როცა საბჭოთა რუსეთს მისთვის არავითარი დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო და რათ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ახლაც ის დამოუკიდებლათ ჯანყდა? მაშასადამე, საბჭოთ ხელშეკრულების არავითარ დარღვევას აქ ადგილი არ აქვს. მაგრამ მენშევიკებს აქვთ კიდევ მესამე საბუთი.

ოსეთი, იმათი აზრით, წარმოადგენს საქართველოს ვანდეას, ის იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ, ის იცავს საშუალო საუკუნოების წეს-წყობილებას, მას აქვს მტაცებლობითი და ყაჩაღური ხასიათი; და გარდა ამისა, ოსეთის ჯანყებამ ვერ წამოაყენა ეროვნითარი ლოზუნგი, ვერც ნაციონალური და ვერც სოციალური. ჯავის ჯანყებულთ არასოდეს არ წამოუყენებიათ თავის დროზე რაიმე გარკვეული და განსაზღვრული ლოზუნგები, რომელთა სახელით ისინი იბრძვიან; ისინი იღებენ მათთვის სრულებით უცხოს და გაუგებარს ლოზუნგებსო და სხვ. ყველა ამის ძალით საქართველოს დემოკრატია, მენშევიკების აზრით, ეალდებულია ჩაჩაქოს ჯაველ ოსების მოძრაობა იარაღის საშუალებით. რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოსათვის არ წარმოადგენს ვანდეას, რომ ის არ იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ, ეს ყველასათვის აშკარაა, მაგრამ ყველაზე უფრო გაუგებარია აქ ის, რომ ოსეთის მოძრაობის თითქო არავითარი ლოზუნგი არ წამოუყენებიოს. როგორც ჩანს ბოლშევიკური კომუნისტური ლოზუნგები, ლოზუნგები საბჭოთა ხელისუფლებისა, მენშევიკებისათვის ლოზუნგები არაა, ვინაიდან ეს ლოზუნგები მათ არ მოსწონთ. მენშევიკები ვერ უარყოფენ იმ ფაქტებს, რომ სამხრეთ ოსეთი საბჭოთა მთავრობის დროშის ქვეშ იბრძვის, მაგრამ ეს მისი უფლებაა. ისე, როგორც ქართველი დემოკრატია მოითხოვს თავის თვითგამორკვევას და წინააღმდეგობას უწევს ყველა იმათ, ვინც მათ ძალით თავს ახვევს თავის ნებისყოფას, ისევე ჯავის ოსებს სრული უფლება აქვთ ჭეშმარიტი დემოკრატიზმის სახელით მოითხოვონ რომ ძალდატანებით მათ ნურავინ მოახვევს თავის ნების ყოფას.

— თქვენ არ მოგწონთ საბჭოთა პრინციპები, მაგრამ ნება მოგვეცით ჩვენ შინ განვახორციელოთ ეს პრინციპებიო — აი რას ამბობენ და რას მოითხოვენ საქართველოს დემოკრატიისაგან ჯავის ოსები.

ერთი სიტყვით, შეიარაღებული ძალით ჯავის მოძრაობის ჩაჭრობა არ მარ ილდება საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპებით, ეს ეწინააღმდეგება მუშათა ინტერნაციონალის ჯეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა საუკეთესო იდეებს. პარტიას, რომლის პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის უფლებაა აღიარებული, არ შეუძლია ოსეთის ხალხის თვითგამორკვევას შეებრძოლოს ტლანქი ძალით. ეს იქნება თავისი პროგრამის უარყოფა, ეს იქნება დანაშაული ინტერნაციონალური პროლეტარიატის წინაშე.

მეზობელ ხალხთა ძმური სოლიდარობის სახელით, ჩვენ ვთხოულობთ, რომ ოსეთზე ძალადატანება არ იქნას ხმარებული, რომ ამ ნიადაგზე არ დაიღვაროს ქართველ და ოს მუშების და გლეხების სისხლი. თუ მართლა არსებობს ერთა თვითგამორკვევის უფლება, თუ მენშევიკებს არ ამოუშლიათ ეს უფლება თავის პროგრამიდან, იმათ არ აქვთ არავითარი საფუძველი ოსეთზე ძალადატანების გასამართლებლათ. ამას თხოულობს არა თუ სოციალიზმი, არამედ უბრალო დემოკრატიზმის პრინციპი. და გარდა ამისა ამასვე თხოულობს თვით საქართველოს დამოუკიდებლობის ინტერესი იმ დროს, როცა ამ დამოუკიდებლობას გარეშე მტრები ემუქრებიან, ვინაიდან ასეთ დროს საჭიროა, რომ მას ზურგი გამაგრებული ქონდეს და არ საჭიროებდეს იმ სამხედრო ძალების დაბანდებას. საქართველოს ინტერესები თხოულობენ, რომ ოსეთთან ის მეგობრულ განწყობილებაში იყოს, და ის შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ საქართველოს დემოკრატია იცნობს ოსების ეროვნულ თვითგამორკვევას. თუ ასეთ ცნობა არ მოხდა, თუ ოსეთის აჯანყება უხეში ძალით იქნა ჩაქრობილი, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა ამ ძმათა შორის სისხლის ღვრაში თავს დაატყდება საქართველოს მენშევიკების პარტიას და სხვას არავის. ეს კიდევ არაფერი. ამით საფრთხეში ჩაგარდება თვით საქართველოს დამოუკიდებლობა, რომლის დაცვას თითქო ასე ენერგიულად ცდილობენ მენშევიკები. მაშ ძირს სისხლის მღვრეული ომი მომძმე ხალხთა შორის, და გაუმარჯოს ძმური, სოლიდარული განწყობილებას! გაუმარჯოს ერთა თვითგამორკვევის უფლებას“.

გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 15 ივნისი.
„კიდევ ოსეთზე“ (სტატია ხელმოუწერელია)

„ბოლშევიკებმა ხმა ამოიღეს. მათ თქვეს თავის გულის ნადება, მაკრამ ისე, როგორც შეფერის მათ იდეურობას.

ისინი წინააღმდეგი არიან, რომ საქართველოს ჯარმა იარაღით გასცეს პასუხი აჯანყებულ ჯავის ხეობას. რათა? იმიტომ ხომ არა, რომ ეს აჯანყება თითონ მათ მოაწყვეს და მათი ლოზუნგების საფარველ ქვეშ დააყენეს ის ნასტრაფნიკალი და ნაპრისტავალი ხელმძღვანელები, რომელნიც ყაჩაღებთან ერთად ამყარებენ ცხინვალის რაიონში ბოლშევიკურ „სოციალიზმს“?

ერთი თვითგამორკვევის — ამ დიადი იდეის სახელით ამართელებენ ბოლშევიკები ოსეთის მუხანათურ თავდასხმას.

ოსები თავს დაგვესხნენ მაშინ, როცა, ჩვენ ფრონტი გვქონდა ადერბეიჯანის საზღვარზე და ბათომის ოლქში. იმას ეძახიან ჩვეულებრივ ენაზე — მოღალატობას, დემოკრატიისათვის ზურგში მახვილის ჩაცემას, რაც ჯავის ოსების მათი ბოლშევიკური ყაჩაღების ლიდერობით სისტემათ გადაგვქცათ, და თუ ჩვენ ამის წინააღმდეგ გაველაშქრეთ, ესე იგი თავდამსხმელი მოვიგერიეთ, ეს არის თურმე „თვითგამორკვევის უფლების შელახვა“.

მერე მართალია ბოლშევიკების იდეური წუწუნი? „კომუნისტების“ პროგრამა ყველას გასაგონათ ამბობს, რომ ყველა ეროვნებას აქვს უფლება ნაციონალური თვითგამორკვევისა, სრულ გამოყოფამდე და ცალკე სახელმწიფოს დაარსებამდე“. კეთილი! მაგრამ ერთი ვიკითხოთ, მართლა ახორციელებს ამას კომუნისტების ლაშქარი და კომთანტები?

ავიღოთ რრიღლო-კაკასია, სადაც იმყოფება ასეთი მთავარი ტერიტორია. ბოლშევიკები ჯავის ხეობის გადმოსახლებულ ოსებს ურიგებენ სახელმწიფოებრივ უფლებებს — რატომ რრიღლო ოსეთის, ესე იგი ოსეთის ნამდვილ ტერიტორიაზე არ ახორციელებენ ამ თავის პროგრამას? იქ ხომ საქართველო აღარ ყავთ ხელის შემშლელი! ან ჩეჩნები, დაღესტნელები რატომ ვერ ღებულობენ დამოუკიდებლობას, ან კიდევ ყაზახები და სხვ.? რათ დაუყენეს ეთ სათავეში ზევიდან დანიშნული კომისრები და წითელ არმიელთა სისხლიანი ხიშტებით აბშობენ მათ თავისუფლებას?

როცა გაზ. „კომუნისტი“, რომელიც თფილისში გამოდის, ასე ებღაუჭება ამ დიდ ლოზუნგს, ამავე დროს, რათ ხდება, რომ კავკაზის, „კომუნისტი“ რუსულ ენაზე, ძირითადად უარყოფს ამ ლოზუნგს? იგი ამბობს „რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ხანაში 1917 წელს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი იყო მომენტის შესაფერი ლოზუნგი იმისთვის რომ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენგრია მეფისა და მემამულეთა სახელმწიფო, ძირი გამოეთხარათ მისი ცენტრალიზმისათვის და ასე დაესუსტებიათ იგი".

ახლა კი, ცხადია, თავის კომუნისტურ ცენტრალიზმისათვის ძირის გამოთხრა არ სურთ.

ამიტომაო, ბალშევიკების ეს იდეა ბუშმენურ წესით ტარდება. იგი კარგია, თუ ამაში სხვის სახელმწიფოს არღვევ. ცუდია, თუ იგი შენ სახელმწიფოს გირღვევს.

ახლა ყველასათვის ცხადია, თუ რა მიზანს ემსახურება თფილისელი „კომუნისტი", როცა ჯაფის ხეობაში უნდა შექმნას საბჭოთა დამოუკიდებელი რესპუბლიკა და იმავე დროს მთავარი ოსეთისათვის თვითგამორკვევაზე სიტყვის თქმაც კი კონტრრევოლუციონერობად მიაჩნია.

ღიად, ცხადია, რომ ჯაფის თვითგამორკვევა არის საქართველოს დარღვევის ბოროტ-სურ-ვილით წამოყენებული, ხოლო გაზეთი იტყუნებენ, რომ ჯაფა არ ესაჭიროება საქართველოსო, და სხვა ლაპაიები, ძხოლოდ ფარისეველობაა ამ შავი განზრახვების დასაფარავად მოყვანილი.

მაგრამ მათი ორმაგი თვალთმაქცი ბოლიტიკის კუდი კალთიდან მოსჩანს და ამხელს მათს აზრსა და მოქმედებას.

ეაშ ასე, ბალშევიკები ორპირობენ. იდეურ ცუღლუტობას ეწევიან, რომ თავის აფაფყუბის წყურვილი ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ როგორმე მაღალი ფრაზების სამოსელში გაახვიონ.

მაგრამ იქნება ჩვენთვის, დემოკრატიისათვის არის სავალდებული, ოსთა თვითგამორკვევა ჯაფის ხეობაში? ჩვენ ხომ მართალ მომხრე ვართ ეროვნული თვითგამორკვევის, ვიდრე სიწყოთ ესეც:

ყოველ ერს აქვს უფლება თვითგამორკვევის. ეს მართალია. მაგრამ ამ შემოხვევაში უნდა დაისვას საკითხი მთელი ერის. ანუ მისი დიდი უმრავლესობის შესახებ. ოსებს აქვთ უფლება თვითგამორკვევისა, ეს უდაოა. მაგრამ ყველა ოსის სოფელს, ანუ თემს ასეთი უფლება არ აქვს.

საქართველო დამოუკიდებელია დღეს, მაგრამ მასში არ შედიან არც სოჭის ოლქის ქართველები, არც კაკეადის, არც მინერალურ წყლების რაიონში მცხოვრებნი, რამდენადაც ისინი ადგილობრივი მკვიდრნი არიან. განა მათი ყოფნა იმ რაიონებში, შეიძლება გახდეს საბუთი კაკეადისა და სოჭისაგან ქართულ სახელმწიფოს შემქმნისა?

რასაკვირველია არა. ეს არც ბოლშევიკებს მოსვლია თავში. ჩვენ, მით უმეტეს.

გორის მაზრაშიც რამდენიმე სოფელი და ეროი-ორი თემი არის ოსებისაგან შემდგარი. მაგრამ განა მათაც ისე არ უნდა ვუყუროთ როგორც ქართველთა კოლონიას ჩრდილო კავკასიაში!? ცხადია, ეს არის მცირე ნაწილი ერისა, რომელიც მეორე ერის ფარგლებში მოყოლია ხალხთა ნარევად ცხოვრების გამო. ოსები არიან კახეთში, ალაზან გაღმა, არიან ბერნის ხეობაში, არიან ტრიქსის ხეობაში, ჯავაში, რაჭაში, სარხერის მაზრაში, მაგრამ ესენი შედგენენ რამდენიმე სოფელს, რომელიც საქართველოს უდავო ტერიტორიაში შედის, ამიტომ მათ ეროვნულ განცალკევებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. აქ შეიძლება საკითხის დასმა მხოლოდ მათი კულტურული განვითარების უზრუნველყოფაზე. არც მეტი, არც ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით ისეთ დებულებას, რაც უმრავლესი ერი უნდა გახდეს მსხვერპლი უმცირესობის, რომელიც მის საზღვრებზე ნარევად ცხოვრობს და ამით მის ტერიტორიას აჭრელებს.

სად გაგონილა, რომ რამდენიმე მილიონი მცხოვრები შეწყროდეს მსხვერპლად რამდენიმე ათასეულს! ჯაფის ხეობის დამოუკიდებლობა, კახეთის ოსების და სხვა წვრილ ეროვნულ ნაშთების, იქნებოდა საქართველოს დარღვევა, მისი საზღვრების მოშლა და ადგილად დასაპყრობად გადაქცევა. ბალშევიკებს რომ ეს სურთ, ჩვენთვის ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, მაგრამ როცა ისინი ამ იდუმალ ზრახვას ერთა თვითგამორკვევის იდეას ახვევენ თავზე, ეს იდეური შანტაჟია და მეტი არაფერი. თვითგამორკვევის უფლება სრულ დამოუკიდებლობამდე აქვს ერებს, და არა ერთა მცირე ნაშთებს, რომელნიც გადასახლებულან სხვა ეროვნების ფარგლებში და არც ერთ სოციალისტს არ უქადაგნია აქამდე ყოველი სოფლის და თემის თვითგამორკვევა. არამედ აღიარებდენ თვითგამორკვევას მთელი ერის, როგორც ასეთის.

ოსეთის თვითგამორკვევა ამ პრინციპის მიხედვით უნდა მოხდეს ე. წ. ჩრდილო ოსეთში, სადაც ოსთა ოთხმოცდაათი პროცენტი ცხოვრობს და არა ჯაფაში, სადაც სულ რამდენიმე სოფელია ოსის.

ეს გახლავთ სოციალისტური სიმართლე და არა ის, რასაც ბალშევიკები გაიძახიან მეხანათური მიზნით ყველას გასაგონათ, თვით გაზეთის ფურცლებზე.

ამ პრინციპს ვადგიეართ ჩვენ, ქართველი სოციალ-დემოკრატები საერთაშორისო პროლეტარიატის დიდებულ მოძღვრებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ბოლშევიკების აჯანყების მართლებას საკუთარ სახელს ვაძლევთ, ეს არის მოღალატობა საერთაშორისო სოციალიზმის, ეს არის მოღალატობა საქართველოს დემოკრატიის და მისი რესპუბლიკის".

გაზეთი „ერთობა". 1920 წლის 18 ივნისი. „ოსების აჯანყება და ჩრდილო-კავკ. კომუნისტები" (სტატია ხელმოუწერელია)

„კავკავის კომუნისტების გაზეთი „სალდატ. რევოლუციის" 4 ივნისის ნომერი სხვათა შორის შემდეგსა სწერს „აჯანყება, რომლის შესახებაც ჩვენ თავის დროზე ვწერდით, ფართოვდება და ფეხს იკიდებს. სამხრეთ ოსეთის პროლეტარიატი ემზადება საქკვრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს ქართველ ჯალათებს — ეროდანის მთავრობას.

როდესაც განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღები შეიჭრნენ ჩრდილოეთიდან სამხრეთ ოსეთში, მშრომელი მთის ოსებმა გამოაცხადეს თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა მთავრობა, მიმართავენ რა რუსეთის საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, სამხრეთ ოსეთის ყირილობის წარმომადგენლები, პროტესტს აცხადებენ, რომ ისინი ძალით შეუერთეს ბიეროკრატიული რუსეთის ნაბუშარ სოციალ-გამყიდველების საქართველოს რესპუბლიკას. მთას ესმის ეს ხმა, ესმით გამხეცებულ მეწმევიკების კბილების კრაჭუნი და წინასწარვე გრძნობენ, რომ დაკოქებული ხელები რუსეთის პროლეტარიატის, მიეშველება მათ".

ასე „იცავენ" და „ასრულებენ" მოსკოვში საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას ჩრდილო კავკასიის კომუნისტები!

ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი?"

Л. М. ТОИДЗЕ

ОБРАЗОВАНИЕ ЮГО-ОСЕТИНСКОЙ АВТОНОМНОЙ ОБЛАСТИ

Резюме

Автор на основе анализа многочисленных документальных материалов прослеживает процесс образования Юго-Осетинской автономной области в составе Грузинской ССР.

После долгой подготовительной работы Юго-Осетинская автономная область была образована в апреле 1922 года. В ее состав, наряду с деревнями, населенными осетинами, были включены грузинские селения (с центром в г. Цхинвали), что вызвало законное недовольство со стороны грузинского населения.

Официальные протесты, направленные сельскими (грузинскими) сходами по этому поводу в высшие инстанции Грузинской ССР, не были учтены партийным и советским руководством республики, что было воспринято общественностью как ущемление национальных интересов грузинского народа.

В работе содержится попытка раскрыть причины, обусловившие обострение межнациональных отношений, обосновывается необходимость политического урегулирования отношений между грузинским и осетинским народами.

L. M. TOIDZE

FORMATION OF SOUTH OSSETIAN AUTONOMOUS OBLAST

Summary

Having analysed numerous documents the Authors traces back the process of formation of the South—Ossetian Autonomous Oblast (region) within the Georgian SSR.

The South Ossetian Autonomous Oblast was formed in the april of 1922 after a long preparatory work. Besides the villages inhabited by Ossetians, it contained Georgian villages (with the centre in the town of Tskhinvali), this latter fact causing quite legitimate discontent among the Georgian population.

Official protests addressed to the highest authorities of the Georgian SSR by the Georgian village meetings were ignored by the party and soviet auhorities, and this was considered by the society, as infringement upon national interes s of the Georgian people.

The Author attempts to reveal factors causing strained national relations, gives reasons for the urgency of political settlement of relations betwen the Georgian and Ossetian peoples.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერი სილოგავა

ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები

3. „ჯელი და სიმტკიცე“ სოფელ ვარიანიდან

შუა ქართლში, ქ. გორიდან ჩრდ.-დასავლეთით 14 კმ-ზე, იაკობ გოგებაშვილის შმობლიურ სოფელ ვ ა რ ი ა ნ შ ი, სოფლის განაპირას, ვაშლის ვრცელი ბაღებით გარშემორტყმულ მინდორზე დგას ამჟამად დანგრეული ეკლესია „დედაღვთისა“. ეკლესია აგებულია მდინარის ხეობის ქვებით, რომლებიც ერთმანეთთან შეკავშირებულია კირქვის დუღაბის სქელი ხსნარით. კედლების კუთხისა და თაღების ქვებად გამოყენებულია მუქი შაბიამნისფერი და ღვინისფერი ქვის ფილების სწორკუთხად გათლილი მოზრდილი კვადრები. ამჟამად (1983) დგას საყდრის მხოლოდ დახეთქილ-დაბზარული და ბეერგან სანახევროზე მეტად გადანგრეული კედლები, ხოლო მისი ჭერი და სახურავი მთლიანად ჩანგრეულ-ჩაქცეულია. აქა-იქ კედლებზე საკმაოდ მოზრდილი ხეებიცაა ამოსული (ძირითადად — ლეღვი, კუნელი...)*.

ღმრთისმშობლის მოზრდილ ეკლესიას შესასვლელი ჰქონია სამი მხრიდან. მათგან, შედარებით მეტ-ნაკლები სისრულით, მოღწეულია ჩრდ. შესასვლელი. მისი თაღი და გვერდითი კიდეები ამოყვანილია ღვინისფერი ტუფის გათლილი ფილებით. შესასვლელის ჭრილის ბალავრად გადებულია შაბიამნისფერი ტუფის დიდი ზომის (140×30 სმ.) ფილა, რომელიც კედლის წყობაში ღრმად არის ჩასმული. ამის გამო, მას გადმოფარებული აქვს შესასვლელის თაღის განიერი წარბი, რომელსაც ატმოსფერული ნალექებისაგან კარგად დაუცავს, როგორც ეს ფილა, ისე მასზე ამოკვეთილი წარწერა (სურ. 1).

ფილაზე წარწერა ამოკვეთილია 8 სტრიქონად. პირველი სტრიქონი და მეორე სტრიქონის პირველი ასო (ღ) შესრულებულია გარდამავალი მხედრული დამწერლობით. ხოლო დანარჩენი ტექსტი — ასომთავრულით. ასოები ამოკვეთილია ღრმა და განიერი კვეთით; ზოგიერთ ადგილას, სხვებთან შედარებით, ძალზე განიერი კვეთით. წარწერის სტრიქონებისათვის ფილის ზედაპირზე გაკვლებულია პარალელური განივი ხაზები, თუმცა, ასოები არათანაბარი სიმაღლისაა და ხაზებს შორის მათი მოთავსება არ არის დაცული. ასოების სიმაღლე: 2—4, 5—5 სმ., განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ჭარაგმის ნიშანი — მოკლე, ღრმად ამოკვეთილი განივი ხაზი.

წარწერიანი ფილის ქვედა კიდე შემომტკრეულია და, გარდა ამისა, კიდესთან ახლოს ფილის ზედაპირი ატკეცილ-ამომტკრეულია. ამის შედეგად, წარწერის ბოლო ორი სტრიქონი ძალზე დაზიანებულია და ნაკლული, ისე, რომ მისგან მხოლოდ მეტად უმნიშვნელო ნაწილია მოღწეული. ეს მით უფრო დასანანია, რომ როგორც ჩანს, სწორედ აქ ყოფილა მოთავსებული ტექსტის ძი-

* საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 67, № 106.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითადი და არსებითი ნაწილი, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად საბოლოოდ დაღუპულია. გარდა ამისა, ფილის ზედაპირი, უკვე ქვის თავისებურებიდან გამომდინარე, რამდენადმე ფოროვანია. ამის შედეგად, ასომთავრული ასოები ყო-

სურ. 1

ველთვის ერთნაირი სიმრგვალით და ლაზათით არ არის გამოყვანილი. ყოველივე აღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ ტიმპანის ფილა მარჯვენა მხარეს გაპობილია მთელ სიგრძეზე.

წარწერის ტექსტი ასეთია (სურ. 2, 3):

† სახელითა ღ(მრ)თისა(ი)თა, მამისა და ძისა, ს(უ)ლისა წ(მი)დისაითა. მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მი)დ(ი)სა ღ(მრ)თისმშ(ო)ბელისაითა, შეწევნითა და მ(ეო)-ხ(ე)ბ(ი)თა წ(მი)დ(ი)სა გ(იორგ)ისითა, ესე ველი მე, და სიმტკიცე მე, სამგზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაწყალობელ[მ(ა)ნ სტეფ]ა[ნ]ე(?) [დავწერე. შევხწირე ვარ]აანს ტე[...] [სა-ლოცველ]ად.



სურ. 2



სურ. 3

როგორც ვხედავთ, წარწერა ეპიგრაფიკული საბუთია და ოისი ტექსტი წარმოადგენს „ჯელს“ და „სიმტკიცეს“. სამწუხაროდ, ტექსტის ნაკლულობის გამო, გაურკვეველია, თუ რას შეეხებოდა იგი. თითქოს ცხადია მხოლოდ ის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იგი რაღაც შეწირულებას გადმოსცემდა. საეჭვოა ასევე, სბუთის გამცემის სახელის („სტეფანე") აქ წარმოდგენილი წაკითხვა — ამის საფუძველს მხოლოდ სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ბოლოს შემორჩენილი ასოები ა, ე, გვაძლევს (თუ დავუშვებთ, რომ სახელი დაუქარაგმებლად იყო გადმოცემული, არ არის გამორიცხული, რომ აქ ასევე წავიკითხოთ „იოვანე"). შეიძლება მასთან რაიმე წოდების, ან თანამდებობის („კეფისუფალი"?) სიტყვაც იყო აღნიშნული. ტექსტის დასასრული ფორმულაც, ალბათ, უფრო ვრცელი იყო, მაგრამ რადგან აქ ვარიანტების დიდი მრავალფეროვნებაა შესაძლებელი, მისი უფრო ვრცელი სახით აღდგენისაგან თავს ვიკავებთ.

წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ტექსტის პირველი სტრიქონი და მეორე სტრიქონის პირველი ასო, როგორც აღინიშნა, შესრულებულია გარდამავალი მხედრული დამწერლობით. ასომთავრული ასოებიდან:

Ⴓ ა-ს მუცელი ნახევარწრეზე მეტი მოხაზულობისაა, რომელსაც განივი ხაზი უშუალოდ, ყელის გარეშე, პირდაპირ რკალზე ადევს. ეს ასო ტექსტში დასტურდება ორნაირი მოხაზულობით — ერთია ჩვეულებრივი, მრგვლოვანი ასომთავრული მოხაზულობა, რომლის შესახებაც აღვნიშნეთ, მეორეა — კუთხოვანი მოხაზულობით (განსაკუთრებით თვალსაჩინოდ და გამოკვეთილად მე-4 სტრიქონის ბოლოს და მე-5 სტრიქონის დასაწყისში), რომელიც რამდენადმე ნუსხურ მოხაზულობას ემსგავსება. თუმცა, ზომით ასომთავრული ასოების სიდიდისაა.

Ⴔ დ-ს სწორი მოხაზულობის წრეს განივი ხაზი უშუალოდ ადევს, თანაც მარცხნიდან მარყუჟი გახსნილია, ბოლომდე განივ ხაზთან შეერთებული არ არის.

Ⴕ თ-ს მუცელი ყველა შემთხვევაში გადმოცემულია სწორი წრის სახით, რომელსაც მიდგმული აქვს მოზრდილი მარყუჟი, განივი ხაზი, ძირსდაწეული კაუჭით.

Ⴖ წ-ს თავმუცელი. რომელიც რამდენადმე დაკუთხული მოხაზულობისაა, განსაკუთრებით მუცელი, ყველა შემთხვევაში შეკრულია.

Ⴗ ლ კუთხოვანი მოხაზულობისაა, განუსხურებისაკენ მიდრეკილებით, თუმცა, სიდიდით ასომთავრული ასოების ტოლია.

Ⴘ ღ, Ⴙ ც და მათთან ერთად კუთხოვანი Ⴚ ტ ნუსხური მოხაზულობისაა, თუმცა, როგორც ამ წარწერის ნუსხური მოხაზულობის მიდრეკილების სხვა ასოები, ესენიც დანარჩენი ასომთავრული ასოების ზომისაა და ტექსტში პროპორციულადაა განლაგებული.

აღსანიშნავია, აგრეთვე, დამწერლობის დაბალი ღუქტუსი, ასოების „დამჯდარი" მოხაზულობა.

აღწერილი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა X ს-ით, ან XI ს-ის დასაწყისით თარიღდება. ამავე ხანით ათარიღებს მას ტექსტის რეალიები — დიპლომატიკური ტერმინი „ჯელი", რომელიც, ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციით, სბუთის აღსანიშნავად მხოლოდ XI ს-ში, ან X—XI სს-ში გვხვდება. ყოველივე აღნიშნულის მიხედვით, ვარიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერა, როგორც ჩანს, X ს-ის დასასრულით და XI ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს[1].

მიუხედავად იმისა, რომ ვარიანის წარწერის ტექსტის არსებითი ნაწილი ძალზე დაზიანებულია, ტექსტის მოღწეული ფრაგმენტები მაინც მნიშვნელოვანია: ჯერ ერთი, ტექსტის მიხედვით ცხადია, რომ წარწერა განეკუთვნება ჩვენამდე მოღწეულ იმ მცირერიცხოვან ეპიგრაფიკულ საბუთებს, რომელთაც „ჴელი“ ეწოდებათ; აქვე დასტურდება მეორე დიპლომატიკური ტერმინი „სიმტკიცე“, რომელიც ეპიგრაფიკულ ძეგლებში აქამდე უცნობი იყო და ბოლოს, ტექსტის შემორჩენილი ფრაგმენტის („...იანს“) მიხედვით, თუ აქ წარმოდგენილი აღდგენა („[ვარ]იანს“) სწორია, მივიღეთ, რომ წარწერაში დასტურდება ტოპონიმი „ვარიანი“, რომელიც ამ ადგილს უძველესი დროიდან, სულ ცოტა X ს-დან მაინც ჰრქმევია.

სადღეისოდ, ვარიანის წარწერის გარდა, სპეციალურ ლიტერატურაში სულ შვიდი „ჴელია“ აღრიცხული — ოთხი ზემო სვანეთის წარწერა-გრაფიტებში, ერთი — რაჭაში (ზემო კრიხი), ხოლო ორი — აღმოსავლეთ საქართველოში (მეჯუდის და გომეწრის წარწერები)[2]. ამჟამად მათ უნდა მიემატოს ვარიანის წარწერაც, რომელსაც ტექსტის მიხედვით, ეწოდება როგორც „ჴელი“ ისე „სიმტკიცე“.

ტერმინი „ჴელი“, მისი მნიშვნელობა, დანიშნულება და გავრცელების ჭრონოლოგიური საზღვრები საგანგებოდ შეისწავლა აკად. ნ. ბერძენიშვილმა[3], რომლის მიერ მიღებული დასკვნები შემდეგშიც არაერთხელ დადასტურდა ახალგამოვლენილი მასალებით.

ტერმინი „სიმტკიცე“ ერთ-ერთი ქართული დიპლომატიკური ტერმინია. საადგილოდ ცნობილ ისტორიულ დოკუმენტებში იგი ყველაზე ადრე დასტურდება მელქიზედეკ ქართლის კათალიკოსის „დაწერილში“ სვეტიცხოვლისადმი. უკანასკნელი გამოცემის მიხედვით 1031/1033 წწ. დათარიღებულ ამ საბუთში, ტერმინი „სიმტკიცე“ ორგზის გვხვდება: 1. მელქიზედეკ კათალიკოსის ხელრთულობაში — „თქუენ, წმიდანო მღდელო-მოძღუანარნო, რომელთა ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისაი ჰნახოთ, თქუენ ს ი მ ტ კ ი ც ე დაწერეთ“[4] და 2. ოქროპირ ქართლის კათალიკოსის ხელრთულობაში, სადაც აღნიშნულია — „ესე, ვითა... მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოსსა თვისა ჴელითა ს ი მ ტ კ ი ც ე დაუწერია... მეცა გლახაკსა... ჩემითა ჴელითა დამიწერია და მათი ბრძანებული დამიმტკიცებია“-ო[5].

---

[1] წარწერის ტექსტი 1984 წელს გამოსცა პროფ. ი. მეგრელიძემ (იხ. მ ი ს ი, სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984, გვ. 108). სამწუხაროდ, წარწერის ამ გამოცემაში ტექსტი რომ საბუთს წარმოადგენს შეუმჩნეველი დარჩა (ამის შესახებ იხ. სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II, თბ., 1988, გვ. 186). ამავე პუბლიკაციაში წარწერის გარდამავალი მხედრულით შესრულებული ნაწილი დახასიათებულია როგორც „ნაკლებ ოსტატურად გამოკვეთილი“, ხოლო წარწერა დათარიღებულია XII ს-ის II ნახ.-ით. ამავე დროს, წარწერის პირველი სტრიქონის † წაკითხულია, როგორც „აქ“, მე-4 სტრიქონის „მეოხებითა“, როგორც „თხბთა“, მე-5 სტრიქონის „მეოხებითა“, როგორც „გამგებთა“, მე-6 სტრიქონში წაკითხავია „ჴელი მე და“, ხოლო ამავე სტრიქონის „სამგზის“-იდან ბოლომდე წაკითხულია მხოლოდ „წრ...“.

[2] სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II. 1988, გვ. 188—189.

[3] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 135—191.

[4] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, თბ., 1984, გვ. 29, № 2: 134—136.

[5] იქვე, გვ. 30—31, № 2 : 154—159.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვანილი ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ „სიმტკიცე“ საბუთისადმი დართული ხელრთულობის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო. მელქიზედეკ კათალიკოსის იმავე დაწერილიდან, თითქოს, ისეც ჩანს, რომ საბუთისადმი დართულ ხელრთულობას „ჯელის ჩართვა და დამტკიცებაც“ ეწოდებოდა; კერძოდ, საბუთისადმი დართულ კვარივე კახთა მეფის ხელრთულობაში შემდეგია აღნიშნული: „ესე ვითა, დიდებულ-ყოვს ღმერთმან სული მათი, მელქიზედეკს ქართლის კათალიკოზსა, სულისა მათისათუის გაუგია და დაუწერია და შემდგომად, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატს კუროპალატსა ჯელითა მათითა ჩაურთავს და დაუმტკიცებია, მეცა, კურიკე მეფესა, დისწულსა კურიკე მეფისასა, ჯელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია“[6].

მელქიზედეკ კათალიკოსის დაწერილის სხვა ადგილიდან, თითქოს, ისიც ჩანს, რომ „სიმტკიცე“ საბუთის აღმნიშვნელი ტერმინიც უნდა ყოფილიყო: „რომელნი სოფელნი ძველად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალნი იყუნეს. და მე მოვაჯსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კუროპალატსა და შეუვალად გამიჯადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალობისა“[7]. ისე ჩანს, რომ „სიმტკიცე“, თითქოს, ამ მნიშვნელობით დასტურდება ვარიანის წარწერის ტექსტშიც, მაგრამ, აქ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება.

ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ წარწერაში ტერმინები „ჯელი“ და „სიმტკიცე“ გამოყოფილად, ცალ-ცალეკეა დაწერილი, როგორც სხვადასხვა საგნის აღმნიშვნელი სახელები: „ესე ჯელი მე, და სიმტკიცე მე“. როგორც ჩანს, აქ „ჯელი“, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ეპიგრაფიკულ საბუთს აღნიშნავს, ხოლო „სიმტკიცე“ ხელრთულობას, დართულს საბუთისადმი, რომლის თავდაპირველი დედანი ტექსტი რბილ საწერ მასალაზე იქნებოდა დაწერილი თავისი ხელრთულობა-დამტკიცებებით[8]. სწორედ ასეთი საბუთის მოკლე შინაარსის, ძირითადი არსის გადმოცემას წარმოადგენს ის „ჯელი“, რომელიც ვარიანის ეკლესიაზეა ამოკვეთილი, როგორც ამას ჰქონდა ადგილი სხვა ეპიგრაფიკული საბუთების შემთხვევებშიც.

ამრიგად, ვარიანის წარწერა-საბუთში დადასტურებული ორი დიპლომატიკური ტერმინიდან („ჯელი“ და „სიმტკიცე“) ერთი აღნიშნავს ეპიგრაფიკულ საბუთს, როგორც ეს აქამდეც იყო ცნობილი და მიღებული, ხოლო მეორე — საბუთისადმი დართულ ხელრთულობას.

4. ანტონ ჭუთათელის წარწერა

თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანში, „ოქროს ჯვრის“ სახელით ცნობილი ეკლესიის ნანგრევების გაწმენდისას, სხვადასხვა არქიტექტურულ დეტალებს შორის აღმოჩნდა თეთრი კირქვის სწორი, ოთხკუთხა ფილა, რომლის ზედაპირი მთლიანად შევსებულია ამოკვეთით შესრულებული კიდურწა-

---

[6] იქვე, გვ. 30, № 2 : 143—148; ი. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 113—114.

[7] იქვე, გვ. 27, № 2 : 77—79.

[8] ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „სიმტკიცის წიგნი“, ანუ „სიმტკიცე“ „საბუთების ერთ ჯგუფს ჰქვიან“ (იხ. მისი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა, გვ. 42; თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 127).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრული ასომთავრული წარწერით[1]. ფილის ზომებია: 56×40 სმ., სისქე — 16—18 სმ. ფილის ზედა კიდე მარცხენა მხარეს ატკეცილია, ასევე, უმნიშვნელოდ ჩამოთლილია ქვედა კიდე მარჯვენა მხარეს. ზედა კიდის ატკეცვის გამო, წარწერის პირველი სტრიქონის დასაწყისი დაზიანებულია და ტექსტი ნაკლულია. 4—5 ადგილას ფილის ზედაპირზე დასმულია გვიან გავლებული ვერტიკალური ღარები — მარცხენა ნაწილში, ბოლო ორი სტრიქონის არეში ეს ღა-



სურ. 4

რები ჯვრებს გადმოსცემს. ამ ვერტიკალური ღარებით გადახაზულია წარწერის ზოგიერთი ასო. გარდა ამის, დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, ატმოსფერული ნალექებისაგან, ფილის ზედაპირი ოდნავ გადაცვეთილა. ამ დაზიანებათა მიუხედავად, წარწერის ტექსტი მთლიანად და თავისუფლად იკითხება. წარწერა ამოკვეთილია ხუთ სტრიქონად; ასოების სიმაღლე: 4—9 სმ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: კიდურწარისული, განივი,

[1] ეკლესიის ნანგრევების გაწმენდაზე მუშაობდნენ ს. სიმონეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები. მათ ხელმძღვანელობდა დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის (ს. სიმონეთში) დირექტორი დავით გოცირიძე, რომელმაც გადმომცა ცნობები წარწერის აღმოჩენის ვითარების შესახებ (1984. 13. XII). წარწერიანი ფილა ამჟამად (1986) ინახება დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორი ხაზი. დაზიანებული, ან ნაკლული ადგილების აღდგენით წარწერის ტექსტი ასეთია (სურ. 4, 5):



სურ. 5

ი(ესს)უ ქ[(რისტ)ე, შ(ეი)წყ(ა)ლ(ე)ნ] ანტ(ო)ნი ქუთათელი აქა და ს(აუ)-კ(უ)ნ(ო)ს; და შ(ეი)წყ(ა)ლ(ე)ნ მონ(ა)ნი მასნი: ებანი, და კორეჭი და გუარამ-ბერი; ა(მე)ნ აყ(ა)ვნ.

გარდა ამისა, წარწერის სტრიქონებს შორის მოთავსებულია გვიან ამოკაწრული ასომთავრული გრაფიტები; მათგან, მეტ-ნაკლებად გარკვევით, გაირჩევა შემდეგი: წარწერის პირველ და მეორე სტრიქონებს შორის, მარჯვენა კიდესთან ᲗᲘ ᲧᲗ ᲨᲮ[Ჩ], ე. ი. „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალე)ნ მ(ი)ქ(ა)[ლ]“; მე-2 და მე-3 სტრიქონებს შორის, ასევე მარჯვენა კიდესთან, ამოკაწრულია მოზრდილი ასო Ო Ძ; მე-3 და მე-4 სტრიქონებს შორის, მარცხენა ნაწილში — ᲗᲘ Ყ[Ჩ], ე. ი. „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)[ე]“; შემდეგ, ასოთა კვეთის ღარების გადაცვეთის გამო, ტექსტი გადასულია. ამასთანავე, ფილას ზედაპირზე შეიმჩნევა სხვა გრაფიტების ასოთა უმნიშვნელო ფრაგმენტები, რომელთა მიზედვით არც ამ ასოების და არც, ცხადია, რაიმე ტექსტის დადგენა არ ხერხდება.

ანტონ ქუთათელის წარწერა, როგორც წერილობითი ძეგლი, ერთ-ერთი მოდგენილი და ლამაზი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლია. განსაკუთრებულ „სიმსუბუქეს“ ტექსტის ფილაზე განლაგებას ანიჭებს Ჭ, Ჩ და Ყ ასოების ხაზგასმით წაგრძელებული ფორმები, რომელთა ქვედა კიდეები დამწერლობის ორხაზოვანი ბადიდან დაბლაა დაწეული. ამის შედეგად, პირველი და მე-2, მე-2

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე-3, მე-3 და მე-4 სტრიქონები ერთმანეთს საკრძნობლად დაშორებულია (მაშინ, როდესაც მე-4 და მე-5 სტრიქონები, შედარებით სხვებთან, მიჯრითაა ამოკვეთილი). ჩვეულებრივ, ტექსტის ასეთი შემკობა, წიგნური დამწერლობის ძეგლებში გვხვდება[2], მაგრამ, ამ წარწერის სახით, მან ეპიგრაფიკულ ძეგლშიც ირინა თავი. ცხადია, მთელ წარწერას განსაკუთრებულ ლაზათს ანიჭებს ასოთა კიდურწაისრულობა და თეთრი ფერი ქვისა, რომელზედაც იგია შესრულებული.

კიდურწაისრული დამწერლობის ორი სახეობიდან, რომელთაგან, ერთ შემთხვევაში, კიდეებში დასმული სამკუთხედების წვეტები მიმართულია ასოს ტანის შიგნით, ხოლო, მეორე შემთხვევაში — ტანის გარეთ, გოდოგნის წარწერაში დასტურდება პირველი, ე. ი. აქ წვეტები მიმართულია ასოს ტანის შიგნით. აშკარაა, რომ გოდოგნის წარწერის სახით ჩვენ საქმე გვაქვს მაღალი რანგის ხელისუფლის, ამ შემთხვევაში ქუთათელი მღვდელმთავრის, მემორიალური წარწერის ნიმუშთან. ასეთივე წარწერის კარგი ნიმუშებია, ავრეთვე, სამშთავნელი მღვდელმთავრის ილარიონ ყანჩაელის წარწერა სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე[3], მელქიზედეკ ქარილის კათალიკოსის წარწერები სვეტიცხოვლის ტაძარზე[4], ანანია მთავარეპისკოპოსის, ბაგრატ მეფისა და გურანდუხტ დედოფლის წარწერები ხცისის ტაძარზე[5], სამშენებლო წარწერა ბაგრატის ტაძარზე (ქუთაისში)[6] და სხვ. ყველა ისინი, და მათი მსგავსი სხვა წარწერები, დანარჩენი თანადროული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან გამოირჩეიან სახეიმო იერით, წერილობითი ძეგლის მხატვრული ფუნქციითაც.

გოდოგნის წარწერის კონკრეტული პალეოგრაფიული ნიშნებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

Შ ა-ს განივი ხაზი ტანთან დაკავშირებულია დაბალი ყელით. ეს ნიშანი პირველი საფუხრია ა-ს განივი ხაზის ტანთან მოშორების გზაზე. იგი თავს იჩენს X—XI სს. მიჯნიდან. XI ს-ში უკვე ა-ს განივი ხაზი მაღალი ყელით უკავშირდება ასოს ტანს. ასეთი სახის ა-ს კლასიკური ნიმუშია სამთავისის ტაძრის 1030—1050-იანი წლების წარწერები[7].

Ჭ ბ წარწერის ტექსტში გვხვდება ორჯერ (სტრქ. 3, 5) და ორივეჯერ მისი ქვედა განივი ხაზი გადმოცემულია ქუსლის გარეშე. ამ ადგილას ასოს წაისრული კიდური მიმართულია ზემოთ, ასოს შიგნით, და არა ქვემოთ, ე. ი. ასოს ტანის გარეთ, როგორც ეს საერთოდ მიღებულია ბ-ს მოხაზულობაში.

---

[2] ნიმუშები იხ.: Р. О. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX—XI вв., Тб., 1979, таб. 4, рис. 5—8; таб. 5, рис. 2; таб. 7, рис. 8, 9, 11, 12; таб. 8, рис. 5.

[3] გ. სოხაშვილი, სამთავისი (მასალები ტაძრის ისტორიისათვის), თბ., 1973, ტაბ. 10, 51, 52, 55.

[4] ლ. მუსხელიშვილი, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან, „ქართული ხელოვნება“, 1, 1942, სურ. 1, ტაბ. 36.

[5] Р. О. Шмерлинг, Древний Цвимоэтский храм близ с. Хциси, „ქართული ხელოვნება“, 4, 1955, ტაბ. 54.

[6] ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. II. გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1960, № 33.

[7] გ. სოხაშვილი, სამთავისი, ტაბ. 51, 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ **დ**-ს განივი ხაჩი ტანთან, **ა**-ს მსგავსად. შეერთებულია ასევე დაბალი ყელით. ეს ნიშანი **დ**-ს მოხაზულობაში X—XI სს. მიჯნიდან იჩენს თავს და ამის შემდეგ განივი ხაჩი ასოს ტანს ყოველთვის ყელით, მოგვიანო ხანებში (XII ს-დან) მაღალი ყელით, უკავშირდება.

Ω **ო** წარწერის ტექსტში გვხვდება ოთხჯერ: ორჯერ, როგორც **უ**-ს პირველი ნაწილი („ქოკთათელი", 1 სტრქ., „გოკარმბერი" — 4—5 სტრქ.) და ორჯერ დამოუკიდებელი მნიშვნელობით („მონანა" — მე-3 სტრქ., „კორეეი" მე-4 სტრქ.). ორჯერ ეს ასო (1 და მე-3 სტრქ.) გადმოცემულია სწორი წრიული მოხაზულობით. ორჯერაც (მე-4 სტრქ.) იგი გადმოცემულია ორი პარალელური ვერტიკალური ხაზის განივი ხაზებით შეერთებით. აქედან, მარცხნა ვერტიკალური ხაზი, რამდენადმე მორკალულია ასოს ტანის შიგნით. წარწერის ტექსტში **უ**-ს გადმოცემა **ო** და **ვ** ნიშნებით, აღრინდელი ტრადიციის ნიშანია — ეს ასო ამ სახით გადმოიცემა ყოველთვის V—X სს-ში.

დასახელებული პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, გოდოგნის წარწერა X—XI სს-ის მიჯნით, ან XI ს-ის I ნახ-ით თარიღდება.

წარწერაში დასახელებული პირები, ქუთათელის მონები — ებანი, კორეეი და გუარამბერი უცნობია. წარწერის ტექსტის „გუარამბერი" უნდა გავიგოთ როგორც ერთი სიტყვა და არა როგორც ბერის (სასულიერო პირის) სახელი, რომელსაც „გუარამ" ერქვა. ეს სახელი ისეთივე წარმოებისაა, როგორც იაბერი[8], ჭიაბერი[9], კახაბერი[10], სულაბერი[11], გინდაბერი[12], ივანბერი[13], და მისთანანი. სახელები ებანი, კორეეი[14], და, მაშასადამე, გუარამბერიც სიერო სახელებია და უნდა ვივარაუდოთ, რომ ქუთათელის მონებად დასახელებული ეს პირები სიერო პირებია. მართალია, მათ მონები ეწოდებათ, მაგრამ ჩანს, რომ გარკვეული დამსახურება მიუძღვით, ან ანტონი ქუთათელის წინაშე, ან იმ ეკლესიის აშენებაში, რომელზედაც წარწერა იყო მთავავებული. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ სვეტიცხოვლის ამშენებელი არსუკისძე ამ ტაძრის წარწერებში იხსენიება, როგორც „მონა"[15], ხოლო ერთ-ერთი წარწერაში, როგორც ტაძრის მშენებლობის კიტორის მელქიზედეკ კათალიკოსის მონა: „ადი-

---

8 ი ა ბ ე რ ი ქ ო ს ი ი ს ძ ე, სხვა გლეხებთან ერთად, ანტონ ჭყონდიდლის თხოვნით, წყაროს მეაზმაკად შესწირა თამარ მეფემ შიომღვიმის მონასტერს (ქართული ისტორიული სამეფოების კორპუსი, ტ. I, შეადგინეს და გამოსცემად მომაზადეს: თ. ენუქიძე, ვ. სილოგავა, ნ. შოშიაშვილი, თბ., 1984, № 20 : 15, 17).

9 ჭ ი ა ბ ე რ ი იყო თამარის დროის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე — მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი.

10 კ ა ხ ა ბ ე რ ი რაქის ეპისკოპოსი საგვარეულო სახელია XII—XIII სს-ში.

11 ეს სახელი დასტურდება სვანეთის ერთ-ერთ გრაფიტში, რომელიც XI—XII სს. თარიღდება (სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II. ეპიგრაფიული ძეგლები, თბ., 1988, გვ. 375, № 224).

12 1200 წლის ახლო დროის ერთი საბუთის მიხედვით ცნობილია ი ვ ა ნ ბ ე რ ი წ უ ე რ გ რ ძ ე ლ ი ს ძ ე (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, გვ. 89, № 16 : 33).

13 იმავე საბუთს ამოწმებს ვინმე ბერი გ ი ნ დ ა ბ ე რ ი (იქვე, გვ. 91, № 16 : 74).

14 „კ ო რ ე ეი" ან მისი მსგავსი სახელი წყაროებში არ დასტურდება, ხოლო რაც შეეხება „ე ბ ა ნ ი"-ს, მის პარალელად შეიძლება დავასახელოთ ვინმე „ებაი", ვეარაგ ხარაისძე, რომელიც XIII ს-ის შუა წლებით დათარიღებულ ერთ საბუთში („დაწერილი კავოლა და თევდორა ბურჯულთა ლემეტრე ტოხუანისძისადმი") მოწმედ არის დასახელებული (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, გვ. 94, № 18 : 9).

15 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები, გვ. 136, 137.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ჴელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაჲთა, ღმერთმან განუსუენე სულსა [მისსა]"[16].

რაც შეეხება ანტონი ქუთათელს, ასეთი სახელით მღვდელმთავარი ცნობილია საღირისძეთა ფეოდალური სახლიდან. იგი თამარ მეფის ეპოქის ერთ-ერთი ცნობილი და აქტიური მოღვაწეა: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" ორჯერ არის მოხსენიებული XII ს-ის ბოლო ოცეული წლების საქართველოს მეტად ბობოქარ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით: პირველად, თამარ მეფის სამეფო ტახტზე მეორედ კურთხევის დროს, 1184 წელს, როდესაც „ვინაჲთგან ლიხთ-იმერითგან იყო წესი დადგმად გურკვნისა თავსა სამეუფოსა, აწკეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირისძე, მოღებად გურკვნისა"[17], ხოლო მეორედ — დასავლეთ საქართველოს დიდებულთა აჯანყების დროს სამეფო სახლის წინააღმდეგ 1190 წელს, როდესაც თამარ მეფე „ოდესმე თევდორე პატრიაქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელი-იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა ერთგულად ლიხთ-იმერით, სისლთა დათხევამდის, და სხუათა ეპისკოპოსთა გზაჲნიდის"[18] აჯანყებულთა მშვიდობიანი გზით შემოსვრიგებულად. როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, სამეფო სახლის ერთგული ანტონ ქუთათელი ამ მისიას შესწირავი კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ დიდია ცთუნება გოდოგნის წარწერის ანტონი ქუთათელის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ანტონ ქუთათელთან გაიგივებისა, წარწერის პალეოგრაფიული თარიღი ამის შესაძლებლობას გამორიცხავს, ისინი სხვადასხვა პირებად — ერთი XI ს-ის I ნახევრის, ხოლო მეორე XII ს-ის II ნახევრის მოღვაწეებად უნდა მივიჩნიოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ საისტორიო წყაროებს დაუცავთ ცნობები აღრინდელი ხანის რამდენიმე ქუთათელი მღვდელმთავრის შესახებ. საჭიროა მათ რიგში თავისი ადგილი მიეჩინოს გოდოგნის წარწერის ანტონი ქუთათელსაც.

სამწუხაროდ, XII ს-ზე აღრინდელი ცნობები ქუთათელ მღვდელმთავრთა შესახებ საისტორიო წყაროებში არ აღმოჩნდა. ტბეთის ოთხთავის ანდერძში, რომელიც 1160-იანი წლების ახლოს ჩანს შესრულებული[19], ანდერძის ავტორი, ხელნაწერის დამკვეთი პავლე მტბევარი აღნიშნავს, რომ „დავაწერე ესე ოთხთავი... საღოცველად ღმერთივგკრგკნოსანთა მეფეთა: დიმიტრი, გამზრდელისა ჩემისა და გიორგი ძისა მათისა და საკსრად საწყალობელისა სულისა ჩემისა" და სულთა ნათესავთა ჩემთათვისო; ამ ნათესავებს შორის, სხვებთან ერთად, იგი ასახელებს: „დისწულთა ჩემთა ნიკოლოზი ქუთათელ მთავარეპისკოპოსისა, და არსენი ქუთათელ მთავარეპისკოპოსისა, იოვანე ანჩელ მთავარეპისკოპოსისა, ანტონი ოპიზისა წინამძღვრისა, არსენი დიმიტრის მეფის მწერველისა და ყოველთა თჳსთა და ნათესავთა"[20].

---

16 იქვე, გვ. 137.

17 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 26—27.

18 იქვე, გვ. 50.

19 ხელნაწერის ანდერძში აღწერილია გიორგი III-ის მეფობის მეხუთე წელს მომზადარი ამბები.

20 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-929, 318v; ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 356.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ცხადია, რომ ანტონი საღირისძის ქუთათლობას წინ უძღოდა ნიკოლოზის და არსენის ქუთათლობა. შესაძლებელია პავლე მტბევარის ერთ-ერთი დისწული, ანდერძის ტექსტში დასახელებული ანტონი ოპიზისა წინამძღვარი, მემკვიდრე გახდა თავისი დანარჩენი დეიდაშვილების — ნიკოლოზის და არსენისა ქუთათლთა კათედრაზე. მაშინ, მოღვაწეობის დროის მიხედვით, იგი შეიძლება მივიჩნიოთ გიორგი III-სა და თამარის თანამედროვე ანტონი საღირისძე ქუთათელ მთავარეპისკოპოსად. ამ დაშვებიდან იმასაც მივიღებთ, რომ ტბეთის ოთხთავის ანდერძში დასახელებული პავლე მტბევარის მრავალრიცხოვანი ნათესაობიდან, რომელთაც მაღალი სასულიერო თანამდებობები სჭერიათ XII ს-ის საქართველოში, ერთ-ერთი საღირისძეთა ფეოდალური სახლის წევრი ყოფილა.

აკად. კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ტბეთის ოთხთავის ანდერძში დასახელებული პავლე მტბევარის დისწულები — მოდელმთავრები ღა სხვა მაღალი სასულიერო ხელისუფლების მატარებელი პირები, ძმებია — გვარად საღირისძეები[21]. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა მათგანის ძმებად მიჩნევა და ერთი რომელიმე საგვარეულოსადმი მიკუთვნება სწორი არ უნდა იყოს. კ. კეკელიძეს, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩა, რომ პავლე მტბევარის დისწულები — ორი სხვადასხვა პირი — ქუთათელი მთავარეპისკოპოსი და დიმიტრი მეფისა მწერველი, ერთი და იგივე სახელის — არსენის მატარებელია, რაც თუ მათ ძმებად მივიჩნევთ, ცხადია, გამორიცხულია. ნიშანდობლივია, რომ იგი როდესაც ჩამოთვლის პავლე მტბევარის დისწულებს, არსენი ქუთათელ მთავარეპისკოპოსს არ ახსენებს, ე. ი. მას იგი გამორჩენია და ნაცვლად ხუთისა ოთხი პირი ჰყავს დასახელებული[22]. საერთოდ, ისედაც ძნელი სავარაუდებელია, რომ თითქმის მთელი XII ს-ის მანძილზე ქუთათლობა სამ ძმას ჰქონოდა თანმიმდევრობით დაკავებული. ამავე დროს, ისიც ფაქტია, რომ ისინი ერთმანეთის დეიდაშვილები და მაშასადამე, ერთი ან მონათესავე ფეოდალური სახლის წევრები მაინც იყვნენ. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მათგან საღირისძეა ერთ-ერთი — ანტონი ოპიზისა წინამძღვარი, ისიც იმ შემთხვევაში თუ მას თამარ მეფის თანამედროვე ანტონ ქუთათელ მთავარეპისკოპოს საღირისძესთან გავაიგივებთ[23].

უთუოდ, „ადრინდელი პერიოდის“ ქუთათელთა რიგში უნდა ვიგულისხმოთ სამოელ ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, რომლის მოსახსენებელი, გან-

---

[21] კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 309, 323.

[22] იქვე, გვ. 309.

[23] XI—XII სს-ის ერთი იერუსალიმური ხელნაწერის (№ 73) ერთ-ერთ კრაპტოგრამულ მინაწერში იხსენიება ვინმე თეოდორე ქუთათელი („ჯ^ეე ა^ნ თ^ე ქუთათელ^ი“ — 84r; იხ. ლ. ათანელიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, თბ., 1982, გვ. 41). იგივე თეოდორე იქვე (110r) იხსენიება „ქუთათლობის“ გარშეშე. ამავე ხელნაწერის, როგორც კრიპტოგრამაზე, ისე არაკრიპტოგრამულ მინაწერებში იხსენიებიან სხვა პირებიც: მამაჲ გელასი (დასახელებულია ათჯერ, იგია ხელნაწერის დამკვეთი), დავითი, სუმეონ. ამ დასახელებული თეოდორეს „ქუთათლობა“, როგორც ჩანს, მის წარმომავლობას (ქუთათურობას, ქუთათისელობას) აღნიშნავს და არა სასულიერო წოდებას. ნიშანდობლივია, რომ ყველა მინაწერში, სადაც კი ქუთათელია დასახელებული, ყოველთვის აღნიშნულია მათი მთავარეპისკოპოსობა, ხოლო იერ. 73-ში, როგორც ვხედავთ, ეს ასე არ არის. ამავე დრას, „თეოდორე ქუთათელი“ მიჩნეულია ამ ხელნაწერის გადამწერად (გ. ნინუა, მაკარი მეგვიპტელის სახელით ცნობილი „სწავლათა“ ქართული თარგმანის შესახებ. „მრავალთავი“, VI, 1978, გვ. 46).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებული 20 აგვისტოს, შეტანილია ათონის ქართველთა მონასტრის („ივირონის“) „აღაპების წიგნში“[24]. მართალია, ეს აღაპი, ისევე როგორც ამ წიგნში შეტანილი სხვა აღაპები, უთარიღოა, მაგრამ მოსახსენებლის ტექსტში აღნიშნულია, რომ სამოელ ქუთათელის აღაპი „ვითარცა მაშენებელთაჲ ეგრეთ გარდაჰყდებოდენ“; აკად. ელ. მეტრეველის მოსაზრებით, ასეთი ფორმულირებით და სათანადო განწესებით, აღაპთა წიგნში შეტანილია მონასტრის დამაარსებელთა — ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის წევრთა აღაპები. მონასტერიც საგვარეულოდ ითვლებოდა XI საუკუნის 40-იან წლებამდე და აღაპებიც ასეთი განწესებით ამ დრამდე დაიდებოდა; ე. ი. გამოდის, რომ სამოელ ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ჩორჩანელთა სახლის წარმომადგენელი ყოფილა და ამავე დროს მისი მოღვაწეობა X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის 40-იან წლებამდე დროით უნდა განისაზღვროს (ამ დროის რომელიმე მონაკვეთით).

მივიღეთ, რომ სამოელ ქუთათელის მოღვაწეობა გოდოგნის წარწერის ანტონ ქუთათელის მოღვაწეობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს დაემთხვა, ე. ი. ორივე, ცხადია, ერთიმეორის მონაცვლეობით, X ს-ის დასასრულსა და XI ს-ის I ნახევარში მოღვაწეობდა. პირობითად, თუნდაც გარკვეული თანმიმდევრობის დაცვისათვის, შეიძლება სამოელ ქუთათელი ანტონ ქუთათელის მომდევნო მოღვაწედ მივიჩნიოთ.

ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვრის მამა პავლეს მიერ დაწესებულია „ადრეული პერიოდის“ კიდევ ერთი ქუთათელი მდგელმოვარის აბულასან ქუთათელის მოსახსენებელი (29 დეკემბერს)[25], რომელიც, როგორც ჩანს, ტბეთის ოთხთავის ზემოდასახელებულ ანდერძში მოხსენიებულ არსენი ქუთათელის შემდგომი ხანის ქუთათელად უნდა ვიგულისხმოთ. საქმე იმაშია, რომ როგორც მამა პაველ აღნიშნავს, აბულასან ქუთათელს ივირონისათვის შეუწირავს „პერპერაჲ ᲗᲐ“ (40), რომელიც „მოგუცა კელითა ნიკოლოზ გულაბერისძისაჲთა“. ხოლო ნიკოლოზ გულაბერისძე, როგორც ცნობილია, XII ს-ის საქართველოს, თამარის ეპოქის მოღვაწეა. ცნობილია, რომ იგი 1150—1178 წწ. ქართლის კათალიკოსი იყო, შემდგომ „სიმდაბლისა ძლით“ დატოვა კათალიკოსობა და იერუსალიმს წავიდა[26]. თამარმა გამეფებისთანავე კვლავ კათალიკოსობა შესთავაზა, მაგრამ ნიკოლოზ გულაბერისძემ უარი განაცხადა; კ. კეკელიძის ვარაუდით ნიკოლოზ გულაბერისძე გარდაიცვალა 1190 წლის ახლო ხანებში[27], ალბათ, სწორი იქნება თუ დავუშვებთ, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე ათონზე იყო და აბულასან ქუთათელის საოდპედ მონასტერს შესაწირავი გადასცა 1178 წლის შემდეგ, როდესაც მან კათალიკოსობა დატოვა და იერუსალიმს წავიდა, 1184 წლამდე, როდესაც იგი თამარ მეფის მიწვევით კვლავ საქართველოში დაბრუნდა. ამდენად, დაახლოებით ამავე დროზე — 70-იანი წლების დასასრული — 80-იანი წლების დასაწყისი, უნდა მოდიოდეს აბულასანის ქუთათლობაც. აბულასანი, როგორც ჩანს, ქუთათელის კათედრაზე შესცვალა ანტონ საღირისძემ.

---

24 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, ობ., 1901, გვ. 241, აღაპი № 101.

25 იქვე, გვ. 257, აღაპი № 149.

26 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 117 : 14—15.

27 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 318.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ „სიმდაბლისა ძლიერ“ ქართლის კათალიკოსობის დატოვება „ქართლის ცხოვრების“ — სამეფო კარის იფიციალური ისტორიის ვერსიაა. საქმის ფაქტიური ვითარება ასეთი უნდა ყოფილიყო: მანამდამანც 1178 წელს ნიკოლოზ გულაბერისძეს იმიტომ დატოვა კათალიკოსობა, რომ იგი, უნდა ვიფიქროთ, წინააღმდეგი იყო საქართველოს სამეფო სახლის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევისა — ქალის მეფედ, თუნდაც თანამოსაყდრედ კურთხევისა; რადგანაც მისი პოზიცია დამარცხდა, როგორც ჩანს, იგი იძულებული გახდა ათონსა და იერუსალიმს წასულიყო.

საკუთრივ ქალის მეფედ კურთხევის იდეის წინააღმდეგი ნიკოლოზ კათალიკოსი შეიძლება არც იყო, რადგან მისსაც ნაწარმოებში „საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ“, ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, მან პირველმა დასვა და თავისებურად ახსნა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ იყო, რომ ყველა სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც ქრისტიანობა იქადგეს და ეაავრცელეს მამაკაცმა მოციქულებმა, საქართველოშ ეს მისია განახორციელა ქალმა, წმ. ნინომ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნიკოლაოზ კათალიკოზი, იხ. მისი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბ., 1956, გვ. 97—109). (ეხადია, რომ სასულიერო სფეროში ქალისა და კაცის თანაბარუფლებიანობის აღიარებიდან ამ იდეის საერო ყოფაში გადატანამდე არაფერი რჩებოდა (საერო სფეროში, ვიცით, რომ ეს იდეოლოგია დასაბუთდა „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ფორმულაში „ლეკი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“). მართალია, ნიკოლოზ კათალიკოსი ასე შორს არ წასულა და ასეთი იდეოლოგია არ შეუქმაავებია, მაგრამ მაინ ნაწარმოების მთავარი აზრი — ქალი მოციქულისა და კაცი მოციქულების თანაბარუფლებიანობისა, იმ დროის სამეფო ხელისუფლებისათვის საუსებით მისაღები იყო და 1184 წელს, ე. ი. თამარის მეფედ მეორედ კურთხევისას, მისი კვლავ მოწვევა საქართველოში ამით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. შეიძლება ეს ნაწარმოები ნიკოლოზ კათალიკოსმა 1184—1190 წწ. შექმნა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ — მისი დაწერის თარიღი ხომ ჩვენთვის უცნობია, და მაშინ, მოიხსენება წინააღმდეგობა მის მიერ კათალიკოსობის „დატოვების“ მიზეზებსა და მის ნაწარმოებში გატარებულ იდეას შორის.

ჩვენ არ ვიცით 1155—1156 წლების მოვლენებში ნიკოლოზს, რომლის კათალიკოსობა ამ დროს უკვე ხუთ წელს მოითვლიდა, რა პოზიცია ეჭირა. როგორც ვიცით, ამ დროს გადადგა სამეფო ტახტიდან დემეტრე I, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გამეფდა მისი უფროსი ვაჟი დავითი, რომელიც 6 თვის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა, ისე რომ დარჩა ძე, ტახტის კანონიერი მემკვიდრე; ჯერ თანამოსაყდრედ ეკურთხა, ხოლო შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა დემეტრეს უმცროსი ვაჟი გიორგი III. ხომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის ცნობით, გიორგი III ხომ იმ პირობით აკურთხეს მეფედ, რომ დემნას სრულწლოვნად გახდომისას ტახტს მას გადასცემდა (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 242—243).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენები ისე განვითარდა, რომ გიორგი III-ემ ტახტი არ დასთმო; შეიძლება ნიკოლოზ კათალიკოსი დემნას, უფრო სწორად ივანე ორბელის ბანაკს მიემხრო, ხოლო მათი დასჯისა და სასტიკად დამარცხების შემდეგ, იძულებული შეიქნა კათალიკოსობა დაეტოვებინა და ათონსა და იერუსალიმს წასულიყო. არც ის არის გამორიცხული, რომ გიორგის III-ის მიერ დემნა-ორბელთა წინააღმდეგ მიმართულ სასტიკ და მეტად მკაცრ რეპრესიებს ნიკოლოზი წინ აღუდგა და როდესაც ვერაფერს გახდა, დასტოვა საკათალიკოსო ტახტი, როგორც ეს გააკეთა სულ სხვა ვითარებასთან დაკავშირებით ასი წლის შემდგომ მისმა თანამოსახელე კათალიკოსმა ნიკოლოზ III-ემ დემეტრე II-ის მეფობის დროს.

1184 წელსაც ნიკოლოზის საქართველოში ჩამოსვლა და მის მიერ კათალიკოსის გადაყენების ცდაც ხომ უშედეგოდ დამთავრდა, რადგან კათალიკოსმა მიქაელ მირიანისძემ საკათალიკოსო საყდარი არ დასთმო. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელმა თამარის მეფედ ორივე კურთხევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და, როგორც ჩანს და აღიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ყოველივე ამის სანაცვლოდ კათალიკოსობასთან ერთად „ჯყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობარობუსუცესობა მოევერაგა უფლისაგან“ (ქ^ნცა, II, 118 : 26—27). ამავე დროს მასვე „აქუნდა სამთავისიცა“ (იქვე, 122 : 11).

ყოველივე ამის შედეგად მიქაელ კათალიკოსსა და სამეფო კარს შორის იმდენად დაიძაბა ურთიერთობა, და იგი გაგრძელდა ამ სახით მიქაელის გარდაცვალებამდე (1186), რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორი (ამ შემთხვევაში, პირობითად, ბასილი ეზოსმოძღვარი) გაუგონარ მკრეხელობას სჩადის — ახალგარდაცვლილი კათალიკოსის შესახებ წერს, რომ „მოკუდა ქართლის კათალიკოსი.. მირიანის ძე მიქაელ... და არავინ შეწუხნა მისთჳს, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს“ (ქ^ნცა, II, 122 11—13) და იქვე, ამის საპირისპიროდ, თითქოსდა ნიშნისმოგებით — „მოკუდა ამრსპასალარი გამრეკელი და ესე ყოველთა იგლოვეს“ (იქვე, 122 : 14).

ამდენად, ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ „სიმდაბლისა ძლით“ კათალიკოსობის დატოვება ოფიციალური ისტორიოგრაფიისა და სამეფო კარის თვალსაზრისია. ჩვენს საკითხთან ყოველივე ამას ის კავშირი აქვს, რომ ნიკოლოზ გულაბერისძეს, ცხადია, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებში თავისი მომხრეები ეყოლებოდა. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა აბულასან ქუთათელი, რომლის შესაწირავიც მას ათონზე წაუღია და რომლის სპარსულ-არაბული სახელი, ერთ-ერთი უმაღლესი რანგის სასულიერო იერარქისა, თავისთავად იწვევს გაკვირვებას. როგორც ჩანს, ნიკოლოზ გულაბერისძეს ეს მისი დასის ქუთათელიც თან გადაჰყოლია, რადგან სწორედ მის შემდეგ და 70-იანი წლების დასასრულიდან ჩანს ქუთათელად სამეფო კარის უადრესად ერთგული და მისთვის თავდადებული ახალი ქუთათელი ანტონი საღირისძე, რომელთანაც ერთად მოუხდა 1184 წელს საქართველოში დაბრუნებული ნიკოლოზ გულაბერისძეს მიქაელ ნინიანისძის წინააღმდეგ წარუმატებელი ბრძოლა (ქ^ნცა, II, 118 : 4, 5, 23). ცხადია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

> რომ თუ ნიკოლოზ გულაბერისძემ 1178 წელს ქართლის კათალიკოსის ტახტი მართლაც „სიმდაბლისა ძლით“ დასტოვა, ექვსიოდე წლის შემდეგ ამ ტახტის ახალი მპყრობელის წინააღმდეგ ბრძოლას არ დაიწყებდა კვლავ მის მოსაპოვებლად.

ათონის ქართველთა მონასტრის „საადაპე წიგნში“ შეტანილია კიდევ ერთი ქუთათელი მღვდელმთავრის პავლე ქუთათელის მოსახსენებელი (15 იანვარს)[28], რომლითაც, როგორც ჩანს, უნდა დასრულდეს XII ს-ის ქუთათელ მღვდელმთავართა რიგი. როგორც მოსახსენებლის ტექსტშია აღნიშნული, ადაპის დაწესებისათვის პავლე ქუთათელმა „მოსცა დრაჰკანი პერპერაჲ 3, მამისა პავლეს ჴელთა“. ხოლო ათონის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთი წინამძღვარი „მამაჲ პავლე“, როგორც იმავე საადაპე წიგნში მისივე ხელით ჩაწერილი 1170 წლის დამტკიცება-ხელრთულობიდან ჩანს[29], 70-იანი წლების შემდგომი ხანის მოღვაწეა[30]. 80-იანი წლებისათვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, მას აბულასან ქუთათელისათვის აღაპი დაუწესებია. იგი მონასტრის წინამძღვრის თანამდებობაზე XII ს-ის 90-იან წლებშიც ჩანს (იხ. აკად. ელ. მეტრეველის გამოკვლევა, რომელიც იბეჭდება). ამდენად, პავლე ქუთათელისათვის, აქ დასახელებულ სხვა ქუთათელთა მოღვაწეობის დროის გათვალისწინებით, ადგილი რჩება მხოლოდ XII ს-ის 90-იანი წლებისათვის. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც 1190 წელს ანტონ საღირისძე ქუთათელი შეეწირა დასავლეთ საქართველოს აჯანყებულ დიდებულთა შემორიგებას საქართველოს სამეფო კარისათვის, მისი ადგილი პავლე ქუთათელმა დაიკავა.

ამრიგად, წყაროების მიხედვით ამჟამად ცნობილ „აღრეული პერიოდის“ ქუთათელ მთავარეპისკოპოსთა შემდეგი რიგი მივიღეთ:

ანტონ (I) — X—XI სს. მიჯნა, ან XI ს. I ნახ.

სამოელ — X ს. დასასრ. — XI ს. I ნახ.

. . . . . .

ნიკოლოზ — XII ს. I ნახ.

არსენი — XII ს-ის შუა ხანები.

აბულასან — XII ს-ის 70-იანი წლები — 80-იანი წლების დასაწყისი.

ანტონ (II) საღირისძე — XII ს-ის 80-იანი წლები.

პავლე — XII ს-ის 90-იანი წლები[31].

---

28 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, გვ. 263, № 156.

29 იქვე, გვ. 273.

30 კ. კეკელიძის ვარაუდით, მამა პავლე ივირონის წინამძღვრად იყო 1170—1184 წწ. (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 235).

31 ცხადია, ქუთათელთა აქ წარმოდგენილი რიგი პირობითია და ალბათ, არასრულია: ორი საუკუნის მანძილზე — XI ს-ის დასაწყისიდან XII ს-ის დასასრულამდე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეტი იყო ქუთათელი ვიდრე აქ დასახელებული პირებია. ზედარებისათვის, მაგალითად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მარტო XV ს-ში, ერთი საუკუნის მანძილზე, საქართველოში 12 კათალიკოსი მეუფეობდა (მართალია, ორიოდე მათგანი — რამდენჯერმე; იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, კრ. „კაკაესის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 279—280).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ საეპისკოპოსო კათედრა ქუთაისში (და ბედიაში) დაარსა ბაგრატ III-მ (975/978—1014)[32]. ბაგრატ III-ის მიერვეა აგებული ქუთათელთა საკათედრო ტაძარი[33], დღეს ბაგრატის ტაძრის სახელწოდებით ცნობილი, რომელშიც ტარდებოდა საქართველოს მეფეთა კურთხევა სამეფო ტახტზე. რადგან სხვა ცნობები არ გაგვაჩნია და ქრონოლოგიურადაც გოდოგნის წარწერა ბაგრატის ტაძრის აგების დროისა ჩანს[34], იქნებ უსაფუძვლო არ იყოს ვარაუდი, ამ წარწერის ანტონ ქუთათელის, საერთოდ პირველ ქუთათელ მღვდელმთავრად მიჩნევის შესახებ.

5. ელმელიქ ფადლისძის წარწერა და თამარ დედოფლის გამზრდელის დოფის შესახებ

1848 წელს აკად. მ. ბროსემ გამოაქვეყნა ასომთავრული ტექსტი და ფრანგული თარგმანი ერთი წარწერისა, რომლის ასლი გადაუღია და მისთვის გადაუცია ვინმე ტოპოგრაფ სემიონოვს. მისივე ცნობით, ეს წარწერა მოთავსებული ყოფილა ბორჩალოს მაზრაში, ლოქის მთაზე, ს. ორო-ჯოღლში მდებარე ეკლესიის ნანგრევებში[1].

1942 წელს წარწერის შესახებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VII სამეცნიერო სესიაზე მოხსენება გაკეთა აკად. ა. შანიძემ. მოხსენების თეზისებში აღნიშნულია, რომ „წარწერა მოთავსებულია დარბაზული ტიპის უგუმბათო ეკლესიაზე, რომელიც მდებარეობს ლოქის წყლის მარცხენა ნაპირას მომაღლო გორაზე, შვიდოდე კმ-ის მანძილზე ჩათახიდან“[2].

1956—58 წლებში ამ ადგილებში მოეწყო ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების სამეცნიერო ექსპედიცია დ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით. 1960 წელს გამოქვეყნდა ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, სადაც პირველად არის გამოქვეყნებული მხედრულით წარწერის ტექსტიც[3]. აქვეა აღნიშნული, რომ ადგილს, სადაც ეკლესია მდებარეობს, ეწოდება „ორთაფოშთი“ და ამის შემდეგ წარწერას დაუმკვიდრდა ორთაფოშთის ეკლესიის წარწერის სახელი[4]. მართალია, აქ წარწერა სრულად

---

32 მატიანე ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 281 : 1, 6.

33 ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 52—53, № 33.

34 ტაძრის ჩრდ. ფასადის ერთ-ერთი წარწერის თანახმად, დიდი ხანია ცნობილია, რომ 1003 წლისათვის ტაძრის იატაკი „განმტკიცნა“ (ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, გვ. 51—52), ე. ი. ტაძრის აგება ძირითადად დამთავრებული იყო.

1 M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique, 3e et dernier livraison, St-Pb., 1851, VI rapp. 133.

2 ა. შანიძე, ერთი უცნობი თამარის დროინდელი წარწერა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VII სამეცნიერო სესია, 1942 წლის 20 და 22 ივნისს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1942, გვ. 8.

3 დ. მუსხელიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956—1958 წწ.) შედეგები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 50—51, № 10.

4 იქვე, გვ. 28; ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ნასოფლარს „ძველად თიოქოს ანდიკი უნდა რქმეოდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოქვეყნებულა, მაგრამ გამოცემულის მიხედვით (აგრეთვე, ა. შანიძის თეზისების მიხედვითაც) ამკარა იყო, რომ წარწერის ტექსტი, საამშენებლო შინაარსთან ერთად, ეპიგრაფიკულ საბუთსაც წარმოადგენდა.

1973 წელს „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" I ტომის გამოსაცემად მომზადებისას, წარწერა, როგორც ეპიგრაფიკული საბუთი, ადგილზე შევისწავლე („კორპუსის" თავდაპირველი პროექტით გათვალისწინე-

სურ. 6

ბული იყო მასში ეპიგრაფიკული საბუთების ჩართვაც. შემდეგში ეს პროექტი შეიცვალა და შეკრებილი და გამოსაცემად მომზადებული საბუთების გამოცემის ბედი გაურკვეველია. ამიტომაც გადაწყდა, ამ წარწერა-საბუთის ცალკე გამოქვეყნება)[5].

---

5 წარწერა 1981 წელს გამოქვეყნა გ. ოთხმეზურმა; იხ. მ ი ს ი., XII—XIII სს. მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981, გვ. 86—89, № 11.

ორთაფოშთის ეკლესია, თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, მდებარეობს ბოლნისის რაიონში. იგი, წარწერის მიხედვით, ღმრთისშობლის სახელობისა ყოფილა: აღმართულია გორაზე, მდ. ლოქისწყლის მარცხენა ნაპირას (როგორც ჩანს, ამის გამოა, რომ მას ა. შანიძე „ლოქის ეკლესიასაც“ უწოდებს, ხოლო მ. ბროსე იმ ადგილს, სადაც ეკლესია დგას, „ლოქის მთის“ სახელით მოიხსენიებს[6]); წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას, რომლის გადახურვა ამჟამად ჩაქცეულ-ჩანგრეულია (სურ. 6). ამის შედეგად ეკლესიის

სურ. 7

შიგნით მრავლად ყრია ქვები და შელესილობის ნარჩენები. ადგილი, სადაც ეკლესია მდებარეობს, ამჟამად დაუსახლებელია და არც ახალი საფლავები ჩანს მის გარშემო.

წარწერა, უფრო ზუსტად — სამი დამოუკიდებელი ტექსტისაგან შედგენილი ვრცელი ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთ კე-

6 III წარწერის მიხედვით (იხ. ქვემოთ), თითქოს, ამ ადგილს, სადაც ეკლესია და მონასტერი აშენდა, „თესლე“ ეწოდებოდა, თუ ამ სიტყვას ტოპონიმად მივიჩნევთ.

7. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელზე, კარიბჭის შიგნით, ეკლესიაში შესასვლელი კარების გარშემო — ბალავრის ქვაზე და შესასვლელის ჭრილის ანაყოლის ქვების ფილებზე (სურ. 7).

პირველი, მთავარი წარწერა, შესრულებულია 20 სტრიქონად; წარწერის დასაწყისი — 1—9 სტრიქონები, ამოკვეთილია ბალავრის ქვაზე; ტექსტის გაგრძელება-დასასრული — 10—20 სტრიქონები — შესასვლელის მარჯვენა ანაყოლის ზედა ფილაზე. საკუთრივ ბალავრის ფილაზე წარწერის ტექსტი ორ ნაწილად არის გაყოფილი შესასვლელს ზემოდან შემოყოლებული ითხუთხა მოჩარჩოებით. ბალავრის ქვის ზომაა: 180×75 სმ., ხოლო მარჯვენა ანაყოლის წარწერიანი ფილის ზომა — 109×58 სმ. აქ წარწერას უჭირავს ფართობი: 80× 75 სმ. სამწუხაროდ, ამ ფილის მარცხენა კიდე ჩამომტვრეულია და ხედაპირიც ადგილ-ადგილ ატკეცილია. ამის ეამო, წარწერის ეს უმთავრესი ადგილი, სადაც აღნიშნული იყო მონასტრისათვის შეწირული მიწის საზღვრები, დაზიანებულია და ნაკლული (სურ. 8, 9).



სურ. 8

მეორე წარწერა (სურ. 10, 11) მოთავსებულია შესასვლელის მარცხენა ანაყოლის ფილაზე. იგი ამოკვეთილია 7 სტრიქონად, წარმოადგენს დამოუკიდებელ, თუმცა, ძირითად წარწერასთან დაკავშირებულ ტექსტს დასაწყისში დასმული ქანწილით. ეს წარწერა გადმოსცემს ეკლესიის აშენების თარიღს. წარწერიანი ფილის ზომაა: 107×37 სმ. მასზე ტექსტს უჭირავს ფართობი: 45×18 სმ. აქაც შესასვლელის ანაყოლის ფილა ჩამომტვრეულია, ოღონდ მარჯვენა მხარეს და ამის შედეგად ნაკლულია წარწერის სტრიქონთა დასასრულები, თუმცა ტექსტის აღდგენა ადვილად ხერხდება.

მესამე წარწერა (სურ. 12, 13), რომელიც ასევე დამოუკიდებელ ტექსტს შეიცავს ქრისტესადმი მიმართვით, მოთავსებულია შესასვლელის წარბის მარჯვენა საყრდენ ფილაზე, მის დასავლეთ მხარეს. ამოკვეთილია 2 სტრიქონად. ფილის ზომაა: 22×29 სმ., მასზე წარწერას უჭირავს ფართობი: 27×15 სმ.



სურ. 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამივე წარწერა ისეა განლაგებული ეკლესიაში შესასვლელის გარშემო, რომ ერთ მთლიან კომპოზიციას ქმნის. პირველი წარწერა თავიდან იწყება მოზრდილი ასოებით, შემდეგ ასოების სიმაღლე თანდათან მცირდება, ხოლო ბალავრის ოთხკუთხა მოჩარჩოებაზე მკვეთრად კლებულობს. დანარჩენი ორი წარწერა შედარებით თანაბარი ზომის მოზრდილი ასოებითაა ამოკვეთილი. ასოების სიმაღლე: 3—5—7—9 სმ. როგორც ეხედავთ, იგი მეტად ცვალებადია და სტრიქონებიც ორხაზოვან ბადეს შორის არ არის განლაგებული. აშკარაა, რომ წარწერა ამოკვეთილია კედლის წყობაში უკვე ჩასმულ ქვის ფილებზე.

სურ. 10



სურ. 11

ტექსტში განკვეთილობის ნიშნებად დასმულია ორწერტილი, თავიდან — ყოველი სიტყვის შემდეგ, შემდეგში — ადგილ-ადგილ, ხოლო წარწერის ბოლოს ტექსტი წარმოდგენილია განკვეთილობის ნიშნების გარეშე. ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია განივი, კლაკნილი ხაზი.



სურ. 12



სურ. 13

▲ ორთაფოშთის ეკლესიის წარწერის ტექსტი ასეთია:

I. † ნ<ალ>ხ<ე>ლითა ღ<მრთისა>ჲთა. მე<ო>ხ<ე>ბითა წ<მიდ>ისა ღ<მრ>თისმშ<ო>-
ბ<ე>ლისა<ჲ>ჲთა, მე, ფადლისძემ<ა>ნ ელმელიქ ადვ<ა>შენე ეკ<ლე>ს<ია>ჲ ეხე და
მონ<ა>სტ<ე>რი ყ<ოველ>ა>დ წ<მიდ>ისა ღ<მრთ>ისმშ<ო>ბე<ლ>ის<ა>ჲ, ს<ა>ფ<ი>ფლ<ე>-
ბ<ე>ლ<ა>დ მამისა, ძისა და ს<ულ>ისა წ<მიდ>ისა, ს<ა>მკ<უი>ფრ<ე>ბ<ე>ლ<ა>დ და
ს<ა>ლ<ო>ცვ<ე>ლ<ა>დ ს<ულ>ისა ჩ<ემ>ისა და ფ<ო>ფ<ი>ისა, და მშ<ო>ბ<ე>ლთა და

† ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრთ(ისა)ჲთა. მე(ო)ხ(ე)ბითა წ(მიდ)ისა ღ(მრ)თისმშ(ო)-
ბ(ე)ლის(ა)ჲთა, მე, ფადლისძემ(ა)ნ ელმელიქ ადვ(ა)შენე ეკ(ლე)ს(ია)ჲ ეხე და
მონ(ა)სტ(ე)რი ყ(ოველ)ა>დ წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბე(ლ)ის(ა)ჲ, ს(ა)ფ(ი)ფლ(ე)-
ბ(ე)ლ(ა)დ მამისა, ძისა და ს(ულ)ისა წ(მიდ)ისა, ს(ა)მკ(უი)ფრ(ე)ბ(ე)ლ(ა)დ და
ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ს(ულ)ისა ჩ(ემ)ისა და ფ(ო)ფ(ი)ისა, და მშ(ო)ბ(ე)ლთა და

II. † ᲪᲘᲗ[Ო]
ᲪᲘᲪᲬ[Ი]
ᲬᲘᲗᲐ-ᲠᲘ[Გ]
ᲗᲠᲔᲚ[Ც]
ᲒᲐ-ᲫᲘᲜ[Ც]
ᲜᲧᲠ-ᲔᲜ[ᲚᲪ]
Ყ: —

III. † ᲬᲘᲜᲔᲒᲪᲒᲠᲒᲠ
ᲜᲧᲠᲐᲧᲨᲫᲘᲗ

ᲪᲐᲜᲬᲘᲗ
[ᲘᲒᲪ|ᲪᲜᲪ]
10 [...|ᲚᲪᲔᲧᲚᲪᲪᲪ-ᲪᲒᲪ
[...|ᲒᲪ: ᲫᲠᲬᲚᲪᲘᲚᲬᲗᲬ
[...|ᲩᲪᲜᲐᲪ: ᲔᲧᲚᲪᲬ
[...|ᲪᲜᲪᲩᲪᲬᲚᲘᲚᲜ:
[...|ᲪᲪᲩᲪᲠᲔᲚᲘᲚᲜᲔᲠ
15 [...|ᲫᲐᲠ|ᲪᲔᲪᲒᲚᲫᲐᲠ:
[...|ᲩᲚ: ᲔᲧᲐᲪᲪᲘᲪᲠᲔᲚᲘᲚᲚ
[...|Ნ|...|ᲜᲒᲪ[-]ᲪᲪᲪᲘᲪᲪ
[...|ᲜᲔᲗᲐᲧᲚᲘ
[...|Ნ|- - - -|Თ[-]ᲩᲘᲪᲚᲚ ᲘᲠᲜ
20 [...]ᲪᲪᲪ†Ლ+ᲠᲜ:·

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ3(ი)ლთა ჩ(ე)მთა მზეგრძელ(ო)ბისათ(უი)ს, და ყ(ოველ)თა მ(ო)მ(ა)3(ა)ლთა ჩ(ე)მთათ(უი)ს, ძუ(ე)ლს(ა)ვე და მკუ(ი)დრსა მ(ა)მ(უ)ლსა ჩ(ე)მსა შ(ინ)ა. და შეეს‌წორე და მოვ(აკ)ს(ე)ნე მონ(ა)სტ(ე)რსა ამ(ა)ს ანდიკ(ა)ჲ, მისითა მზდევრ[ა-თ[ა] — ნა||კალოები]სა წყალ(ი)სა აქ(ა)ჲთ, [ზემოჲ]თა რ(ომე)ლ გზ(ა)ჲ გ(ა)-ჰვ(ა)ლ[ს, და] ჩაღმა წყლისა მ[ისსა] ნაკალოებნი [მ(ა)წ(ა)ჲ. ვ(ი)ნ]ცა ჩ(ემ)ი ესე შეწორ[ული, ანუ] რ(ა)მ(ა)ნ[ც]ა გუ(ა)რმ(ა)ნ კ(ა)ცმ(ა)ნ [შეცვა]ლ(ო)ს — შე-მცა-ი(ცვ(ა)ლ(ე)ბის ს[ჯულის(ა)გ(ა)]ნ [ქრისტ(ა)ნ(ე)თ(ა)ჲ[ს]ა და ი(უ)დ(ა)ჲ[ს თ(ა)ნა არს] ნ(ა)წ(ი)ლი მისი; დ(ა)მ(ა)მტკ(ი)ც(ე)ბ(ე)ლ]ნ[ი ამისი დაა]მ[ტ]კიცოს ღ(მერთმა)ნ [და წმიდ(ა)მ(ა)ნ] დ(ე)დაქ(ა)ლ(ა)ქმ(ა)ნ.‖

† აშენ[დ]ა ეხას[ი] ესე მ(ე)ფ(ე)[თ]-მ(ე)ფ(ო)ბ(ა)ს[ა] თ(ა)მ(ა)რის(ს)[ა] ინ-დი(ი)კტ(ი(ონ)ნ[სა] ე´.

ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლ(ი)თა თუსლეს მკ(უი)დრ(ნ)ჲ.

მ. ბროსემ გამოაქვეყნა ამ წარწერის მხოლოდ პირველი ოთხი სტრიქონის ტექსტი. როგორც ჩანს, დანარჩენნი ასლი მას ხელო არ ჰქონია. მის მიერ გამოცემული ტექსტის ბოლო სიტყვების („ფ´დ ცდ3ელისა“) შესახებ აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ორი სიტყვა ამოუცნობია, თუმცა, შინაარსის გაგებაზე გავლენას არ ახდენსო[7]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვაა საკუთარი სახელი „დოფი“; დოფი ელმელიქ ფადლისძის ცოლი იყო და მისი სახელის სწორად წაკითხვას და გააზრებას წარწერის ტექსტის გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაცვლად სიტყვისა „დოფისა“, ტექსტის ამ ადგილას ა. შანიძე კითხულობს სიტყვას „დედოფლისა“, ხოლო მოხსენების თეზისებში წარწერის შესავალი ტექსტის ნაწყვეტი ასე აქვს გადმოცემული: „სადიდებელად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, სამკუდრებელად და სალოცველად სულისა ჩემისა და დედოფლისა და მშობელთა ჩემთა და შვილთა ჩემთა მზეგრძელობისათვის“[8].

ტექსტის ამ ადგილის სწორი წაკითხვა — „დოფისა“ პირველად დ. მუსხელიშვილმა წარმოადგინა[9].

წარწერის დაზიანებული ადგილები, სიტყვის შემდეგ „მ3ღვრისა“ სიტყვამდე „დედაქალაქმან“, აღუდგენლად და მხოლოდ დღეს არსებული უმნიშვნელო ნაწყვეტების სახით არის წარმოდგენილი ბოლო ორ გამოცემაში[10]. აღ-

---

7 M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 133; მ. ბროსე, ნაცვლად „დოფისა“ კითხულობს „ფრიად ცოდვილისა“.

8 ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

9 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

10 დ. მუსხელიშვილი: „ნა - - - - ხაწყ - - - აქათ - - - მკთა რლგზ? ვ3ლ[რომელ გზაჲ ბოუ3ლის?] - - ო-ს ჩაღმა წყლისა მ - - - - ა ნაკალოებნი - - - - ა ვ[ინ]ცა ჩემი ესე შეწორ[ული] -ზნ-ა გორ(?) ბ´ნ კაცმან [შეცუ]ლ(ო)ს შემცაიცვლების ს - - - თასა და იდა (ოუდ?) - - - ნაწილი მისი [რომელმ]ნ დ[ა]ამტკიცოს ღმერთმან - - - - დაქლქ3ნ (დედა ქალაქმანნ?)“.

გ. ოთხმეზარი: „ნა - - - - - - - - - - თა რ(ომელ გზ(ა)ჲ გ(ა)ჰ[ვ(ა)ლს] ჩაღმა: წყლისა. მ - - - - - ა ნაკალოებნი - - - - აჩი ესე შეწორ(ულ[ლი] რ(ა)მ(ა)ნ[ცა] გუ(ა)რმ(ა)ნ კ(ა)ცმ(ა)ნ [შ(ე)ც] [ვ](ა)ლ(ო)ს შ(ე)მცა ცვ(ა)ლ(ე)ბ(ულ) (ა)რს ს[ჯ(უ)ლ](ისა) [ვ](ა)ნ - - - - მდ3ეა (sic) - - - - - - - ლ[ოცსოო მა[თ]ნი - - მცხ(ე)[თა წ(ი)ღ(ა)ბ]ე(ა)ნ ა[მ(ა)ნ] ღ(ე)დ(ა)ქ(ა)ლ(ა)-ქმ(ა)ნ“. აგრეთვე — ესასი] ე(კლე)ს(ი)ა, თკსლეს] თუ[ს(ი)თა](ა) ზზეს (sic)“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილი ჰქონდა თუ არა ეს ადგილები ა. შანიძეს, არ ჩანს, რადგან, მოხსენების თეზისებში, ბუნებრივია, მას წარწერის მთლიანი ტექსტი არ გამოუქვეყნებია. მისივე დაკვირვებით, „ნაკალოებნი", რომელიც წარწერის დაზიანებულ ნაწილშია მოხსენებული, შეიძლება ანდიკის მზღვარი იყოს, ან ანდიკასთან ერთად შეერიული ადგილი"[11].

რადგანაც მ. ბროსესათვის წარწერის ტექსტის ბოლო ნაწილები უცნობი იყო, თარიღთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ თარიღის უქონლობა ინტერპრეტაციის ფართო ასპარეზს იძლევაო. მისივე შენიშვნით, ორი მნიშვნელოვანი სიტყვის კავშირი, რომელთაგან ერთია ეღ-მელიქი, რომელიც უცნობი პირია, ხოლო მეორე ფადლა, ხშირად გვხვდება ბეწშადდიდების დინასტიაში ფაზლის ფორმით, მაფიქრებინებს, ამ დინასტიის წარმომადგენლებსო. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტექსტის მცირე ნაწყვეტის მიხედვითაც, რომელიც მის განკარგულებაში იყო, მან სწორად მიანიშნა წარწერის თარიღად XII ს.[12].

წარწერაში აღნიშნული თარიღი — თამარის მეფობის ხუთი ინდიკტიონი, პირველად ა. შანიძემ წარმოადგინა. შემდეგში ივივე დაადასტურა დ. მუსხელიშვილმა. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ა. შანიძე არ აღნიშნავს კონკრეტულად, თუ რომელი წელი იგულისხმება ამ თარიღის ქვეშ, ხოლო დ. მუსხელიშვილის მიხედვით, აქ 1189 წელი იგულისხმება. ცხადია, რომ იგი ინდიკტიონებს ითვლის თამარის მეფედ მორიგ კურთხევიდან. უკანასკნელ პუბლიკაციაში თამარის მეფობის ინდიკტიონები ათვლილია მისი მეფედ პირველი კურთხევიდან და წარწერის თარიღად აღნიშნულია 1183 წელი[13].

წარწერაში აღნიშნული თარიღის — „მეფეთ-მეფობასა თამარისსა ინდიკტიონსა ე" (5), კონკრეტულად განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას: 1. თამარის მეფედ პირველი კურთხევიდან (1178) მე-5 წელს (1183) მამამისი გიორგი III ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (იგი 1184 წელს გარდაიცვალა). თამარი გიორგის თანამოსაყდრე იყო და არა ერთპიროვნული მმართველი[14]. ამიტომ სავეჭვოა, რომ 1183 წლისათვის, ე. ი. გიორგი III-ის სიცოცხლეში, წარწერაში თარიღი მხოლოდ თამარის, ან საერთოდ მისი მეფობის წლებით აღენიშნათ. 2. თამარი წარწერაში მოხსენებულია „მეფეთ-მეფობით". ასეთი ტიტული მას შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ. ამიტომ, ვთვლით, რომ ორთაფოშთის წარწერის თარიღის განსაზღვრისას, თამარის მეფეთმეფობის ინდიკტიონები უნდა ავთვალოთ მისი მეფედ მეორე კურთხევიდან (1184) და წარწერაც 1189 წლით უნდა დათარიღდეს, როგორც ამას მიიჩნევს დ. მუსხელიშვილი, თუმცა, ცნობილია, რომ სხვა შემთხვევებში მეფეთა ინდიკტიონები აითვლებოდა მათი თანამოსაყდრედ კურთხევიდან[15].

შინაარსით ორთაფოშთის წარწერა, როგორც ვხედავთ, ერთდროულად

11 ა. შანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

12 M. Brosset. დასახ. ნაშრომი, გვ. 133—134.

13 გ. ოთხმეზური, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

14 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, იხ. მისი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 244.

15 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 167, 175 და განსაკუთრებით გვ. 182, საიდანაც ჩანს, რომ დავით ნარინის მეფობის „ორმოცდაშვიდუსმეტე" ინდიკტიონი, თუ მისი მეფედ პირველი კურთხევიდან, ანუ თანამოსაყდრეობიდან არ ავთვლით, ისევ აღწევს მისი მეფობის ინდიკტიონების რაოდენობას (იქვე, გვ. 180).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამშენებლოც არის და ეპიგრაფიკულ საბუთსაც წარმოადგენს — მასში აღნიშნულია ელმელიქ ფადლისძის მიერ მისი და მისი ახლობლების სამარხავ-სამლოცველო ეკლესიისა და მონასტრის აშენება და მისთვის ადგილ ადგილას შეწირვა. „აქვე დადგენილია ამ ანდიკას, თუ ანდიკის საზღვრები — „ნაკალოებისა წყლისა აქათ, ზემოთ რომელ გზაჲ გაჰვალს და ჩაღმა წყლისა მისსა ნაკალოებნი მიწაჲ“.

ნაკალოები მიწის ეკლესიისათვის შეწირვის, ან ნაკალოების მზღვრად დადების საინტერესო პარალელური მასალა დასტურდება 1200 წლის ახლო დროით დათარიღებულ და, მაშასადამე, ორთაფოშთის წარწერასთან ქრონოლოგიურად ახლო მდგომ, ერთ საბუთში — დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ზოსიმესადმი. აქ, ერთ-ერთი შეწირულების შესახებ აღნიშნულია, რომ „ეკელა, მასვე ვენაჯსა საგლეხოსა ზედა იოანეს — შენსა გამზრდელსა, ნაკალოები მეედლურა ეყიდა და ზედავე მოეკიდა“[16]. აქ, როგორც ვხედავთ, ნაკალოების სახელია „მეედლურა“. რომელიც შიომღვიმეში კვირიკე კახთა მეფის მწირველის ზოსიმეს გამზრდელს იოანესს ეყიდია და საგლეხო ვენახისათვის მიუმატებია („ზედავე მოეკიდა“).

როგორც ამ საბუთის ტექსტის მომდევნო ნაწილიდან ჩანს, ეს მიწა სადაო გამხდარა („იოანეს მთხრობელი აუდგა — ივანბერი წუერგრძელისძე და მიწაი დაკარგული უთხრა“). მაგრამ, ბოლოსდაბოლოს ეს საქმეც მოუგვარებია ზოსიმეს („საურავთა ზედავე შესძინა“) და ამის შესახებ ცალკე საბუთი შეუდგენიათ („თჳთ ამისი დაწერილი ძეს“).

როგორც ჩანს, ორთაფოშთის წარწერა-საბუთში დასახელებული ადგილი „ანდიკაჲ“ ეკლესიისა და მონასტრისათვის შეწირული ნაკალოები მიწის სახელი უნდა იყოს, ისევე, როგორც „მეედლურა“ არის ნაკალოები მიწის სახელი შიომღვიმის კრებულის დაწერილში ზოსიმესადმი. ამ ანდიკას შეწირულების შესახებ მონასტრის ცალკე საბუთიც ეენებობდა, ისევე, როგორც მეედლურას შეწირულების შესახებ ჰქონდა ცალკე საბუთი შიომღვიმის მონასტერს. ხოლო ეკლესიის კედელზე ამოკვეთილი წარწერაში ანდიკას შეწირულების საბუთის ძირითადი არსია გადმოცემული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, ჩვეულებრივ, სხვა შემთხვევებშიც[17].

წარწერის ტექსტში იხსენიებიან: ელმელიქ ფადლისძე, მისი მეუღლე დოფი, ელმელიქის მშობლები და შვილები — სახელების ჯარეშე. ცხადია, მათში მთავარია ელმელიქი, რომელსაც „ძუელი და მკვიცრი მამული“ ჰქონია და აქ „მამულსა შინა“ ეკლესია და მონასტური აუშენებია. ამასთანავე, მის მიერ აშენებული ეკლესია-მონასტრისათვის მას, წარწერაში დასახელებულ ანდი-

---

16 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 89, № 16 : 31—32.

17 ზოსიმესადმი შიომღვიმის კრებულის დაწერილს ერთი გვიანდელი მინაწერი მოეკოცება, რომელშიც ეპიგრაფიკული ძეგლი დამოწმებულია საბუთის სიმტკიცის საფუძვლად — „აქ. მღვიმეს რომ კრებულნი ბერები რომ წასულნ და ბჭიტებს საყდარი აუშენებიათ, ეს კრებულნი ამაშიგან სწერია. იქ რომ სახელები სწერია საყდარზედა — ისინი არიან ეს კრებულნი“ (ქართული ისტ. სპ. კორპუსი, I, გვ. 91, № 16 : 88—91). აქ საუბარია ბჭიტების საყდრის, ანუ ბჭითის შესახებ, რომელიც გიორგი III-ის ერთი შიომღვიმური საბუთის მიხედვით, ჯერ კიდევ ადარნესე ჰერთა პატრიკმა შესწირა შიომღვიმის მონასტერს (იქვე, გვ. 63, № 11 : 31—32; დაწერილებით ამის შესახებ იხ.: „მაცნე“, ისტორიის სერია, 3, 1969, გვ. 78). ცხადია, რომ რბილ საწერ მასალაზე შესრულებული საბუთი და ეკლესიის კედელზე ამოკვეთილი მისი მოკლე შინაარსი ერთმანეთს ავსებდნენ ამათუიმ შეწირულების სიმტკიცის დასამოწმებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კას გარდა, სხვა სახის ქონებაც შეუწირავს. ერთ-ერთი მათგანია მინიატურებით მდიდრულად შემკული ოთხთავის ეტრატზე გადაწერილი ხელნაწერი, რომელმაც ჩვენს დრომდეც მოაღწია და აძკამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (A-26).

ოთხთავის ამ ხელნაწერს მოეპოვება გადამწერის ხელითვე შესრულებული მინაწერი: „უფალო ღმერთო, მეოხ ექმენ ელმელიქს და დოფსა და ძათთა ძეთა — გიორგის, დადუნასა". ხელნაწერი აღწერილობაში XIII საუკუნითაა დათარიღებული[18], მაგრამ, ცხადია, რომ მის მინაწერში დასახელებული პირების ორთაფოშთის წარწერაში მოხსენიებულ პირებთან გაიგივების შემთხვევაში, ამ უკანასკნელის თარიღის მიხედვით, იგი უფრო XII ს-ის დასასრულით, ან XIII ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

ოთხთავი A-26 (მას „ლარგვისის სახარებასაც" უწოდებენ, რადგან ბოლოს ლარგვისის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა და იქიდან მოხვდა საეკლესიო მუზეუმში[19], ხოლო შემდეგ ხელნაწერთა ინსტიტუტში) გადაწერილია ნიკოლოზ კატარაწისძის მიერ. კატარაწისძეები, როგორც ჩანს, XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის პირველ ნახევარში სამეფო კარის ერთ-ერთი მწიგნობრები იყვნენ; ცნობილია, რომ ლაშა-გიორგის მიერ გაცემული და ჩვენამდე მოღწეული ორი სიგელი-ბრძანება — ერთი 1207 წლისა ველათისადმი და მეორე 1221 წლისა შიომღვიმისადმი, დაწერილია მიქაელ კატარაწისძის მიერ (ორივე სიგელი მთავრდება ერთნაირი ტრაფარეტული ფორმულით: „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი... ჯელითა მწიგნობრისა ჩუენისა მიქაელ კატარაწისძისაითა"[20]).

რადგანაც ელმელიქისა და დოფის მიერ მათგან აშენებული ეკლესიისა და მონასტრისათვის შეწირული სახარება-ოთხთავი სამეფო კარის მწიგნობართა საგვარეულოს წარმომადგენლის მიერ არის გადაწერილი, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ XII ს-ის II ნახევრის საქართველოს სამეფო კართან რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდათ. მართლაც, როგორც ათონის სვინაქსრის ერთი საალაპე ჩანაწერიდან ჩანს, დოფი — ორთაფოშთის წარწერისა და A-26 ხელნაწერის მიხედვით, ელმელიქ ფადლისძის მეუღლე, თამარ დედოფლის გამზრდელი ყოფილა.

ათონის ქართველთა მონასტერში დოფის სახელზე დაწესებული ყოფილა ორი აღაპი — 23 დეკემბერს და 6 ოქტომბერს. პირველი მათგანი ჩაწერილია ათონს სვინაქსარში (Ath.-30; ხელნაწერი გადაწერილია 1074 წ.), ხოლო მეორე შეტანილია ათონს მონასტრის აღაპების წიგნში (A-558).

ათონს სვინაქსრის 122r გვერდზე, ძირითადი ტექსტისაგან თავისუფალ

---

18 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A კოლექცია, ტ. I, თბ., 1973, გვ. 88—89. სპეციალურად ამ ხელნაწერის დათარიღების შესახებ იხ: ე ლ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ერთი ქართული ოთხთავის დათარიღების საკითხისათვის, „პალეოგრაფიული ძიებანი". I, თბ., 1963, გვ. 95—108. აქ, „მხატვრული შემკულობის" სტილისტური ნიშნებით, ხელნაწერი დათარიღებულია XIII ს-ის I ნახ-ით.

19 Ф. Д. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифлисского Церковного Музея, книга I, Тифлис, 1903, с. 20.

20 ქართული ისტორიული სიძეგნების კორპუსი, ტ. I, გვ. 106, № 21 : 16—18, გვ. 110, № 23 : 22—24. ცნობილია ნიკოლოზ კატარაწისძის გადაწერილი კადეგ ერთი ხელნაწერი — იერ. 67 („მარხვანი"), დაცული იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. რ. ბლეიკი, განსხვავებით სხვა ავტორებისაგან, მას, სავსებით სწორად, XII ს-ით ათარიღებს. შდრ. ე ლ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშიაზე, წვრილი ნუსხურით, მაგრამ XII ს-ის მკაფიო და გარკვეული ხელით, მიწერილია:

„ო(უეს)ა დ(ე)კ(ე)ნბერსა კგ.

ამ(ა)სვე დღ(ე)სა აღაპი დ ო ფ ი ს ა ჲ, თამ(ა)რ დედოფლისა გ(ა)ძზრდელის(ა)ჲ.

ამ(ა)ნ კ(ურთ)ხ(ეულ)მ(ა)ნ დედაკ(ა)ცმ(ა)ნ დიდსა დაჭირებასა და უღონობასა ანი დუკ(ა)ტი შემოსწირა ამ(ა)ს მონ(ა)სტ(ე)რსა და ეგრე მოეწერა, ვითა: „სრ(უ)ლი აღ(ა)პი დამიწესეთ და რაჲცაღა აკლდეს ამას ოქროსა, მიბრძანეთ და ზ(ედ)ა გავ(ა)სრ(უ)ლებო“.

ამისთ(ვ)ს მე, მ(ა)მ(ა)მ(ა)ნ მ(ა)კ(ა)რი, თ(ა)ნაჯერჩანებითა ყ(ოველ)თავე ძმ(ა)თ(ა)ჲთა, დაუწესე პ(ა)ნ(ა)შ(ვ)დი ეს, რ(ჲათ)ა ს(ა)ს(ოე)ბისა მისისაებრ გ(ა)რდაეკ(ვ)ლებოდის ყ(ოვლ)ით(უ)რთ ს(რულ)ა)დ და უნ(ა)კ(ლ)ულ(ო)დ, ვითა წესი არს ამის მონ(ა)სტრის(ა)ჲ, გ(ა)ლ(ო)ბითა და ღ(ერთმა)ნ არწმ(უ)ნოს; მემსგუფსემ(ა)ნ ჟ(ა)მი უწიოს და ყ(ოვე)ლთა ძმ(ა)თა ულოცონ. და ღ(ერთმა)ნ შეუნდ(ვ)ნეს და აკ(ურთ)ხოს იგი და ყ(ოველ)ნი კ(ე)თილისმყოფ(ე)ლნი მონასტრსა ჩუ(ნ)ისანი, ამინ“ [21].

როგორც ჩანს, შეწირულების „ზედაგასრულება“ საჭირო გამხდარა და დოფის ათონის ქართველთა მონასტრისათვის კიდევ გაუგზავნია 246 დრაკანი. ამის შესახებ ათონის საალაპე წიგნში შემდეგი მოსახსენებელია შეტანილი:

„ო(უეს)ა ოკდ(ო)ნბ(ე)რსა **ვ.** აღაპი არს ოფი დ ო ფ ა ჲ ს ი. მოსცა ეკლესი(ა)სა **დრაჰკანი ხმ3.** გარდიკ(ვ)ლებოდის პანაშუდი. დიენდიოს სამი მწუხრსა და ოთხი სამხრად“ (A-558, 196v)[22].

ამ აღაპის ბოლო წინადადება ასე უნდა გავიგოთ: „დიენდიოს“ მიღებულია ზმნიდან „წდევა“, რაც ძვ. ქართულში „სხმას“, „დალევინებას“ ნიშნავდა[23]. აღაპის გადახდის დროს, დოფის სახელზე, მონასტრის ბერებს უნდა დარეგებოდა — მწუხრად სამი და სამხრად ოთხი, ალბათ, კრასოვული ღვინო.

დოფის ეს აღაპი, ისევე როგორც აღაპების დიდი ოაოოენობა, გადაწერილია იოვანე თაფლაჲსძის ხელით. როგორც ჩანს, იგი მას თავდაპირველი დედანი ჩანაწერიდან შემოკლებულად გადმოუწერია[24]. გარდა ამისა, დედანში სახელის პირველი ასო „დ“, თითქოს, დაზიანებული ყოფილა, ან შეიძლება გარკვევით არც ეკითხებოდა და თაფლაჲსძეს ჯერ „ოფი“ გადმოუწერია, ხოლო შემდეგ, ამის გადაუშლელად, იქვე, მისსავე გაგრძელებაზე „დოფაჲსი“ და-

---

21 ეს საალაპე ჩანაწერი გამოცემულია ოთხჯერ: სანჯერ — კ. კეკელიძის ერთი და იმავე ნაშრომის პუბლიკაციებში (იხ. მ ი ს ი, ათონსი ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, თსუ შრომები, VI, 1936, გვ. 160; იგივე — მ ი ს ი, ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 236. იგივე — იხ. კრებული „იერონი — 1000“, თბ., 1983, გვ. 45). ხოლო მეოთხედ — ათონის ხელნაწერთა აღწერილობის I ნაკვეთში (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ათონური კოლექცია, I, თბ., 1986, გვ. 92). რადგანაც ეს გამოცემები ორიოდე შემთხვევაში რაღდენადმე სხვაობენ ორთოგრაფიულად (ხოლო ერთგან — ტექსტობრივადაც) ჩანაწერის დედნისეული ტექსტისაგან, აქ იგი მოგეყავს მთლიანად.

22 ათონის იერეთის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 244, აღაპი № 114.

23 ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 541.

24 ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, იოვანე თაფლაჲსძეს გადაწერისას აღაპები საერთოდ შეუმოკლებია — მათგან ამოღებია სხვადასხვა ისტორიული ხასიათის ცნობები (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ათონის კრებულის“ რედაქცია, იხ. მ ი ს ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბ., 1967, გვ. 214—215).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწერია. ასე მივიღეთ ათონის მონასტრის სააღაპე წიგნში აღაპის დამკვეთის სახელად „ოფი დოფაა“. კ. კეკელიძესაც მიუჩნევია, რომ აღაპის დამკვეთს ასეთი სახელი ეჭქვა სახელის მეორე, სწორ ფორმასთან („დოფი“) ერთად[25]. მაგრამ, როგორც აღინიშნა, სახელის ასეთი ფორმა იოვანე თაფლაანძის — ათონის ქართველთა მონასტრის აღაპების ერთ წიგნად შემკრებ-გადამწერის შეცდომაა, აღაპის დამდების სახელი იყო „დოფი“[26].

მაშასადამე, სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების — ეპიგრაფიკული ძეგლის, ისტორიული საბუთების, ხელნაწერის მინაწერისა და სააღაპე ჩანაწერების ცნობათა ურთიერთდაკავშირებთ მივიღეთ, რომ:

1. XII ს-ის II ნახ-ის საქართველოს ერთ-ერთი წარჩინებული ოჯახი ყოფილა ელმელიქ ფადლისძის სახლობა. ელმელიქი, როგორც მისი და მისი მამის სახელებიდან ჩანს, არაქართული, უფრო „არაბულ-აღმოსავლური“ წარმოშობის პირი უნდა იყოს; ხოლო მისი მეუღლე დოფი — ასევე მისი სახელის მიხედვით, ქართული წარმოშობის მანდილოსანნი ყოფილა. ასეთი ქორწინებანი მაშინ რომ უცხო არ იყო, ჩანს იქედანაც, რომ რუსუდან მეფის (1123—1249), როგორც პირველი, ისე მეორე ქმარი, წარმოშობით მაჰმადიანი იყო. მათგან მეორე, არზრუმის მმართველის ტოღრილის შვილი მოღოს-ედ-დინი, როგორც მძევალი, საქართველოს სამეფო კარზე იზრდებოდა, იგი „იყო ქმნულ-კეთილი და სრული ასაკითა, შუენიერი გუამითა, მჭნე და ძლიერი ძალითა. ვითარ განიცადა, სთხდა მეფესა რუსუდანს და ინება ქმრად მოყვანებაჲ მისი, რომელ აღასრულა და იქორწილა ტოღრილის შვილი“[27]. მეორე ქმარი იმ პირობით დაქორწინეს რუსუდანზე, რომ მან მაჰმადიანობა უარყო, მოინათლა და გაქრისტიანდა[28]. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთსავე ფაქტს ექნებოდა ადგილი ელმელიქისა და დოფის დაქორწინების შემთხვევაში.

2. ელმელიქ ფადლისძის მეუღლე თამარ დედოფლის გამზრდელი ყოფილა და, მაშასადამე, ეს ოჯახი საქართველოს სამეფო კართან დიდად დაახლოებული იქნებოდა.

3. ელმელიქს, როგორც ჩანს, ქრისტიანობაზე „საბოლოოდ მოქცევის“ ნიშნად ეკლესია და მონასტერი აუშენებია. მისთვის ცოლ-ქმარს შეუწირავს, რო-

---

25 იხ. მ ი ს ი. ეტიუდები, II, გვ. 235. ნ. ბერძენიშვილი იოვანე თაფლაანძეს XII ს-ის 40-იანი წლების მოღვაწედ მიიჩნევდა (იხ. მ ი ს ი, „ათონს კრებულის“ რედაქცია, გვ. 209). ცხადია, მისი ხელით გადმოწერილი „ოფი დოფაას“ ლაპი ამაზე წინა დროისა უნდა დათარიღდეს და, მაშინ, იგი თამარ დედოფლის გამზრდელის დოფის სახელ ვერ დაუკავშირდება. როგორც ჩანს, ან იოვანე თაფლაანძის მოღვაწეობის დრო უნდა გადმოვწიოთ XII ს-ის დასასრულისაკენ, ან „ოფი დოფაა“ და „თამარ დედოფლის გამზრდელი დოფი“ სხვადასხვა პირად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ამ საკითხს შემდგომი კვლევა სჭირდება, მაგრამ იგი ხელს არ უშლის ელმელიქისა და დოფის შესახებ აქ წარმოდგენილ სხვა იდენტიფიკაციებს.

26 ძველ საქართველოში ეს სახელი რომ იშვიათი არ იყო იქედანაც ჩანს, რომ ტბეთის სულთა მატიანეში შეტანილია ორი სხვადასხვა დოფის მოსახსენებელი (ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 86. № 207; გვ. 110, № 388); ორივე მათგანი ამ მატიანის XII ს-ი ჯაჭარიღებულ ფენას განეკუთვნება. გარდა ამისა, ამ სახელმა თითქმის ჩვენს დღეებამდე მოაღწია — იხ. მაგალითად, ლ. ქ ი ა ბ ე ლ ი მოთხრობა „თავდის ქალი მაია“, სადაც ეს სახელი „დოფის“ და „დოფიანოს“ ფორმით დასტურდება; შდრ. ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 114 („დოფა“).

27 „ეამთაღმწერელი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 172 : 4—6.

28 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1966, გვ. 39—42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც უძრავი ქონება — ადგილი ანდიკაჲ, ისე საეკლესიო სამსახურებელი — მინიატურებით მდიდრულად შემკული, ეტრატზე დაწერილი სახარება-ოთხთავი.

4. დოფის, როგორც ღმრთისმოსავ და „კუთხნეულ დედაკაცს“, ათონის მთის ქართველთა მონასტრისაფის ორგზის უხვი შეწირულება ეაუცია, რისთვისაც მის სახელზე 6 ოქტომბერს და 23 დეკემბერს აღაპი დაუწესებიათ. ცნობილია, რომ ათონის ქართველთა მონასტრისთვის შეწირულება გაუცია თამარ დედოფალსაც — ათონის საღაპე წიგნში „თუესა ეკლესსა კ“ (25) შეტანილია ვრცელი საღაპე ჩანაწერი მის სახელზე[29]. ამ ჩანაწერიდან ისიც ჩანს, რომ თავისი შეწირულების ნაწილი („კ პერპერაჲ“) ათონზე მას გაუგზავნია ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა 1178—1184 წლებს შორის, როდესაც ნიკოლოზ გულაბერისძე იერუსალიმში და ათონზე იმყოფებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ წლებში მისივე ხელით გაეგზავნოს ათონზე თავისი მოსახსენებელი თამარ დედოფლის გამზრდელს დოფის. ამ ვარაუდს მეტი საფუძველი ექნება თუ გავიხსენებთ, რომ ნიკოლოზ გულაბერისძეს, გარდა თამარ დედოფლის შეწირულებისა, ათონზე წაუღია, აგრეთვე, აბულასან ქუთათელის შეწირულებაც — 40 პერპერა[30]; ე. ი. მოსახსენებელთა სხვათა ხელით გაგზავნის პრაქტიკა მიღებული ყოფილა. აქედან გამომდინარე, ათონის მონასტრისათვის დოფის შეწირულება შეიძლება 1178—1184 წწ. დათარიღდეს.

5. ელმელიქს და დოფის ჰყოლიათ შვილები — გიორგი და დადუნა, რომელთა შესახებ ჩვენ, სამწუხაროდ, სჟვა ცნობები არ გაგვაჩნია და მათი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

ორიოდე სიტყვით უნდა აღინიშნოს, იმ „არაბულ-აღმოსავლური“ გარემოს შესახებ, რომელიც ამ სახლობას ახლდა, მით უმეტეს, რომ ამგვარი ოჯახები იმდროინდელ საქართველოში, როგორც ჩანს, უცხო არ იყო.

აკად. ა. შანიძე ორთოფოშთის წარწერასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ქართული ენის ისტორიისათვის წარწერა მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის: არაბული წარმოშობის საკუთარი და საზოგადო სახელები, რომლებიც წარწერაში გვხვდება (საკუთარი: ფადლი, ელმელიქ, საზოგადო: ესასი „საფუძველი, დაფუძნება“, „შენებულება“), აშკარად მოწმობენ აღმოსავლური ელემენტების გაძლიერებას ენაში“[31]. ასეთი ელემენტები მეტი რაოდენობით და უხვად დასტურდება ა. შანიძის მიერვე გამოცემულ ერთ ასტროლოგიურ ტრაქტატში, რომელიც არაბულიდანაა თარგმნილი[32] და ჩვენამდე მოღწეულია ორთოფოშთის წარწერის თანადროული 1188 წლის ხელნაწერით (A-65). ეს ელემენტები დაწვრილებით არის აღრიცხული და გაანალიზებული თვითონ ა. შანიძის მიერ.

ჩვენი საკითხისათვის საინტერესო სურათი ეამოავლინა ელმელაქისა და დოფის შეკვეთით გადაწერილი სახარება-ოთხთავის მოხატულობის დეკორიტ

29 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპები, გვ. 258—259.

30 იქვე, გვ. 257—258.

31 ა. შანიძე, ერთი უცნობი თამარის დროინდელი წარწერა, გვ. 8. სიტყვა „ესასი“, „ესესი“-ს ფორმით, თითქოს დასტურდება ს. დიღომის წმ. გიორგის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაშიც, რომელიც X—XI სს. მიჯნით თარიღდება (ვ. ბ ე ქ ა რ ა ი ა, დიღომი, „საქ. სახ. მუზეუმის მოამბე“, XVII-B, 1953, გვ. 101—102; შენ. 4 (გვ. 102).

32 ეტლთა და ზეცთა მნათობთა,ს. ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა. გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაერთო ა. შანიძემ, თბ., 1975, გვ. 43—44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვირვებამ. ხელნაწერს, როგორც ეს წესად იყო მიღებული სხვა ხელნაწერი-ოთხთავების შემთხვევაში, წინ უძღვის კანონები[33], რომლებიც ჩასმულია ორნამენტირებულ თაღოვან ჩარჩოებში. ხელნაწერში რვა ასეთი გვერდია — 1v, 2v, 3v, 4v, 5r, 6r, 7r, 8r. ყველა შემთხვევაში ჩარჩოს თაღები შემკულია ორნამენტებით. აქედან ხუთი გვერდი (3v, 5r, 6r, 7r, 8r) შემკულია ფოთლოვანი ორნამენტით, ხოლო სამი გვერდი — 1v, 2v, 4v, სტილიზებული ქუფური ასოებისაგან შედგენილი ორნამენტით[34] (სურ. 14, 15, 16).

სურ. 14

სტილიზებული ქუფური ასოების ორნამენტად გამოყენება XII ს-ის ქართულ ქრისტიანულ ძეგლებში უცხო არ არის. იგი სხვაგანაც დასტურდება: მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესიის (ზემო სვანეთი) 1140 წლის მოხატულობაში ეს ორნამენტი ოთხჯერ გვხვდება — დასავლეთი და ჩრდილოეთი კარების თავზე, შიგნიდან, წმ. ეკატერინეს გვირგვინით შემკობის სცენაში და დემეტრე I-ის სამკლავეზე (როგორც ცნობილია, ამ ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მოხატულობის დასავლეთ მონაკვეთში წარმოდგენილია დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა)[35]. ასეთივე მოტივითაა შემკული სჯ3კლავეები გიორგი

---

33 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. I₁, გვ. 88—89.

34 A-26-ის კანონების ორნამენტად ქუფური ასოების გამოყენების შესახებ პირველად აღნიშნა თ. ვირსალაძემ (იხ. Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, „ქართული ხელოვნება“, 4, 1955, გვ. 199, შენ. 1.).

35 Т. Б. Вирсаладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 171, სურ. 2; 172, სურ. 3; 175, 184—185, 199; ტაბ. 56, 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III-ისა და რატი სურამელისა ვარძიაში[36], ერისთავებისა ზემო კრიხში[37], მიქაელ ჩეგიანისა ადიშში[38]. ყველა მათგანი XII ს-ს განეკუთვნება[39].

სურ. 15

სურ. 16

---

36 Г. Гаприндашвили, Вардзия, Л-д, 1975, таб. 78, 80.

37 Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви Архангелов села Земо Крихи, „ქართული ხელოვნება“, 6, 1963.

38 ნ. ალადაშვილი, ა. ა. ვოლსკაია, ზემო სვანეთის კედლის მხატვრობის ძეგლები, „ძველის მეგობარი“, 9, 1967, გვ. 31; სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბ., 1988, ტაბ. 11.

39 შდრ., ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტუმი (VI—XIV სს.), თბ., 1964, გვ. 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთავად, სახარების ხელნაწერისა (A-26) და ეკლესიების, აგრეთვე დიდებულთა სამოსლის მორთულობის ელემენტებად მაჰმადიანურ-აღმოსავლური მოტივის — ქუფური დამწერლობის, თუნდაც სტილიზებული ასოების ორნამენტებად გამოყენება დიდად საინტერესო ფაქტია და მიუთითებს, ერთი მხრივ, როგორც არაბულ-აღმოსავლური ელემენტების გაძლიერებას კულტურაში (ენაში — ა. შანიძე, ხელოვნების ძეგლებში — დასახელებული მაგალითების მიხედვით), ისე, მეორე მხრივ, ქრისტიანულ და აღმოსავლურ-მაჰმადიანურ კულტურათა ღრმა და მჭიდრო სინთეზს XII ს-ის საქართველოში: მის უმაღლეს გამოხატულებას „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს, რომლის ფაბულის არაბულ-აღმოსავლურ საბურველში ქართულ-ქრისტიანული სამყაროა წარმოდგენილი.

როგორც ჩანს, დასახელებულ კულტურათა ეს სინთეზი ბევრად უფრო ღრმა და მრავლისმომცველი იყო, ვიდრე ეს ჩვენ დღეს გვაქვს წარმოდგენილი. ამ მიმართულებით საგანგებო კვლევამ (კონკრეტული მაგალითებისა და ნიმუშების გამოვლენით და გაანალიზებით) ძალზე საინტერესო სურათი შეიძლება მოგვცეს.

ამ სინთეზის კონკრეტული გამოვლინების მაგალითს ჩვენს შემთხვევაში ვხედავთ ელმელიქისა და დოფის არაბულ-ქართული, გაქრისტიანებული ოჯახის შექმნაში, მათ მიერ შეკვეთილი ქრისტიანული წერილობითი ძეგლის მორთულობის ერთ-ერთ ელემენტებად მაჰმადიანური, არაბულ-აღმოსავლური ნოტივის გამოყენებასა და უფრო მეტი, მათ მიერ ეკლესიისა და მონასტრის აშენებაში.

6. ზოგიერთი ახალი მასალა ქობერის ქართული ეპიტაფიების შესახებ

სომხეთის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია XIII—XIV სს. საფლავის ქვების წარწერები ქობერის (ქობაჲრის) მონასტრიდან. პირველად პ. მურადიანმა გამოაქვეყნა 11 ასეთი წარწერა[1]. ამ ეპიტაფიებს შორის გვხვდება, როგორც ცნობილი ისტორიული პირების, მაგ. მხარგრძელთა ფეოდალური სახლის წევრების, ისე სხვა წყაროებით უცნობი პირების საფლავის ქვის წარწერები. უნდა ვივარაუდოთ, რომ გარდა პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებული ეპიტაფიებისა, ქობერის მონასტრის ეზოში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ეს წარწერები აღმოჩნდა, კიდევ არის მოსალოდნელი სხვა დღემდე უცნობი საფლავის ქვების ქართული წარწერების გამოვლენა.

ამჟამად მათ მიკვლევას და ამ მეტად საინტერესო მასალის სრულად მოპოვებას ხელს უშლის ის, რომ მონასტრის ტერიტორია მთავარი ტაძრის გარშემო, ასევე, ამ ტაძრის იატაკი და მონასტრის ეზო, მოფენილია დიდი ზომის ქვის ლოდებით, რომლებიც მიწისძვრისა თუ მცირე მიწისქვეშა ბიძგების შედეგადაა ჩამოცვენილი და, შეიძლება ითქვას, დღემდე ცვივა, მონასტრის თავზე

---

1 პ. მ ურ ა დ ი ა ნ ი, სომხეთის ქართული წარწერები, წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, ერევანი, 1977, გვ. 178—181 (სომხურ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამომართული კლდეებიდან[2]. როგორც ჩანს, ამ ლოდების ქვეშ დღემდე დაფარულია და მიუკვლეველი არა ერთი და ორი უცნობი ეპიტაფია. უფრო მეტი, ცნობილი ეპიტაფიების ნაწილიც ამჟამად უკვე ლოდების ქვეშაა მოყოლილი და მათი შესწავლა, ან მასალის შემოწმება, შეუძლებელია.

როგორც ჩანს, სწორედ ამავე მიზეზით, ე. ი. იმის გამო, რომ ლოდებით იყო დაფარული და არ ჩანდა, პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებულ ეპიტაფიებში ქობერის მონასტრიდან არ არის წარმოდგენილი ორი წარწერა — ერთი ვინმე მაკარისა და მეორე — მაკარის შვილის გრიგოლისა. მათი საფლავის ქვები არც ამჟამად ჩანს მონასტრის ტერიტორიაზე. ამ წარწერების მაღალხარისხოვანი, მინაზე გადაღებული ფოტონეგატივები აღმოჩნდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეტად მდიდარ და ხშირად უნიკალური მასალის შემცველ ფოტოთეკაში. ფოტოთეკის საინვენტარო წიგნის მიხედვით ეს ნეგატივები (№ 5363, 5367) ენიმკის ყოფილი კოლექციიდანაა, დამზადებულია 30-იან წლებში; თუ ვის მიერ, ამის დადგენა, სამწუხაროდ, ამჯერად არ მოხერხდა. ასევე, არ ჩანს სხვა ცნობები ამ მასალის შესახებ.



სურ. 17

მაკარისა და მისი შვილის გრიგოლის ეპიტაფიები ქობერის მონასტრიდან შესრულებულია ასომთავრული, კიდურწერტილოვანი დამწერლობით, პირველი ხუთ და მეორე ექვს სტრიქონად. ორივე წარწერის დასაწყისში დასმულია ქანწილი, რომლის განივი ხაზის ბუდეებში ამოკვეთილია თითო წერტილი. განკვეთილობის ნიშანი ორივე წარწერის ტექსტში — ორწერტილი; ქარაგმის ნიშანი — განივი, კლაკნილი, კიდურწერტილოვანი ხაზი.

---

[2] ჯერ კიდევ 1276 და 1279 წლებში, როგორც ეს მონასტრის მთავარი ტაძრის კედელზე ამოკვეთილ ორ სხვადასხვა წარწერაშია აღნიშნული, „ეკლესიაი ესე ყოელი კარისბჭითურთ“ „დალეწილნი ზედათ ქვისაგან“ „შეუკაზმეს“ გიორგი ბერს — შაპანშე მანდატურთუხეცესს ძეს (პ. მ ურ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174—175, 177).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მ ა კ ა რ ი ს ე პ ი ტ ა ფ ი ა (სურ. 17, 18):



სურ. 18

ᲩᲔᲡ საფლ(ა)ვი არის მ(ა)კ ა რ ი ს ი, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ; და მ(ა)სცა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ, ვინცა თქუას.

ბ. მ ა კ ა რ ი ს შ ვ ი ლ ი ს გ რ ი გ ო ლ ი ს ე პ ი ტ ა ფ ი ა (სურ. 19, 20):

ᲩᲔᲡ საფლ(ა)ვი არის მ(ა)კარ(ი)ს შვ(ი)ლ(ი)სა გ (რ ი) გ (ო) ლ ი ს ი, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ; და მასცა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ, ვ(ი)ნცა თქუას.

როგორც ვხედავთ, ორივე ეპიტაფიის ტექსტი შედგენილია მსგავსი ტრაფარეტული ფორმულით, რომელიც, ამავე დროს, ქობერის მონასტრის სხვა ეპიტაფიების ფორმულების მსგავსია, თუმცა ამათსა და ქობერის სხვა ეპიტაფიებს შორის მცირე განსხვავება მაინც არის. მაგ., აქამდე ცნობილი ქობერის ყველა ეპიტაფია იწყება სიტყვებით „ესე საფლავი...“ და შემდეგ დასახელებულია დაკრძალული პირი[3]. მაკარისა და გრიგოლის ეპიტაფიაში აღნიშნულ სიტყვებს მოსდევს „არის“, ე. ი. „ესე საფლავი არის...“. გარდა ამისა, განსხვავებით ქობერის ყველა ცნობილი ეპიტაფიისაგან, მაკარისა და გრიგოლის წარწერა მთავრდება სიტყვებით „და მასცა შეუნდვენ ღმერთმან, ვინცა თქუას“. მაშასადამე, ისინი ქობერის მონასტრის ეპიტაფიების ტრაფარეტული ტექსტების შემდგომ განვითარებად შეიძლება მივიჩნიოთ, ქრონოლოგიურად მათ მომდევნო დროს მივაკუთვნოთ. მართალია, მაკარისა და გრიგოლის ეპიტაფიები ქრონოლოგიურად ერომანეთისაგან დიდად დაშორებული არ უნდა იყოს, როგორც მამა-შვილის საფლავის ქვების წარწერები, მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნებისა და ტექნიკური შესრულების ზოგიერთი მონა-

3 იხ. ვ. მ უ რ ა დ ი ა ნ, დასახ. ნაშრომი, გვ. 144—145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემის მიხედვით, ეს წარწერები სხვადასხვა პირების მიერ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. ეს ნიშნები შემდეგია:



სურ. 19

Ճ დ-ს მუცელი მაკარის წარწერაში მორკალურ განივ ხაზს, ასოს თავს უერთდება ორი პარალელური ხაზებით გადმოცემული ყელით, ხოლო გრიგოლის წარწერაში ასეთივე დ-ს მუცელი მთელ განივ ხაზს უერთდება ერთი სწორი ხაზით.

Շ ა მაკარის წარწერაში ყოველთვის გადმოცემულია ზემოთ აწეული რკალით, ხოლო გრიგოლის წარწერის ბოლო სამ სტრიქონში ə-ს რკალი ქვემოთ არის მოხრილი.

მაკარის წარწერისაგან განსხვავებით, გრიგოლის წარწერის სტრიქონები (ბოლო ორი სტრიქონის გამოკლებით) ერთმანეთისაგან გამოყოფილია ღრმა განივი ხაზებით; როგორც ჩანს, სწორედ ამის გამოა, რომ გრიგოლის წარწერაში, გარდა ერთი შემთხვევისა (მესამე სტრიქონის ბოლოს სიტყვაში ը՞ն) ქარაგმის ნიშნები არ ზის.

ორივე წარწერაში ტექსტის დასასრულის აღმნიშვნელი სხვადასხვა ნიშნებია დასმული (იხ. წარწერების ფოტო და მონახაზები).

ერთი სიტყვით, რამდენადაც ეს წარწერები სხვადასხვა პირების ეპიტაფიებია, იმდენად სხვადასხვა პირების მიერ ჩანს შესრულებულიც.

მსგავსად ქობერის მონასტრის სხვა ეპიტაფიებისა, ეს წარწერებიც, ზოგადად, XIII—XIV სს. თარიღდება. ალბათ, უფრო სწორი იქნება მაკარისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი შვილის გრიგოლის ეპიტაფიების დათარიღება XIII ს-ის დასასრულით და XIV ს-ით, სავარაუდოდ, მათ შორის ერთი თაობის ქრონოლოგიური სხვაობით. სამწუხაროდ, როგორც მაკარი, ისე გრიგოლი, ისევე როგორც ქობერის ეპიტაფიებში დასახელებული პირების უმრავლესობა, სხვა წყაროებით უცნობია.



სურ. 20

* * *

ქობერის მონასტრის საფლავის ქვების წარწერებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ეპიტაფია-ლექსი, რომელიც გამართულია შაირით, ე. ი. თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონებით, თარიღდება XIII ს-ის შუა ხანებით, ან XIII ს-ის II ნახევრით და, ამდენად, როგორც ასეთი, ე. ი. შაირით გამართული, ახლოს დგას „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქასთან[4]. თუმცა, ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსის გამოქვეყნების შემდეგ აღმოჩნდა XII ს-ის დასაწყისის (1103 წ.) წარწერა-ლექსი, გამართული ასევე შაირით[5]. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის წერილობით ძეგლებში შაირით გამართული პოეტური ფორმების დადასტურება თუ ჩვეულებრივ მოვლენად არა, განსაკუთრებულ გამონაკლისად უკვე აღარ ჩაითვლება.

---

4 ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1980, გვ. 169—170.

5 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 16. XI. 1984, გვ. 10—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქობერის ეს ეპიტაფია-ლექსი დაკავშირებულია მხარგრძელთა ფეოდალური სახლის წევრებთან. წარწერაში ლექსის ტექსტის შემდეგ, ორ სტრიქონად ამოკვეთილია აქ დაკრძალული პირის, თუ პირების სახელი. ეს სტრიქონები პ. მურადიანისეული წაკითხვით ასეთია: „...იწდ...ნშს (?) და ხკაშსა შეუნდვენ ღმერთმან“[6]. ამ ტექსტის მეორე ნახევრის წაკითხვა ჩვენც წარმოვადგენეთ: „...და ხუაშ(ა)სა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“[7], ხოლო პირველი ნახევრის წაკითხვა მაშინ არ მოხერხდა. საქმე იმაშია, რომ საფლავის ქვას ბზარი დაუყვება სწორედ იმ ადგილებში სადაც წარწერის პირველი ნახევრის ასოებია ამოკვეთილი. ამის გამო, ასოთა კვეთის ნაწილი ქვის ანატკეცებს გაჰყოლია და ტექსტი აქ სხვა ადგილებზე მეტადაა დაზიანებული და ნაკლული. წარწერის ამ ადგილების დამატებითი შესწავლის და ადგილზე შემოწმების შემდეგ შესაძლებელი შეიქნა შემდეგის წაკითხვა:



მაშასადამე, წარწერის ტექსტში ამ ადგილას იკითხება:

[ს(უ)ლსა შ]ანშ(ე)ს და ხუაშ(ა)სა, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

მივიღეთ, რომ ეპიტაფიის ტექსტში მხარგრძელთა ფეოდალური სახლის ორი წევრის — შანშეს და ხუაშას, სახელებია მოხსენიებული. ცნობილია, რომ ქობერის მონასტერთან კავშირი ჰქონდა 1261 წელს გარდაცვლილი შანშე მანდატურთუხუცესს — საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი დიდმოხელის ცოლს, რომელმაც ეს მონასტერი შეიძინა სომხებისაგან, როგორც ამას XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი გადმოგვცემს. მისივე ცნობით, 1261 წელს ოძუნში გარდაცვლილი შაჰანშე ქობერის მონასტერში დაკრძალულს[8]. გამოთქმულია ვარაუდი, რომ შანშეს ცოლი და, შესაძლებელია, თვით შანშეც უნდა იყვნენ გამოსახულები ქობერის მონასტრის მთავარი ტაძრისათვის მიშენებული სამლოცველოს XIII ს-ის მხატვრობაში[9]. მაშასადამე, მხარ-

---

6 პ. მურადიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

7 ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

8 Киракос Гандзакеци, История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, М., 1976, с. 236.

9 ზ. სხირტლაძე, გამოკვლევა ქობაირის ტაძრის მოხატულობის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 24, 1983, გვ. 195.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელთა ფეოდალურ სახლში, წყაროების მიხედვით, სახელი ხუაშა, ასევე პოზიციებში დასტურდება:



როგორც ვხედავთ, სახელი „ხუაშა“ მხარგრძელთა დიდ ფეოდალურ სახლში ოთხჯერ დადასტურდა — ერთხელ რძალ-დედამთილის და ერთხელ ბებია-შვილიშვილის სახელებად. აქედან, ქრონოლოგიურად პირველ ხუაშას, რომელიც XIII ს-ის დასაწყისში მოღვაწეობდა და უკანასკნელ ხუაშას, რომელიც XIII ს-ის II ნახევარში მოღვაწეობდა, მეუღლეთა სახელი იყო ივანე. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ კოშის წარწერა-საბუთის ივანე და ხუაშა — XIII ს-ის II ნახ-ის მოღვაწეები, შეცდომით მიჩნეული იყო XIII ს-ის დასაწყისის მოღვაწეებად — ივანე ათაბაგად და მის მეუღლე ხუაშად[10].

ამჟამად, როდესაც მოხერხდა ქობერის მონასტრის ეპიტაფია-ლექსის ბოლო სტრიქონში შაჰანშეს და ხუაშას — ყველა მონაცემის მიხედვით ცოლ-ქმრის, სახელების წაკითხვა, შეიძლება მეტი დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ კოშის წარწერისეული ხუაშა — „შაჰანშეს და მისთა ძმათა დედა“, არის ივანე II მანდატურთუხუცესის მეუღლე, რომლის სახელი უცნობი იყო და მხოლოდ ვივარაუდეთ, რომ მასაც ხუაშა ერქვა, ისევე როგორც მისი მეუღლის (ივანე II-ის) დედას.

В. И. СИЛОГАВА

ЭПИГРАФИЧЕСКИЕ ЭТЮДЫ И ЗАМЕТКИ

Резюме

Статья состоит из четырех эпиграфических этюдов: 1) Эпиграфический документ из с. Вариани. 2) Надпись Антония Кутатели. 3) Надпись Элмелика Падлисдзе и о воспитательнице царицы Тамар Допе. 4. Некоторые новые материалы о грузинских эпитафиях Коберского монастыря.

В первом этюде опубликован эпиграфический документ, датирующийся X—XI вв. „ჴელი და სიმტკიცე“—„xeli da simṭḳice“ („рука и подтвер-

[10] დაწვრილებით იხ.: ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 159—163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ждение“), высеченный на тимпане северного входа церкви „დედა ღმერთისა“— „dedaγvtisa“ („Матерь Божья“) картлийского села Вариани (Горийский р-н). Эпиграфические документы подобного вида (их до этого было известно семь единиц) в текстах названы как „ჴელი“—„xeli“(„рука“), а варианская, кроме того, названа еще и как „სიმტკიცე“—„simṭkice“ („подтверждение“). В связи с этим представлены материалы и высказано предположение о том, что дипломатический термин „სიმტკიცე“—„simṭkice“ („подтверждение“) в древнегрузинских письменных памятниках обозначал рукоприложение к документу.

Во втором этюде впервые издается надпись Антония Кутатели (Кутаисского архиепископа) начала, или же I пол. XI века. Так как известен Антоний Кутатели и во II пол. XII века, как один из активных деятелей эпохи царицы Тамар, представлены аргументы размежевания этих двух одноименных церковных иерархов. Здесь же представлены материалы упоминания в письменных источниках всех известных к настоящему времени Кутаисских архиепископов «раннего периода» и установлен их ряд с начала XI в. по конец XII в.

В третьем этюде публикуется восстановленный текст одной довольно обширной грузинской надписи, датированной «пятым индиктионом царствования царицы Тамар» (т .е. 1189 годом). Надпись по содержанию является как строительной, так и юридическим документом (о пожаловании местности Андика Элмеликом Падлисдзе построенному им монастырю). Упомянутые в надписи ктиторы — Элмелик Падлисдзе и его супруга Допи, индентифицируются с лицами таким же именем в других письменных источниках (приписки рукописей, исторические документы, поминальные записи). Здесь же представлены конкретные материалы относительно памятников христианской и восточной (арабо-мусульманской) культуры Грузии XII века.

В четвертом этюде опубликованы неизвестные ранее две грузинские эпитафии конца XIII—XIV вв. из Коберского монастыря — некоего Макария и его сына Григола. Уточнено заключительное предложение текста одной и ранее известной эпитафии II пол. XIII в. из того же монастыря. Выясняется, что эпитафия принадлежит мандатуртухуцесу Шаханше и его супруге Хуаша. В связи с этим предложена новая, дополненная генеалогическая схема феодального дома Мхаргрдзели.

V. I. SILOGAVA

EPIGRAPHIC STUDIES AND NOTES

Summary

The paper comprises four epigraphic studies: 1) an epigraphic document from the village of Variani; 2) an inscription of Anton Kutateli; 3) an inscription of Elmelik Padlisdze and Dopi, tutoress of Queen Tamar; 4) some new materials on the Georgian epitaphs of the Koberi monastery.

Published in the first study is an epigraphic document, dated to the 10th-11th cent., xeli dasimṭkice („hand and confirmation“), carved on the tympanum of the northern entrance of the dedaγvtisa („Mother of God“) church in the Kartli village of Variani (Gori dist.). In

ეროვნული ბიბლიოთეკა

the texts, epigraphic documents of this type (hitherto seven specimens were known) have been designated x e l i („hand"), whereas the Variani specimen has the additional designation s i m ṭ ḳ i c e („confirmation") Materials are adduced in this connection and it is suggested that the diplomatic form s i m ṭ ḳ i c e in Old Georgian written documents meant the signing of such a document.

In the second study, the inscription of Anton Kutateli, Archbishop of Kutaisi, datable to the beginning or the first half of the 11th cent., is published for the first time. As another Anton Kutateli is known in the second half of the 12th cent., an active churchman of the period of Queen Tamar, arguments are adduced towards the differentiation of these same-name church hierarchs. Evidence is adduced also on the references in the written sources of all the Kutaisi archbishops of the earlier period, known to date; their sequence is established, beginning with the 11th up to the end of the 12th cent.

The third study presents the reconstructed text of one fairly extensive Georgian inscription dated to the „fifth indiction of the reign of Queen Tamar" (i. e. 1189). In content, the inscription is both a constructional and a legal document (on the bestowal of the locality of Andika by Elmelik Padlisdze to the monastery built by him. Elmelik Padlisdze and his spouse Dopi—the donors mentioned in the inscription—are identified with same-name persons found in other written sources (colopons of manuscripts, historical documents, feast-day records). Some data are also presented on monuments of the Christian and Oriental (Arabic-Islamic) culture in 1th cent. Georgia.

The fourth study features two hitherto unknown Georgian epitaphs of the end of the 13th-14th cent. from the Koberi monastery; the epitaphs belong to a certain Makari and his son Grigol. The closing sentence in the text of one earlier-known epitaph of the second half of the 13th cent. from the same monastery is specified. The epitaph proves to have belonged to the m a n d a t u r t u k h u t s e s i Shahansha and his spouse Khuasha. In this connection, a new supplemented genealogical diagram of the feudal house of the Mkhargrdzeli is proposed.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟეთევან ამირეჯიბი

კოპტური ეთნორელიგიური თემის მნიშვნელობა თანამედროვე ეგვიპტეში

აღმოსავლეთის ქვეყნებში მოსახლე ეთნიკურ უმცირესობათა ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა თანამედროვე ორიენტალისტიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. ამის გარეშე შეუძლებელია არა მარტო ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილი კონკრეტული ეროვნული სიტუაციის ღრმა გააზრება, არამედ მთლიანად აზიისა და აფრიკაში მიმდინარე რთული სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული პროცესების სრულყოფილი კვლევა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა აღმოსავლური ისტორიოგრაფიის ყურადღების არეალში ეს საკითხი შედარებით გვიან მოექცა. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ კოლონიური სისტემის დაშლამდე მარქსისტული ორიენტალისტიკა ეროვნულ საკითხს ძირითადად როგორც ეროვნულ-კოლონიურს ისე განიხილავდა და ყურადღებას პირველ რიგში კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებზე ამახვილებდა[1]. ამის გამო, მიუხედავად ბოლო წლებში გამოქვეყნებული ამ პრობლემისადმი მიძღვნილი არა ერთი საყურადღებო ნაშრომისა ამ დარგში სამკალი ჯერ კიდევ ფრიად არს.

ეგვიპტის კოპტური ეთნორელიგიური თემი სწორედ იმ ეთნიკურ უმცირესობათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის როლი და სტატუსი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულად შესწავლილი არ არის. ეგვიპტის უძველესი ავტოხტონური მოსახლეობის უცილობლად ნამდვილმა შემკვიდრეებმა, კოპტებმა ჩვ. წელთაღრიცხვის I ს-ში მიიღეს ქრისტიანობა. გადმოცემით ქრისტიანობა ეგვიპტეში წმ. მარკოზმა იქადაგა[2]. მან ალექსანდრიაში დააარსა საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც დროთა განმავლობაში აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ცენტრად იქცა. V ს-ში (451 წ.) ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, ალექსანდრიის არქიეპისკოპოსს, რომის, კონსტანტინეპოლის, ანტიოქიისა და იერუსალიმის არქიეპისკოპოსებთან ერთად პატრიარქის წოდება მიენიჭა[3]. ალექსანდრიის ეკლესიამ თავის უმაღლეს ბრწყინვალებას IV ს-ში მიაღწია. ამ პერიოდისათვის, როგორც ჩანს, ეგვიპტის მთელს

---

[1] ამ აზრისაა მაგ. მ. ლაზარევი. იხ. მისი სტატია „Национальный вопрос в странах Азии и Африки (проблемы исследования), Народы Азии и Африки, № 1, 1979, გვ. 126.

[2] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Болотов В. В., Из церковной истории Египта, вып. 4, СПб., 1893.

[3] Дурново Н. Н., Исторические исследования о патриарших и египетских (автокефальных) престолах в православной восточной церкви, М., 1910, გვ. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობას უკვე მიღებული ჰქონდა ქრისტიანობა, ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრები არსებობდა[4]. ამ დროისათვის ეგვიპტე აღმოსავლეთ რომის იმპერიის პროვინცია იყო. პოლიტიკურმა უთანხმოებამ კონსტანტინეპოლსა და ალექსანდრიას შორის რელიგიური განხეთქილების სახე მიიღო. ქალკედონის კრებაზე ალექსანდრიელმა ეპისკოპოსებმა პატრიარქ დიოსკორუსის წინამძღოლობით ქრისტეს ერთბუნებრივობის მომხრეებს დაუჭირეს მხარი და ამით გაემიჯნენ ბიზანტიის მართლმადიდებლობას[5]. ამ დროიდან მონოფიზიტობა ეგვიპტის ძირითადი მოსახლეობის რწმენად იქცა. ბიზანტიის იმპერატორები ცდილობდნენ ეგვიპტელი მონოფიზიტების წინააღმდეგობა გაეტეხთ. ამ მიზნით ისინი დამსჯელ რაზმებს აგზავნიდნენ. ქვეყანა რელიგიური სისხლიანი შეტაკებების სარბიელად იქცა. ამან ხელი შეუწყო ეგვიპტეში ბიზანტიური ბატონობის დამხობას. VII ს-ში (639—641 წწ.) აქ მისულ არაბ სარდალს ამრ-იბნ-ალ-ასსას, ადგილობრივი მოსახლეობა მეგობრულად შეხვდა. კოპტების პატრიარქმა ბენიამინმა ამრს აღუთქვა, რომ ღმერთს შეევედრებოდა არაბთა გამარჯვებას და ამის სანაცვლოდ „ეკლესიის აღსადგენად“ ფული სთხოვა[6]. არაბულ სახალიფოში კოპტები, სხვა ქრისტიანთა მსგავსად, მუსლიმთა მფარველობაში შევიდნენ და ამის საფასურად სულად გადასახადს ჯიზიას იხდიდნენ. თავდაპირველად, ისევე როგორც სახალიფოს სხვა პროვინციებში, ეგვიპტეშიც ქრისტიანული და მუსლიმური თემები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. არაბები გადასახადების აკრეფით კმაყოფილდებოდნენ და ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში ნაკლებად ერეოდნენ, — იგი ეგვიპტელთა ხელში რჩებოდა, მაგრამ თანდათანობით, არაბიზაციისა და ისლამიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, მდგომარეობა შეიცვალა, გახშირდა ქრისტიანთა დევნა-დაწოწიკება და ამის საპასუხო კოპტების აჯანყებები. ერთ-ერთი უკანასკნელი ყველაზე დიდი აჯანყება 831 წელს ჩაახშეს[7]. პირველი ფატიმიანი ხალიფები რჯულშემწყნარებლურად იყვნენ განწყობილი, მაგრამ ხალიფა ჰაქიმის დროს კვლავ ფანატიზმმა დაისადგურა — კოპტებს მრავალრიცხოვანი მძიმე და დამამცირებელი შეზღუდვები დაადეს. ჰაქიმის მემკვიდრეების დროს მდგომარეობა ერთგვაროდ გაუმჯობესდა, მაგრამ შემდგომ სუკუნეებში კოპტებს კვლავ ხშირად სდევნიდნენ XIV ს-ში, სულთან კალაუნის დროს არაერთმა ათასმა კოპტმა მიიღო ისლამი. მრავალი ეკლესია-მონასტერი მეჩეთად გადაკეთეს. ოსმალთა პერიოდის ეგვიპტეში კოპტების როლი კიდევ უფრო შემცირდა, მოხდა მათი სოციალური იზოლაცია, ქალაქებში მათ განცალკევებულ უბნებში დაიწყეს სახლობა, წარმოიშვა კარჩაკეტილი კოპტური თემები — სოფლებიც. ნაპოლეონ ბონაპარტის ხანმოკლე ბატონობას ეგვიპტეში (1798—1801) კოპტების მდგომარეობაში არსებითად არაფერი შეუცვლია, მაგრამ მან საუკუნეობრივ ძილს მიცემული ქვეყნის გამოღვიძებას მისცა დასაბამი და, ამდენად, აქ მცხოვრები არამუსლიმი ეთნოსების ყოფაცხოვრებაში ზოგიერთ

---

[4] ო. მეინარდუსის აზრით, „ბერების“ (სასულიერო პირთა) რაოდენობა ამ დროს ეგვიპტეში 0,5 მილიონს აღემატებოდა. Meinardus O., Monks and monasteries of the Egyptian Deserts, Caire, 1960, გვ. 380.

[5] Петров Л., Восточные христианские общества. Краткий очерк их минувшей судьбы и нынешнего состояния, СПб., 1869, გვ. 47.

[6] იქვე, გვ.48.

[7] Мец А., Мусульманский Ренессанс, М., 1973 გვ. 56-57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებით ცვლილებასაც ჩაუყარა საფუძველი. უკვე მუჰამედ ალის მმართველობის ხანამ ამ მხრივ ბევრი სიახლე მოიტანა. იმ დიდი გარდაქმნებისათვის, რომელიც ენერგიულმა ეგვიპტის ფაშამ წამოიწყო, მას ნიჭიერი და მცოდნე თანამოსაქმენი ესაჭიროებოდა. სახელმწიფოებრივ სამსახურში, სხვადასხვა პოსტზე დაწინაურებისას იგი ყურადღებას არ აქცევდა პიროვნების რელიგიურ მრწამსს. ამან გაუხსნა გზა კოპტებს მაღალი თანამდებობებისკენ. ბევრმა მათგანმა ბესა ან ფაშის ტიტული მიიღო. მუჰამედ ალიმ გაუქმა ქრისტიანების წინააღმდეგ მიმართული ბევრი კანონი და ებრძოდა მუსლიმური ფანატიზმის გამოვლინებებს[8]. მუჰამედ ალის მემკვიდრეების დროს კოპტებმა ახალ უფლებები მოიპოვეს. 1855 წ. ეგვიპტის მმართველმა მუჰამედ საიდმა გაუუქმა არამუსლიმებზე დაწესებული სულადი გადასახადი — ჯიზია, კოპტებს მიეცათ საშუალება სამხედრო სამსახურში შესვლისა — „არაბების მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ კოპტებმა პირველად მიიღეს უფლება იარაღის ტარებისა[9]. ხედივ ისმაილის დროს დეპუტატთა სათათბიროს საკრებულოში (ნოტაბლების პალატაში) იწყეს კოპტი დეპუტატების არჩევა. ეგვიპტის ბრიტანულმა ოკუპაციამ 1882 წელს ძირფესვიანად შეცვალა კოპტების მდგომარეობა. რიგი მიზეზების გამო, რომელთაც ქვემთა განვიხილავთ, არამუსლიმური ეთნორელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები მუსლიმებზე უფრო ადრე და ინტენსიურად ჩაებნენ კაპიტალიზაციის პროცესში, რომელიც ოკუპაციამ დაიჩქარა. კოპტური თემის ზედაფენაშიც გაჩნდნენ კომპრადორები, რომლებიც უცხოურ კაპიტალთან იყვნენ დაკავშირებული და ინგლისელებთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ კოპტური მოსახლეობის ფართო მასები აქტიურად ჩაებნენ ეგვიპტელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში[10]. კოპტმა მოღვაწეებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ეგვიპტური ნაციონალიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში, რომლის გარშემო ერთიანდებოდნენ ეგვიპტელი პატრიოტები განურჩევლად ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა, უცხოელ დამპყრობლებთან სბრძოლველად. 1922 წელს ეგვიპტისათვის ფორმალური დამოუკიდებლობის მინიჭების დღიდან 1952 წლის ივლისის ანტიმონარქისტულ და ანტიიმპერიალისტურ რევოლუციამდე, ქვეყანას მეფე ფარუკის უკიდურესად რეაქციული დასი მართავდა. ამ პერიოდში მმართველი წრეების პროიმპერიალისტური განწყობილებები პარადოქსულად ეხამებოდა მებრძოლი პანარაბიზმისა და პანისლამიზმის იდეოლოგიას. ეგვიპტის არაარაბ და არამუსლიმ უმცირესობათა წარმომადგენელები საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ბევრ სფეროს ჩამოაცილეს. იმ მწვავედ მდგარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, რომლებიც

---

[8] მუჰამედ ალის პოლიტიკა კოპტებისა და საერთოდ ეთნორელიგიურ უმცირესობათა მიმართ გასათვალისწინებელია საზოგადოდ მისი პიროვნებისა და მმართველობის მნიშვნელობის შეფასებისათვის. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ აფრიკის ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „Главной целью Мухамеда Али было возрождение былой славы и могущества ислама. Мухамед Али хотел сочетать европейскую технологию с традиционным исламом, ничего не меняя в его социальных и политических структурах (დაფოფა ჩვენია—ქ. ა.). (История Африки XIX—начале XX в., М., 1984 გვ. 48). ეს აზრი ჩვენ საკმაოდ გვეჩვენება.

[9] Wakin E. A Lonely minority. The modern Story of Egypt's Copts, № 7., 1963, გვ. 10.

[10] კოპტებმა თავიდანვე მხარი დაუჭირეს ვაფდის პარტიას. ვაფდის ერთ-ერთი დამაარსებელი, მაკრამ უბრალ ფაშა კოპტი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგვიპტის ძირითადი მოსახლეობისათვის საერთო იყო, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა და რელიგიური მრწამსისა, ზემოხსენებულმა გარემოებამაც შეუწყო ხელი იმას, რომ კოპტების უმრავლესობა ორმოცდაათიანი წლების რევოლუციურ გარდაქმნებს თანაგრძნობით შეხვდა და გადამწყვეტ მომენტებში აშკარად და პირდაპირ უჭერდა მხარს ახალგაზრდა ოფიცერთა პოლიტიკურ ხაზს[11].

დღესდღეობით კოპტები თანამედროვე ეგვიპტის ყველაზე მნიშვნელოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ, როგორც რაოდენობრივად, ასევე იმ წვლილის მიხედვით, რომელიც მათ ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში შეაქვთ. ე. უოკინი მათ „ერთადერთ უმცირესობას“ უწოდებს და ეს სახელწოდება თავისი მონოგრაფიის სათაურშიც აქვს გამოტანილი[12]. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მოტანილი მოკლე ისტორიული ცნობებიც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს კოპტური თემის ისტორიულ-სოციალური განვითარებისა და თანამედროვე მდგომარეობის გულდასმითი შესწავლის აუცილებლობა.

დასავლეთში გამოცემულია რამოდენიმე ფუნდამენტური მონოგრაფია კოპტების შესახებ, მაგრამ მათი უმრავლესობა კოპტური თემის ისტორიისა და თანამედროვე ყოფის გარკვეულ მხარეებს — უმთავრესად საეკლესიო ისტორიას, დღევანდელ სამონასტრო ყოფასა და რელიგიურ მდგომარეობას ეხება[13]. იმავე ხასიათის ატარებდა თხზულებები და მოგზაურთა ჩანაწერები, რომლებიც რევოლუციამდელ რუსეთში ქვეყნდებოდა[14]. საკითხი კი გაცილებით უფრო ფართოა.

დღესდღეობით კოპტების ზუსტი რაოდენობა უცნობია. სხვადასხვა წყაროს მონაცემებით იგი 1,9 მილიონიდან 7 მილიონამდე (შესაბამისად ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მოსახლეობის 5—20%) მერყეობს[15]. ჩვენ შევეცადეთ შეგვედარებინა ერთმანეთისათვის ზოგიერთ ცნობარსა და ლიტერატურაში დამოწმებული მონაცემები (იხ. ცხრილი)[16].

---

[11] სუეცის კრიზისისა და სამთა აგრესიის პერიოდში კოპტები მუსლიმებთან ერთად იარაღით ხელში იცავდნენ ეგვიპტის დამოუკიდებლობას. იგივე შეიძლება ითქვას 1967 წლის ისრაელის აგრესიის მოგერიებაზე.

[12] Wakin E. დასახ. ნაშრომი.

[13] მაგ. ო. მეინარდუსის მოხსენებული ნაშრომი. აგრეთვე, Butler A. G., The Aneient Coptic churches of Egypt t. 1-2. Oxford, 1884., History of the Patriachs of the coptie church of Alexandria, Paris, 1904; Cramer M. Das christlich-koptische Ägypten einst und heute, Wiesbaden, 1959; Farag K. Sociological and moral studies in the Field of coptie Monasticism, Leiden, 1964 და. სხვ.

[14] გარდა მოხსენებულისა იხ. მაგ.: Тураев Б. А. Египетские церковные впечатления, СПб., 1910; Успенский П., Вероучение, богослужение, чиноположение и правила церковного благочиния египетских христиан (коптов), СПб., 1856.

[15] ზოგიერთი ავტორის ვარაუდით, კოპტების ზუსტი რაოდენობის დადგენა იმიტომაც არის გაძნელებული, რომ ჩვეულებრივ ფელახები ერიდებიან შეიღების რაოდენობის ოფიციალურად დასახელებას. იხ. მაგ.. Hopwood Derek „Egypt: Politics and Society 1945—1981“, L, 1983, გვ. 45. ეს დაკავშირებული ცრურწმენებთან, მცირეწლოვანი ბავშვის გათვალვის საშიშროებასთან.

[16] ჩვენ მიერ გამოანგარიშებული რიცხვები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტანილი ცხრილიდან ადვილია დავასკვნათ, რომ ყველაზე მცირე რაოდენობა კოპტებისა მითითებულია იმ გამოცემებში, რომლებიც ძირითადად ეგვიპტის ოფიციალურ წყაროებს ეყრდნობიან. დასავლურ პრესასა და გა-

წ ყ ა რ ო	პერიოდი	რაოდენობა	% მთელ მოსა-ხლეობისა
1. Wakin E. „A Lonely minority"[17]	XX ს. 50-იან წწ. დასასრული 60-იანი წწ. დასაწყისი	4 მლნ	16—17%%
2. UW Demographie Iear Book 1963[18]	60-იანი წწ. დასაწყისი	1,9 მლნ	[≈8%]
3. Area Hand Book for the United Arab Republic (Egypt) Washington 1970[19]	60-იანი წწ. დასასრული	2,3 მლნ	7%
4. Dekmejian R. H. „Egypt under Nasir"[20]	70-იანი წწ. დასაწყისი	4 მლნ	16%
5. Chalaby A. „Les Coptes d'Egypte"[21]	70-იანი წწ. დასაწყისი	7 მლნ	20%
6. Большая Советская энциклопедия[22]		2 მლნ	
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია[23]	70-იანი წწ. დასაწყისი	1,9 მლნ	5%
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია[24]	1975	2 მლნ-ზე მეტი	
9. „Die Neue Zuricher Zeitung"[25]	1980	[≈4 მლნ]	10%
10. „Le monde"[26]	1980	5 მლნ-მდე	12%(მაქსიმუმი)
11. Шпажников Г. А. Религия стран Африки[27]	80-იანი წწ. დასაწყისი	2, 4—3 მლნ	5—7%
12. Настольная книга атеиста[28]	80-იანი წწ. დასაწყისი	3,5 მლნ	9%

მოკვლევებში გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა არის დასახელებული, ხოლო ყველაზე მაღალ რიცხვს (ქვეყნის მოსახლეობის 20%) კოპტი მეცნიერი ა. შალბი ასახელებს, მაგრამ ეს გაზვიადებული ჩანს[29]. პირადად ჩვენ ყველაზე

---

[17] Wakin E. დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[18] Dekmejian R. H. Egypt Under Nasis, New-Iourk, 1971, გვ. 3247.

[19] Соловьев А. К.: К вопросу о значении коптской общины.

[20] Dekmejian R. H. იქვე.

[21] Chalaby A. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

[22] Большая Советская энциклопедия, изд. т. 13 გვ.

[23] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 13,

[24] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 661.

[25] „Die Neue Zuricher Zeitung", 1980, IV, 13, 14.

[26] „Le monde", 1980, IV, 24.

[27] Шпажников Г. А. დასახ. ნაშრომი, М., 1981, გვ. 40.

[28] Настольная книга атеиста, М., 1985, გვ. 94.

[29] სხვადასხვა პროფესიისა და განათლების კოპტებთან ჩვენმა შეხვედრებმა და საუბრებმა დაგვარწმუნა, რომ ისინი ჩვეულებრივ მიდრეკილნაა იჩენენ ეგვიპტეში ქრისტიანული მოსახლეობის რაოდენობის გაზვიადებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალურად გვეჩვენება მონაცემი 4,5—5 მლნ (ქვეყნის მოსახლეობის დაახლ. 9—10%)[30]. დღესდღეობით ეგვიპტის ქრისტიანთა დიდი უმრავლესობა ზემო და შუა ეგვიპტის ქალაქებში ცხოვრობს (სსიუტში, ახმიმში, ელ-მინიაში, ლუქსორში და სხვ.) კაიროსა და ალექსანდრიაშიც ტრადიციულად ბევრი კოპტი სახლობს. ქალაქებში კოპტები მისდევენ ხელოსნობასა და ვაჭრობას, საგრძნობლად დიდია მათ შორის მოხელეთა და ინტელიგენციის ფენა, არიან კოპტი მუშები და კოპტი მეწარმეები. სოფლად კოპტური მოსახლეობის ხვედრითი წილი შედარებით უფრო მცირეა. ეს განპირობებულია იმით, რომ სოფლის მეურნეობაში მუსლიმების მიერ ქრისტიანებზე დაწესებული გადასახადები ყველაზე მძიმე იყო. ამდენად, საუკუნეების განმავლობაში სოფლად მცხოვრები კოპტების ძირითადმა ნაწილმა მიიღო ისლამი, ან ქალაქებში გადასახლდა. ეგვიპტელი ფელახების ცხოვრებაზე ცნობილი მონოგრაფიის ავტორი, თვით წარმოშობით ეგვიპტელი, კათოლიკე სასულიერო პირი ა. აირუ ვარაუდობდა, რომ 50-იანი წწ. დასაწყისისათვის ველახთა შორის დაახლ. 2 მლნ. კოპტი იყო და ეს ეგვიპტის სოფლის მოსახლეობის 10—12%-ს შეადგენდა[31]. ა. აირუს მონაცემები ა. შალაბის მსგავსად, გაზვიადებულად რომც არ მივიჩნიოთ, ქალაქად კოპტური მოსახლეობის ხვედრითი წილი მაინც მეტი ჩანს და ჩვენი ვარაუდით მის მეხუთედს უახლოვდება. ეგვიპტის გარდა კოპტების მცირე თემები არის სუდანში, თურქეთში, ისრაელში, იორდანიაში, ერაყში, კუვეიტში და სხვ.[32]

კოპტების თანამედროვე მდგომარეობისა და როლის კვლევა, სრულყოფილი გაშუქება შეუძლებელია იმ ფაქტორების წარმოჩენის გარეშე, რომლებიც გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდნენ მათ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ სტატუსზე, კულტურაზე, მსოფლმხედველობაზე და ა. შ. მთელი მათი ისტორიის განმავლობაში, განსაკუთრებით კი ეგვიპტეში ისლამის შემოჭრის პერიოდიდან.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მიზეზები, რომელთაც განაპირობეს სოფლად მცხოვრები მიწათმოქმედი მოსახლეობის ინტენსიური ისლამიზაცია, სხვა ფენებთან და სოციალურ ჯგუფებთან შედარებით და ქრისტიანი-კოპტების უფრო მაღალი კონცენტრაცია სამეურნეო და სოციალური საქმიანობის სხვა სფეროებში.

ისლამის ცნობილი სამართლებრივი და მორალური დებულებების გამო, რომლებიც მუსლიმებს საფინანსო საქმიანობის მთელ რიგ სფეროებში უარძალავდნენ მონაწილეობას, მთელს არაბულ სახალიფოში და შემდგომ მუსლიმანურ სამყაროში ამ სფეროებში სწორედ არამუსლიმებმა (ქრისტიანებმა, ებ-

---

30 გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, მუსლიმი ქალები უფრო ხშირად მშობიარობენ, ვიდრე იმავე სოციალური მდგომარეობის კოპტი ქალები (Morroe Berger., The arab world, New-Iourk, 1964, გვ. 178; Беляев И. П., Примаков Е. М. Египет. Время президента Насера, М., 1981, გვ. 215. თუმცა კოპტების სოციალურ-კულტურული სტატუსი მთლიანობაში უფრო მაღალია ვიდრე მუსლიმებისა, რაზედაც ქვემოთ ვიმსჯელებთ, და ეს გავლენას ახდენს არა მარტო შობადობის, არამედ სიკვდილიანობის შემცირებაზეც, მაინც აღნიშნული გარემოება შეიძლება გახდეს მიზეზი ეგვიპტის მოსახლეობაში კოპტების შეფარდებითი რაოდენობის შემდგომი შემცირებისა.

31 Айру А. Феллахи Египта, М., 1954, გვ. 82, 104.

32 ბოლო ათწლეულებში გაჩნდა კოპტური თემები აშშ-ში, ავსტრალიაში, დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაელებმა) მოიკიდეს ფეხი. ეგვიპტეში კოპტებმა თავიდან დაისაკუთრეს მაგ., ისეთი დარგები, როგორიც მეგეხშეობა და გადასახადების აკრეფა იყო. ასევე ტრადიციულია კოპტების მოძალება სამოხელეო-ბიუროკრატიულ აპარატში. მართალია, ისლამურ სახელმწიფოში არამუსლიმისათვის გზა ძალაუფლების უმაღლესი მწვერვალებისკენ მოჭრილი იყო, მაგრამ სახელმწიფო მმართველობის ქვედა და შუა ეშელონებს უმეტესად ქრისტიანი — კოპტები შეადგენდნენ. თავიდან ასე ჩაეყარა საფუძველი კოპტური თემის შედარებით ეკონომიკურ წელმაგრობასა და მაღალ სოციო-კულტურულ სტატუსს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსმალთა ბატონობის პერიოდში კოპტების პოლიტიკური მდგომარეობა გაუარესდა, გაძლიერდა მათი სოციალური იზოლაცია, მაგრამ კოპტური თემის ეკონომიკური საფუძველი მაინც შეურყეველი დარჩა, XIX ს-ში ქვეყანაში მოსულმა ევროპელებმა, განსაკუთრებით კი ინგლისელებმა კოპტებთან საერთო ენის გამონახვა სცადეს, ვინაიდან მათ კოლონიებში კომპრადორული ფენა ესაჭიროებოდათ[33]. რელიგიის მფარველობის საბაბით მიღებულმა პროტექტორატმა გამოაცოცხლა კოპტური თემი, ხელი შეუწყო აქ დაგროვილი საკმაო პირვანდელი კაპიტალის ამოძრავებას. იგი გამოსავალს პოულობდა ევროპელების მიერ მოტანილ ახალ საწარმოო ურთიერთობებში. თანდათანობით, საქმიანობის ტრადიციულ დარგებთან ერთად, კოპტებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ვაჭრობაში და უფრო მოგვიანებით კაპიტალისტურ წარმოებაში „დასპეციალდნენ"[34]. ბურჟუაზიულ-კოლონიურ სამოხელეო აპარატშიც, რომლებიც ინგლისელებმა შექმნეს, მათ შესაბამისი ადგილი დაიკავეს. ეს აადვილებდა მათ წრეში დასაღლური, ბურჟუაზიული კულტურის შეღწევას, ევროპულად განათლებული ინტელიგენციის გაჩენას.

XIX ს-ის დასასრულს ბ. ტურაევი წერდა, რომ კოპტები „ავსებენ ყველა კანცელარიებს"[35]. ბ. მოროს ცნობით, გადასახადების ამკრეფთა 97—98% კოპტები იყვნენ[36]. ა. შალაბი, დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის ე. ჰორსტის სტატეგებზე დაყრდნობით, წერს რომ XX ს-ის დასაწყისში კოპტებს დაკავებული ჰქონდათ სახელმწიფო თანამდებობების 45% და იღებდნენ მთელი ხელფასის ფონდის 40%[37]. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კოპტები ძირითადად ბიუროკრატული აპარატის საშუალო რგოლში იყვნენ წარმოდგენილნი, რაც კანონზომიერია. დღესდღეობით კოპტები, აგრეთვე, მრავლად არიან თავისუფალი პროფესიის პირთა და მოსამსახურეთა შორის. ასე მაგ., ადვოკატთა შორის 33% კოპტია, ხოლო მედიკოსთა შორის მათი რაოდენობა 40% შეადგენს[38]. ბიოგრაფიული ცნობარების ფურცლებზეც არაერთი კოპტია წარმოდგენილი ასე მაგ., 70-იანი წლების დასაწყისში ჩიკაგოში გამოცემულ ცნობარში დასახელებულ 132 ეგვიპტელს შორის 20-ზე მეტი კოპტია[40]. მათ შორის

---

[33] Соловьев А. К., О положении коптов..., გვ. 130.

[34] იქვე.

[35] Тураев Б. А., „Копты", Энциклопедический словарь, Изд. Брокгауза Ф. И. и Ефрона И. А., т. XVI, СПб., 1895.

[36] Morroe Berger, Bureaucracy and Society in modern Egypt Princenton, 1957, გვ. 64.

[37] Chalaby A., დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

[38] „Le Figaro", 8, II 1973.

[39] Chalaby A., დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

[40] „Who'swho in the world", 1871—1972, Chicago.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან მეცნიერები, ჟურნალისტები, მსახიობები, იურისტები, ინჟინრები, დიპლომატები, სახელმწიფო მოღვაწენი, სასულიერო პირები და სხვ.

მთლიანობაში კოპტური თემის სოციოკულტურული დონე საკმაოდ მაღალია და ეს მდგომარეობა სტაბილურობით ხასიათდება. მისი სოციალური სტრუქტურის კოპტების ზნე-ჩვეულებების, რელიგიის; აზროვნების თავისებურებათა და ა. შ. გულდასმითი შესწავლა მნიშვნელოვნად გვესახება იმის გამოც, რომ საბჭოთა ორიენტალისტიკაში წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა მათი ეთნიკური სტატუსის შესახებ. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ კოპტური ენა, დიდი ხანია მკვდარია როგორც სალაპარაკო ენა[41]. თანამედროვე კოპტები არაბულად მეტყველენ[42] და კოპტური, რომელიც დღემდე გამოიყენება საეკლესიო მსახურებაში, არათუ თემის რიგით წევრებს, სასულიერო პირთა უმრავლესობასაც ცუდად ესმის.

ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თანამედროვე ეგვიპტის მუსლიმი მოსახლეობის დიდი ნაწილი წარსულში გამუსლიმებული კოპტი-ქრისტიანებისაგან შედგება. ქვეყანაში მოსული არაბების რაოდენობა დაგალობრივ მოსახლეობასთან შედარებით მცირე იყო. კოპტების ინტენსიური არაბიზაციის პარალელურად მიმდინარეობდა არაბების „ნილოტიზაციის", მათი ნილოსის დაბლობის ძველ კულტურასთან ასიმილაციის არანაკლებ ინტენსიური პროცესი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ძველი და თანამედროვე ეგვიპტელების ეთნიკური ტიპის სიახლოვე[43].

სავარაუდებელია, რომ ყოველივე ამან მისცა საფუძველი რიგ მკვლევარს გამოეთქვა აზრი, რომ კოპტები ეგვიპტის მოსახლეობის ძირითადი ნაწილისაგან განსხვავდებიან მხოლოდ თავიანთი რელიგიით და შეცდომა იქნებოდა, რომ ისინი დამოუკიდებელ ეთნიკურ ელემენტად ჩაგვეთვალა. მ. კოროსტოვცევი წერდა: „Иногда приходится сталкиваться с неверным утверждением, что копты являются национальным меньшинством Египта. Это в корне неверно. Копты в этническом отношении часть египетского народа, отличаясь от основного населения лишь религией...[44]

---

41 კოპტური თემის შედარებით მაღალი სოციოკულტურული სტატუსის მიმანიშნებელია აგრეთვე დანაშაულებათა სტატისტიკაც. ე. ფოკინის ცნობით, 1958 წ. მკვლელობა და სხვა მძიმე დანაშაული ჩადიან 1612 მუსლიმმა და 73 ქრისტიანმა 1959 წ. ეს მონაცემები შესაბამისად იყო 1709 და 57 ქურდობისათვის 1958 წ. დაკავებული იყო 11000-ზე მეტი მუსლიმი და მხოლოდ 354 ქრისტიანი; 1959 წ. — 9243 მუსლიმი და 261 ქრისტიანი; მათხოვრობისათვის დაკავებულ მუსლიმთა და ქრისტიანთა რიცხვი 1958 წ. იყო 6978 და 237, ხოლო 1959 წ. — 6218 და 204 და ა. შ. ქრისტიანებს შორის თითქმის არ არსებობს პროსტიტუცია. იხ. 22. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ქრისტიანების მიერ ჩადენილი დანაშაულანი აღნიშნულ წლებში არ აღემატებოდა 4,3%.

42 ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ კოპტური ენა ყოველდღიური ხმარებიდან არაბულმა უკვე XI—XII სს. განდევნა. ზოგიერთს მიაჩნია, რომ XVII ს-შიც იგი მაინც გამოიყენებოდა სალაპარაკოდ. გ. მელიქშვილის აზრით, კოპტური ცოცხალ მეტყველებაში შეორჩა XVII ს-მდე. იხ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1971, გვ. 12. ეს უკანასკნელი მოსაზრება ჩვენ ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია.

43 Семенова Л. А., Сссственности феодализма в Египте, В сборнике типы общественных отношений на Всстоке в средние века, М., 1982, зз. 107.

44 Коростовцев М. А. Египтяне древние и современные, „Вестник древней истории", 1966, № 1, зз. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ უვლის გვერდს კოპტების ეთნიკური კუთვნილების საკითხს. ასე მაგ. ი. ბელიაევსა და ე. პრიმაკოვს თავიანთ ჟონოგრაფიაში კოპტები მოხსენიებული ჰყავთ როგორც „რაოდენობით მცირე მოსახლეობის ჯგუფი[45]". ამავე დროს მაგ. გ. შპაშნიკოვს კოპტები დამოუკიდებელ „ეთნიკურ ჯგუფად მიაჩნია[46].

ჩვენი აზრით საკითხი სწორად ვერ გადაწყდება, თუკი მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ ერთ ან ორ თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებელს ეთნოსისა, როგორიც ენა, ან ეთნიკური ტიპია. ყველა სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში განხილვის გარეშე ისინი არსებული მდგომარეობის ნამდვილ სურათს ვერ მოგვცემენ. ჯერ კიდევ ფ. ენგელსი აღნიშნავდა სიტუაციას, როცა ენა არ წარმოადგენდა კრიტერიუმს (ეთნიკური კუთვნილების აზრით) საკითხის გადასაწყვეტად[47]. გ. ყორანაშვილი სწორად აღნიშნავს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ხალხი კარგავდა ენას, მაგრამ ამით იგი, როგორც განსაზღვრული სახის ეთნოსი არ ქრებოდა"[48]. ამის დასადასტურებლად მკვლევარს მოჰყავს ებრაელებისა და ირლანდიელების მაგალითი[49].

ენა, როგორც ეთნოსის კულტურის შემადგენელი ნაწილი, ტრადიციებთან, ადათ-ჩვეულებათან და ა შ. ერთად ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის კულტურულ ერთიანობაში, ხოლო კულტურული ერთიანობა, ტერიტორიულ ერთიანობასთან და ეკონომიკურ კავშირებთან ერთად საფუძველია ეთნოსის ფსიქიკური წყობის ერთობისა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ უკანასკნელის არსებობა თუ არარსებობა განსაზღვრავს ეთნოსის არსებობა-არარსებობის საკითხს.

მრავალ ფაქტორთა შორის, რომლებიც ეთნოსის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში იღებენ მონაწილეობას, „ეთნიკური ხასიათის დეტერმინანტების სიმრავლეში"[50], ზემოდასახელებულის გარდა განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ეთნიკური თვითშეგნება, თვითშემეცნება და რელიგია. საესებით ვეთანხმებით იმ მკვლევართა შეხედულებას, რომელთაც მიაჩნიათ, რომ „ამა თუ იმ ეთნოსის ფსიქოლოგიის, მისი წევრების ქცევის... შესწავლა აღნიშნული მომენტის (ეთნოსის თვითშემეცნების, თვითშეგნების — ჟ. ა.) გარეშე შეუძლებელია...[51] და რომ ეს საკითხი დღესდღეობით არასაკმარისად არის შესწავლილი, რაც ბევრ გაუგებრობასა და შეცდომას ბადებს[52].

---

[45] Беляев И. П., Примаков Е. М. დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[46] Шпашников Г. А., Религии стран..., გვ. 37.

[47] Маркс К. и Энгельс Ф., Сочинения, т. 6, 1957, გვ. 181.

[48] გ. ყორანაშვილი, ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები, თბ., 1984, გვ. 26.

[49] ებრაელებთან დაკავშირებით შენიშნავთ, რომ დიასპორების შედეგად მათმა უმრავლესობამ დაკარგა არა მარტო ენა, არამედ ტერიტორიული და ჟქედან გამომდინარე ეკონომიკური ერთიანობაც, მაგრამ ამანაც ვერ გამოიწვია მათი დეეთნიზაცია.

[50] გ. ყორანაშვილი, ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები, თბ., 1983, გვ. 20.

[51] იქვე, გვ. 24.

[52] მ. ლაზარევი წერს: „Особого внимания заслуживают изучение этнолингвистической ситуации в ее социально-политическом аспекте..., а также вопросы этнопсихологии (этнонационального самосознания). Последние ввиду их недостаточной исследованности часто получают толкование совершенно неприемлемое в идейном и научном отношении", Лазарев М. С., Национальный вопрос в странах Азии и Африки..., გვ. 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ყორანაშვილი აანალიზებს საბჭოთა პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე ერის, ნაციის შესახებ გამართულ დისკუსიის შედეგებს და მიდის დასკვნამდე, რომ „ეთნიკური კუთვნილების თვითშეგნების ვარდა, აღნიშნულ (ეთნიკური თვითშეგნების — ჭ. ა.) ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ ეთნოსის, ერის წევრთა მიერ ამ კუთვნილების განცდა, მათი წარმოდგენები, აზრები საკუთარი ეთნოსის, ერის ღირსებების შესახებ, ე. ი. ეთნიკური იტოსტერეოტიპები და საერთოდ იტპოორტრეტი, ასევე მათი შეხედულებანი სხვა ეთნოსების თვისებების პრიზმაში“[53]; და რომ „ეთნიკური, ეროვნული თვითშეგნება დაკავშირებულია შესაბამის ტრადიციებთან, ამ თვითშეგნების შინაარსში, სტრუქტურაში შედის ავრეთვე ეთნოსის, ერის ზნე-ჩვეულებების, საერთოდ ტრადიციების გაცნობიერება“[54]. ასევე ვეთანხმებით მეცნიერის აზრს იმის შესახებ, რომ ისტორიულად „მასების ცნობიერების ძირითად ფორმას სწორედ რელიგია წარმოადგენს“[55] და რომ „განვითარების უწინდელ ფაზებზე აღნიშნულ აკმეში (ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბებაში — ჭ. ა.) დიდი წვლილი შეჰქონდა რელიგიასაც... ამის რეციდივები შეიძჩნევა თვით თანამედროვე მეორე საუკუნეში“[56].

ის ფარალი, სადაც გაბატონებულ რელიგიად ისლამი ითვლება, ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო სპეციფიკურია. საქმე ის არის, რომ ისლამი თავიდანვე არ სცნობდა ეროვნულ განსხვავებას და ადამიანთა სოციალური ვრადაციის დროს მხოლოდ რელიგიურ ფაქტორს ითვალისწინებდა. არაბული სახალიფოს მთელი მოსახლეობა თავიდანვე დაიყო მუსლიმებად, აჰლ-ალ-ზიმმად (აჰლ-ალ-ქითაბად)[57]. და მრავალმერეთიან წარმართებად. სახალიფოს თეოკრატიულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია განაპირობებდა მის ტერიტორიაზე მხოლოდ რელიგიური სამართლის განვითარებას. ამის გამო ყოველი რელიგიური თემი ხელმძღვანელობდა საკუთარი სარწმუნოებრივ-სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც მის წევრთა არა მარტო სულიერ, არამედ სოციალურ ცხოვრებასაც წარმართავდა.

კოპტების მდგომარეობა სახალიფოს სხვა ქრისტიანთა მდგომარეობის მსგავსი იყო. ფვიძლება ითქვას, რომ კოპტური თემის სარწმუნოებრივ-სამართლებლივი ნორმების ჩამოყალიბება და მისი სასულიერო მესვეურების მიერ საერო ფუნქციების შეთავსება ეგვიპტეში ჯერ კიდევ ისლამის შემოურამდე მოხდა, იმ მიზეზების გამო, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ. არაბთა ბატონობის ხანაში ამ პროცესს უფრო ფართო გასაქანი მიეცა, მაგრამ თავს ყველაზე უფრო სრულ გამოხატულებას მან ოსმალთა ბატონობის დროისათვის მიაღწია, რადგან პორტამ თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომები ცალკეულ მილეთებში

53 გ. ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეთნიკური თვითშეგნება და..., გვ 10.

54 იქვე, გვ. 29.

55 გ. ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეთნოფსიქოლოგია და..., გვ. 24 .

56 გ. ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეთნიკური თვითშეგნება და..., გვ. 13.

57 აჰლ-ალ-ზიმმა (اهل الذمة) — მფარველობაში (იგულისხმება მუსლიმთა მფარველობაში) მყოფი ხალხი. აჰლ-ალ-ქითაბ (اهل الكتاب) წმინდა წერილის მქონე ხალხი. ასე უწოდებდნენ მუსლიმები იუდეველებსა და ქრისტიანებს იმის გამო, რომ მათ „წმინდა წერილი“ (ბიბლია, ახალი აღთქმა) ჰქონდათ, მათ წარმართებთან შედარებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფად მიიჩნევდნენ და ამის გამო ისინი მუსლიმების მფარველობით სარგებლობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააერთიანა და ოფიციალურად მიანიჭა პატრიარქებს არა მარტო სასულიერო, არამედ საერო ძალაუფლება. სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება საბოლოოდ კოპტური თემის ის ინსტიტუციური სტრუქტურა და სოციალური სახე, რომელსაც ის დღესაც ინარჩუნებს. ქვემოთ შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ იგი.

ზემოთ აღვნშნეთ, რომ კოპტები ცხოვრობენ როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. მათ არ გაჩნიათ დასახლების ლოკალურად შემოსაზღვრული არე. ისინი განსახლებულნი არიან ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე, იმავე ქალაქებში და იმავე ან გვერდიგვერდ სოფლებში სადაც მუსლიმები. კოპტებით დასახლებული სოფლები და უბნები ადვილად გაირჩევა, რადგანაც აქ მეჩეთების მინარეთების მაგივრად ქრისტიანული ეკლესიები მოჩანს. იგივე შეიძლება ითქვას კოპტების სახლებზე და მათ კუთვნილ სავაჭროებზე, სახელოსნოებზე და ა. შ. თუმცა სახლების არქიტექტურა ძირითადად არ განსხვავდება მუსლიმების სახლების არქიტექტურისაგან, მაგრამ შესასვლელი კარის თავზე ჩვეულებრივ ჯვარია გამოსახული, ხოლო ინტერიერი (როგორც საცხოვრებლის, ასევე სავაჭროსა თუ სახელოსნოსი) შემკულია იესო ქრისტეს, ღვთისშობლის, ქრისტიანული წმინდანების, კოპტების პატრიარქის გამოსახულებებით. გულსაკიდი ჯვრების ტარება გავრცელებულია ყველა სოციალური ფენის კოპტებში, გარდა ამისა მათ უმრავლესობას მარჯვენა წინამხრის შიგა მხარეს ტატუირებული აქვს ჯვრის გამოსახულება, კოპტური სახელებიც განსხვავდება მუსლიმების სახელებისაგან, თუმცა, დღეს ისინი იმავე ანტროპონიმიკულ მოდელზეა აგებული, რაც მუსლიმური ეგვიპტური და, ამდენად, ახლოს დგას არაბულ კლასიკურ სახელთან[58], მკირედი დაკვირვების შედეგად, უმეტეს შემთხვევაში, ხერხდება სახელის მიხედვით კოპტის გამოცნობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ ეკუთვნის ისეთ საყოველთაოდ ცნობილ კოპტურ გვარებს, როგორიცაა მაგ., გალი, სალამა, ხანნა და ა. შ.

კოპტურ სახელში ისტორიულად რამოდენიმე შრე განირჩევა. ყველაზე გავრცელებულად შეიძლება ჩაითვალოს ბიბლიური და ქრისტიანულ წმინდანთა სახელები, მაგ. ბუტროს, ანტუნ, გეორგ, აკულინა, ბულოს, მიხაელ, საბა და ა. შ. გარდა ამისა, პოპულარულია ძველეგვიპტური და ელინისტური სახელები (მაგ., რამზეს, მუსა, სეზოსტრის, იზის), ამასთან ერთად კოპტურ ინტელიგენციაში, როგორც ჩანს, ევროპელების ბატონობის ხანიდან დამკვიდრდა ისეთი სახელები, როგორიცაა ნელი, უილიამ, ალფონსა, ალბერტ, ჟოზეფ, ჯორჯ, ამალია და ა. შ.[59].

კოპტების ცხოვრების წესზე, ზნე-ჩვეულებებზე ზოგადი დაკვირვებაც კი ცხადყოფს, რომ ქრისტიანული რელიგია, ეკლესია დღესაც გადამწყვეტ როლს ასრულებს მათი ყოფისა და კულტურის ყველა სფეროში, ძალზე დიდ გავლენას ახდენს მათ აზროვნებაზე.

კოპტური ეკლესის მეთაური არის პატრიარქი (ამჟამად შენუდა III), რომლის რეზიდენცია XI ს-დან კაიროში იმყოფება. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ იგი ატარებდა „ეგვიპტის, იერუსალიმის წმინდა ქალაქის; ნუბიის, 12 ქალაქისა

---

[58] Системы личных имён у народов мира, М., 1986, გვ. 48, 49—50.

[59] კოპტების სახელების შესახებ დაწვრილებით იხ. Meinardus O., Tatto and name. A Study on the Marks of Identification of the Egyptian christians — Wiener Zeitschrift fur die Kunde des Morgenlands", Wien, 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველა იმ ადგილის, სადაც წმ. მარკოზმა იქადაგა, უწმინდესი პაპის“ სახელს, მაგრამ ვინაიდან ნუბიაში ქრისტიანობა დიდი ხანია გაქრა, ხოლო ეთიოპიის ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო, კოპტური ეკლესიის მესვეურთ მოუხდათ ამ სახელწოდების შეცვლა. 1969 წლის დეკრეტით პატრიარქს ეწოდა „ალექსანდრიის პაპი და იმ ადგილთა პატრიარქი, სადაც ყოფილა წმ. მარკოზი“.

ეგვიპტის ტერიტორიაზე განლაგებულია 19 ეპარქია, რომელთაც არქიეპისკოპოსები უდგანან სათავეში, გარდა ამისა, არის ორი „თავისუფალი“ ეპისკოპოსი. პირველი ხელმძღვანელობს კოპტური ეკლესიის ეკუმენურ განყოფილებას, ხოლო მეორე თეოლოგიურ დაწესებულებებს და საკვირაო სკოლებს. საზღვარგარეთ კოპტურ ეკლესიას აქვს ხუთი ეპარქია — იერუსალიმში, სუდანში, უგანდაში, სამხრეთ აფრიკასა და კუვეიტში.

ეპისკოპოსებსა და არქიეპისკოპოსებს ემორჩილებიან საეკლესიო მსახურნი და ბერები. დღესდღეობით ეგვიპტეში დაახლ. 1200 ეკლესია და სამლოცველო, რვა მოქმედი მონასტერი[60] და 1500-ზე მეტი კოპტი მღვდელია[61].

კოპტური ეკლესიის საინტერესო თავისებურებაა ის, რომ პატრიარქის ტახტზე შეიძლება ავიდეს მხოლოდ ბერი და არა ეპისკოპოსი, ან საეკლესიო იერარქიის სხვა წარმომადგენელი.

ამასთანავე იგი უნდა იყოს 50 წლის ასაკს მიღწეული, არ უნდა გააჩნდეს ფიზიკური ნაკლი და ქრონიკული დაავადება და უნდა ჰქონდეს კარგი რეპუტაცია.

კოპტური მონასტრები და სამონასტრო ცხოვრება დღეს, რა თქმა უნდა, თავისი ძველი დიდების მხოლოდ ჩრდილს წარმოადგენს, მაგრამ მათი როლი თანამედროვე კოპტურ საზოგადოებაში მაინც საკმაოდ შესამჩნევია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღესდღეობით ეგვიპტის ტერიტორიაზე 8 მუდმივმოქმედი მონასტერია. ესენია: წმ. ანტონიუსის (მთავარი) და წმ. პავლეს — აღმოსავლეთ უდაბნოში, წმ. მაკარიოსის, წმ. ბიშოის, ას-სურიანის და ალ-ბარამუსის — ვადი-ენ-ნიტრუნში, წმ. სამუელის — ფაიუმში, ალ-მუხარაკი — ასიუტში და სიტ-დამიანა — მანსურას მახლობლად. ამ მონასტრებსა და მათ შემოგარენში მეფეთ-მეებსა და აკლდამებში განდეგილად მოსახლე ბერების რიცხვი ყველაზე ოპტიმისტური გამოთვლებითაც 3—4 ასეულს არ აღემატება[62].

ოდითგანვე ბერებს კოპტების სულიერ და რელიგიურ ფასეულობათა მცველების მოვალეობა ეკისრათ. ამ საქმეს ისინი დღესაც ემსახურებიან, რადგან თანამედროვე კოპტებიც თავიანთ შვილებს ხშირად აბარებენ მონასტრებში აღსაზრდელად. ბევრ მონასტერში დღესაც ინახება ძველი კოპტური წიგნები და ხელნაწერები. ასე მაგ., წმ. ანტონიუსის მონასტრის ბიბლიოთეკა შედგება 1562 ტომისაგან, ალ-ბარამუსისა დაახლ. 3 ათ. ტომისაგან, წმ. ბიშოისა — 500 ტომისაგან, ას-სურიანის მონასტერში არის ბიბლიოთეკა და მუზეუმი[63].

---

[60] Назарова Н., Коптская церковь..., გვ. 60.

[61] Meinardus O., „Monks and Monasteries“... გვ. 109. ზოგიერთი სხვა ავტორი უფრო დიდ რაოდენობას ასახელებს.

[62] ადრე დედათა მონასტრებიც ისევე ყოფილა გავრცელებული ეგვიპტეში, როგორც მამათა. დღესდღეობით დედათა მონასტრები მხოლოდ კაირიოში შემორჩა. მკვლევართა აზრით, დღეს აქ ორმოცდაათამდე მონაზონი ცხოვრობს.

[63] Meinardus O., Monks and Monasteries...; Farag R., დასახ. ნაშრომის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპტებში დღესაც არსებობს ჩვეულება საერო პირების გარკვეული ხნით მონასტრებში საცხოვრებლად წასვლისა. ე. უოკინს ერთ-ერთ მონასტერში ნაცხოვრები კოპტი-სტუდენტის სიტყვებზე დაყრდნობით მოჰყავს დღის განრიგი, რომელსაც იცავენ საერო პირები ამ მონასტერში ცხოვრებისას. განრიგი შეიცავს ისეთ პუნქტებს როგორიცაა — „საერთო ლოცვა", „მესა", „სიჩუმის დაცვა და მედიტაცია", „მუშაობა მონასტრის ტერიტორიაზე, კითხვა ან მედიტაცია", „განბანვა და მომზადება სულური მოქმედების განახლებისათვის", „კითხვა, მუშაობა და საუბარი ბერებთან, რომლებიც „გვესაუბრებიან ჩვენი ცხოვრების, ცოდვებისა და მომავლის შესახებ", „შეხვედრები ბერებთან ინდივიდუალურად და ჯგუფებად"[64].

ყველა მონასტერს თავისი საკუთარი ტიპიკონი აქვს. თითოეული მათგანი ადგილობრივ არქიეპისკოპოსს ემორჩილება და პრაქტიკულად თვითმმართველობის უფლებით სარგებლობს. მონასტრების ასეთ სტატუსს მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობაც უწყობს ხელს. მონასტრის ბიუჯეტი, რომელსაც ძალიანად მისი წინამძღვარი განაგებს, დგება მორწმუნეთა შემოწირულებებიდან და იმ შემოსავლიდან, რომელსაც მონასტრის კუთვნილი მიწიდან იღებენ.

კოპტური ეკლესია-მონასტრების არქიტექტურა ღრმად ფუნქციონალურია. კოპტების ისტორიულად განპირობებულმა ცხოვრების წესმა შექმნა არქიტექტურული სტილი, რომელიც თემის წევრთა არა მარტო სულიერი, არამედ ყოველდღიური სასიცოცხლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ყოველ კოპტურ ტაძარს (განურჩევლად იმისა, ეკლესია იქნებოდა ის, თუ მონასტერი) აშენებდნენ როგორც ციხე-სიმაგრეს. მის გარშემო ავლებდნენ ღელეს, ციცაბოზედაპირიან ქვის გალავანს. გარდა საკულტო ნაგებობებისა როგორც მონასტრის, ასევე ეკლესიის შენობაში მოთავსებული იყო სასულიერო პირთა საცხოვრებელი ოთახები, ჰა ან წყალსაცავი, ზიარების პური გამოსაცხობი ღუმელი და სხვ. ტრადიციულად ეკლესია იმ მიდამოში მოსახლე კოპტების ცხოვრების ცენტრსა და თავშესაყარს წარმოადგენდა. თავიანთ ტაძრებში კოპტები ეძებდნენ თავშესაფარს დევნა-დაწიოკების დღეებში[65]. კოპტური განათლების სისტემაც ისე იყო აგებული, რომ ოდითგანვე სკოლები ეკლესიებთან არსებობდა. და თუმცა 1958 წლის საგანმანათლებლო რეფორმამ მათი უფლებები ძლიერ შეზღუდა, სკოლები დღესაც არსებობს. აშკამად ეს ძირითადად საკვირაო სკოლებია. აქ მოზარდ თაობას ასწავლიან ქრისტიანულ ღვთისმეტყველებასა და კოპტურ ენას. ბოლო წლებში გაიზარდა კოპტების ინტერესი თავიანთი ენის შესწავლისადმი, მაგრამ ცხადია, ვერც ეს სკოლები, ვერც კოპტური თეოლოგიური კოლეჯი კაიროში, რომელსაც ყოველწლიურად 100-მდე მსმენელი ამთავრებს, ვერც ეგვიპტის უნივერსიტეტების რიგ ჰუმანიტარულ და თეოლოგიურ ფაკულტეტებზე კოპტური ენის სწავლება ვერ უზრუნველყოფს მის მკვდრეთით აღდგენას. როგორც აღვნიშნეთ, იგი არა მარტო რიგით კოპტებს, არამედ ღვთისმსახურთა უმრავლესობასაც ცუდად ესმის[66]. ამის გა-

---

[64] Wakin E., დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

[65] მ. კრამერის მიერ გამოქვეყნებული საბუთების მიხედვით, ერთ-ერთი ასეთი დევნის დროს მარტო თებერი მონასტრის კედლებს 20 ათასამდე ლტოლვილმა შეაფარა თავი (Cramer M., დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

[66] ე. უოკინი წერს, რომ ოცამდე ოჯახში კაიროში შინ კოპტურად ლაპარაკობენ. მაგ. ‘ორისა კოპტური მეზეუმის დირექტორის ოჯახი, Wakin E., დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო მთელი ლიტერატურა, რომელსაც კოპტური ეკლესია გამოსცემს, გამოდის ორ ენაზე — კოპტურად და არაბულად (პარალელური ტექსტის სახით), ხოლო კოპტური ყოველკვირეული გაზეთი „ალ-ვატანი". (პატრიოტი") არაბულ ენაზე იბეჭდება.

კოპტური თემის მართვა-გამგეობა ხორციელდება სათემო საბჭოების მეშვეობით. ე. უოკინის ცნობით, ასეთი საბჭოები 60-იანი წლების დამდეგისათვის ეგვიპტის ოცზე მეტ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტებში მოქმედებდა. ეს საბჭოები ეკლესიის კონტროლის ქვეშ იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 ს-ის ბოლოს დაწყებული კოპტური ეკლესიის კრიზისი დღესაც გრძელდება, მისი ავტორიტეტი ეგვიპტის ქრისტიანთა დიდ უმრავლესობაში ამჟამადაც იმდენად მაღალია, რომ ეს აძლევს მას საშუალებას თემის მართვის საქმეში გადამწყვეტი სიტყვა შეინარჩუნოს. მაგრამ საბჭოსა და ეპისკოპოსების წმინდა სინოდს შორის რიგ საკითხთა გარშემო აზრთა სხვადასხვაობა და უთანხმოება არსებობს. 1955 წ. ნასერის მთავრობის მიერ რელიგიური სასამართლოების გაუქმებამ კოპტურ სათემო საბჭოს მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია მოუშალა. იმავე ხანებში შეიქმნა „კოპტური ორთოდოქსული ეკუფების ორგანიზაცია", რომელიც მთლიანად ეკლესიას დაექვემდებარა, ამან მნიშვნელოვნად შეზღუდა საბჭოს ფინანსური ძალაუფლება. ამის გამო კოპტებს შორის იძალა პესიმისტურმა განწყობილებებმა.

კოპტური საეკლესიო რიტუალისა და ადათ-წესების განხილვისას, აშკარად ჩანს კვალი, რომელიც ეგვიპტურ ქრისტიანობას ისლამის გავლენამ დაამჩნია. კოპტები არ ჭამენ ღორის ხორცს, ლოცულობენ აღმოსავლეთისაკენ შებრუნებულნი, მიემგზავრებიან წმინდა ადგილების მოსახილავად (პაჯი იერუსალიმში). ეკლესიაში, ისევე როგორც მეჩეთში, მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე, მათთვის განკუთვნილ ნახევრებში სხედან[67].

კოპტები ცნობენ ქრისტიანობის შვიდივე საიდუმლოს — ნათლობას, მირონცხებას, მონანიებას, ქორწინებას, ზეთისკურთხევას, მღვდლობას და ზიარებას. ისინი იცავენ სხვადასხვა მარხვას (დაახლ. 200 დღე წელიწადში თავს იკავებენ ყველანაირი საშმლისაგან შუადამიდან შუადღემდე და საზოგადოდ არ ჭამენ ცხიმიანსა და ხორციან კერძებს). მთავარი დღესასწაულებია შობა და აღდგომა. საყურადღებოა ისიც, რომ კოპტური აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს დღესასწაულობენ შამ-ენ-ნესიმს. გაზაფხულის ეს დღესასწაული ძველ ეგვიპტიდან მოდის და მასში კოპტებთან ერთად მუსლიმებიც მონაწილეობენ. საზოგადოდ კოპტურმა ქრისტიანობამ არამარტო ბევრი პირველადელი ქრისტიანული, არამედ ძველეგვიპტური ელემენტებიც შემოინახა. ა. აირუს მოჰყავს კოპტური საგალობელი მიძღვნილი მიწის ნაყოფიერებისა და მდ. ნილოსის ცხოველმყოფელი ძალისადმი, რომლის მსგავსება ნილოსის ძველეგვიპტურ ჰიმნთან აშკარაა[68]. ბ. ტურაევი წერდა, რომ ღვთისმსახურების დროს კოპტები იყენებენ ძველეგვიპტურ მუსიკალურ ინსტრუმენტს — სისტრს[69], ძაღლზე დიდ-

---

[67] ბევრ მკვლევარს ისლამის გავლენად მიაჩნია ის, რომ კოპტები მისდევენ წინდაცვეთას. ჩვენი აზრით, ეს ჩვეულება შესაძლოა ძველი ეგვიპტიდან მიმდინარეობდეს, სადაც მისი არსებობა უცილობლად დადასტურებულია. იხ. მაგ., Культура Древнего Египта, под ред. Кацнельсона И. С., М., 1975 გვ. 260.

[68] Айру А. დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

[69] Тураев Б. А., Копты...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს შემორჩა გვამების მუმიფიცირების ჩვეულება[70]. შეიძლება ვიკარაუდოთ, რომ ძლიერად განვითარებული დემონოლოგია და ავგაროზების რწმენა აგრეთვე ამ ელემენტთა რიცხვს განეკუთვნება.

კოპტური ტრადიციებიდან, რომლებიც მათ მუსლიმებისაგან განასხვავებს, უდაოდ საყურადღებოა მათი ოჯახური ტრადიციები. ისინი ქრისტიანულ მორალურ-ეთიკურ წარმოდგენებზეა დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში თვალში საცემია განქორწინებების გაცილებით უფრო მცირე რიცხვი, ვიდრე მუსლიმებში, ქალის საგრძნობლად მაღალი მდგომარეობა და შედარებით უფრო დემოკრატიული ოჯახური ცხოვრება მთლიანობაში (რა თქმა უნდა, იგივე პატრიალქალური ოჯახის პირობებში)[71].

საზოგადოდ, კოპტების თვითშეგნებაში ქრისტიანულ სამყაროსადმი მათი კუთვნილების შეგრძნება ორგანულად არის შერწყმული ეგვიპტის უძველესი ცივილიზაციისადმი კუთვნილების, ამ ცივილიზაციის შემქმნელთა უშუალო და პრდაპირი მემკვიდრეობითობის შეგრძნებასთან[72]. ეს არც არის გასაკვირი, რადგან როგორც ვიხილეთ, საუკუნეების განმავლობაში სწორედ ქრისტიანული რელიგია უწყობდა ხელს მათი ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ძველეგვიპტური ცივილიზაციისადმი, საზოგადოდ ეგვიპტისადმი კუთვნილების მძაფრი შეგრძნებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მიუხედავად იმ სოციალური ჩაგვრისა, რომელსაც კოპტები განიცდიან და იმ ტრადიციული კონტაქტებისა, რომელიც მათ დასავლეთის სამყაროსთან აქვთ, ემიგრაცია მათ შორის მცირეა[73].

მაღალი ეკონომიკური და კულტურულ სტატუსი, ერთი მხრივ, და ის საუკუნეობრივი სოციალური ჩაგვრა, რომელსაც კოპტები განიცდიან, უწყობს ხელს იმას, რომ „ნამდვილ ეგვიპტელობის“ შეგრძნებას ხშირად თან სდევს ნაციონალური განწყობილებების გადვივება, მტრული დამოკიდებულება ორი რელიგიის წარმომადგენელთა შორის. შემთხვევითი როდი იყო, რომ ა. სადათის პრეზიდენტობის პერიოდში ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურებას მოჰყვა მუსლიმური და ქრისტიანული თემების ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება, სისხლიანი შეტაკებები მათ შორის.

მუსლიმური ექსტრემიზმი საპასუხო კოპტურ ექსტრემიზმს ბადებს, მაგრამ ეს უკანასკნელი უმეტესწილად მეორადია, გაცილებით უფრო ნაკლებაგრესიულ ხასიათს ატარებს და ხშირად იგი არა მუსლიმების მიმართ, არამედ თვითონ კოპტების შედარებით შემრიგებლურად განწყობილი ფენებისადმია მიმარ-

---

[70] Тураев Б. А., „Копты“...

[71] ა. ირუ წერს, რომ ეგვიპტის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით იმ ქალაქებში და სოფლებში, სადაც მუსლიმები კოპტების გვერდგვერდ ცხოვრობენ მათ შორისაც გაქორწინებების რიცხვი საგრძნობლად მცირეა და ეს გამოწვეულია იმით, რომ მუსლიმებს მუდმივად თვალწინ უდგათ კოპტური ოჯახების მაგალითი.

[72] რელიგიურად განწყობილ კოპტურ წრეებში არსებობს აზრი, რომ ეგვიპტელების მიერ ქრისტიანობის მიღება გასაგები და გარდუვალიც იყო, რადგან თვით ქრისტიანობა ძველეგვიპტური რელიგიისა და კულტურის უშუალო ნაყოფია. ამ აზრითაა გამსჭვალული მაგ., რ. ფარაგის დასახ. ნაშრომი.

[73] კოპტების ასეთი განწყობილება უპირისპირდება ეგვიპტის მუსლიმური უმრავლესობის განწყობილებას, რომლის შეგნებაშიც ეგვიპტური ნაციონალიზმის იდეებს მუდამ ებრძოდა „ეიტან-ალ-არაბი“ — მთლიანი არაბული სამყაროსადმი კუთვნილების შეგრძნება. ცნობილია, რომ 1952 წლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში საერთო არაბული ერთიანობის პანარიბისტულმა იდეებმა იმძლავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული. ამის საუკეთესო მაგალითია ექსტრემისტული ორგანიზაციის „უმმა კუბტიიას“ მოქმედება 50-იან წლებში, როდესაც მან გიტაცა და აიძულა გადამდგარიყო პატრიარქი იუსაბ II. მთლიანობაში კი კოპტებისათვის უფრო დამახასიათებელია „გასროლის გარეშე ომის წარმოების ტექნიკა“[73].

ეს ტაქტიკა გულისხმობს აგრეთვე მჭიდრო ურთიერთმხარდაჭერას, ურთიერთგატანას, თემობრივი ინტერესების პირველ პლანზე დაყენებას. თანამედროვე ეგვიპტის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რომ აანალიზებს, ბევრი ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მუსლიმური წრეები. უკმაყოფილონი არიან იმით, რომ კოპტები განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენენ თავიანთი კლანის მიმართ და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ უზრუნველყონ თავიანთი თემის წევრები სამუშაოთი და გავლენიანი პოსტებით, რომ ქარხანაში ერთი კოპტი ინჟინრის მოსვლა მოასწავებს მის კვალდაკვალ ათეულობით კოპტი მუშის გამოჩენას და ა. შ. მაგრამ ასეთი სიტუაცია დამახასიათებელია მთლიანად დღევანდელი ეგვიპტის საზოგადოებისათვის.

ამრიგად, როგორც ვიხილეთ, საუკუნეთა განმავლობაში ეგვიპტის ქრისტიანული ეკლესია კოპტურ თემში ასრულებდა ინტეგრაციულ და კომუნიკაციურ ფუნქციას, ადგენდა და ავითარებდა თემის შიგნით ყოველგვარ არასარწმუნოებრივ-ეკონომიკურ, საოჯახო-ყოფით და ა. შ. კავშირებს, იცავდა და ინარჩუნებდა კოპტების ეთნიკური ტიპის სიწმინდეს, ძველ კულტურულ ტრადიციებს, ამ უკანასკნელის და ახალი ქრისტიანული ეთიკისა და ტრადიციების სინთეზის საფუძველზე აყალიბებდა სპეციფიკურ აზროვნებასა და ფსიქიკას, უწყობდა ხელს განსაკუთრებული ეთნიკური თვითშეგნების შექმნას.

ამრიგად, კოპტები იმ ეთნიკურ ერთობათა რიცხვს განეკუთვნებიან, რომელთა ჩამოყალიბების პროცესში ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების პრინციპები ურთიერთგანპირობებულად და ურთიერთგანმსაზღვრელად გვევლინებიან და ამის გამო მათ ყოფასა და ცნობიერებაში ეს პრინციპები დიფერენცირებული არ იყო.

ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს კოპტები ე. წ. ეთნორელიგიურ უმცირესობათა რიცხვს მივაკუთვნოთ და ეგვიპტის ისტორიაში და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი როლი სწორედ ამ პოზიციიდან ვიკვლიოთ.

К. Р. АМИРЕДЖИБИ

ЗНАЧЕНИЕ КОПТСКОЙ ЭТНОРЕЛИГИОЗНОЙ ОБЩИНЫ В СОВРЕМЕННОМ ЕГИПТЕ

Изучение истории и нынешнего положения этносоциальных меньшинств в странах Азии и Африки является одной из самых актуальных проблем современного востоковедения.

Статья посвящена одному из наименее исследованных вопросов — роли и статусу потомков автохтонного населения Египта — коптов-христиан в экономической и социальной жизни страны. После краткого исторического обзора судеб коптской общины, автор переходит к анализу причин, обусловивших сравнительно высокий экономический и социально-культурный статус коптов. Исследуя положение монофизитской церкви в Египте и структуру коптского

[74] Wakin E. დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

общинного самоуправления, а также культурные обычаи, традиции, некоторые особенности мышления и поведения коптов, автор приходит к заключению, что на протяжении веков коптская церковь играла относительно общины интегративную и коммуникативную роль, устанавливала и развивала внутри нее всевозможные вневероисповедальные — экономические, семейно-бытовые и т. д. связи, способствовала сохранению чистоты этнического типа и древних культурных традиций коптов, а также синтезу последних с христианской этикой и традициями, формируя тем самым у своих приверженцев специфическое мышление и психику, особое этническое самосознание. Следовательно, копты относятся к числу тех меньшинств Ближнего Востока, в формировании которых принципы этнической и религиозной принадлежности совпадали и поэтому не поддавались дифференциации в их самосознании. Следовательно, по мнению автора, коптов следует отнести к т. н. этнорелигиозным меньшинствам Ближнего Востока.

K. R. AMIREDJIBY

SOME NOTES ABOUT THE PART OF COPTIC COMMUNITY IN MODERN EGYPT.

Summary

The Study of the history and modern life of ethnic and social minorities in the countries of Asia and Afrika is very actual today.

The article is dedicated to the least known problem —the part and the status of the cristian descendants of autochtonic population of Egypt in economical and social life of the Country.

After the short review of the history of Copts, the author passes to the analysis of the reasons, which caused comparatively high economical, social and cultural status of the Coptic Community.

Having studied the condition of Monophisit Church in Egypt and the structure of the Coptic Community self-government, cultural customs and traditions, some peculiarities of the thinking and behavior of Copts, the author comes to the conclusion, that Coptic Church played integrative and communicative role in the Community during centuries. it established and developed different (economical, family etc) relations, promoted the preservation of the purity of ethnic type and ancient cultural traditions of Copts, the synthesis of them with christian ethics and traditions. Consequently specific thinking and psychology, particular self-consciousness was built up in minds of its followers. Therefore, Copts belong to those minorities of the Middle East, in formation of which, the principles of ethnic and religious belonging coinieded. Because of this fact they resisted differentiation in their self-consciousness. Thus, to the author's mind, Copts have to be atributed to the so-called ethno-religious minorities of the Middle East.

წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს კულტურის ისტორიის კათედრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ბრაგვაძე

კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების (ყვირილის ხეობის) ჭართიზაციის საკითხისათვის

წინამდებარე წერილი ეძღვნება ძვ. წ. IV—I საუკუნეების აღმოსავლეთ კოლხეთის (ყვირილის ხეობა) ქართიზაციის და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ისტორიული პროცესების, კერძოდ, აღმოსავლურ-ქართული კულტურისა და იბერიის პოლიტიკური გავლენის გავრცელების შესწავლას უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე.

რა თქმა უნდა, ისეთი ურთულესი პრობლემა, როგორიც კოლხეთის ქართიზაციის პროცესია, შეუძლებელია, ერთი ავტორის მიერ იქნას გადაჭრილი. ეს პერმანენტული საკითხია, რომლის სრულად შესწავლა მომავლის საქმეა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ყვირილის ხეობაში გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებს (საირხე, მოდინახე) შეუძლიათ გარკვეულად განმტკიცონ ადრე წამოყენებული არაერთი დებულება და წამოჭრან ზოგიერთი ახალი საკითხიც.

ადგილობრივი, ასევე უცხოენოვანი— ბერძნული, ბიზანტიური — წერილობითი წყაროები აღმოსავლეთ კოლხეთის (ყვირილის ხეობის) ტერიტორიაზე მხოლოდ შორაპნის ციხის შესახებ გვაწვდიან ცნობებს. ლეონტი მროველის მიხედვითაც ელინისტური ხანის ყველაზე მძლავრი პუნქტი ამ მხარეში ქართლის სამეფოს საერისთავოს ცენტრი შორაპანი ჩანს[1]. მაგრამ, ელინისტური ხანის ფენები არქეოლოგიურად მხოლოდ მოდინახეზე, საირხეში და ითხვისშია დამოწმებული[2]. ამათგან ითხვისის მასალები დღემდე გამოუქვეყნებელია, ამდენად, იძულებული ვართ ამ საკითხების კვლევისას ნაწილობრივ მოდინახეს და ძირითადად საირხის მასალის მიხედვით ვიმსჯელოთ.

არქეოლოგიური აღმოჩენები საირხის ნაქალაქარზე ნათელყოფენ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში აქ საფუძველი ეყრება მძლავრ ეთნოტერიტორიულ ერთობას, რომელიც თავის აღმავლობას ძვ. წ. V—IV სს-ში აღწევს[3].

ძვ. წ. IV ს-ნის II ნახევრის საირხეში რამოდენიმე საინტერესო პროცესი შეინიშნება; ესენია: ურთიერთობის შესუსტება ატიკასთან (ეს ურთიერთობა მეტად ინტენსიურია ადრეანტიკურ ხანაში)[4], ურთიერთობის გაძლიერება მცი-

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24.

2 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

3 სამადურის გორაზე მოპოვებული მასალის დაწვრილებითი ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია ჯ. ნადირაძის ნაშრომში (საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990), საშუალებას იძლევა, გამოიყოს მთელი რიგი პერიოდები საირხის განვითარების ისტორიაში. ერთი ასეთი პერიოდი, ანუ საირხის აყვავების ხანა ძვ. წ. V—IV სს-ზე მოდის.

4 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე აზიის ელინიზებულ ცენტრებთან და მატერიალურ კულტურაში აღმოსავლურ-ქართული ნაკადის შემოჭრა[5].

ელინისტური ხანის საირხის მატერიალური კულტურის ძეგლებმა და თვით ძეგლის სტრატიგრაფიამ, ვფიქრობთ, შესაძლებელია, დიდი სამსახური გაგვიწიოს ამ მხარის ქართიზაციის და მისი თავისებურებების დადგენაში.

საირხის მდიდრული სამარხები ქრონოლოგიურად ძვ. წ. V—III საუკუნეებს შორის თავსდება. ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედში სამარხები ქრება და ცოტა ხანში იმავე ადგილას წარმოიქმნება სამოსახლო, რომელიც სტერილური ფენითაა გამიჯნული სამარხებისაგან[6]. ელინისტური ფენის სისქე 3 მეტრს აღწევს, შეიცავს ორ პორიზონტს და ერთი შეხედვითაც ნათელი ხდება, რომ ამ დროის დასახლება საკმაოდ მძლავრია. იმისათვის, რათა მსჯელობას თანამიმდევრული ხასიათი მივცეთ და ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდების მეტ-ნაკლები დასაბუთება შევძლოთ, მოკლედ შევეხებით ზემოიმერეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებულ მასალას, რომელიც კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიოგრაფიაში ინოვაციად და ელინიზმისა და ქართიზაციის პროცესის შედეგებადაა მიჩნეული. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ კოლხეთში (ყვირილის[7] ხეობაში) ამიერკავკასიის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით ქართიზაციისათვის დამახასიათებელი მოვლენები მკვიდრდებოდა ელინიზმის პროცესთან მჭიდრო კავშირში, მასთან ერთად. როგორც საფქრებელი, ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედის ბოლოს იწყება კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების მძლავრი ქართიზაცია, რაც პირველ რიგში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ფარნავაზის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან.

საბუნაროდ, საქართველოს ისტორიის ე. წ. შიდა საირიენტაციო საკითხებს ჩვენში ჯერჯერობით არ ექცევა სათნადო ყურადღება. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, „ცალკე განსახილველია იბერიის ეს დიდი ექსპანსიის ხანა, რაც როგორც საფქრებელია, სამხედრო დემოკრატიის ხანაში დაიწყო და ფარნავაზით დაგვირგვინდა“[7].

ფარნავაზის მიერ ამ ტერიტორიების (ყვირილის ხეობის) ქართლის სამეფოს გავლენის არეალში მოქცევას, ცხადია, უნდა გამოეწვია, აღმოსავლურ-ქართული კულტურის ნიშნების მომძლავრება-დამკვიდრება, მაგრამ არქეოლოგიური მონაცემები და კერძოდ, საბადურის გორის № 1 სამარხის ინვენტარი[8]. გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ რომ აღმოსავლურ-ქართული ელემენტების შემოჭრა ფარნავაზამდე დაიწყო. ყვირილის ხეობის კერამიკულ ნაწარმში ისეთ ნიმუშებად მსხლისებურკორპუსიანი დოქები ჩანან, რომლებიც საირხის გარდა მოდინახეზეცაა ფიქსირებული[9]. ვინში მათ ვამოჩენას მცირე აზიიდან მესხური

---

5 აღსანიშნავია, რომ აღმოსავლურ-ქართული კულტურის ნიშნები ყვირილის ხეობის კერამიკულ და ბრინჯაოს ნაწარმში ადრეელინისტურ ხანაზე გაცილებით ადრე ჩნდება (იხ. ქვემოთ).

6 საირხის სტრატიგრაფია საბადურის გორის მიხედვით იხ. ჯ. ნადირაძე, საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი, ოგრეთვე გ. მახარაძე, საირხის ელინისტური ხანის კერამიკა (ხელოვნების მუზეუმის XI სპეციფიერო სესიის თეზისები), თბ., 1989; მისივე, საირხის საბადურის გორის სტრატიგრაფიისათვის (ხელნაწერი).

7 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 444.

8 ჯ. ნადირაძე, საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 91.

9 ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, ტაბ. XI, სურ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომების შემოჭრას და მათ მიერ ელინისტური კულტურის შემოტანას უკავშირებენ[10]. ყვირილის ხეობაში ეს ნაწარმი მასიურად ძვ. წ. III ს-ის შუა ნახევიდანაა წარმოდგენილი (სამადურის გორის № 1 ფენა) მსწლისებუკოორპუსიანი დოქების გაჩენა, მართალია, ემთხვევა ელინიზმის ეპოქას, მაგრამ ყვირილის ხეობაში კერამიკის ამგვარი სახეობების გავრცელება, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს ქართლიდან ეთნიკური ჯგუფების ინფილტრაციასთან, რასაც თან სდევდა აღმოსავლურ-ქართული მატერიალური კულტურის ელემენტების შემოჭრა კოლხეთში.

ძვ. წ. IV ს-ის II ნახევრის კოლხეთში და ქართლში დადასტურებულ ახალმოვლენებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მოხატულ კერამიკას უკავია. ყვირილის ხეობაში ამ ტიპის ნაწარმი ყველაზე დიდი რაოდენობით სამადურის გორის ზედა ნასახლარ ფენაშია აღმოჩენილი. ძვ. წ. IV ს-ის III მეოთხედში ვანის ნაქალაქარზე ასეთი სახის კერამიკა თანაარსებობს კოლხური თუნის ნაწარმთან[11]. დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა მოხატული კერამიკის გენეზისის შესახებ, მაგრამ ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს მისი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების გზების პრობლემა.

ი. გაგოშიძის აზრით, მოხატული სამტუჩა დოქები კოლხეთში იბერიიდან გავრცელდა, ხოლო რაც შეეხება ზოგადად მოხატული კერამიკის გაჩენას, ი. გაგოშიძე ვარაუდობს, რომ წითლად ანგობირებულმა თიხის ჭურჭელმა საფუძველი მოუმზადა ჩვენში მოხატული თუნის ნაწარმის წარმოშობას[12]. არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოხატული ჭურჭელი ქართლში გავრცელდა სინოპეიდან[13], ხოლო რადგანაც სამადლის მოხატული ნაწარმი თითქმის იდენტურია სინოპეური კერამიკისა, სავარაუდებელია, ეს ჭურჭელი სამადლიში სინოპელი ოსტატების მოღვაწეობის შედეგიც იყოს. რაც შეეხება ვანს, აქ მის გაჩენას მესხური ტომების ექსპანსიას და ელინიზმის გავლენას უკავშირებენ[14].

საირხის აღრეელინისტური ხანის მოხატული კერამიკა ძირითადად ვანის და სამადლის მოხატულ ჭურჭლებთან პოულობს ანალოგიას. საერთოა როგორც ცალკეული კომპლექსების ფორმები, ასევე მოხატვის მოტივებიც (სარტყლები, სამკუთხედები). ამიტომ იბადება კითხვა, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ სინოპელი ოსტატების არსებობაც საირხეში? საკითხი საკმაოდ ოთულია და მისი გადაჭრა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. მით უმეტეს, რომ ელინისტური ხანის საირხეში ჯერჯერობით კერამიკის მეტი სხვა არავითარი მასალა (მაგ., სინოპური დამღები, კრამიტი, მონეტები და სხვა) არ არის გამოვლენილი, ამის გამო, დღეს მხოლოდ ვამოვთქვამთ ვარაუდს, რომ მოხატული კერამიკა, რომელიც შესაძლებელი, მართლაც სინოპედან გავრცელდა იბერიაში, საირხეში და საერთოდ ყვირილის ხეობაში უფრო იბერიის გზით უნდა შემოსულიყო. აქედანვე სავარაუდებელია, საირხეში მომხატველ ოსტატ-ხელოსანთა ინსტიტუტის გაჩენაც. როგორც ცნობილია, IV ს-ის II ნახევრის

---

[10] О. Д. Лордкипанидзе, Древная Колхида, Тб., 1979, გვ. 211.

[11] О. Д. Лордкипанидзе, Вани в IV—II вв. до н. е- Причерноморье в эпоху элинизма, Цхалтубо III—1982, Тб., 1986, გვ- 476.

[12] Ю. М. Гагошидзе, Самадло, Тб., 1979, გვ. 90—92.

[13] მ. ინაძე, ელინიზმის გავლენის საკითხისათვის ამიერკავკასიის ქვეყნებში, კრებული მიძღვნილი ნ. ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი, 1976, გვ. 80.

[14] О. Д. Лордкипанидзе, Вани в IV—II вв. до н. э. გვ. 476

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანში მოხატული კერამიკა თანაარსებობს როგორც კოლხურ, ასევე ატიკური წრთელ და შავფიგურიან თიხის ნაწარმთან[15]. ამ დროის საირხეში ატიკური იმპორტი აღარ ჩანს, გარდა ერთი შემთხვევისა — ლომინაურში, სადაც მოხატული კერამიკისა და ბერძნული ჯამის ნატეხია აღმოჩენილი[16]. ამრიგად, მოხატული კერამიკის ნიმუშების გამოჩენა საირხეში ქრონოლოგიურად ესადაგება ვანში მსგავსი კერამიკის გავრცელებას. თავდაპირველად მოხატული ნაწარმი ალბათ იმპორტის საგანი იყო, რითაც აიხსნება მისი მცირე რაოდენობით არსებობა (სამადურის გორის ელინისტური ხანის ფენის ქვედა ჰორიზონტი). მაგრამ თანდათანობით იბერიასთან კონტაქტების გაძლიერებამ და აღმოსავლურ-ქართული კულტურის მოზღვავებამ ამ სახის კერამიკაშიც პოვა ასახვა. და საჭირო გახდა მისი ადგილზე დამზადება. მიგვაჩნია, რომ სწორედ იბერიიდან დაიწყო მასიურად აღნიშნული თუნის ნაწარმის გავრცელება და ამავ ვითარებაში გადამწყვეტი როლი აღმოსავლეთ კოლხეთის ქართიზაციის პროცესმა შეასრულა. ასე რომ, თუ თავდაპირველად მოხატული კერამიკა მხოლოდ იმპორტის საგანს წარმოადგენდა და სინოპედან ვრცელდებოდა, იბერიის გავლენის გავრცელებასთან ერთად იგი "უკვე იბერიიდან მომავალ გზას დაუკავშირდა. ამასთან ეფექრობთ, რომ მისი უშუალოდ ადგილზე (საირხეში) წარმოებაც დაიწყო. ეს პროცესი კი ძვ. წ. III საუკუნეზე ადრე არ უნდა მომხდარიყო.

ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვეჩინა ის სიახლენი, რომლებიც შეიმჩნევა ადრეელინისტური ხანის საირხის კერამიკის წარმოებაში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიახლენი თანაარსებობენ კერამიკის ადრე ჩამოყალიბებულ ტრადიციულ ნიმუშებთან ერთად. უფრო მეტიც, ძვ. წ. IV—III სს-ების ყვირილის ხეობაში გადამწყვეტი როლი წარმოების ამ დარგში ძირძველ მოსახლეობას რჩება. მსგავსი ვითარება შეინიშნება ოქრომჭედლობაშიც. საირხეში ოქრომჭედლობის არაერთი ნიმუშია აღმოჩენილი. მაგრამ ჯერჯერობით არ ხერხდება ადრეანტიკური და ადრეელინისტური ეპოქების მასალის მკვეთრი გამიჯვნა და მათ შორის ძირეული განსხვავებების დადგენა. ჩვენამდე მოღწეულ ნივთებში ვერ ვპოულობთ ისეთ სხვაობებს, როგორსაც, მაგალითად ვანში აღმოჩენილ ოქრომჭედლობის ნაწარმში, სადაც აშკარად შეინიშნება მთელი რიგი ინოვაციებისა და ადრეანტიკური ხანის ტრადიციების გავლენა[17]. ეს კიდევ ერთი მინიშნება უნდა იყოს იმაზე, რომ ძვ. წ. IV—III სს-ებში ყვირილის ხეობის ზემო წელზე ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი ნიმუშები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ არსებით მნიშვნელობას. ამ მოსაზრების გამო შევეხოთ საირხეში და მოდინახეზე ფიქსირებულ დაკრძალვის წესს.

არქეოლოგიური აღმოჩენებით დადგენილია, რომ ვანის ქვეყანაში IV ს-ის II ნახევრიდან სამარხების სხვადასხვა სახეობა ჩნდება[18]. რა სიტუაციაა ამ მხრივ საირხის ქვეყანაში? როგორც ითქვა, სამადურის გორის მდიდრული სამარხები ქრონოლოგიურად ძვ. წ. V—III ს-ებს შორის თავსდება. სამარხები წარმოადგენენ აკლდამებს, რომლებიც ნაგებია ქვის მშრალი წყობით, ხის მორებით, და რკინის დიდი ზომის ლურსმნებით. ყველა მათგანი დაცული ქვა-

---

[15] О. Д. Лордкипанидзе, Вани в IV—II вв. до н. э. გვ. 476.

[16] ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99—100. ტაბ. IX, სურ. 1—2.

[17] А. Чкония, Ювелирное искусство Колхиды в IV—II вв., до н. э., „Цхалтубо, III, 1982", Тб., 1986, გვ. 519.

[18] О. Д. Лордкипанидзе, Вани в IV—II вв. до н. э., გვ. 475.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილებით[19]. სამადურის გორის აკლდამები საზოგადოების დაწინაურებულ ფენას — ყვირილის ხეობის საგამგეო ერთეულის არისტოკრატიის წარმომადგენლებს ეკუთვნით. შედარებით დაბალი სოციალური წრის მოქალაქეებისათვის, როგორც საირხეში, ასევე მოდინახეზე გამოყენებულია ჩვეულებრივი ორმო-სამარხები. მიცვალებულნი დაკრძალული იყვნენ მოკრუნჩხულ პოზაში და დამხობილნი აღმოსავლეთით. ადრეანტიკური და ადრეელინისტური ხანის სამარხების შედარებამ ცხადყო, რომ ამ ხანებში არავითარი განსხვავება არც დაკრძალვის წესსა და არც აკლდამების აღნაგობაში არ შეიმჩნევა.

ორივე პერიოდის სამარხებში შენარჩუნებულია დაკრძალვის უძველესი ტრადიცია და სამარხების აგებულებაც ერთი და იგივეა. ის გარემოება, რომ ადრეანტიკური (ძვ. წ. V—IV სს-ების) და ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნის სამარხები სამადურის გორაზე ერთადაა წარმოდგენილი, მიანშნებს იმ ფაქტზე, რომ ადრეელინისტური (ძვ. წ. IV ს-ის II ნახევარი — III ს-ის დასაწყისი) ხანის საირხის კულტურა საუკუნეთა მანძილზე ფორმირებული კოლხური კულტურის გაგრძელებაა, ხოლო ასეთ მსჯელობას უნებურად მიეყავართ ადრეანტიკური და ადრეელინისტური (ძვ. წ. IV ს-ის II ნახევარი — ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედი) ყვირილის ხეობაში ერთი და იმავე ვვარის, მმართველი ზედაფენის კონტინუიტეტის აღიარებამდე.

ამ ორი ეპოქების სამარხები ერთადაა ფიქსირებული მოდინახეს სამაროვანზეც[20]. დაკრძალვის წესი არც აქ განიცდის სხვაობას და სამარხთა აღნაგობაც ერთი და იგივეა. ამიტომ როცა აღმოსავლეთ კოლხეთში ქართიზაციის და ელინიზმის პროცესებზეა საუბარი, აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას ყვირილის ხეობის ადრეელინისტური (ძვ. წ. IV ს-ის II ნახევარი — ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედი) სამოსახლოს თუ სამაროვნის ფუნქციონირება და ამათი კავშირი ადრეანტიკური ხანის კოლხურ სამყაროსთან. ეს კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ყვირილის ხეობის ელინისტური ხანის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება ვითარდებოდა ადრეჩამოყალიბებული და განვითარებული კოლხური ცივილიზაციის ბაზაზე. ე. ი. ძვ. წ. IV ს-ის II ნახევარსა და III საუკუნის I მეოთხედშიც წამყვან როლს ადგილობრივი მოსახლეობა ასრულებდა და ამ თვალსაზრისით მთლიანად ელინიზმის ეპოქა გენეტიკურ კავშირშია მის წინამორბედ ხანასთან. შემოტანილი მატერიალური კულტურის ელემენტები არ იწვევს საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული სულიერი ცხოვრების რამდენადმე მნიშვნელოვან შეცვლას. მართალია, ეთნიკური ჯგუფების მიგრაცია-ინფილტრაცია შეიმჩნევა, მაგრამ ადრეელინისტურ (ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნა) ხანაში სხვადასხვა მატერიალური კულტურის — ადგილობრივის, აღმოსავლურ-ქართულისა და ბერძნულის — შერწყმის პროცესში გადამწყვეტი როლი მაინც ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შეესრულებინა; მსასე უნდა მოეხდინა ჩამოსახლებული მასების ასიმილაცია და მისი კულტურის ელემენტების ათვისება. აქვე არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ აღმოსავლეთ კოლხეთი განსაკუთრებით ყვირილის ხეობის ზემო წელი Ab initio იქცა აღმოსავლური და დასავლური ქართული ტომების, მათის კულტურის შერწყმის ადგილად. როგორც გ. ლომთათიძე აღნიშნავდა, ქართლის სამეფოს

---

19 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი.

20 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნისთანავე ყვირილის ხეობაში გადიოდა იბერია-კოლხეთის სახელმწიფოებრივი საზღვარი, რომელსაც არავითარი გამმიჯვნელი ფუნქცია ამ ორ სახელმწიფოს შორის არ ჰქონდა[21]. ამ მოსაზრების ერთგვარი დასტური შეიძლება გამოდგეს ზემო იმერეთის ტერიტორიაზე ამ ბოლო დროს გამოვლენილი ძეგლები (საირხე, მოდინახე, გორაძირი), რომლებზედაც კარგად გამოჩნდა სხვადასხვა ქართველურ ტომთა მჭიდრო კონტაქტები გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანიდან. ქართველური ტომები ნ. ბერძენიშვილის დებულების თანახმად, უძველესი დროიდანვე ერთად, ურთიერთმეზობლად ცხოვრობდნენ და ამ ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი პროცესი ქართველურ ტომთა გაერთიანებით და ამ ტომთა ასიმილაციით დამთავრდა. ამ გაერთიანებას სათავეში ედგა ქართის ტომი, რომელმაც ითავა სხვადასხვა ტომთა გაერთიანება და მოახდინა სხვა ქართველურ ტომთა ასიმილაცია. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრის თანახმად, იბერიის სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, არგვეთში უკვე უნდა ეცხოვრათ აღმოსავლურ-ქართულ ტომებს. და იბერიის ძალაუფლებაც უკვე ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში უნდა გავრცელებულიყო აქ[22].

ლეონტი მროველის ცნებით, „ფარნავაზმა“ განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი . . . ერთი გაგზავნა მარგუს ერისთავად და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიი, ვიდრე ზღურადმდე ეგრისისა რიონს ზემოთ, და ამნეკ ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა“[23].

ლეონტი მროველი არგვეთთან თიოქმის არ არის დაინტერესებული. იგი არც იმას გვამცნობს, თუ რა ხდებოდა აქ ფარნავაზამდე, ან რა მოხდა ფარნავაზის პოლიტიკის შედეგად. მან არ იცის ყვირილის ხეობის წარსული და არ ასახელებს მნიშვნელოვან ცენტრებს. ფაქტობრივად ისტორიკოსი არგვეთის ამ ნაწილზე საერთოდ ღუმს. ეს ვითარება არც არის გასაკვირი, ვინაიდან როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ლეონტი მროველსა და ჯუანშერს მიზნად არ ჰქონიათ დასავლეთ საქართველოს ისტორია დაეწერათ. მათი მიზანი იყო აღმოსავლეთ საქართველოს, საკუთრივ ქართლის სამეფოს ისტორიის აღდგენა და დასავლეთ საქართველოს, ისევე როგორც სხვა მეზობელ მხარეებს, ეხებოდნენ იმდენად, რამდენადაც ამას მათი თვალსაზრისით ქართლის სამეფოს ისტორია მოითხოვდა[24]. ამის გამო, ლეონტი მროველი მხოლოდ და მხოლოდ მშრალ ისტორიულ ფაქტებს გვაწვდის, მაგრამ ამ ერთი ცნობიდანაც შესაძლებელი ხდება მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა.

როგორც უკვე ითქვა, ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლებზე განსაკუთრებით მოდინახეს გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანზე[25] და გორაძირის აღრერკინის ხანის სამაროვანზე[26] ზემოთმოტანილი მოსაზრებების დამდასტურებელი სტუაცია წარმოჩნდა. მოდინახეს და გორაძირის გვიანბრინჯაო — აღრერკინის ხანის მასალაში მკვეთრად გამოიყოფა ორი ჯგუფი. ერთი ჯგუფი

---

21 გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1956, გვ. 133.

22 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 119

23 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 32.

24 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1, თბ., 1977, გვ. 81.

25 მასალა ინახება ხელოვნების მუზეუმში.

26 ე. გ ო გ ა ძ ე, ც. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, გორაძირი, თბ., 1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო ანალოგიებს კოლხურ ნაწარმთან პოულობს, ხოლო მეორე — აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამთავროს პარალელებთან. ამდენად, შესაძლებელი ხდება ვიფიქროთ, რომ აღმოსავლურ-ქართული ეთნოსი ყვირილის ხეობაში ელინისტურ ხანამდე ჩანს დასახლებული. რა თქმა უნდა, არ გამორიცხება ამ ნივთებისა და ცალკეული კომპლექსების შემოტანა გაცვლა-გამოცვლის, ან ვაჭრობის გზით, მაგრამ მათი კომპაქტურად თავმოყრა უნდა მიანიშნებდეს ადგილზე წარმოებას და აგრეთვე იმას, რომ ყვირილის ხეობაში, მის ზემო წელზე აღმოსავლურ-დასავლური ქართული ერთობები ოდითგანვე ერთად ცხოვრობდნენ. კოლხეთის სამეფოს ძლიერებისა და საირხის ქალაქობის აღმავლობის ხანაში (ძვ. წ. V—IV ს.) უფრო დაწინაურებული დასავლურ-ქართული ერთობა ჩანს. ეს ვითარება არქეოლოგიური მასალითაც თვალნათლივ დასტურდება[27]. ვინაიდან არგვეთი აღმოსავლურ-ქართული ტომებითაც იყო დასახლებული, ფარნავაზიანები მას ქართლოსიანთა წილ-ხვედრ მიწა-წყლად და ამდენად, საკუთარ ტერიტორიად განიხილავდნენ. ამიტომ ალბათ შემთხვევიში არ არის, რომ ტრადიციის თანახმად, ფარნავაზმა თავისი აღმინისტრაციული რეფორმების გატარების დროს პირველი ერისთავი დასავლეთ საქართველოში — არგვეთს გაგზავნა და ეს მხარე იბერიას დაუმიჩარა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იბერიის ძალაუფლების გავრცელებასთან ერთად კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონებში თავს იჩენს განსხვავებული კულტურულ-ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც ახოს და ფარნავაზის მოღვაწეობას უკავშირდება. შემოდის დაკრძალვის ახალი წესები, ჩნდება წითლად მოხატული და მსხლისებურკორპუსიანი კერამიკა, ცვლილებებს განიცდის ოქრომჭედლობა, არქიტექტურა, ქრება კოლხური თეთრი[28]. ასე რომ, ისმის კითხვა, — კულტურულ-ეკონომიკური ცვლილებების პარალელურად ფარნავაზის მიერ კოლხეთის აღმოსავლეთის რეგიონების თავის სახელმწიფო-ადმინისტრაციულ სისტემაში მოქცევასთან ერთად რა ცვლილებები ხდება ადგილობრივი მმართველობის აპარატში. როგორც ცნობილია, საირხე ადრეანტიკურ ხანაში ერთ-ერთი სკეპტუხიის ცენტრს წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე ყვირილის ხეობის ზემო წელს კოლხეთის სამეფოს მოხელე — სკეპტუხი განაგებდა[29]. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი, სკეპტუხია ეთნო-ტერიტორიულ პრინციპზე შექმნილი ერთეულია. მის სათავეში ადგილობრივი საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელი დგას[30]. გასარკვევია, რა ურთიერთკავშირი შეიძლება არსებობდეს ფარნავაზის დროინდელ ერისთავსა და ადრეანტიკური ხანის სკეპტუხთა საგვარეულოს შორის. გარკვეული დახმარება შესაძლოა გაგვიწიოს საბადურის გორის სტრატიგრაფიულმა მონაცემებმა. დასაწყისში ვწერდით, რომ საბადურის გორის მდიდრული სამაროვანი ძვ. წ. V—III ს-ებს შორის თავსდება. ძვ. წ. III ს-ის შესაძლებელია პირველი ოცწლეულის ბოლოს სამაროვანი არსებობას წყვეტს და

---

27 ჩვენ საშუალება არა გვაქვს დაწვრილებით შევეხოთ საირხის ადრეანტიკური ხანის ნივთიერ მასალას. სათანადო პარალელებით იგი წარმოდგენილია ჯ. ნადირაძის წიგნში „საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი".

28 გ. გამყრელიძე, ახო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, № 3, 1965.

29 ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები.

30 მ. ინაძე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 26, № 6, 1961, გვ. 783—790.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიანებით, ალბათ, ძვ. წ. III ს-ის შუახანებიდან ან უკანასკნელ მეოთხეში იმავე ადგილას წარმოიქმნება სამოსახლო[31]. საბადურის გორაზე ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენელი არიან დაკრძალულნი. ცხადია, რომ მათი სახით საქმე გვაქვს რაღაც ადგილობრივ მმართველ ზედფენასთან[32].

ჩვენ საშუალება არა გვაქვს, ყველა სამარხის შესახებ ვისაუბროთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ დიდი მნიშვნელოვანია ძვ. წ. IV—III ს-ების მიჯნის, ან შესაძლოა ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედის სამარხის აღმოჩენას ძვ. წ. V—IV ს-ის სამარხების გვერდით (სამარხი № 1). სწორედ № 1 სამარხის ინვენტარში ჩნდება მსხლისებურკორპუსიანი კერამიკა[33], რაც მიგვანიშნებს, რომ აღმოსავლურ-ქართული ელემენტი უკვე თანდათანობით ფეხს იკიდებს საირხის მატერიალურ კულტურაში. მიუხედავად იმისა, რომ № 1 სამარხი ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედს მიეკუთვნება, მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ფარნავაზის დროინდელ ერისთავს ეკუთვნის. უფრო მართებული იქნება ფაქრი იმის შესახებ, რომ მასში დაკრძალული კოლხეთის სამეფოს საგამგეო ერთეულის — საირხის ქვეყნის მმართველი ზედფენის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელიც[34] თავისი იერარქიული ჩამომავლობით გენეტიკურ კავშირშია საბადურის გორაზე დაკრძალულ ადრეანტიკური ხანის (ძვ. წ. V—IV სს.) არისტოკრატიის ფენასთან. ჩვენი აზრით, სხვა შემთხვევაში № 1 სამარხი ამ სამაროვანზე ვერ მოხვდებოდა. ადრეანტიკური ხანის სამარხების გვერდით ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედის სამარხის არსებობის ფაქტი გარკვეულწილად მხარს უჭერს ქართული საისტორიო ტრადიციის ცნობას და ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ფარნავაზი ქართლში მეფობას კოლხეთის დახმარებით აღწევს და თავის პოლიტიკურ მიზნებს კოლხ დიდებულებზე დაყრდნობით ახორციელებს[34]. ეს კი მიანიშნებს, რომ ადრეელინისტური ხანის (ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნა) საირხის ქვეყანას კოლხეთის სამეფოს მოხელე განაგებდა.

ჩვენს ნათქვამს გარკვეულწილად ამაგრებს ის ვარემოებაც, რომ № 1 სამარხზე გვაინდელი სამარხი საბადურის გორაზე არ გაგვაჩნია, და ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედის ბოლოს, ან უფრო ადრეც სამაროვანი ფუნქციონირებას წყვეტს. სწორედ ამის მერე ხდება რაღაც ძვრები საირხის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაზეც სამაროვნის ადგილას წარმოქმნილი ელინისტური ხანის ფენაც მეტყველებს. მიგვაჩნია, რომ სწორედ ელინისტური ხანის ნამოსახლარი ფენის გაჩენის პარალელურად უნდა მომხდარიყო ყვირილის ხეობის ზემო წელის იბერიის ძალაუფლების ორბიტაში მოხვედრაც. ეს ვითარებაც აირეკლავს „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემულ ფაქტს, რომ ფარნავაზი ქართლში მომძლავრების და კოლხეთში პოლიტიკური მიზნების განხორციელების

---

31 ჯ. ნადირაძე, საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 14.

32 მ. ინაძე მიიჩნევს, რომ საირხის მმართველ ზედფენას ხელი ეპყრა როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლება. მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, მაცნე, ისტორიის სერია, № 4, 1987, გვ. 46—66.

33 ჯ. ნადირაძე, საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 51.

34 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 25. ამ საკითხზე დაწერილებით იხ. მ. ინაძე, ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის, მნათობი, № 8, 1989.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ თავისი დასაყრდენი კოლხი მმართველების პოლიტიკურ სტატუსს აქცევითებს. ამდენად, საბადურის გორის სტრატეგრაფია იძლევა საშუალებას გამოვთქვათ მოსაზრება, რომ საირხეში სკეპტუხიის ცენტრი მოიშალა, ხოლო ამ პროცესს მოჰყვა აქ გაბატონებული გვარის ფუნქციის დაკარგვა. ასე რომ, შესაძლებელი ხდება ვივარაუდოთ, რომ ადრეანტიკური ხანის საირხის სკეპტუხი და ფარნავაზის დროინდელი ერისთავი სხვადასხვა მმართველ ზედაფენას ეანეკუთვნებოდა. ჩვენ მიერ გამოთქმული აზრი, რომ ადრეელინისტურ ხანაში კულტურის ტრანსფორმაციის მიუხედავად ყვირილის ხეობის ზემო წელზე წამყვანი როლი ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შეესრულებინა, ეხება ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნას და ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედს. რადგან როგორც საბადურის გორის სტრატეგრაფია გვიჩვენებს (სამარხების გაქრობა, სამოსახლოს წარმოქმნა) ძვ. წ. III ს-ის II მეოთხედიდან ყვირილის ხეობის ზემო წელზე პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე. იბერიის პოლიტიკის შედეგად საირხის ქვეყანაში შესაძლოა გაჩენილიყო სპასალარ-ციხისთავის ინსტიტუტი. გ. ცქიტიშვილის აზრით, ქართლის სამეფოს თითოეულ საგამგეო ერთეულს სპასალარ-ციხისთავები იცავდნენ, რომელნიც ამავე დროს მეფის ხელისუფლების გამავრცელებელნიც იყვნენ[35].

სავარაუდოა, რომ საირხის ქვეყნის ციხეებს მოდინახესა და სვერს შორაპნისა და დიმნას ციხეების ანალოგიური დანიშნულება ჰქონდათ. ის ციხისთავნი, რომლებიც აქ იბერიის მეფის პოლიტიკას ახორციელებდნენ დაქვემდებარებულნი უნდა ყოფილიყვნენ არგვეთის ერისთავზე. ამრიგად, არგვეთის პოლიტიკური ჰეგემონი ქართლის მეფე ვახტანგ (ძვ. წ. III ს-ის II მეოთხედიდან). ქართული სისტემრული ტრადიციის თანახმად, ქართლის სამეფოში მეფის შემდეგ მეორე პირს — „შემდგომი მეფისას“ სპასპეტი წარმოადგენდა, რომელიც „მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“. ამრიგად, სპასპეტი ქართლის სამეფოს ყველა საერისთავოს მმართველი და იბერიის სამეფო ხელისუფლების გამტარებელი ჩანს. და თუ ჩვენ ადრეანტიკური ხანის ყვირილის ხეობაში პოლიტიკური დამოკიდებულების იერარქია ჯერჯერობით არ ვიცით (სკეპტუხის გარდა ამ დროის მმართველი ჯერჯერობით უცნობია), ქართლის სამეფოს პოლიტიკის შედეგად თითქმის მიახლოებით მაინც ცნობილია, ის ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც ყვირილის ხეობის (არგვეთის) ყოველდღიურ ცხოვრებას განაგებდა[36].

როგორც აღინიშნა, იერარქიაში შედარებით დაბალ საფეხურზე სპასალარ-ციხისთავი უნდა მდგარიყო, რომელსაც, ალბათ, ერისთავის ძალაუფლების განჩორციელება და სტრატეგიულ-სატრანზიტო გზების დაცვა ევალებოდა. მას მოჰყვებოდა უშუალოდ არგვეთის ერისთავი, რომელიც თავის მხრივ, დამოკიდებული იქნებოდა მეფის შემდეგ მეორე პირზე და ბოლოს ამ იერარქიის სათავეში იდგა ქართლის მეფე. როგორც შევეცადეთ გვიჩვენებინა, აღმოსავლურ ქართული კულტურის ელემენტები და მასთან ერთად შესაძლოა აღმოსავლურ-

---

35 გ. ცქიტიშვილი. ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 4, ნაკ. 1, 1958, გვ. 99.

36 მ. ინანძის განმარტებით, ფარნავაზის დროინდელ აღმოსავლეთ კოლხეთში რამოღენიმე სკეპტუხია — საერისთავოა სავარაუდებელი. დაწერილებით იხ. მ. ინანძე, ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის, გვ. 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ეთნიკური ჯგუფები ყვირილის ხეობაში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჩნდება, თუმცა იმის გამო, რომ საჩხერის ტერიტორიაზე გამოვლენილა მტკვარ-არაქსის ყორღანები[37], შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ პროცესს უფრო შორეულ წარსულში უდევს სათავე. ადრეელინისტურ ხანაში, განსაკუთრებით იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ ქართლი იწყრაფვის კოლხეთისაკენ და თანდათანობით აღწევს არგვეთზე თავისი გავლენის გავრცელებას, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულადაც. მიგვაჩნია, რომ ადრეელინისტურ ხანაში ქართიზაციის პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობდა. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, ეს არ იყო, ვისიმე გაზრახული პოლიტიკის ნაყოფი. იქ სადაც მოსახლეობა თხელი იყო, და გარედან მოსული ესახლებოდა, იქმნებოდა სიმბიოზი, რომელიც იმ ელემენტის გამარჯვებით სრულდებოდა, ვისაც მეტი ძალა აღმოაჩნდებოდა[38].

ძვ. წ. II ს-დან იბერიაში კრიზისის ხანა დგება. არტაშეს I-ისა და სუმბატ ბივრიტანის ლაშქრობების დროს იბერია კარგავს მნიშვნელოვან ტერიტორიას, მომდევნო ხანაში არანაკლებ ძმიმე სიტუაციაშია დასავლეთ საქართველო, რომელიც პონტოს ექსპანსიას განიცდის. მითრიდატე IV ევპატორის ლაშქრობის დროს მყარად გაიმიჯნა იბერია-კოლხეთის სახელმწიფოებრივი საზღვარი, რომელიც სტრაბონის მიხედვით, შორაპნის აღმოსავლეთით გადიოდა. რა ვითარებაა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის შესაყარზე ყვირილის ხეობის ზემო წელზე?

არქეოლოგიური მასალები საირხის საბადურის გორის ელინისტური ნამოსახლარი ფენის ზედა ჰორიზონტიდან, რომელიც ძვ. წ. II და ახ. წ. I საუკუნით თარიღდება[39] კიდევ ერთხელ ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ აზრს, რომ თავისი ისტორიის უაღრესად ძნელ მონაკვეთში შორაპნის დაკარგვის მიუხედავად, იბერიამ შეძლო ზემო არგვეთის შენარჩუნება[40]. ჩვენი მხრიდან იმასაც დავამატებთ, რომ საირხის თანადროული მასალების მიხედვით ქართიზაციის პროცესი ადრეელინისტურ ხანასთან შედარებით უფრო მძლავრად სწორედ გვიანელინისტურ-გვიანანტიკურ ხანის მიჯნაზე მიმდინარეობს. შეეცდებით, მოკლედ განვიხილოთ ამ პერიოდის ნივთიერი მასალა ჩვენთვის საინტერესო მხრიდან[41].

საირხის საბადურის გორის პირველნასახლარი ფენის ზედა ჰორიზონტში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი დოქები, რომელთაა შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან სამტუჩა დაბალყელიანი ეგზემპლიარები. უმრავლესობა მოყვითალო, ვარდისფერი ან წითელი კეცით ხასიათდება. აქვთ მომრგვალებული მუცელი და ფართო ბრტყელი ძირი, ოდნავ ზეაწეული ყური მიმაგრებულია პირის კიდეზე და მხრის ზედა ნაწილზე. ჭურჭლის ხაოიანი ზედა-

---

[37] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция по Осетии и Имеретии, Тб., 1934.

[38] ნ. ნერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, გვ. 488.

[39] გ. მახარაძე, საირხის ელინისტური ხანის კერამიკა, გვ. 14.

[40] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 304.

[41] საბადურის გორის ზედა ფენის მასალა წარმოდგენილია ჯ. ნადირაძე, საირხე — საქართველოს..... ასევე გ. მახარაძე, საირხის ელინისტური.... იქვე და შემდეგაც ვსარგებლობთ ამ ნაშრომების ტაბულებით და პარალელებთაც. ამიტომ მოტანილ მასალას მითითებას აღარ გავუკეთებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი უმეტესწილად მოხატულია წითლად. მოხატულობა განლაგებულია ფრიზებად. გვხვდება მძიგისებრი ან ტალღისებრი ორნამენტი, სარტყლები. ზიგზაგები, წერტილები, ლაქები. საკუთრივ საირხეში სამტუჩა დოქები აღმოჩენილია ვეშაპიძის გორაზე[42] და კარახტინში[43]. ყველაზე ახლო ანალოგიებს საირხული დოქები უფლისციხის ნაწარმთან პოულობს[44]. საერთო აქვთ მათ არა მარტო ფორმები, არამედ მოხატვის მოტივებიც. მართალია, დღემდე გარკვეული არ არის მოხატული სამტუჩა დოქების წარმომავლობის საკითხი, მაგრამ ჩვენ სავსებით ვეზიარებთ ი. გაგოშიძის აზრს, რომ მსგავსი კერამიკა კოლხეთში იბერიიდან გავრცელდა[45].

გვიანელინისტური ხანის საირხეში იბერიის გავლენით ვრცელდება ყელწიბოიანი დოქები. ყელწიბოიანი ჭურჭელი ძირთადად აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზეა გამოვლენილი (მცხეთა, თრელი, ნასტაკისი, აღიანი, უფლისციხე) ეს გარემოება კიდევ ერთხელ დასტურებს, რომ ყელწიბოიანი ჭურჭელი იბერიის გზით გავრცელდა ყვირილის ხეობაში.

აღმოსავლეთ საქართველოს გავლენით არის დამზადებული დაბრტყელებულპირიანი ჯამებიც. ასეთი ჯამები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული უფლისციხეში, ურბნისში[46], ნასტაკისში, ციხიგორაზე[47]. სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი ჯამების გავრცელების ორი გზაა დასახული. ერთი გზაა მცირეაზიური ცენტრები, საიდანაც ჯამების ეს სახეობა გავრცელდა აღმოსავლეთით და დასავლეთით, მაგრამ იმის გამო, რომ ვანში ასეთი ჯამები არ გვხვდება, ვანის კონტაქტები კი მცირეაზიურ სამყაროსთან საყოველთაოდაა ცნობილი, უფრო სარწმუნო მეორე ვარაუდი ჩანს, რომლის მიხედვითაც, ჯამების ეს ტიპი წინა აზიიდან ირანში ვრცელდება, მოგვიანებით კი — არმენიაში[48]. ასე რომ, შესაძლებელია დაბრტყელებულპირიანი ჯამები მცირეაზიური ელინიზებული ცენტრებიდან მოეტანოთ ქართველ ტომებს. იბერიაში, სადაც როგორც აღინიშნა, მსგავსი ჯამები საკმაოდ ბევრია და ფორმების დახვეწილობით, გამოწვისა და ზედაპირის დამუშავების ხარისხით უფრო სრულყოფილნი არიან, ვიდრე საირხული ნიმუშები. ეს კი გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ყვირილის ხეობაში დაბრტყელებულპირიანი ჯამები სწორედ იბერიიდან შევიდა ხმარებაში.

საირხის ზედასასხლარი ფენის ზედა შრის მასალაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა დოქმა. იგი მოჩალისფროდაა გამომწვარი, წითლად ანგობირებულია, კეცი მოვარდისფრო-მოჩალისფროა, დოქს აქვს ვიწრო პირი, ქობიანი, ყელწიბოიანი, ყელი დაბალია, მხრებდაშვებულია, თანაბრადმომრგვალებული მუცელზე, მომგრგბულია ორი ოვალურგანივკვეთიანი ყური, ძირი ბრტყელია[49]. ორყურა დოქები ძირითადად იალოილუ-თეფეს კულტურისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა ორყურა ჭურჭელი ჩვენში ადრეც არსებობდა. მსგავსი

---

42 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, ყვირილის ხეობის..., გვ. 121.

43 ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1987 წ-ის ანგარიში (ხელნაწერი). ინახება ხელოვნების მუზეუმში.

44 დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უფლისციხე II, თბ., 1964, გვ. 80—82.

45 ი. გ ა გ ა ო შ ი ძ ე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 69.

46 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.

47 კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.

48 დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უფლისციხე, II, გვ. 71.

49 საინვენტარო № ს—83—687.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოქები აღმოჩენილია აღიანში[50]. ჯერჯერობით საირხე ასეთი დოქების გავრცელების უკიდურესი დასავლეთი პუნქტია. და ის ფაქტი, რომ მსგავსი ტიპის ჭურჭელი ძალიან ბევრია აღმოჩენილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მიუთითებს კონტაქტებისა და ურთიერთობების განვითარებაზე. ამდენად, სამართლიანია აზრი იმის შესახებ, რომ ანტიკურ-ელინისტური ხანის კავკასიაში ძირეული ძვრები ხდება მატერიალური კულტურისა და სოციალური ეკონომიკის სფეროში[51]. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ასეთი ჭურჭლის გამოჩენა ყვირილის ხეობაში უეჭველად იბერიის გავლენას უნდა უკავშირდებოდეს.

აღმოსავლეთ საქართველოს ნაწარმს ემსგავსება ქვევრებიც. ცენტრალურ კოლხეთში ამ დროს ხმარობენია ადრეანტიკური ხანის იდენტური ნიმუშები. საირხეულ ცალებზე კი ქრება ნაკაწრი ორნამენტი და მუქად გამომწვარი ქვევრების ნაცვლად წარმოდგენილია სადა და მოვარდისფროდ გამომწვარი ერთეულები (ისევე როგორც უფლისციხეში, სამადლოში და ციხიაგორაში).

გვიანელინისტურ ხანაში იბერიის გავლენა აისახა დაკრძალვის წესის ტრანსფორმაციაშიც. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ადრეელინისტურ ხანაში კულტურის ტრანსფორმაციის მიუხედავად დაკრძალვის წესი ზემოიმერეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე უცვლელი რჩება. ახ. წ. I ს-ის დასაწყისიდან კი ორმოსამარხების პარალელურად გავრცელებას იწყებს ქვევრსამარხებიც.

ქვევრსამარხები საირხეში მარტო ვეშაპიძის ვორაზეა დადასტურებული[52]. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქვევრსამარხები კოლხეთში აღმოსავლეთ საქართველოდან უნდა გავრცელებულიყო და ეს პროცესი უკავშირდება მცირე აზიიდან ელინიზებული ქართული ტომების (მესხების) ექსპანსიას[53]. მაგრამ არსებობს სრულიად განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ვინაიდან ქვევრსამარხები კავკასიის მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ მართებული არ იქნება, მათი გავრცელება მესხურ ტომებს დავუკავშიროთ. უფრო სარწმუნოა, რომ კავკასიის ხალხების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მოხდა ძირეული ცვლილებები, კერძოდ, მაღალ დონეზე ავიდა მევენახეობა-მეღვინეობა და ამ მოკლენამ გამოიწვია ქვევრსამარხების გაჩენა[54]. საჭიროდ ვიცან მიგვაჩნია, დაწვრილებით შევჩერდეთ ქვევრსამარხების წარმოშობასა და გავრცელების გენეზისზე. მით უმეტეს ეს საკითხი სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს და ამ პრობლემას არაერთი მკვლევარი შეხებია[55], ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ქვევრსამარხები საირხეში გვიანელინისტური ხანის მიწურულს ჩნდება. ჯერჯერობით უფრო ადრეული ეგზემპლარები გამოუვლენელია. ამ ფაქტის გათვალისწინებით ყვირილის ხეობაში, მის ზემო წელზე ქვევრსამარხების გაჩენას ელინიზმის პროცესს ვერ დავუკავშირებთ. ასე რომ, ძვ. წ. II—I სს-ებში მატერიალური უკულტურის

---

50 ნ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1983, გვ. 40.

51 Г. А. Лордкипанидзе, Колхида в IV—II вв. до н. э., Тб., 1979, გვ. 33.

52 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 41.

53 О. Д. Лордкипанидзе, Вани в IV—II вв. до н. э. გვ. 480.

54 Г. А. Лордкипанидзе, Колхида в IV—II вв. до н. э. გვ. 23.

55 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (ქვევრსამარხები), თბ., 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინოვაციის პარალელურად სულიერი ცხოვრების ეს ახალი მოვლენაც, ჩვენი აზრით, ქართიზაციის შედეგი უნდა იყოს.

როგორც შევიცადეთ გვიჩვენებინა, ძვ. წ. IV—I სს-ების ყვირილის ხეობაში მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები ხდება, რაც ჩვენი აზრით, დიდ მოვლენასთან — ქართიზაციის პროცესთან არის დაკავშირებული. აღმოსავლურ და დასავლურ-ქართული ერთობების ურთიერთობების საინტერესო სურათმა, რომელიც წარმოჩნდა ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლებსა და განსაკუთრებით, საირხის, სამადურის გორის მასალების მიხედვით, საშუალება მოვვცა ვარაუდის სახით გამოგვეთქვა ზოგიერთი მოსაზრება. კერძოდ, როდესაც ქართლში ყველა პირობა იქმნება ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელად, კოლხეთი აშკარად თმობს პოზიციებს და იბერიას ექვემდებარება. როგორც ჩანს, კოლხეთს აკლდა ანლდაშექმნილი იბერიის სამეფოსათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება მკაცრი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ეტყობა, კოლხეთის ცალკეული სკეპტუხიები არ იყვნენ ისეთი ცენტრალიზებული ხელისუფლების მიერ გაერთიანებული, როგორც ელინისტური ხანის იბერიის საერისთავები. სოციალური კონსოლიდაციისა და პოლიტიკური მმართველობის მხრივ იბერია უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ამან გამოიღო კიდეც თავისი შედეგი. იბერია დასავლეთით გაფართოვდა სწორედ კოლხეთის სამეფოს ხარჯზე. აქვე არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ იბერიამ უკეთ გადალახა ტომობრივი ურთიერთობის ბარიერი და სახელმწიფო ცხოვრების ასპარეზზეც უფრო უკეთ გამოვიდა, მაშინ როდესაც კოლხეთმა საბოლოოდ ვერ სძლია ტომობრივ განსხვავებებს და ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულად ვერ ჩამოყალიბდა. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, კოლხეთი იყო სახელმწიფო ტომთა დიდი გაერთიანებებით[56]. ამდენად, იბერიის მიერ კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების დამორჩილება და მისი ქართიზაცია სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო.

З. Д. БРАГВАДЗЕ

К ВОПРОСУ КАРТИЗАЦИИ ВОСТОЧНЫХ РЕГИОНОВ КОЛХИДЫ
(Квирильского ущелья)

Резюме

Согласно материалу, добытому на археологических памятниках квирильского ущелья (Саирхе, Модинахе — IV—I вв. до н. э.), в работе освещены проблемы, связанные с картизацией Аргветского эриставства.

Высказано предположение, что признание восточно-грузинской культуры проявляется с поздне-бронзового века и постепенно приобретает господствующее положение в эллинистическую эпоху, особенно во II—I вв. до н. э. Процессу картизации сопутствует распространение власти Иберии в восточных регионах Колхиды; одновременно и Саирхе прекращает функционирование как центр одной из окептухий Колхидского царства.

---

56 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, გვ. 364.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Z. D. BRAGVADZE

ON THE PROBLEMS OF KARTISATION IN EASTERN REGIONS OF COLCHES (KVIRILA RAVINE)

Summary

The work considers with the problems of Kartisation in Argveti principality.

The study of archaeological materials discovered in (Kvirila ravine Sairkhe, Modinakhe) dated to the IV—I centuries B. C. proves that the first indications in Kvirila ravine of the east Kartlian cultural influense can be traced in late bronse age. This process had been strongly intensified in Hellenistic times, especially in II—I centuries B. C.

By that time, Iberia had imposed it's domination in Eastern regions of Colchis.

AS aresult to this process Sairkhe forfeited it's dominating position as a chief town of Colchian Skeptukhia.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ლუნაშვილი

ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ისტორიიდან
(XIV ს-ის დასაწყისი)

XIII ს-ის დასასრული და XIV ს-ის დასაწყისი, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული პერიოდია. მონღოლთა მფლობელობაში მოქცეული საქართველო, მძაფრად განიცდის ყაენთა კარზე მიმდინარე განუწყვეტელი გადატრიალებებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების ვნებათა ღელვის დამღუპველ შედეგებს.

საყაენო ტახტზე პრეტენდენტთა შორის პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლებს შეეწირა სწორედ დიმიტრი II-ე, რომელსაც ხალხმა თავდადებული უწოდა.

დიმიტრი II-ის სიკვდილით დასჯის (1289 წ.) შემდგომ, ვახტანგ II-ის მეფობის წლებში (1289—1292) დიმიტრის ცოლშვილმა სხვადასხვა ადგილას მონახა თავშესაფარი: უფროსი შვილი, დავითი (შემდგომში დავით VIII-ე), დიმიტრიმ თან წაიყვანა ილხანთა კარზე და აქ იგი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ვახტანგი (შემდგომში ვახტანგ III-ე) მთიულეთს — დიმიტრიმ ილხანთა კარზე წასვლამდის გახიზნა. გიორგი (შემდგომში გიორგი V-ე), დედითურთ სამცხეს იყო თავის პაპასთან, ბექასთან[1],... ვახტანგის მთიულეთში ყოფნასთან დაკავშირებით მკვლევარი ე. ხოშტარია (ბროსე), რომელმაც განიხილა ჟამთაღმწერლისა და ძეგლი ერისთავთას მონაცემები, ვარაუდობს, რომ ვახტანგი იზრდებოდა ცხრაზმაში, ერისთავ შალვა ქვენიფნეველის კარზე[2].

ვახტანგ II-ის სიკვდილის შემდეგ აღმოსაელეთ საქართველოს მეფე ხდება (1293 წ.) დავით დიმიტრის ძე.

ირანის ილხანთა ტახტისათვის ბრძოლაში გარკვეულწილად ჩაბმული აღმოჩნდა დავით VIII-ე. მალე (1295 წ.) საყაენო ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის ყაზანი (1295—1304 წწ.). ყაზანი უნდობლობას უცხადებს დავით VIII-ეს და თავისთან იბარებს[3]. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო 1297 წ. ნოემბრის დამდეგს[4]. დავითმა თავიდან დააპირა წასვლა, მაგრამ შემდეგ შეშინდა, მთიულეთში გაიხინა და გზები შეკრა, რის შემდეგაც გადაწყვიტა ყაზან ყაენის საწინააღმდეგოდ ოქროს ურდოს დაკავშირება. ამ მიზნით, მთიულეთიდან აეზაანის დავით VIII-ე ელჩებს, ოქროს ურდოში. ელჩობას ხელმძღვანელობს დავითის ძმა ვახტანგი[5]. ელჩობის შემადგენ-

---

1 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 292 (შემდგომში — ქ.-ცხ. II).

2 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა (ბროსე), ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, 1984, გვ. 80—82.

3 ქ.-ცხ. II, გვ. 301.

4 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 11, 1982, გვ. 131.

5 ქ.-ცხ. II, გვ. 302.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში სავარაუდოა მონაწილეობდეს შალვა ქვენიფნეველი. ყოველ შემთხვევაში, ძეგლი ერისთავთა ამ ახრისაკენ გვიბიძგებს[6]. ეს ელჩობა, ჩვენი ვარაუდით, უნდა მომხდარიყო იმავე 1297 წელს. ამ პერიოდისთვის თვით ოქროს ურდოშიც არ ყოფილა სიწყნარე. უფრო მეტიც — შიდა აშლილობა ისეთ საფეხურზე ასულა, რომ „ნოიის ოჯახი ილხანებთან გაიქცა და ყაზან ყაენს დახმარება სთხოვა“[7]. ამდენად, დავით VIII-ის გაგზავნილი ელჩობა უშედეგო აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ ზამთრის უგზოობას და მანძილის სიშორეს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელჩობა საქართველოში 1298 წლის გაზაფხულზე აღრე ვერ დაბრუნდებოდა.

დავითის განდგომის ამბავი რომ გაიგო ყაზან ყაენმა (1297 წ. მიწურული), საქართველოში გამოგზავნა ხუტლუბუღა დიდი ჯარით. ხუტლუბუღა ობილისში დაბანაკებულა[8]. აქედან გაუმართავს მოლაპარაკება მთიულეთში მდგომ დავით VIII-სთან, მალე მომხდარა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, გაზაფხულზე დავითი წავიდოდა ყაზან ყაენთან, ისე რომ დავითს ყაზან ყაენისაგან უუნებლობის ბეჭედი ექნებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ III-ის გამეფების თარიღის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა[9]. ნუმიზმატ ც. ღვაბერიძის აზრით, რომელიც ემყარება ვახტანგ III-ის თარიღიან მონეტას. აღმოსავლეთ საქართველოს ქეფობას ყაზან ყაენი აძლევს ვახტანგ დიმიტრის ძეს 1297/1298 წლებში[10]. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი: 1298 წ. ოქროს ურდოდან მობრუნებული ვახტანგი, რომელმაც დაინახა რომ ოქროს ურდოს მათთვის არ ეცალა, აძლევს რჩევას დავითს ყაზან ყაენთან გამგზავრებაზე. დავითი იღებს ამ რჩევას და ხუტლუბუღას სთანხმდება ყაზან ყაენთან წასვლის შესახებ. მაგრამ დავითი მალე ვახტანგის ერთგულებაში დაეჭვებულა და დაუპატიმრებია ენინვალის ციხეში[11]. სავარაუდოა, რომ დავითს ამ პერიოდში გაეგზავნა ახალი ელჩობა ოქროს ურდოში მეორე ძმის ბაიდუს მეთაურობით.

ენინვალის ციხიდან ვახტანგი მალე გამოპარულა და ძმასთან მოციქულად ივანე ბურსელი გაუგზავნია. ძმებს შორის შეთანხმება მომხდარა, რის შემდეგაც ვახტანგს არაგვის ერისთავის, შაბერის ძმის ასული შეურთავს ცოლად. მალე დავითსა და ვახტანს შორის კვლავ მომხდარა განხეთქილება და ვახტანგი წასულა ყაზან ყაენთან[12]. ეს უნდა მომხდარიყო 1298 წ. ზაფხულში, მასთან ერთად წასულა შალვა ქვენიფნეველიც. „მაშინ დავით მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა შალვას, ხოლო მან არა ისმინა, არამედ განამაგრნა ციხენი და შეჰვედრა ერთგულთა მონათა და თჳთ წარჰყვა ძესა მას მეფისასა (ვახტანგს — **ვ. ღ.**) ურდოს“[13].

---

6 ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, 1954. გვ. 347; კრებულში მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30 (შემდგომში ძეგლი ერისთავთა).

7 ნ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის შრომებში, ჟურნ. „მნათობი“, 1987, № 6, გვ. 148.

8 ქ.-ცხ. II, გვ. 302.

9 ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 92, შენიშვნა 27.

10 ც. ღ ვ ა ბ ე რ ი ძ ე, საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, 1986, გვ. 14.

11 ქ.-ცხ., II, გვ. 307-308.

12 ქ.-ცხ., გვ. 308.

13 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩანს, ყაზან ყაენმა იმავე 1298 წელს მისცა მეფობა ვახტანგს და გამოგზავნა საქართველოში, ხუტლუბუღა ნოინითა და დიდი ჯარით. მონღოლები კვლავ თბილისში დადგნენ. დავითმა გამოგზავნა მოციქულად ივანე ბურსელი. მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც დავითმა ხუტლუბუღასთან გააგზავნა დედოფალი ოლჯათი, ამბრაჰამ კათოლიკოსი ტფილელი ყადი და ივანე ბურსელი. ხუტლუბუღამ მოსულები კარგად მიიღო. დედოფალი ბანაკში დატოვა ხოლო კათოლიკოსი, ყადი და ბურსელი გააგზავნა უკან, მეფის მოსაყვანად. მეფემ კვლავ შეშალა პირობა. დედოფლის დაუბრუნებლობა მიზეზად მოიდო — მოითხოვდა დედოფლის დაბრუნებას და იგივენი გააგზავნა ხუტლუბუღასთან ახალი ფიცით.

განრისხებულმა ხუტლუბუღამ ივანე ბურსელი მოაკლევინა და დედოფალი გააგზავნა ყაზან ყაენის კარზე. დამსჯელი ჯარი კი დასძრა დავითის წინააღმდეგ. „და მომართეს შესვლად მთიულეთს: მოაოკრეს სომხითი, ქართლი, თრიალეთი, ერწო და დადგეს მუხნარს, ხერკს, ბაზალეთს, ერწოს და თიანეთს, და ვერა ეტეოდნენ სადგომად, და არბევდნენ ქართლსა და ზემოჯსენებულ ჭუეყანათა“[14].

დავით VIII-ე გუელეთის ციხეში იყო ვამაგრებული. მონღოლებმა ციხეს ვერაფერი დააკლეს, ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა და წაიღეს ყაზან ყაენთან[15].

ვახტანგ III-ემ „დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე“[16]. როგორც ჩანს, ვახტანგს შედარებით მცირე ტერიტორია ჰქონია სახელისუფლოდ.

1299 წლისთვის ვახტანგ III-ის ძალაუფლება აღმოსავლეთ საქართველოში მინიმუმამდე ყოფილა შემცირებული. დიდებულნი კვლავ დავით VIII-ეს უჭერენ მხარს. ალბათ, ამიტომაც ყაზან ყაენი კვლავ დიდ მნიშვნელობას აძლევს დავით VIII-სთან შეთანხმებას. მაგრამ დავითი ვერც მოლაპარაკებით და ვერც ძალით ვერ დაიმორჩილა.

1299 წლის ნოემბერსა და 1300 წელს ვახტანგ III-ე ყაზან ყაენთან ერთად იბრძვის ეგვიპტეში[17]. ძეგლი ერისთავთას მიხედვით ,ავტანგ III-სთან არის შალვა ქვენიფნეველიც, რომლის სახელისუფლო ტერიტორიასაც არბევს დავით VIII-ე. „მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თკსი და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე ჯვეს შალვაას საერისთავოსა და ჩამოხსნა დვალნი და ჯადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქუემონი და დაწუეს და მოაოკრეს ყოველი ცხრაზმის ჯვეი გარეშე ციხეთა, და ციხეთა ჰბრძოდეს ქუენიფნეველ, ქარჩოხს, ქოლოთს და ისროლს, არამედ ვერ აიხუნეს და ჴუდ წელ განგრძელდა ჰომი მათი“...[18].

1299 წელს (სავარაუდოა, რომ ეს იქნებოდა მეორე ნახევარში), ყაზან ყაენმა ახლა დავითის მომდევნო ძმა, გიორგი გაამეფა. მაგრამ გიორგი ამ დროს

---

14 ქ.-ცხ. II, გვ. 303.

15. ქ.-ცხ. II, გვ. 309.

16 ქ.-ცხ. II, გვ. 310.

17 ქ.-ცხ. II, გვ. 315—316; კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ, კრებულში ქართული წყაროთმცოდნობა, 11, 1968, გვ. 85—86; მ ი ს ი ვ ე, XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, 1988, გვ. 29.

18 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირეწლოვანი იყო და მას რეალური ძალა არ ჰქონდა „ხოლო იყო ყრმა მცირე გიორგი მეფედ ტფილისისა“[19].

მიუხედავად ამისა, რომ ამ პერიოდში საქართველოში უკვე სამი მეფე ზის, რეალური მმართველობის სადავეები მაინც დავითს ჰქონია ხელთ.

მონღოლები ანგარიშს უწევენ შექმნილ ვითარებას და 1300 წელს (ეგვიპტეში ლაშქრობის შემდეგ) კვლავ აგზავნიან ხუტლუბუღას საქართველოში დიდი ლაშქრით[20].

ყამთაღმწერლის მიხედვით, დავით VIII-ეს წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქარში მონაწილეობდნენ: შანშე მხარგრძელი, „ისნი რომელი სხდეს გორს“, მესხნი — სამცხიდან, თორელნი. თმოგუელნი, ტაოელნი[21], „მუხიანს მდგომი თათარი ბანთა ნაღუთ“[22], „ოვსთა მთავარი ბაყათარ“[23] და ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფფეველი“[24].

ძეგლი ერისთავთას მიხედვით, „მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქრით ურიცხთა სპითა“[25].

ცხადია, მონღოლთა მხარეზე იბრძოდა ყველა. ვინც მხარს უჭერდა ვახტანგ III-ეს და გიორგი V-ეს.

რა ტერიტორიას და სამხედრო ძალას ფლობდა ამ დროს დავით VIII-ე?

„დადგეს ერთგულებასა მეფისასა სურამელი ჰამადა და ამირეჯიბი აბაზას ძე ჭილა და ახნაურნი ქართველნი და სომხითარნი“[26], „კეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი, ჯადელნი და ზოგი ჯევით მოსრულნი რჩეულნი“[27].

ვახუშტი ეთანხმება ყამთაღმწერელს[28].

ამდენად, საქართველო გაყოფილია ორ ბანაკად: ერთი მხრივ, არიან დავით VIII-ის მომხრენი და, მეორე მხრივ, მონღოლები და ვახტანგ-გიორგის მომხრენი. ძალთა თანაფართობა, აშკარად ამ უკანასკნელთა მხარეზეა.

დავით მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ ლაშქარს, ყამთაღმწერლის მიხედვით უწინამძღვრა შალვა ქვენიფფეველმა: თავის სახელისუფლო ტერიტორიაზე გაატარა და ლომისის მთაზე გადასვლით ხადას ხეობაში გადაიყვანა. აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ამ პერიოდისათვის ქსნის ხეობის ზედაწელს (ცხრაზმის საერისთავოს) ფლობს ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფფეველი. სასაზღვრო ზოლი გადის დღევანდელ სოფელ კორინთასთან[29], იქ, სადაც ვახუშტის თანახმად, ქსნის ხეობის მთისა და ბარის სასაზღვრო ზოლია[30]. ქსნის ხეობის ქვედა წელის ინტენსიურ დაკავებას ცხრაზმის ერისთა-

19 ქ-ცხ., II, გვ. 304.

20 ქ-ცხ., II, გვ. 316.

21 ქ-ცხ., II, გვ. 306.

22 ქ-ცხ., II, გვ. 305.

23 იქვე.

24 იქვე.

25 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

26 ქ-ცხ., II, გვ. 305.

27 ქ-ცხ., II, გვ. 306.

28 ვ ა ხ უ შ ტ ი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ., IV, თბ., 1973, გვ. 246 (შემდეგში ქ-ცხ., IV).

29 ვ. ღ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ხევისთავის ინსიგნია ცხრაზმის ხეობიდან, „ძეგლის მეგობარი“ 1988, № 3, გვ. 44—45.

30 ქ-ცხ., IV, გვ. 359.

31 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები XIV ს-ის პირველ წლებში იწყებენ[31], მანამდის კი ქსნის ხეობის ბარის ზოლის „სანახები აბაზას ძეებს ეკუთვნოდათ“[32]. მეფის მომხრე ჭილა აბაზას ძე, 1297/1298 წლის ერთი სიგელის თანახმად, დავით VIII-ის მეაბჯრეთუხუცესი ყოფილა, ხოლო ნავროზ აბაზას ძე, ამირეჯიბი და ამირახორი[33].

ხელმწიფის კარის გარიგების (XIV ს.) მიხედვით, „მეაბჯრეთუხუცესი და მეაბრჯენი,... ამილახორის ხელისანი არიან.... ამილახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა,... ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ჯელთ არის“[34].

ამირეჯიბი ითვლებოდა მანდატურთუხუცესის მოადგილედ, „ამირეჯიბს ყველგან გზა აქვს საურავისა, სად გინდა იყოს მეფე,... ყველგან მივა და ყველგან იურვის... ზემდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მართებს“[35].

ამდენად, XIII ს-ის მიწურულისთვის ჭილა და ნავროზ აბაზას ძეებს საკმაოდ მაღალი თანამდებობა ჰქონიათ დავით VIII-ის კარზე, ამავე დროს ძეგლი ერისთავთას მონაცემებით ვიცით, რომ ქსნის ხეობის ქვედა წელზედ არსებულ ლოწობნის ციხესა და მის მიდამოებს XIV ს-ის ათიან წლებამდის ფლობდა ნავროზ აბაზას ძე[36].

1300 წლისათვის, როცა მონღოლები დავით VIII-ის წინაღმდეგ დიდ ლაშქრობას აწყობენ, მემატიანე ქებით იხსენიებს ამირეჯიბ ჭილა აბაზას ძეს[37]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1300 წლის წინარე ახლო პერიოდში, ჭილა აბაზასძისთვის უწყალობებია დავით VIII-ეს მეორე სახელო — ამირეჯიბობა, რომელიც რაღაც მიზეზის გამო ჩამოურთმევია ნავროზ აბაზასძისათვის. წყაროებში, სამწუხაროდ, არ ჩანს მეფემ ნავროზ აბაზასძეს ჩამოართვა მეორე სახელოც — ამირახორობა თუ არა. ხელმწიფის კარის გარიგების თანახმად, ამირახორობის შენარჩუნებით, ნავროზ აბაზას ძეს, მეაბჯრეთუხუცესზე ხომ კვლავ ხელი მიუწვდებოდა.

ამდენად, 1300 წელს მონღოლთა ლაშქარი აჰყვა ქსნის ხეობას[38], გაიარეს აბაზას ძეთა სამფლობელო და შევიდნენ ცხრაზმის საერისთავოს ფარგლებში. აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ მონღოლებს უწინამძღვრა შალვა ქვენიფნველაძა და ლომისაზე გადასვლით ხადას ხეობაში დადაიყვანა. დავით VIII-ემ შეძლო მის ხელთ არსებული სამხედრო ძალის სწორი ორგანიზება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავითი საერთოდ კარგ მხედართმთავრად მოჩანს. მას კარგად სცოდნია მონღოლური ბრძოლის წესები, რომელთაც, უთუოდ, ილხანთა კარზე ყოფნისას დაეუფლებოდა. დავითს თავის დროზე მონაწილეობა მიუღია ქეღათუ ილხანის ლაშქრობებში 1291—1292 წწ.[39]

ციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 69; ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, წიგნში: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967, გვ. 47,...

32 ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 47.

33 ქართული ისტორიული საბუთების ეორპუსი, 1984, გვ. 184—185.

34 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 40.

35 იქვე, გვ. 35.

36 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

37 ქ.-ცხ., II, გვ. 305.

38 „ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადაში გადასულ მომხდურებს, დავით VIII-ემ ბრძოლის პარტიზანული ტაქტიკა დაუპირისპირა. თვითონ ციკარეში გამაგრდა თავისი მომხრენი კი ციხე-კოშკებსა და მიუვალ ადგილებში გაამაგრა. ძეგლი ერისთავთას მიხედვით, შალვა ქვენიფნველის წინამძღოლობით, მონღოლებმა „ერთსა დღესა აიღო ცხრაჲ ციხე და დაარღუა და მას ერთსა კკრიასა დაარღუა ციხე ოცდახუთი, თხუთმეტი იქით არაგკსა“[40]. მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში დავით მეფე, პირიქით მან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია[41]. ძირითადი ბრძოლები დავითის მომხრეებს ისეთ ტყიან ადგილებში უწარმოებიათ, სადაც „ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა სომრად[42] და ქუეითად იბრძოდენ თათარნი“[33]. წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ მონღოლები უკან ბრუნდებიან: „აიყარა ღამით გზასა ლომისის თავისასა, დაესხა ქართლს, დაღათუ ვინმე დარჩომილი იყო, მოსრა და ტყუე ყო და მოაოჴრეს ქართლი, და წარვიდეს ყაენს ყაზანს წინაშე“[14].

1301 წლის გაზაფხულზე, ხუტლუბუღა კვლავ დიდი ჯარით შემოვიდა, დადგა თბილისში და ფიქრობდა მთიულეთის დალაშქვრას. „ვითარ ცნეს დიდებულთა . . . შეკრბეს მეფესა დავითს წინაშე და მოაჴსენებდეს რათა წავიდეს ყაზანს წინაშე“[45]. „მეფემ დიდებულთა რჩევა მიიღო და ყაზან ყაენთან წასვლაზე თანხმობა განაცხადა. გაიმართა მოლაპარაკება. დავით VIII-ესა და ხუტლუბუღას შორის, მაგრამ ბოლოს მეფე შეშინდა და გუელეთში გამაგრდა. დიდებულებმა რომ ნახეს მეფის პირის შეშლა და თავიანთი ტერიტორიების მოოხრება მონღოლების მიერ, „უმრავლესნი წარვიდეს, კოიხვითა მეფისათა, დაცვისათჳს ქუეყანისა. ხოლო ხუტლუბუღა კეთილად შეიწყნარებდა ვინცა მოვიდოდა. კუალად მოაოჴრა ქუეყანა ქართლისა ზემოჴსენებული, თუნიერ მთიულეთისა, და წარვიდა ურდოს“[46].

ქართლის ზემოხსენებული ადგილნი კი შემდეგია: ქართლი, სომხითი, თრიალეთი, ერწო, მუხრანი, ხერკი, ბაზალეთი, თიანეთი[47]. ბუნებრივია, მონღოლები არ დაარბევდნენ იმათ მამულსა და სახელისუფლო ტერიტორიას ვიცა მათ მხარეზე გადავიდა. ტექსტიდან გამომდინარე, მონღოლების მხარეზე გადასულან „ჰერ-კახნი“, ქართლელები კვლავ დავით VIII-ის მხარეზე დარჩენილან. არც ყამთაალმწერელი და არც ძეგლი ერისთავთას ავტორი, შალვა ქვენიფნველის მოქმედების შესახებ ამ დროის მოვლენებთან კავშირში არაფერს აბბობს. სავარაუდოა, რომ შალვამ ერთგვარი ნეიტრალიტი დაიცვა. ვახტანგ

---

39 რ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, 1982, გვ. 190—192.

40 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

41 ქ-ცხ., II, გვ. 306.

42 „ნდირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია“. ვეფხისტყაოსანი, 77,3. შესაძლებელია ნავრონ ბაბას ძეც განუდგა მეფეს — მონღოლები გამოატარა უბრძოლველად თავის ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორია წინასწარ იყო თავდაცვისთვის გამზადებული, „ქსანი ჩახერგეს“, სავარაუდოა ასევე რომ ნაგრზს არ შეესრულებინოს მეორე მოვალეობაც: „ამილახორო, მოასხო რემა, ჯოგი და ცხენი!“ (ვეფხისტყაოსანი, 54,2 და უცხენოდ დარჩენილმა მეფის ძიძითადმა ლაშქარმა ტყიანი ადგილები აირჩია საბრძოლო პოზიციად.

43 ქ-ცხ., II, გვ. 306.

44 ქ-ცხ., II, გვ. 306.

45 ქ-ცხ., II, გვ. 306.

46 ქ-ცხ., II, გვ. 307.

47 ქ-ცხ., II, გვ. 303.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III-ე ამ დროს საქართველოში არ ყოფილა — „1301—1303 წლებში სულთნის (ეგვიპტის — ვ. ღ.) არმიამ სამჯერ ზედიზედ დაამარცხა ყაზან ყაენისა და ვახტანგ III-ის შეერთებული ლაშქარი“[48].

ამდენად, ხუტლუბუღამ 1301 წელს მოარბია ქართლი, ვერ გაბედა მთიულეთში შესვლა და უკან გაბრუნდა. ჩვენი ვარაუდით, დარბევას გადაურჩა შალვა ქვენიფნეველისა და „ჰერ-კახნის“ სამფლობელოები.

მონღოლთა ყოველწლიურ რბევა-აოხრებას შესაბამისი შედეგებიც მოჰყვა, ყამთაალმწერლის მიხედვით, „ესოდენ განძკნდა შიმშილი, რომელ მძორსა არა წმინდასა ურიდად ჭამდეს“[49]. შიმშილობა განსაკუთრებით მძაფრი იქნებოდა იმ ტერიტორიაზე, სადაც მონღოლები რბევა აოხრებებს აწყობდნენ. ამდენად, სავარაუდოა შემდეგი: ცხრაზმის საერისთავო, მთლიანად და კონკრეტულად შალვა ქვენიფნეველის მამულები, რომლებიც გადაურჩნენ 1301 წელს მონღოლთა მოთარეშებას, ეკონომიკურად შედარებით ძლიერი უნდა ყოფილიყო.

ყამთაალმწერლის თანახმად, 1301 წლის შემოდგომაზე, დავით VIII-ე ორგულობისათვის აოხრებს შალვა ქვენიფნეველის მამულს: — „ხოლო ვითარ მოიწია სთუელი, ჩამოდგა ცხრაზმის ჯვეს მეფე დავით და აოჯრებდა მამულსა შალვა ქვენიფნეველისასა ორგულობისათვს“[50].

ჩვენი აზრით, ცხრაზმის შედარებით ეკონომიკური სიძლიერე იყო ერთ-ერთი მიზეზი, იმისა რომ 1301 წლის შემოდგომაზე (როცა გლეხს წლის მოსავალი ფაქტობრივად უკვე დაბინავებული აქვს, და ცხადია, შალვა ქვენიფნეველს მათგან კუთვნილი გადასახადი უკვე აკრეფილი აქვს), დავით VIII-ე აწყობს შალვა ქვენიფნეველის მამულების დარბევას[51]. მარტო ორგულობისათვის შალვა ქვენიფნეველის დასჯა, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა იმავე 1300 ან 1301 წლის დასაწყისში სანამ „ჰერ-კახნი“ განუდგებოდნენ დავითს.

„მაშინ ულონო იქმნა ქუენიფნეველი და ეევდრა სურამელსა და მსახურთ-უხუცესსა და ქართლის ერისთავს ჰამადას , რათა იუოვოს მეფეს წინაშე, მოაკსენნ მეფესა და არა ინება მისთჳს დაჭირვა არამედ მიუბოძა ჰამადას, გარდაიყარა თავსა ნაკარი შალვა და იტყოდა: „ესემცა არს მისაგებელი ორგულთა მეფეთასა“ და შეუნდო მეფემან შალვას“[52].

ვახტანგ III-ე ამ დროს ყაზან ყაენთან არის და ვერ (ან არ) შეძლო შალვა ქვენიფნეველის დაცვა. შალვა, ხომ ოფიციალური მოსაზრების (ყამთაალმწერელი) თანახმად დაისაჯა დავითის ორგულობისათვის. თუმცა არც ისაა გამოსარიცხი, რომ დავით VIII-ე მოერიდა მონღოლებთან ურთიერთობის შემდგომ გამწვავებას და დასჯერდა შალვა ქვენიფნეველისაგან მის სიუზერენობის სიტყვიერ აღიარებას. მეფის ხელისუფლება ხომ ამ პერიოდში ძალზედ შეზღუდულია ირანის ილხანების მიერ.

---

48 ბ. სილაგაძე. მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, კრებულში ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 93. ვახტანგ III-ეს თან ჰყოლია სამცხის ლაშქარი, ქ.-ცხ., II, გვ. 315.

49 ქ.-ცხ., II, გვ. 310.

50 ქ.-ცხ., II, გვ. 307.

51 ცხრაზმის საერისთავოში შემავალ, ცხრა მცირე ადმინისტრაციულ ერთეულის — ხევის მმართველ ერისთავს — შალვა ქვენიფნეველს, როგორც ჩანს, ძირითადად მამულები ჰქონია ცხრაზმის ხევში.

52 ქ.-ცხ., II, გვ. 307.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღვნიშნეთ, 1301—1303 წლებში ვახტანგ III-ე ყაზან ყაენთან ერთად იბრძვის ეგვიპტეში. მონღოლები მარცხს მარცხზე განიცდიან, მათი წარუმატებელი ლაშქრობები არის, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი, რომ დავით VIII-ე იწყებს აქტიური პოლიტიკის წარმოებას: „მეფემან დავით შეკრბა ყოველი მთიული, წარვიდა და მივიდა ტფილისს, და ჰყვა კაცი ცხენოსანი და ქუეითი, ეითარ ათხუთმეტი ათასი“[53]. დავითის ეს ლაშქრობა, რომელიც 1303 წელს მოხდა[54], მარცხით დამთავრდა[55]. ამ ლაშქრობის შემდეგ დავითის სახელისუფლო ტერიტორია კიდევ უფრო უნდა შემცირებულიყო. „მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გუელეთითი“[56]. როგორც ჩანს, ვახტანგმა მთლიანად ჩამოაშორა დავითი არაგვის ხეობას („გამოიყვანა გუელეთითი“) ე. ი. ოქროს ურდოსთან დამაკავშირებელ გზას და სახელისუფლოდ გადასცა საუფლისწულო მამული[57]. — ჯავახეთი, რომლის ცენტრალური წარმოადგენდა სოფელი ალასტანი. ამით დავითს ფაქტობრივად მოუსპეს განდგომის რეალური საშუალება. მის ხელქვეით ხომ ძირითადად ვახტანგ III-ის ერთგული დიდებულები აღმოჩნდნენ.

ძეგლი ერისთავთას მიხედვით, შალვა ქვენიფნეველი აწყობს ლაშქრობას დვალთაზე, ალბათ ვახტანგ III-ის სათანადო მითითებით, წინაღმდეგ შემთხვევაში — თავისი სურვილით რომ მოეწყო ლაშქრობა, მის შემადგენლობაში არ იქნებოდა „ყოველი სპაჲ სპარსთაჲ“... „მოსრეს სიმრავლე არამცრეული დვალთაჲ. მაშინ მოწუნეს და მოაოჯრნეს ყოველნი ჴევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დარღვენეს ყოველნი ციხენი თრუსუთი აჩაბეთამდის. მაშინ წავიდა ყოველი სპაჲ სპარსთაჲ“[58]. ჩვენი აზრით, შალვა ქვენიფნეველის ეს ლაშქრობა ითვალისწინებდა დავით VIII-ის ზურგის მოშლას. ალბათ ამიტომაც, დავით VIII-ეს ამის შემდეგ არც ვახტანგ III-ის და არც მონღოლების წინააღმდეგ არავითარი სამხედრო ოპერაცია თითქმის აღარ უწარმოებია. ფაქტობრივად ამ ლაშქრობამ დავით VIII-ის წინაღმდეგობა წელში გასტეხა. ვახტანგმა ესეც არ აკმარა დავითს „მაშინ მეფემან (ვახტანგ III-ე — ვ. ღ.) მიუბოძა შალვას თრუსუი, ღუდაჲ, გაგასძენი, მღეთე, არაჯუეთი, ჯანდოო, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიღუამი, გავაზი (დედაწინ ამოოხეკილი ყოფილა — ვ. ღ.), აწერისჯეე, ბეკუშუ“[59]. უდავოა, შალვა ქვენიფნეველისათვის საერისთავო ტერიტორიის გაზრდა ძირითადად მოხდებოდა დავით VIII-ის ერთგულთა მამულისა (ჭილა აბაზასძე) და სახელისუფლო ტერიტორიის ხარჯზე.

ამდენად, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით, რაც გამოწვეული იყო სამეფო კარის გათიშულობით და მონღოლთა ბატონობით, ცხრაზმის მცირე

---

53 ქ. ცხ., II, გვ. 316.

54 ვ. გამრეკელი, XIII—XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან, კრებულში: მრავალთავი, V, 1975, გვ. 160.

55 ამ ლაშქრობის შემდგომ გარკვეულწილად იცვლება ქამთაღმწერლის დამოკიდებულება დავითისადმი. ახლა უკვე მეტი ეპითეტებით ამკობს ვახტანგ III-ეს შედარებისთვის ქ. ცხ., II, გვ. 308—316 და გვ. 317—322.

56 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

57 ს. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1985, გვ. 109.

58 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

59 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციული ერთეულის ერისთავი, შალვა ქვენინფველი ახდენს ახალი ტერიტორიების მიერთებას და თავის სახელისუფლო ტერიტორიის ზრდას.

აღნიშნული პუნქტების გეოგრაფიულ დგილმდებარეობას კარგად სახლვრავს დ. მუსხელიშვილი. „თრუსეი" — ცხადია თრუსოს ხეობას გულისხმობს, თერგის სათავეებს.

„ღუდან — არაგვის სათავეშია; „მლეთე"— იქვეა, ღუდას ქვემოთ; „არაკეთი" — იქვეა მლეთას ქვემოთ; „ხანდოი" — ფასახაურის ქვემოთ არაგვზე; „ყანჩაეთი" — ქსნის ხეობა მდ. შუა წელზე, მარჯვენა ნაპირზე; „აბაზსაძეთა მამული" — „ლოწობანი" — იქვეა ყანჩაეთის ზემოთ, ქსნის მარცხენა სანაპიროზე; „აწერისკეკი" — პატარა ლიახვის ზემო წელზე; „ბეკუშე" — პატარა ლიახვის სათავეებში"[60].

„ძაგნაკორნათის", „დიღუმისა" და „გავაზთან" დაკავშირებით მეცნიერი ვარაუდობს, რომ მათი ლოკალიზაცია საძიებელია ქსნის ხეობის შუა წელსა და პატარა ლიახვის სათავეებს შორის[61].

აღნიშნულ განსაზღვრებას, ჩვენ მთლიანათ ვიზიარებთ, მხოლოდღა ერთი: აბაზსაძეთა მამულის დაკონკრეტება მარტო ლოწობნის მიდამოებით სწორი არ უნდა იყოს და რატომ.

აბაზსაძეთა შესახებ ცნობილია შემდეგი.

1. XI ს-ის შუაწლებში ქართლის ერისთავი არის ივანე აბაზსაძე[62]. **2.** 1297/1298 წ. სიგელში მოხსენიებულია ჭილა აბაზსაძე — მეაბჯრეთუხუცესი და ნაროზ აბაზსაძე — ამირეჯიბი და ამირახორი[63], **3.** ეამთააღმწერელი, 1300 წლის ამბებთან დაკავშირებით დავით VIII-ის ერთგულთა შორის ასახელებს ამირეჯიბ ჭილა აბაზსაძეს[64]; **4.** ძეგლი ერისთავთას ავტორმა იცის აბაზსაძეთა მამული მდ. ქსნის ხეობის ქვედა წელზე, და ნაროზ აბაზსაძის მფლობელობაში მყოფი ლოწობნის ციხე[65].

არა პირდაპირი ცნობები

1. VII ს-ის ანონიმი ავტორის სომხურ გეოგრაფიაში ქსნის ხეობა გაყოფილია ორ ადმინისტრაციულ ერთეულად — ქსნის ხეკად და ცხრაზმად[66]; **2.** ცხრაზმის ადმინისტრაციული ერთეულის ქვედა საზღვარი XIV ს-ის დასაწყისისათვის ჩამოდის ლოწობან-ყანჩაეთის მიდამოებამდის[67]; **3.** „შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხუა, ქსნისა სხუა"[68]; **4.** სოფელი ალევიდან მდ. ქსნის მარცხენა სანაპიროს ჩაყოლება, კორინთის ჩათვლით შედიოდა წილკნელის სამწყსოში[69]; **5.** მდ. ქსნის მარჯვენა სანაპირო ქვემოდან, სოფელ კორინთიდან კი ორივე სანაპირო სათავემდის შედიოდა სამთავნელის სამწყსოში[70].

---

60 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, ზოგიერთი: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967, გვ. 82.

61 იქვე, გვ. 82—83.

62 ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დდგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, გვ. 296.

63 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984, გვ. 185.

64 ქ-ცხ., II, 1959, გვ. 305.

65 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

66 ჯ. გ ვ ა ხ ა ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 24—25.

67 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

68 ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ-ცხ., IV, 1973, გვ. 382.

69 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 563.

70 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 198—206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ზემოთქმულიდან აბაზასძეთა მამულის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი.

ადრეფეოდალურ პერიოდში ქსნის ხეობა აერთიანებდა ორ ადმინისტრაციულ ერთეულს ქსნის ხევსა და ცხრაზმას. მათ შორის საზღვარი გადის ლოწობნის ციხისა და ყანჩაეთის მიდამოებს ზევით (სოფ. კორინთასთან). ქსნის ხეობა გაყოფილია ორ საეპისკოპოსოს — სამთავნელსა და წილკნელს შორის.

ქსნის ხევი შედის ქართლის ერისთავის მფლობელობაში. XI ს-ის შუა წლებში, ქართლის ერისთავი არის ივანე აბაზასძე. აბაზასძენის შემდეგ ქართლის ერისთავები ხდებიან სურამელნი (აბაზასძენი და სურამელნი, ერთი საერთო გვარის — ტბელების, განაყარნი ყოფილან)[71].

სურამელნი, უტოვებენ აბაზასძეებს ქსნის ხევს სამამულო და სამოხელეო მფლობელობაში. სამამულო მფლობელობა უნდა ყოფილიყო ძირითადად მდ. ქსნის მარცხენა ნაპირის ჩაყოლებაზე, სამოხელეო კი მდ. ქსნის მარჯვენა მხრის ჩაყოლებაზე.

ამ აზრისაკენ გვიბიძგებს ის გარემოებაც, რომ გვიან შუა საუკუნეების საამილახვრო სოფლები ძირითადად განფენილი იყო მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირის ჩაყოლებაზე[72], ხოლო ამავე პერიოდში ქსნის მარცხენა სანაპიროზე სოფელ ოძისში მამულები ეკუთვნოდათ აბაზასძეებს[73]. აღნიშნულიდან გამომდინარე, წყაროში მითითებული „აბაზასძეთა მამული“ ლოკალიზდება, ქსნის ხეობის მარცხენა სანაპიროზე: სოფელ ალევიდან (აქ, მხედველობაში მისაღებია ისიც რომ, ლოწობნის ციხის მიდამოებში — სამების მთაზე არის, ალევის სამების VII ს. (ნ. ჩუბინაშვილი) სამონასტრო კომპლექსი) მდინარე ქსნის მარცხენა ნაპრის ჩაყოლებით, სოფელ ოძისის ჩათვლით (20—25 კმ. სიგრძივი განაკვეთი). ე. ი. გასაგები ხდება ხოფის სამონასტრო კომპლექსის (XIII ს-ის პირველი ნახევარი[74]), ახალგორის, . . . ამ პერიოდის მფლობელთა ვინაობა. ისინი აბაზასძენი ყოფილან. აღნიშნული ტერიტორიის გადაცემა შალვა ქვენიფნეველისათვის უნდა მომხდარიყო 1303 წლის მეორე ნახევარში.

„ხოლო შალვა მოიყვანა ცოლად ოვსთა მეფისა ასული სახელით შორდი“[75]. წყაროში მითითებული „ოვსთა მეფე“ უნდა იყოს ყამთაააღმწერელთან დასახელებული „ოვსთა მთავარი ბაყათარ“, რომელიც შალვა ქვენიფნეველთან ერთად მიუძღვოდა მონღოლთა ლაშქარს დავით VIII-ის წინააღმდეგ[76]. სავარაუდოა, ამ ქორწილით შეკრა შალვა ქვენიფნეველმა პოლიტიკური კავშირი ქართლში მოთარეშე ოსებთან და ამით ერთგვარად გადაარჩინა სახელისუფლო ტერიტორია მათი განუკითხავი თარეშისაგან. როგორც ჩანს, ეს პოლიტიკური კავშირი მიმართული იყო დავით VIII-ის წინააღმდეგ.

---

71 ქართული წარწერების კორპუსი 1. ლაპიდარული წარწერები 1. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, 1980, გვ. 59—60.

72 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (სათავადოები), 1955, გვ. 120.

73 ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

74 რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ვ. ც ი ნ ც ა ძ ე, საქართველოს ისტორიული პროვინციის — შიდა ქართლის მთის ნაწილის ხურთომძღვრება, 1975, გვ. 117.

75 ძველი ერისთავთა, გვ. 348.

76 ვ. გ ა ბ ო ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1306 წელს, ვახტანგ III-ე კვლავ მოჩანს ყაზან ყაენის ჯარში, ეგვიპტის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის[77].

„ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, „მაშინ მოკუდა დავით მეფე, და მასვე წელს მოკუდა ვახტანგ მეფე“[78] მოყვანილი ფრაგმენტი სინამდვილეს არ შეეფერება. დღეს უკვე ცნობილია, რომ ვახტანგ III-ე გარდაიცვალა 1308 წელს, რომლის სიკვდილის შემდეგ, მომხდარა გარკვეული შეთანხმება დავით VIII-ესა (1293—1311 წწ.) და მონღოლებს შორის, არ არის გამორიცხული, რომ შეთანხმებას დავით VIII-ესა და მონღოლებს შორის აწარმოებდა შალვა ქვენიფფეველი. დავით VIII-ე გარდაიცვალა 1311 წელს. მონღოლებმა მეფობა დაუმტკიცეს გიორგი (VI-ე) დავითის ძეს. ირკვევა, რომ გიორგი VI-ესა და ნაროზ აბაზასძეს შორის მომხდარა განხეთქილება, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ნაროზის სამფლობელო — ლოწობნის ციხე, შალვა ქვენიფფეველის ხელში აღმოჩნდა[79]. ეს უნდა მომხდარიყო 1311 წლის ახლო პერიოდში (არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის განხეთქილება შალვა ქვენიფფეველმა მოაწყო. ამ განხეთქილებით ხომ ყველაზე მეტად მან ისარგებლა).

როგორც დავინახეთ, XIII ს-ის დასასრულისთვის ირანის ილხანთა ტახტისთვის გამართულ ბრძოლებს, ერთგვარ გაგრძელებასაკენ მოჰყავ საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის გაწლილი ბრძოლა, ძმებს: დავით VIII-ესა და ვახტანგ III-ეს შორის აღმოსავლეთ საქართველო მონღოლთა წყალობით ორ ნაწილად აღმოჩნდა გაგლეჯილი. ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფფეველი თავიდანვე აღმოჩნდა ჩაბმული, ხან მეფის ხან მონღოლთა მხარეზე.

მონღოლთა ხელისშეწყობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის გაწლილ ბრძოლას, დამღუპველი შედეგები მოჰყვა ერთიანი საქართველოსათვის. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ კი კარგი ნიადაგი შექმნა ადგილობრივ ხელისუფალთა განდიდებისათვის. ასეთ პირობებში ცხრაზმის შედარებით პატარა საერისთავო ახერხებს მეზობელი ტერიტორიების ექსპანსიას. თუ XIII ს-ის დასასრულისთვის ცხრაზმის საერისთავო ფლობდა მდ. ქსნის ზედა წელს და სასაზღვრო ზოლი ძირითადად შემოისაზღვრებოდა: აღმოსავლეთიდან — ლომისის, ცხრაზმის, საფეშეთის, ბაწარქედის, საძეგურის მთებით და ჩამოდიოდა სოფელ კორინთასთან; ჩრდილოეთიდან — მდ. ქსნის სათავეები, და ქნოლოს მიდამები; დასავლეთიდან — პატარა ლიახვის სათავეები, ისროლის ხევი, ქოლოთი, ლეხურის სათავეები, ზეგაყურის მთა: საძხრეთით: სოფელ კორინთის მიდამები.

არაუგვიანეს, 1313 წლისათვის კი ცხრაზმის „საერისთავოს ჩრდილო-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი საზღვარი გასდევდა თეთრი არაგვის ხეობას სათავიდან მთიულთკარის სანახებამდე.

საერისთავოს დასავლეთის საზღვრად ნაჩვენებია „ბეჯუშე“, რომელიც მდებარეობს ჩაბარუხის-ხევისა და პატარა ლიახვის შესართავთან და „აწერის ყევი“ — ბეჯუშის ქვემოთ პატარა ლიახვის სანაპიროზე. ჩრდილო დასავლეთით „ბეჯუშის მთა“-ზე გადიოდა საზღვარი საერისთავოსა და ქვემო დვალეთს შორის,... სამხრეთის მიმართულებით საერისთავოში შემოდიოდა ყანჩაეთი[80]

77 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979, გვ. 611—612.

78 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

79 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

80 გ. ა ო ბ ა ხ ა ძ ი ა, ძეგლი ერისთავთა, როგორც საისტორიო წყარო, საკანდიდატო დისერტაცია ხელნაწერის უფლებით, 1983, გვ. 172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე და ანაზასძეთა ყოფილი მამული, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოიცავდა მდ. ალეურას ქვედა წელიდან მდ. ქსნის მარცხენა ნაპირის ჩაყოლებით ოძისამდე.

ამით ერთგვარად მთავრდება ცხრაზმის საერისთავოს საზღვრების გაფართოება საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში.

В. Д. ГУНАШВИЛИ

ИЗ ПОЛИТИЧЕСКОЙ ИСТОРИИ ЦХРАЗМИЙСКОГО ЭРИСТАВСТВА (НАЧАЛО XIV В.)

Резюме

В конце XIII в. — начале XIV в. нижняя часть административной единицы Цхразма проходила до пограничной линии гор и равнин Ксанского ущелья (около сегодняшнего села Коринта).

Монгольское нашествие ослабило Грузинское царство и центральную власть. На царском троне одновременно восседали 3 царя: Давид VIII, Вахтанг III и Георгий V, между которыми шла борьба за государственную власть; победителем выходит Вахтанг III, которому активную помощь оказывали монголы.

Эриставъ Цхразмиского эриставства Шалва Квенипневели, пользуясь слабостью центральной власти и поддержкой монголов, увеличивает свою территорию: объединяет соседние территории, начиная с истоков рек Арагви, Терека, Маленькой Лиахви, до расположенной в середине Ксанского ущелья административной единицы — Ксис Хевски, входящей в вотчину Абазасдзеевых, составляя территорию левого берега реки Ксани от сегодняшнего села Алеви до села Одзиси.

V. D. GUNASHVILI

FROM POLITICAL HISTORY OF THE TSKHRAZMA'S KINGDOM (THE BEGINNING OF THE XIV TH CENTURY

Summary

At the end of the 13 th century and at the beginning of the 14 th century lower part of the administrative unit of Tskhrazma reached the Border line of mountains and plains of Ksanskoye Canyon (now village Korinta).

The Mongolian invasion weakened Georgian Kingdom and central georgian power. There were three Kings at the throne at the same time: David the 8 th, Vakhtang the 3 rd, and George the 5 th, they were fighting between each other for the state power: Vakhtang the 3rd became the winner, who was actively helped by the Mongols.

Eristavi of the Tskhrazma's kingdom Shalva Kvenipneveli had no strong central power, was well supported by Mongols and enlarged his territory; he united the neighbouring territories at the beginning of the rivers of Aragvi, Tergi, Little Liakhvi and administrative Unit of the Ksnis Khevis parts situated at the middle of Asanskoye Canyon—Abazasdze's votchina which included the territory of the left bank of the river of ksani, beginning with-the today's village Alevi and village Odzisi (inclusive).

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბახვა ბამეურელიძე

ჩაჩნეთის მესაქონლეობა და მთიელთა მიგრაციის საკითხები

ჩაჩნეთ-ინგუშეთი მდებარეობს ჩრდილო კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, უკავია კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობები და მდინარეების თერგისა და კუმის სამხრეთ დაბლობები. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება სტავროპოლის მხარე, ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით — დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, დასავლეთით — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთით — საქართველო. სპეციალური ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ჩაჩნები XV—XVI ს-მდე მთებში ცხოვრობდნენ და ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებად იყოფოდნენ. ამ ჯგუფების სახელწოდებები უმეტესად იმ მთის ან მდინარის სახელწოდებიდან გამომდინარეობდა, სადაც ისინი იყვნენ განსახლებული. პირველი ჩაჩნური დასახლებები ბარად XIV ს-ის დასასრულს ჩნდება, ეს იყო სოფ. პარჩხოი, რომელიც დაარსა ნაშახას მთიდან ჩამოსულმა პარჩხოი ტეიპამ. შემდეგში ნაშახადან გამოდიან სხვა ტეიპებიც: ბენოი, ცონტაროი, კურჩალოი და სხვები, რომლებიც იკავებენ აკსაისა და გუმსის ხეობათა ზედა წელს და ახლად ჩამოყალიბებული სოფლებიც იმის სახელს ღებულობდნენ ვინც იქ დაესახლა. მთიელები პირველ ხანებში ესახლებოდნენ იმ ველებსა და ხეობებში, რომლებიც სუნჟით, არღუნით და მათი შენაკადი მდინარეებით ირწყვებოდა, შემდეგ კი თანდათანობით მთელი დიდი ჩაჩნეთის ბარი დაიკავეს. კავკასიის ომის დამთავრებისა და რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩაჩნეთი თერგის ოლქის შემადგენლობაში შევიდა[1].

ძველი ინგუშური სოფლებიც მთებში იყო და იქ ხალხი საზოგადოებებად — თემებად, სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებად იყოფოდა. ასეთი საზოგადოებები იყო ჯერახის, ფეპის (ქისტების), ღალღაის, ცორის, მეტხალის. მათი ბარად ჩამოსახლება XVI—XVII ს-დან იწყება. ერთ-ერთი პირველი ინგუშური სოფელი, რომელიც ბარში იქმნება იყო ა ნ გ უ შ თუ ი ნ გ უ შ. ტარსკოეს ველზე, დღევანდელი სოფ. ტარსკოეს ადგილას და ხალხის სახელწოდება ი ნ გ უ შ-იც აქედან მომდინარეობს. რვეოლუციამდე ისინი შედიოდნენ თერგის ოლქის ნაზრანის ოკრუგში[2]. თვითონ ინგუშები თავის თავს ღ ა ლ ღ ა ი-ს უწოდებენ (ერთ-ერთი თემის სახელწოდება ყველაზე გაავცელეს). ღალღაების განსახლების ძირითადი კერა იყო მდ. ასის შუა წელი და ამ ნაწილში მისი შენაკადები. ამ ტერიტორიას ეწოდება ღ ა ლ ღ ა ი ჭ ო ჟ, განსხვავებით ასის ხეობის ზედა წელისა, რომელსაც ფ ხ ი ჭ ო ჟ (ხევსურების ხეობა) ეწოდება. ხალხური ეტიმოლოგიით სიტყვა ღ ა ლ ღ ა ინგუშური ციხე-სახლის

---

[1] Чеченцы, Народы Кавказа, I, М., 1960, გვ. 347.

[2] Ингуши, Народы Кавказа, I, М., 1960, გვ. 375.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელწოდება ღ ა ლ ა-დან მომდინარეობს. ეს აზრი სპეციალურ ლიტერატურაშიდაცაა ასახული, მაგრამ ახალ გამოკვლევებში საეჭვოდაა მიჩნეული და აღნიშნული ტერმინი ღ ლ ი ღ ვ-თანაა დაკავშირებული, როგორც მოიხსენიებიან ინგუშები ქართულ წყაროებში[3].

ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთის ზოლში მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ამ უკანასკნელის უპირატესობით. თუმცა, მესაქონლეობაც გარკვეულად იზღუდებოდა საკვები ბაზის ნაკლებობით. მაშინ როდესაც მთა ბართან ინტენსიურად არ იყო დაკავშირებული, რაც მეცხვარეობის ფართო მასშტაბით განვითარებისათვის აუცილებელი პირობა იყო, უპირატესობა ეძლეოდა მსხვილფეხა მესაქონლეობას, ხოლო ცხვარს იყოლიებდნენ იმდენს, რამდენის გამოკვებაც შეეძლოთ მთის პირობებში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთიელებმა ინტენსიურად დაიწყეს ბარის საზამთრო საძოვრებით სარგებლობა და ამით გააფართოეს მესაქონლეობის სამეურნეო ბაზა, მსხვილფეხა მესაქონლეობა პირველობას უთმობს მეცხვარეობას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის პროდუქციის ხვედრითი წონის შეუსაბამობა, ცოტად თუ ბევრად, შეინიშნება არა მარტო ჩაჩნეთ-ინგუშეთში, ჩრდილო კავკასიისაკენ საქართველოს ყველა კუთხის მთიან ზოლში[4]. მიწათმოქმედება თავისი მასშტაბებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მესაქონლეობას და მიწათმოქმედების პროდუქციით მთიელთა მომარაგების საკითხი გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. ეს გარემოება იყო მთის ბართან ეკონომიკური კავშირის აუცილებლობის ძირითადი ფაქტორი.

მიუხედავად აღნიშნულისა, მეურნეობის ორივე დარგი — მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, მტკიცედ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთწარმატებას განაპირობებდნენ. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კავკასიის მთური მიწათმოქმედება, რომელიც მიწათმოქმედების პროდუქციით აკმაყოფილებდა მოსახლეობის მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნილებებს, ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მესაქონლეობასთან, რომელიც მას უზრუნველყოფდა ბუნებრივი სასუქით. მიწათმოქმედებას, მართალია, არ ჰქონდა წამყვანი მნიშვნელობა, მაგრამ ის იყო ტრადიციული და ინტენსიური თავისი აგროტექნიკური საშუალებებით, მასთან დაკავშირებული რიტუალური წეს-ჩვეულებებით, მეურნეობის წარმოების ზუსტად მიგნებული ფორმებით, მდიდარი ემპირიული ცოდნა-გამოცდილებით. აქედან გამომდინარე, კავკასიის მთიელთა სამეურნეო ყოფის თავისებურებად მიჩნეულია მაღალმთიანი ალპური მესაქონლეობის შერწყმა მთური მიწათმოქმედების ინტენსიურ ფორმებთან[5].

---

3 Р. Харадзе, А. Робакидзе, К вопросу о нахской этнонимике, Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1968, გვ. 20.

4 ვაღ. ი ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969, გვ. 36, 212; მ ი ს ი ვ ე, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970, გვ. 33; მ ი ს ი ვ ე, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 19 76; ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა, თბ., 1982, გვ. 41, 217; მ ი ს ი ვ ე, Система скотоводства в горной Осетии, Кавказский этнографический сборник, V, Тб., 1980, გვ. 7.

5 А. Робакидзе, Некоторые черты горского феодализма на Кавказе, Советская этнография, № 2, 1978, გვ. 15.

6 У. Лаудаев, Чеченское племя, сборник сведений о кавказских горцах, Тифл., 1872, вып. VI, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაჩნეთში გამოიყოფა ორი ძირითადი სამეურნეო ზონა — მთისა და ბარის, მათთვის დამახასიათებელი მეურნეობის დარგებითა და წარმოების ფორმებით და მოსახლეობაც იყოფოდა მთიელებად და ბარელებად. უფრო კონკრეტულად: გამოიყოფა ლ ა მ ა რ ხ ო ი ანუ ლ ა მ ა რ ო ი — მთიელები, რომლებიც ცხოვრობდნენ მაღალმთიან ზოლში, შიშველ მთებზე, თვითონ ტერმინი კი წარმოდგება სიტყვიდან ლ ა მ — მთა[8]; ჭ ა ბ ე რ ლ ო ი — იგივე მთიელები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩაჩნეთ-ინგუშეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის მაღალმთიან ზოლში. მათი მეურნეობის ძირითადი დარგი იყო მეცხვარეობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ტერმინის ფუძე შეიცავს ორ კომპონენტს — ზეგანს, ა რ ა — ველი, რომლისგანაც შემორჩა მხოლოდ ასო „რ“, ხოლო ბოლო ფორმანტი ლ ა//ლ ო ი მიუთითებს ეთნიკურ სახელწოდებაზე — ჭაბერლოი[7]. ჩვენ მიერ ვედენოში ჩაწერილი მასალების მიხედვით, აღნიშნული ტერმინი ჭ ა ბ ა-დან მომდინარეობს და მატყლის გუნდას ნიშნავს. ტერმინი კრებითი მნიშვნელობისაა, ის მცირე ერთეულებად — ტაიპებად (გვარებად-პატრონიმიებად) იყოფოდა და მთხრობლები, ქვედა ზოლში მცხოვრები ბოსახლეობა. მათ მეცხვარეებად მიიჩნევენ და როგორც შედარებით უსუფთაო ხალხს დიდი პატივით არ მოიხსენიებენ. ამკამად ჩაჩნეთის ეს კუთხე თითქმის დაცლილია მოსახლეობისაგან და სოფლები ნანგრევებადაა ქცეული; შ ა ტ ო ი — მთის ჩრდილო ფერდობებზე მცხოვრებნი. იყვნენ ლამარხოიზე დაბლა, ბართან ახლოს. ეს ტერმინი წარმოდგება სიტყვიდან შ უ, რაც სიმაღლეს ნიშნავს. შატოელებს უმეტესად უწოდებდნენ მხოლოდ შიშველი მთების ჩრდილო ფერდობებზე მცხოვრებთ და ეს სახელწოდება მათ ბარის ჩაჩნებისაგან მიიღეს[9]; ნ ო ხ ჩ ი — ასე უწოდებენ ჩაჩნები თავის თავს. უ. ლაუდაევის ცნობით, ჩაჩნები ბარში ჩასახლების შემდეგაც განაგრძობდნენ მესაქონლეობის ფართო მასშტაბით წარმოებას, ეს იყო მათი მეურნეობის ძირითადი დარგი, საკვებში დიდი რაოდენობით იყენებდნენ ყველს და ამიტომაც თავის თავს უწოდებდნენ ნ ა ხ ჩ ო ი-ს. ეს ტერმინი მიუთითებდა ხალხზე, რომელთაც უხვად ჰქონდათ ყველი და პირველ ხანებში ასე იწოდებოდნენ მხოლოდ ბარის ჩაჩნები[9]. ჩვენ მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ეს სახელწოდება წარმოდგება ტერმინ ნ ო ხ-დან, რაც გუთანს ნიშნავს, ნოხჩი — იყვნენ ბარის რაიონის მცხოვრებნი, რომელთა მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება; ჩ უ ჭ ა რ ნ ა ხ — შიგა ჩაჩნები, რომელთა მეურნეობის ძირითადი დარგი იყო მიწათმოქმედება, ხოლო მესაქონლეობას ეწეოდნენ უფრო ფართოდ ვიდრე მათი მეზობლები ნოხჩი; ა რ ს თ ხ ო ი — ძირითადად მისდევდნენ მესაქონლეობას, იო მეომარი ხალხი და დანარჩენი ჩაჩნებისაგან გამოირჩეოდნენ წესჩვეულებების ლოკალური თავისებურებებით; ტ ე რ კ ი ს ტ ხ ო ი — თერგისპირელები, მათი ტერიტორიის დიდი ნაწილი გამოიყენებოდა ზამთრის საძოვრებად, რომლითაც ჩაჩნებს გარდა კავკასიის სხვა მთიელებიც სარგებლობდნენ. ამ ზოლში ზაფხულობით ბალახეულ გვალვა წვავს, ამიტომ თერგისპირელები შიგა ჩაჩნების სათიბებს თიბავდნენ სანახევროდ.

ჩაჩნეთის ერთ მხარეს, სოვეტსკოეს რაიონში, მთხრობლები მთად მიიჩნევენ ხილდიხაროის, შარო-არღუნის, ჭენთო-არღუნის, მაისტის და მათ გან-

---

[7] А. Сулейманов, Топонимия Чечено-Ингушетии, ч. I, Грозный, 1976, გვ. 219.
[8] У. Лаудаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 5, 9, 10.
[9] იქვე, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტოებებზე მდებარე ხეობების სოფლებს, სადაც მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა. მთიელებად მიიჩნევენ თავს რაიონული ცენტრის სოვეტსკოესა (ყოფილი შატოის) და მისი მიმდებარე სოფლების მცხოვრებნიც. ნამდვილი მთიელებისთვის ეს ზონა, სადაც მესაქონლეობისთან ერთად საკმაოდ ფართო მასშტაბები ჰქონდა მიწათმოქმედებას, იყო ბარი. სინამდვილეში სოვეტსკოე მდებარეობს ხეობათა გზასაყარზე, მთისა და ბარის გამყოფ ზოლში და რეგულირებას უწევდა ამ ორი სამეურნეო ზონის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობას. აქ პერიოდულად იმართებოდა ბაზრობა, სადაც თავს იყრიდა არა მარტო ჩაჩნეთის მთისა და ბარის მოსახლეობა, არამედ, სავაჭროდ საქართველოსა და დაღესტნის მოსაზღვრე რაიონებიდანაც კი გადმოდიოდნენ.

რაიონულ ცენტრ ვედენის ზოლში მცხოვრები მოსახლეობის აზრით, მთის ზოლი იწყება სოფ. სერეენიურთის ზემოთ ხეობით ახკაჩუ (ახკ — მთის მდინარე, მთის ხეობა, ჩუ-ში). ამ ხეობაში შედის სოფლები: ბენეიკორტ, ცაველდენო, ხინჯიკორტ, ვედენო. ვედენოდან იწყება მეორე ხეობა დიშნი-ვედან და მთავრდება სოფ. ხარაჩოთი. გადმოცემით, აქ მოსული ორი ძმა დიშნო და ხარაჩო, რომელთაგანაც ერთს საფუძველი დაუდეს დიშნი ვედენოსა და მეორეს ხარაჩოს არსებობისთვის, მათ მცხოვრებლებსაც ერთს უწოდებდნენ დიშნი ტეიპა-ს, ხოლო მეორეს — ხარაჩო ტეიპ-ს[10]. ამ მთისძირა ზოლში ხარაჩო ყველაზე ძველი სოფელია, საიდანაც მოხდა სოფელთა განსახლება შედარებით დაბალ და ბარის მიდამოებში.

მთლიანად კუთხის ან ცალკეული ხეობების ზონებად დანაწილების საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მთიელთა მესაქონლეობის სამეურნეო რესურსები საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე იყო გაშლილი. აქედან ვღებულობთ ვერტიკალური ზონალობის სავსებით ჩამოყალიბებულ სისტემას და მესაქონლეობის წარმოების მთა-ბარულ ფორმას, რომელიც მთისა და ბარის სამეურნეო რესურსების თანმიმდევრულ, გეგმაზომიერ ათვისებას ითვალისწინებდა როგორც ერთი ხეობის ფარგლებში, ისე უფრო ფართო მასშტაბებითაც. ქვეყნის ან რომელიმე დასახლებული ერთეულის (ხეობის, სოფლის) ზონალობის კვლევის საკითხთან დაკავშირებით, შეეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებია მათი მთად და ბარად დანაწილების პრინციპებზე, რამდენადაც ცალკეულად აღებული ყველა გეოგრაფიული ერთეულის ლანდშაფტის თავისებურებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა სამეურნეო წარმოების თავისებურებებს. ყოველ ხეს ჰქონდა თავისი მთა და ბარი, ბარი ეწოდებოდა იმ ზოლს, სადაც სოფლები იყო გაშენებული და პირუტყვის გამო-

---

10 ამ შემოხვევაში ხარაჩო ტეიპა ხარაჩოელს, მნიშვნელობით იხმარება. მასში შემავალი ნათესაური ჯგუფები იყო: უმარნეყი, ბეინნეყი, ჰახშენნეყი, სუნგურნეყი. მესხდენნეყი, ღეზლოინეყი. ამათგან სხვებზე ადრე მოსული უმარნეყი, ყველაზე ნაყოფიერი ადგილები დიაკავა და დასახლებაშიც ბოლომდე შეინარჩუნა კომპაქტურობა. როდესაც სოფელში ახალი ტეიპა — ნეყი მოდიოდა ის უმარნეყის უნდა მიეღო. ასე მიუღია მას ბაიკიშნეყი (მჭედლების ნეყი) და სუნგურნეყი (მჭსოფელების ნეყი, რომელთა წინაპარი ქარხეული ყოფილა). ეს ორივე ნეყი უმარნეყის წინაშე გარკვეულ ვალდებულებას ასრულებდა, ერთი მჭედლობას ეწეოდა, მეორე კი ქსოვდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩაჩნური ტეიპას სტრუქტურის კვლევა ჩვენს მიზანს სცილდება და მას არც ვეხებით. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. Е. Мамакаев, Чеченский тайп (род) и процесс его разложения, Грозный 1962; Р. Харадзе, А. Робакидзе, Характер сословных отношений в горной Ингушетии, Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1968, გვ. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრება ხდებოდა, ხოლო მთა მისი ალპური საძოვრებია[11]. ვაჟა-ფშაველას განმარტებით, „მთას ეძახიან თითოეულ ნაწილს, მის ფერდობზე ცალკე ადამიანის სათიბაღ მიზომილს სოფლისაგან“; ბარს უწოდებენ ფშავ-ხევსურეთს ქვემოთ მდებარე ქართლისა და კახეთის ადგილებს; ერთი სოფლის ფარგლებში კი „მთა-ბარ“-ში იგულისხმებოდა სოფლის სახნავი და სათიბი ადგილები. სასოფლო მამულები და სათიბები, რომლებიც ყოველ წელიწადს ნაწილდებოდა წილისყრით. აქედან გამომდინარე, მეურნეობის წარმოების ფორმაში — „მთაბარობა“-ში, რაც მტკიცედ არის დამკვიდრებული ქართველ მთიელთა მეტყველებაში, იგულისხმება ზაფხულობით მთაში, ხოლო ზამთრობით ბარში ყოფნა[12]. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული მთისა და ბარის ეკონომიკურ ურთიერთობას ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებაში და ამ ურთიერთობის განმტკიცებაში რა მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული მესაქონლეობას[13]. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მესაქონლეობის მთა-ბარულმა ბუნებამ, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ორგანულმა კავშირმა უდიდესი როლი შეასრულა მთისა და ბარის ეკონომიკური კავშირის განმტკიცებაში. ეს იყო მთისა და ბარის მოსახლეობის დაახლოების, მათი ეთნიკური კონსოლიდაციის ეკონომიკური პირობა, რასაც თან სდევდა მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნები.

მესაქონლეობის წარმოების აღნიშნულ ფორმას შორეულ წარსულში ეყრება საფუძველი. დადგენილია, რომ ამერიკაკავკასიაში და საერთოდ კავკასიაზე ადამიანი უკვე ნეოლითის ხანაში გადადის წარმოებით მეურნეობაზე[14], ადრეული ბრინჯაოს ხანაში კი ფეხს იკიდებს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შერწყმული მეურნეობა[15]. III ათასწლეულის დასაწყისიდან მოყოლებული თითქმის მთელი ამერიკაკავკასია, გარდა მისი დასავლეთ ნაწილისა, ათვისებული მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ. ისინი ინტენსიურად იყენებდნენ ყველა ზოლს — ბარის, მთისწინა და მთის ზონებს. შემდეგ კი ეს კულტურა ამერიკაკავკასიის ფარგლებს სცილდება, გადადის ჩრდილო კავკასიაში და მოიცავს დაღესტანსა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის გარკვეულ ოლქებს[16]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადრებრინჯაოს ხანაში მოსახლეობის მოძრაობა ბარიდან მთისაკენ, ბართან ერთად მთისწინა და მთის ზონების სამეურნეო მიზნით გამოყენება მესაქონლეობის წარმოების ახალი ფორმების ჩამოყალიბებით იყო გამოწვეული. ეს ახრი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც არის გაზიარებული[17]. აქვე აღნიშნულია, რომ ადრებრინჯაოს ხანის მთისწინა დასა-

---

[11] ი. კ ე ვ ლ ი ძ ე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 69.

[12] ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969, გვ. 54, 180.

[13] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, თბ., 1930, გვ. 317; ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964, გვ. 358; მ ი ს ი ვ ე. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 229—232.

[14] ალ. კ ა ლ ა ხ ო ვ ა ძ ე. ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, თბ., 1970, 121; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 35, 43.

[15] ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი. ენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, გვ. 144.

[16] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 92, 163. ლასხ. ნაშრომი, გვ. 289—291.

[17] В. Ш а м и л а д з е, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, гв. 287.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლებებში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური განვითარება მოითხოვდა ახალი საძოვრების ათვისებას. ეს კი ხდებოდა ადგილობრივ ახოს ადებისა და მთის ზოლში ლაბავ//ლაბოსლოს ტიპის სამეურნეო ბაზების მოწყობის გზით. შემდგომში, მთისწინა მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზური განვითარების პროცესში, როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, ეს ბაზები დასრულებულ სახეს ღებულობენ[18].

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით II ათასწლეულის პირველ ნახევარში, თრიალეთის კულტურის მატარებელ ტომებში, განვითარების ახალ საფეხურზე ადის მეურნეობის ძირითადი დარგები მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მკვეთრად ვითარდება მეცხვარეობა, რასაც ხელს უწყობდა მთისწინა და მთის ზოლის ათვისება. ამ დროისათვის თრიალეთის მაღალმთიან პლატოზე მიკვლეულია დროებითი სეზონური სამოსახლოები, ხოლო ზამთრის საძოვრებად გამოყენებული ჩანს ქვემო ქართლის ვაკე[19]. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას, დადგენილია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში ვითარდება „საიალაღო“ ტიპის მესაქონლეობა, ზაფხულობით საქონელი მიჰყავდათ მაღალმთიან ალპურ იალაღებზე, სადაც დროებით სადგომებს „ყალაგ“-ებს აწყობდნენ, ზამთრობით კი საქონლის დიდი ნაწილი ზღვისპირა ველებზე ჩაჰყავდათ, სადაც „კოშ“-ი და „კუთან“-ები ჰქონდათ მოწყობილი. საქონელს მთისა და ბარის საძოვრებზე დაჰყვებოდა მამაკაცების ის რაოდენობა, რაც მათი მოვლა-პატრონობისთვის იყო საჭირო. მესაქონლეობა ამ პერიოდშიც ერწყმოდა მიწათმოქმედების განვითარებას[20]. ეს არქეოლოგიური მონაცემები ყურადღებას იქცევენ პარალელური სამეურნეო ბაზების ტრადიციული გამოყენების პრინციპებთან დაკავშირებით. ცხადი ხდება, რომ მესაქონლეობის ის ფორმები, რომლებიც ეთნოგრაფიული კვლევის საგანია, კავკასიის მოსახლეობაში შორეულ წარსულში ისახება და ჩვენამდე სავსებით ჩამოყალიბებული სისტემის სახით აღწევს. ეთნოგრაფიული მასალისა და სპეციალური ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ტერმინი к у т а н[21], к І о т а р[22] ნიშნავს ხეტორს, ახალშენს (выселок), პარალელურ სამეურნეო ბაზას, მესაქონლეების ხეტორული ტიპის დროებით დასახლებას, ე. ი. ბაზას რომელიც ახალი დასახლებული ერთეულის ჩამოყალიბების საფუძველს ქმნიდა.

შენიშნულია, რომ ინგუშეთში სათიბები, რომლებიც ხეობის სამხრეთ ფერდობებზე იყვნენ განლაგებული, საგაზაფხულო-საშემოდგომო და ზამთრის საძოვრებად გამოიყენებოდა. აქ აწყობდნენ „ზამთრის კუტანებს“ და საქონელს ადგილზე დამარაგებული თივით კვებავდნენ[23]. ინგუშეთის ეთნოგრაფიული მასალა ნათლად უჩვენებს ახალი დასახლებული ერთეული, სოფლის და უფრო მეტიც, სასოფლო ტერიტორიული ერთეული — თემის ჩამოყალიბების პრო-

---

18 В. Шамиладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 289—291.

19 ო. ჯაფარიძე, შუაბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, გვ. 201, 223.

20 В. Марковин, Культура племён Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.), М., 1960, გვ. 133.

21 В. Христианович, Горная Ингушия, Р/Д, 1928, გვ. 36.

22 А. Робакидзе, Жилища и поселение горных ингушей, КЭС, II, Тб., 1968, გვ. 89; Чеченско-русский словарь, М., 1961, გვ. 265.

23 В. Христианович, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს, რაც პარალელური სამეურნეო ბაზების მოწყობით იწყებოდა. რაც შეეხება ჩაჩნეთს, მასთან დაკავშირებით მოვიყვანთ რამოდენიმე კონკრეტულ ძალითს.

ჭენთო-არღუნის ხეობის ზედა წელში (სოვეტსკოეს რაიონი) მთებზე იყო ისეთი ადგილები, საიდანაც თვის სოფელში გადმოტანა ძნელდებოდა, ამიტომ იქვე სათიბებში ან მათთან ახლოს აგებდნენ სამეურნეო ბაზებს kiōtar-ებს სადაც მარაგდებოდა თივა და იყოლიებდნენ საქონელს. ზაფხულობით ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი მთის ზედა ფერდობებზე მიუდიოდათ, შემოდგომაზე კი დაბლა ჩამოჰყავდათ თავიანთ ბაზებზე და იქვე იზამთრებდნენ. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს ცხვრის დიდი ფარების მოძრაობის ფარგლები. ამდენად, ცხვრისა და საქონლის გარკვეული ნაწილი მთელი წლის განმავლობაში გასული იყო სოფლიდან და სამეურნეო ბაზებზე დაბინავებული. ის ერთი მთის ზოლში განლაგებული მთისა და ბარის, საზაფხულო და საზამთრო ბაზებს — kiōtar-ებს შორის მოძრაობდა. ერთ-ერთი მთრობელის გადმოცემით, kiōtar-ებთან აწყობდნენ მცირეოდენ სანნავ ფართობებს და ზამთარ-ზაფხულ იქ ცხოვრობდნენ. იქ, სადაც ეხლა სოფელი დუბი-ოულია ადრე სამეურნეო ბაზები kiōtar-ები ყოფილა, შემდეგ დუბის სახლი აუგია, ადგილი მუდმივ საცხოვრებლად უქცევია და სოფელსაც მისი სახელი დარქმევია. ასევე სოფლად ქცეულა ჭენთოი ლამზე „ხუტორ იტკლუშკა“, სადაც პირველად ითის აუგია სამეურნეო ბაზა, იქვე კარტოფილს თესდა და მესაქონლეობას ეწეოდა, ხოლო ითის შვილს დროებითი სადგომი მუდმივ საცხოვრებლად უქცევია.

ვედენოს რაიონის მაღალმთიან სოფლებში, ჭაბერლოის თემში ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი ძირითადად გაყვანილი ჰყავდათ სოფლიდან და მთელი წლის განმავლობაში სოფელთან ახლოს მდებარე მთის სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე კოტარებს შორის მოძრაობდა. ცხადია, ამ შემთხვევაშიც მხედველობაში არ გვაქვს ცხვრის დიდი ფარების მოძრაობის ფარგლები. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამეურნეო ბაზებთან აწყობდნენ მცირეოდენ სახნავ ფართობებს და ასეთი ოჯახების წევრთა გარკვეული ნაწილი იქ ატარებდა მთელ წელიწადს. კოტარები თანდათანობით, იქ მეურნეობის გაფართოებასთან ერთად, მუდმივ საცხოვრებლად იქცეოდა და სოფლად ყალიბდებოდა. მთრობლები მეურნეობის წარმოების ასეთ ფორმას უწოდებენ „ხუტორულს“.

ტერმინი „ხუტორული ფორმა“ ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებშიც. მაგალითად, დაღესტანში ხ უ ტ ო რ-ი განმარტებულია როგორც „обособленная от поселения опорная база с локальным самостоятельным хозяйством, преимущественно животноводческим, с различными постройками, в том числе для проживания“[24]. მათი მოწყობის მთავარ პირობად აქ მიჩნეულია მეურნეობის მისწრაფება გამოენახათ მესაქონლეობის წარმოების ოპტიმალური სისტემა — გამოეზამთრებიათ რაც შეიძლება მეტი საქონელი, შეემცირებიათ გადასაზიდი საკვების რაოდენობა, მიეახლოებიათ საქონელი სამოვრებისათვის და მათთვის ბინა დაედოთ იქ, სადაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა საკვების მომარაგება, გა-

[24] М. З. Османов, Формы традиционного скотоводства народов Дагестана в XIX — начале XX века, Автореферат докторской диссертации, М., 1985, გვ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზამთრება და ძირითადი სამიწათმოქმედო სამუშაოების წარმოება. ამასთან, გამოყოფილია ხუტორების სამი ქვესახეობა: 1. выгонный, 2. пастбищный და 3. яйлажный. პირველი არის მსხვილფეხა საქონლის სამეურნეო ბაზა სახნავი და სათიბი ფართობების ზონაში, რომელსაც დროთა განმავლობაში სოფლად ჩამოყალიბების ტენდენცია ექმნებოდა; მეორე — ცხვრის საზამთრო ფაფრებს მიეკუთვნება, ხოლო მესამე —ს აზაფხულო იალაღების დაბალ იარუსებზე მდებარე სამეურნეო ბაზაა სადაც რძის პროდუქტები მზადდებოდა[25]. ჩვენთვის აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პარალელური სამეურნეო ბაზა, „ხუტორი“, საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექის ერთ-ერთი კომპონენტი, რომლებშიც მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სამეურნეო დარგები კომპლექსურად იყო წარმოდგენილი, თანდათანობით დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფის ტენდენციას იჩენს და ახალი დასახლებული ერთეულის, სოფლის ჩამოყალიბების საფუძველი ხდება.

იმ ლოკალური თავისებურებების განსაზღვრაში, რაც კავკასიის მეორე კუთხისთვის, ბალყარეთისთვის იყო დამახასიათებელი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიკუდგნებული პარალელურ სამეურნეო ბაზას ბ ა უ-ს. ეს ბაზები ძირითადად იმართებოდა საცხოვრებლის მოშორებით სამეურნეო ფართობებზე და საქონლის სოფელში ყოფნას მთელი წლის მანძილზე გამორიცხავდა, ყოველი ოჯახი შინ იტოვებდა თითო-ოროლა ძროხას. საქონელი ფაქტობრივად წელიწადში ორჯერ იცვლიდა ადგილს, გაზაფხულზე, მაისის ბოლოდან სექტემბრამდე მაღალმთიან საძოვრებზე იყო, დანარჩენ დროს კი დაბალ ხოლში ატარებდა. ორივე ამ სიმაღლის ზონაში გამართული ჰქონდათ მკვიდრად ნაგები საგრძობი — ბაუ, რომლებიც მხოლოდ მესაქონლეობის ინტერესებთან იყვნენ დაკავშირებული. მესაქონლეობის ამ ფორმას, რომელმაც გარკვეული გავლენა იქონია როგორც დასახლების, ისე საცხოვრებელ ნაგებობათა ფორმირების საქმეში[26], „ხუტორული მეურნეობა“ უწოდეს[27].

ამგვარად, ზემოთ მოტანილი მონაცემები ჩაჩნური მასალის ანალოგიურია, ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი ლოკალური თავისებურებების მიუხედავად, მეურნეობის წარმოების ერთიან სისტემასთან გვაქვს საქმე. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ჩაჩნეთის მთიელთ მესაქონლეობის სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პარალელური სამეურნეო ბაზები კოტარ-ები. ცალკეულ შემთხვევებში იქვე, მკირეოდენ სახნავ ფართობებზე მოჰყავდათ ქერი და კარტოფილი. საქონელი წლის განმავლობაში, ვერტიკალურ ზონალობაში სხვადასხვა დონეზე განლაგებულ სამეურნეო ბაზებს შორის მოძრაობდა. რამდენადაც ოჯახი ეწეოდა ორხელ მეურნეობას — სოფელში და პარალელურ სამეურნეო ბაზებზე, მისი შემადგენლობა ამ ორ პუნქტზე იყო განაწილებული. მთხრობლები კოტარ-ებს სამეურნეო დასახლებად მიიჩნევენ,

---

25 М.-З. Османов, Формы традиционного скотоводства... გვ. 27; Его же, Формы скотоводства даргинцев во второй половине XIX — начале XX вв. Хозяйство, материальная культура и быт народов Дагестана в XIX—XX вв., Махачкала, 1977, გვ. 34; С. Асятилов, Социалистические преобразования в хозяйстве аварцев, Автореферат кандидатской диссертации, Махачкала, 1966, გვ. 9.

26 ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმა ბალყარეთში, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, 1, თბ., 1964, გვ. 33.

27 Н. Грабовский, Экономическое положение бывших зависимых сословий Кабардинского округа, ССКГ, Тифл., 1870, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მეურნეობის წარმოების ამ ფორმას — ხეტორულად, რამდენადაც შეიძლებოდა ისინი დამოუკიდებელ დასახლებულ ერთეულებად, ხეტორებად ქცეულიყვნენ.

საკითხი დგება მთიელთა მიგრაციაზე მთისწინა და ბარის რაიონებში, რასაც ადგილი ჰქონდა არა მარტო ჩაჩნეთში, არამედ საქართველოშიც და საერთოდ, ჩრდილო კავკასიის ყველა კუთხეში. ამ პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ სამეურნეო ყოფის თავისებურებები და პირველ რიგში მესაქონლეობის წარმოების ფორმები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ჩაჩნური დასახლებები ბარში XIV ს-ის დასასრულს ჩნდება. ეს დაკავშირებული იყო ოქროს ურდოს დასუსტებასთან; შემდგომში, XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ში, რაც განაპირობა სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ, კავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრამ. ყოველივე ამან ბიძგი მისცა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას[28]. ამგვარად, XIV ს-ის ბოლო პერიოდი შეიძლება მივიჩნიოთ ჩაჩნეთში მეურნეობისა და კერძოდ, მესაქონლეობის განვითარების ახალ ეტაპად, რამდენადაც საფუძველი ეყრება მთისა და ბარის ეკონომიკური მთლიანობის აღდგენას, რაც მესაქონლეობის და პირველ რიგში, მეცხვარეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობა იყო. მთიელთა ექსპანსიაც ბარის რაიონებისაკენ დიდი მესაქონლეების ხელძღვანელობით ხდებოდა და მეურნეობის ეს დარგიც მთაში, ტრადიციისამებრ დიდხანს ინარჩუნებდა წამყვან მნიშვნელობას, შემდეგ კი ბარად მესაქონლეობა თანდათანობით უთმობს პირველობას მიწათმოქმედებას.

მიგრაციის პროცესებთან დაკავშირებით, ჩაჩნეთში ახალი ფართობების ათვისება ახოს ი რ ზ უ-ს აღების გზით ხდებოდა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჩაჩნეთში ტყე ბევრი იყო და ადგილობრივი მცხოვრებნი სათანადოდ ვერ აფასებდნენ ამ სიმდიდრეს. ყველას ახალ ადგილზე მისულს შეეძლო გაეჩეხა ტყის გარკვეული მონაკვეთი და მოეწყო საცხოვრებელი და სამეურნეო ფართობები. ასეთი შრომით მოპოვებული მიწა უკვე ამ ოჯახის კერძო საკუთრება ხდებოდა[29]. მათი თანდან ბარისაკენ მიგრაციის მიზეზებად კი მიჩნეულია როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური ფაქტორები: მთაში მიწების არასაკმარისი რაოდენობა, რაც მოსახლეობის მატებასთან ერთად საგრძნობი ხდებოდა: მიწასთან დაკავშირებული დავა და უთანხმოებები, და საქართველოს ძალიან გარკვეული უფლებებს მთიელებს ძმიმე მდგომარეობაში ტოვებდა[30]. ინკერიელები და ბატოელები ისე გამრავლდნენ, რომ აღარ შეეძლოთ თავიანთი ცხვარი და საქონელი მთაში გამოეკვებათ, მაშინ როდესაც ბარის გაშლილი ველები მეტად მოხერხებული იყო მესაქონლეობისათვის. ამასთან, მომრავლებული გვარები ცდილობდნენ ბარად ეშოვნათ მიწის ნაკვეთები. პირველ ხანებში ისინი ბარად მცირე ხეტორებად ესახლებოდნენ ცხვრისა და საქონლის გამოკვების მიზნით, მაგრამ მთაში თავიანთ მიწებზე მოლიანად არ აუღიათ ხელი. მალე ისინი თავისუფლდებიან რა მემამულეთა ვალდებულებებისგან, თანდათანობით იკავებენ დიდი და მცირე ჩაჩნეთის მთელ ბარს მდ. სუნჟის ნაპირებამდე, იწყებენ დიდი აულების მშენებლობას.

---

28 ვ. ბ ო რ ჩ ა შ ვ ი ლ ი, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჩაჩნეთ-ინგუშეთში XVIII ს. ბოლოს და XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1975, გვ. 30 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი).

29 Чечня, Газ. «Кавказ», 1851, № 96.

30 У. Л а у д а е в, Чеченское племя... გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათგან ყველაზე ძველად მიჩნეულია ჩეჩენ-აული, რომლისგანაც მაიღო ხალხმა სახელწოდება ჩეჩენი[3].

მთხრობელთა გადმოცემით, როდესაც ვედენოს რაიონის სოფ. ერსინოიში დღევანდელი მოსახლეობა მოვიდა მთელი მისი ტერიტორია ტყით იყო დაფარული. ახალმოსახლეებს სახნავები იმდენი აღმოაჩნდათ, რისი გაჩეხვა და მოსუფთავებაც შეძლეს. შემდგომშიც ასე იყო, კაცი რომ ოჯახს გამოეყოფოდა მას უფლება ეძლოდა ტყე გაეჩეხა და თავისთვის სამეურნეო ფართობები შეექმნა. თავა მხოლოდ ყანის პირებში ითიბებოდა, მთაზე ერსინოილამ კი მხოლოდ ზაფხულობით მიჰყავდათ ცხვარი და მშრალი საქონელი. ცხვარი აქ ცოტა ჰყავდათ, უფრო მეტად ამრავლებდნენ თხას, რომელიც ზამთარ-საფხულ ტყეებში იყო გაშვებული. სოფ. დიდი ვარანტის მოსახლეობის მეტი წილი მთის სოფლებიდან — ჭაბერლოიდან, ხილდიხაროიდან, ხაჩაროიდან, ხულუნდოიდან და სხვა ხეობებიდან არის ჩამოსული. ამა თუ იმ ჯგუფის სახელწოდებაც — ჭაბერლოი ტეიპა, ხილდიხაროი ტეიპა, ხაჩაროი ტეიპა და ა. შ. იმ ადგილზე მიუთითებს საიდანაც არიან მოსულები. ახალმოსახლეს სოფელი სოფლის განაპირას ტყის გაჩეხვისა და სამეურნეო ფართობების მოწყობის უფლებას აძლევდა. ამდენად, სოფლის ძველი მოსახლეობა, ძველი ტეიპები — იურთხოი გამოიყოფოდნენ შემდგომ მოსული ტეიპებისაგან — კებიახქინაშ. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აქ ჩამოსულა მთის სოფელ სოფტიედან, რომელიც დიდი ვარანტიდან დაახ. 20 კმ-ით იქნება დაშორებული. საყურადღებო ისაა, რომ სოფტიელებს დაბლა ჩამონაცვლების შემდეგაც არ მიუტოვებიათ მთის სოფელი, თავიანთი სახლები სამეურნეო ბაზებად აქციეს და მის ფართობებს სათიბ-საძოვრებად იყენებდნენ.

სპეციალურ ლიტერატურაში მოტანილია გადმოცემა იმის შესახებ, რომ ჩერმოელების გვარი, რომელიც ხევსურული წარმოშობის ყოფილა, სოფ. მაისტიდან გამოსულა და აულ ნაშეხაში დასახლა. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელმაც მშობლები დაკარგა, გადაწყვიტა დაეტოვებინა ეს სოფელი. ახალი ადგილის ძებნისას ის პირველი მივიდა მთაზე, რომელსაც შემდგომ ეწოდა ჩერმოილამ, ე. ი. ჩერმოევების გვარის მთა. მალე მას შეუერთდნენ სხვა თანამოგვარეებიც და ასე გაჩნდა ინკერიაში სოფელი ჩერმი[32]. ჩვენ მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ითუმცალეს მხარეს მდებარე ერთ-ერთი ხეობიდან წამოსულან მონადირეები, ასულან ჩერმოილამზე, მოსწონებიათ მისი კარგმო და დასახლებულან. ეს მთა ვრცელი, სწორი, მზიანი ადგილია, აქვს შესანიშნავი საძოვრები თავისი დასაზამთრებელი ადგილებით და მისი მცენარეული მაღალპროდუქტიულობით გამოირჩევა. მოსახლეობა ძირითადად მსხვილფეხა მესაქონლეობას მისდევდა. მეურნეობის ეს დარგი ჩერმოილამზე შედაალპურ ხასიათს ატარებდა, მისი მოქმედების რადიუსი მაღალმთიან ზოლში მდებარე ერთი სოფლის საზღვრებში მოქცეული სამეურნეო ფართობებით შემოისაზღვრებოდა[33]. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, მცირეოდენ სახნავ ფართობებზე ქერსა და კარტოფილს თუ დათესავდნენ.

[31] იქვე, გვ. 19.

[32] У. Лаудаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[33] მესაქონლეობის ფორმებთან, კერძოდ ალპურთან და მთა-ბარულთან დაკავშირებით იხ. В. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, გვ. 86, 142; მისივე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1986, გვ. 100, 109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX ს-ის პირველ ნახევარში ჩერმოელები იწყებენ სამოსახლოდ ახალი ადგილების ძებნას და ინაცვლებენ შედარებით დაბალ ზოლში, რაიონულ ცენტრ ვედენის გასწვრივ, ადგილზე რომელიც მანამდე ტყით იყო დაფარული და აარსებენ სოფ. მახკეტის, რაც ჩაჩნურად ახალ ადგილს ნიშნავს. აქ ისინი ჩეხავენ ტყეს, რის შედეგადაც ქმნიან საცხოვრებელ და სამეურნეო ფართობებს. ეს მოხდა 1830-იან წლებში. ამ დროს აღნიშნულ ზოლში უკვე არსებობდნენ სოფლები: ქირავიურთ, ელისტანჯი, ხათუნი, ვედენო, ხარაჩო და სხვა. ჩერმოელების მახკეტიში დასახლებას წინააღმდეგობა გაუწიეს საღოვევებმა, რომლებიც მახკეტიდან დაახ. 200—300 მეტრზე ცხოვრობდნენ, მდინარის მეორე მხარეს მდებარე ერთ-ერთ ბორცვზე ს ა დ ო ი კ ო რ ტ -ზე. ეს ბრძოლა ჩერმოელების სასარგებლოდ დამთავრდა და საღოვევები არგიშტში გადასახლდნენ (მახკეტიდან 7 კმ-ის დაშორებით). ჩერმოელები ამის შემდეგაც იბრძვიან თავიანთი ტერიტორიის გასაფართოებლად მეზობელი სოფლების ხარჯზე. საბოლოოდ მახკეტი, გარკვეულ საზღვრებში, მტკიცდება ჩერმოელების უფლებებში[34].

მახკეტი გარდამავალ ზოლშია მოქცეული, აქ დამკვიდრებული მოსახლეობა ადგილად უკავშირდებოდა, ერთი მხრივ, ჩერმოილამს, თავიანთ ყოფილ საცხოვრისს, რომელიც უკვე, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, მთის საზაფხულო საძოვრების ფუნქციას ასრულებდა, ხოლო ბინები პარალელურ სამეურნეო ბაზებად იქცა; ხოლო, მეორე მხრივ, ჩაჩნეთის ბარის რაიონებს. აქვე იყო ვედენოც, მთავარი სავაჭრო ცენტრი, ჩაჩნეთის მთისა და ბარის ურთიერთობის ერთ-ერთი მარეგულირებელი რგოლი. მახკეტი უმოკლესი კომუნიკაციებით, ვედენის გვერდის ავლითაც უკავშირდებოდა ბარის რაიონებს. პერიოდულად, კვირაობით აქაც იმართებოდა ბაზრობა, მთიელებს გასაყიდად ჩამოპყავდათ საქონელი, მოჭრილთ რძის პროდუქტები, ბარელებს კი ამოჭერილთ სამინდი, ხახვი, ნორი, კიტრი და სხვა. მახკეტის მოსახლეობა ფართო მასშტაბით აწარმოებდა მიწათმოქმედებას, თესდნენ სიმინდს, ხორბალს, კარტოფილს; მნიშვნელოვნად ვითარდებოდა მესაქონლეობა, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა, იყენენ ოჯახები რომელთაც 1000 სული ცხვარიც კი ყავდათ. ზაფხულობით მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თავიანთი ცხვრითა და მსხვილფეხა საქონლით კვლავ უბრუნდებოდნენ ჩერმოიოლამზე თავიანთ ბინებს, აქ ისინი ამზადებდნენ რძის პროდუქტებს, თიბავდნენ, თესდნენ მცირეოდენ კარტოფილს და საქონლის გარკვეულ ნაწილსაც იქვე აზამთრებდნენ. ნაწილი საქონლისა შემოდგომაზე მახკეტიში ჩამოჰყავდათ, ხოლო ცხვრის დიდი ფარები თერგისპირებისაკენ მიემართებოდნენ.

ამგვარად, მოსახლეობის მიგრაცია მთიდან მთისწინა და ბარის რაიონებში პირველ რიგში, მესაქონლეობის განვითარების ინტერესებით იყო განპირობებული. მოსახლეობის ექსპანსიას დიდი მესაქონლეები მეთაურობდნენ და გარკვეულ პერიოდში მეურნეობის ეს დარგი ბარადაც ინარჩუნებდა უპირატესობას. მთიანი და მაღალმთიანი ზონები მოსახლეობისაგან მთლიანად დაიცალა ან მისი მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ამ ზოლის სამეურნეო ფართობები კვლავ გამოიყენებოდა საზაფხულო საძოვრებად. ცხადია, ყოველივე ამას არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ემოქმედა მთაში მიწათმოქმედე-

---

34 ამის შესახებ შამილის მიერ შედგენილია საბუთი არაბულ ენაზე, 1840 წლით დათარიღებული, რომელიც მახკეტის საშუალო სკოლაში ინახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განვითარებაზე, რასაც ისედაც მცირე მასშტაბები ჰქონდა. კავკასიის ომის დამთავრებამ და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ ძლიერი ბიძგი მისცა ჩრდილო კავკასიის ბარის რაიონებში მიწათმოქმედების აღმავლობას. უუბანსა და თერგზე რუსეთის სამხრეთ რაიონებიდან გადმოსულმა მოსახლეობამ თან მოიტანეს ახალი სამეურნეო იარაღები, სასოფლო სამეურნეო კულტურები, აითვისეს მიწათმოქმედების ახალი მეთოდები. კავკასია ერთვება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობაში. მთიელებმა მიატოვეს ტერასული მეურნეობა, რომელიც დიდ შრომას მოითხოვდა და დაიწყეს მარცლეულის შედენა ბარის რაიონებში. მათ ძირითად საქმიანობად იქცა მესაქონლეობის განვითარება, რის პროდუქციაზე ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო[35].

მთიელი მესაქონლეების სამეურნეო ბაზები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყო გაშლილი — მაღალმთიანი ალპური იალაღებიდან ბარის საზამთრო საძოვრებამდე. ასეთ ვითარებაში ჩამოყალიბდა მესაქონლეობის წარმოების მთა-ბარული ფორმა, რომელიც ითვალისწინებდა საქონლის მოძრაობას ვერტიკალური ზონალობის ჭრილში და მთისა და ბარის საძოვრების თანმიმდევრულ ათვისებას როგორც ერთი ხეობის ფარგლებში, ისე უფრო ფართო მასშტაბებითაც[36].

მთა-ბარული მესაქონლეობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პარალელურ სამეურნეო ბაზებს, რომლებიც, ძირითადად, სახნავ და სათიბ ფართობებში იყო მოწყობილი. სოფელს, მთისა და ბარის სამეურნეო კომპლექსებს შორის იქმნებოდა საქონლის გადაადგილების ვერტიკალურ-ზონალური სისტემა, რომელიც სავსებით პასუხობდა მთა-ბარულ სამეურნეო კომპლექსებსა და მათთან დაკავშირებულ მეურნეობის ფორმებს. მეურნეობის მარგეგულირებელი ცენტრი იყო ძირითადი საცხოვრებელი ადგილი. სიმაღლის ყველა ზონაში ოჯახი სიმბიოზურად აწარმოებდა მეურნეობის ორივე დარგს. ამასთან დაკავშირებით, მთისა და ბარის სამეურნეო ბაზები შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ მთლიან საცხოვრებელ კომპლექსში შემავალი ერთეული. ამავე დროს, ეს ბაზები ქმნიდნენ ახალი დასახლებული ერთეულის ჩამოყალიბების საფუძველს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩაჩნეთ-ინგუშეთში ტერმინი კ ო ტ ა რ აღნიშნავს ხუტორს, პარალელურ სამეურნეო ბაზას, განსახლებას, მესაქონლეების ხუტორული ტიპის დროებით დასახლებას, რომელიც დროთა განმავლობაში სოფლად ყალიბდებოდა. ტერმინი კოტარ ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს სხვა ხალხებშიც, კერძოდ სლავებში. ის აღნიშნავს სოფელს, დროებით დასახლებას, მიწის ნაკვეთს, სთუმო საძოვარს და ა. შ. საყურადღებოა, რომ ეს ტერმინი, ისევე როგორც ქ ა რ თ ა[37] დაკავშირებულია მიწათმფლობელობის ფორმებთან. ნ. მარი მასში ხედავს სკვითური წარმოშობის ზოგადკავკასიურ ტერმინს და ქართულ ს ა კ უ თ ა რ-თან კავშირში განიხილავს[38]. ამ ტერმინს დიდი მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც ახოს აღებისა და სამეურნეო ბაზების მოწყობის ორგანიზაცია, მასთან დაკავშირებული შრომა მიწის მისაკუთრების საფუძველს ქმნიდა, იყო ამ პროცესის საწყისი ეტაპი[39].

---

[35] Б. К а л о е в. Земледелие народов Северного Кавказа, М., 1981, გვ. 32.

[36] В. Ш а м и л а д з е. Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1969, გვ. 142; მ ი ს ი ვ ე, მესაქონლეობა საქართველოში, „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი", თბ., 1986, გვ. 109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, ჩაჩნური კოტარ როგორც ტერმინოლოგიურად, ისე სამეურნეო დანიშნულებით, დაკავშირებულია ოსურ уаетаер-თან, რომელიც ქმნიდა наехстаер//дыууаеран ფორმის მეურნეობას. ის ასევეა დაკავშირებული ბალყარულ ბაუ-სთან, რომელიც სვანურ ლაბავ//ბაუ-ს ანალოგიურადაა მიჩნეული[40]. სვანური ლაბავები ქმნიდნენ მეურნეობის წარმოების გარკვეულ ფორმას, რომლის აღმნიშვნელადაც ჩვენ ფიქსირებული გვაქვს ტერმინი ლიცადუნალ და რომელიც მთიულურ ორხელაობას ან იმერულ ორგანობას შეესატყვისება. ჩაჩნეთის რიგი კონკრეტული მაგალითები თუშურ სოფელ-ბოსლობის ფორმის მეურნეობის ანალოგიურია[41]. ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას გვაძლევს იმისათვის, რომ მეურნეობის წარმოების ფორმები როგორიცაა „ხუტორული მეურნეობა" (ჩაჩნეთში, ბალყარეთში, დაღესტანში), ნეხსტერ//დიუარან (ოსეთში), ქართული ლიცადუნალ (სვანეთში), ორხელაობა (მთიულეთში), ორგანობა (იმერეთში), ორკომობა (ქსნის ხეობაში) ერთ ჯგუფში გავაერთიანოთ, როგორც მთა-ბარული მეურნეობის შემადგენელი ნაწილი.

Б. В. ГАМКРЕЛИДЗЕ

СКОТОВОДЧЕСКОЕ ХОЗЯЙСТВО ЧЕЧНИ И ВОПРОСЫ МИГРАЦИИ ГОРЦЕВ

Резюме

1. Чечено-Ингушская АССР расположена в юго-восточной части Северного Кавказа, занимает северные склоны Кавказского хребта и южную часть Терско-Кумской низменности. До XV—XVI вв. чеченцы жили в основном в горах. Основными отраслями хозяйства в горной части Чечено-Ингушетии были земледелие и скотоводство с преимуществом последнего. Обе отрасли хозяйства были прочно связаны друг с другом, обуславливали взаимные успехи.

2. Хозяйственные ресурсы скотоводства горцев были разбросаны на обширной территории, начиная с высокогорных альпийских и кончая зимними равнинными пастбищами. Отсюда получаем полностью сформированную систему вертикальной зональности и горно-равнинного скотоводства, которая предусматривала последовательное

---

37 ამ ტერმინთან დაკავშირებით იხ. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 39; А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1968, გვ. 93; Б. Гамкрелидзе, Система скотоводства в горной Осетии, Кавказский этнографический сборник, V, Тб., 1980, 47; მისივე, ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა, თბ., 1982, გვ. 128.

38 Н. Марр, Избранные, т. II, М.-Л., 1934, გვ. 190.

39 А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, გვ. 89.

40 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად... გვ. 39.

41 Б. Гамкрелидзе, Из истории скотоводства в Ингушети. Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1968, გვ. 237; მისივე, Система скотоводства в горной Осетии..., გვ. 7; მისივე, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში. კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბ., 1971, 43; მისივე, ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა, გვ. 41 და შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

освоение хозяйственных ресурсов гор и равнин как в рамках одного ущелья, так и в более широких масштабах.

3. Термин кутан//кІотар обозначает хутор, выселок, параллельную хозяйственную базу, которая закладывала основу для выселок и формирования новых населенных пунктов. Поскольку семья одновременно вела хозяйство как в селе, так и на временных хозяйственных базах, состав семьи был распределен между этими двумя пунктами. Сказители кІотары считают хозяйственными поселениями, а указанную форму хозяйства хуторским, которая в свою очередь стимулировала процесс возникновения независимых пунктов.

4. Определяющим фактором процесса миграции горцев в предгорных и равнинных районах можно считать особенности хозяйственного быта горцев и, в первую очередь, формы ведения скотоводства. Первые чеченские поселения на плоскости были основаны к концу XIV в., но массовый характер они принимают только со второй половины XVIII в. и в XIX в. Таким образом, конец XIV в. можно считать одним из значительных этапов развития скотоводства среди чеченцев, поскольку с этого периода закладывается новая основа экономического единства гор и равнин, что было обязательным условием для дальнейшего развития скотоводческого хозяйства, особенно овцеводства.

B. B. GAMKRELIDZE

HERDING AMONG THE CHECHENS AND THE QUESTIONS OF MIGRATION AMONG MOUNTAIN PEOPLES

Summary

The article is devoted to the study of Chechen settlements in the northern slopes of the great Caucasion Range in the chechen-Ingushi ASSR, Till the XV th—XVI th centuries the Chechens had lived mainly in the mauntains but by the end of the XIV century some movement towards the valleys had begun, along the riverbanks of the Sunjei and the Argun and later into great chechenia.

The main economic ressources were cultivation and, most importantly herding, althou grazing areas were limited. Cattle herding was dominant until the establishment of relations with the valleys facilitated the development of sheep herding. Pastoral activities covered a large territory, using high altitude, alpine pastures and in the winter using valley pastures Such vertical practices of animal husnandry were developed early on and led to the establishment of symbiotic relations between cultivation and herding.

The term „kutan/kiotor“ was used for the compex of temporary shelters for the herds and herders. Ethnographic research has enabled the author to trace the establishment of village and village based territorial units and their parallel mobility as independent units. The Chechen herding

ეროვნული ბიბლიოთეკა

economy developed like wise parallel „Kiotor“ bases which consisted of both cultivation and pastoralism, sometimes allowing for oats and potatoes to be grown next to grazing lands where the latter were small in size. The members of Chechen families were deployed both in the villages in the lowlands and in temporary dwellings in the higlands in the summer. This type of economy and settlement, which acquired the name of „Kiotor economy“ in specialist literature, stimulated the development of independent settlement units.

The end of the XIV th century is an important period in Chechen history Since it makes the beginning of the establishment of economic activity in the lowlands and valleys which was to lead to the development of a particular kind of herding economy. The majority of these typical settlements and economic activities were established, however, only in the second half of the XVIII th century and in the XIX th century. Using the highland pastures and lowland settlement as distinct economic units led to the expansion of sheep herding although cattle continued to maintain their importance. Eventually high altitude territories were used only for summer grazing and all other economic and residential practices were confined to the lowlands and walleys.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავლე ფირფილაშვილი

ობოლეთის ტყეში ობოლთა თავშესაფრის შესახებ

სოფელ ხიზაბავრიდან (ასპინძის რაიონი) 7—8 კილომეტრზე მდებარეობს ნახევრად დანგრეული ობოლეთის ეკლესია ირგვლივ შემორჩენილი „დამწვარი სახლების“ ნაშთებით (ტაბ. I. სურ. 1), რომელიც მეცნიერულად შეუსწავლელია.

ობოლეთის ტყეში შესასვლელ „ვიწრო ჭიშკარს“, საიდანაც მხოლოდ საცალფეხო ბილიკი გადის, „კლდეკარი“ ეწოდება. ამ ადგილას კლდის სიმაღლე შვიდ მეტრს აღწევს. კლდეკარიდან დაახლოებით კილომეტრის დაშორებით, გამოდის ცივი ანკარა წყარო, რომელსაც ხალხი „უკვდავების წყაროს“ უწოდებს. მის შორიახლო არის ობოლეთის ეკლესია, რომელსაც სახურავი აღარა აქვს, კედლები ნაწილობრივ დაზიანებულია. აღსანიშნავია, ისიც, რომ ეკლესიის კუთხის, სარკმლისა და თაღების ყადამყანი ქვები, კედლის სხვა ქვებისაგან განსხვავებით, უფრო კარგადაა დამუშავებული. დასავლეთის კედლის საძირკვლად ბუნებრივი კლდეა გამოყენებული.

აღმოსავლეთის კედლიდან 3—5 მეტრის დაშორებით არის სხვა ნაგებობათა ნაშთები, ხოლო ამ უკანასკნელიდან თხუთმეტოდე მეტრის მოშორებით კიდევ უფრო კარგად მოჩანს საძირკველი ექვსი სხვა ნაგებობისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ნაგებობა ოროთახიანი ყოფილა.



სურ. 1.

ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებში ობოლეთის ძეგლების შესახებ არავითარი ცნობა დაცული არაა. იგი მოიხსენია ნ. ბერძენიშვილმა 1933 წელს ჯავახეთის ექსპედიციის დღიურში იმ ვერანათა სიაში, რომელიც სოფ. ხიზაბავრის კომისარმა პეტრე პოსოშვილმა ჩაწერინა. ასე, რომ მეცნიერს, როგორც მისი დღიურიდან ჩანს, აღნიშნული ძეგლი თავად არ უნახავს[1].

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1960 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა ჩვენი წერილი სათაურით „ობოლეთი“[2]. იგი მოხსენიებულია, აგრეთვე, როგორც მიკროტოპონიმი მ. ველიჯანაშვილის[3] და გრ. ბერიძის[4] ნაშრომებში.

ობოლეთის ეკლესიის სარკმლის გვირგვინის ქვაზე 1942 წელს მივაკვლიეთ ერთსტრიქონიან დაქარაგმებული სიტყვებისაგან შემდგარ ასომთავრულ წარწერას (ტაბ. II, სურ. 1), რომლის მთლიანი წაკითხვა ან შინაარსის გაგება იმ



სურ. 2.

დროისათვის არ მოხერხდა. 1960 წელს, ცნობილი მკვლევრის თეიმურაზ ბარნაველის რჩევით, განმეორებით გადავიღეთ როგორც წარწერა (ტაბ. II, სურ. 2, 3), ისე მთლიანად ძეგლი გარემოცვაში (ტაბ. I, სურ. 1); თეიმურაზ ბარნაველმა ჩვენი თხოვნით წარწერა შეისწავლა[5] და „ობოლეთის“ ეკლესიის წარწერის შესრულების თარიღად ივარაუდა X—XI სს-ის მიჯნა[6].

თ. ბარნაველმა ასეთი ხერხს მიმართა: წარწერა დანაწევრა, გამოყო მასში შემავალი ძლიერ დაქარაგმებული სიტყვები, ამასთან გაითვალისწინა და სწორად წარმოადგინა შებრუნებით დაწერილი ასოები, მაგალითად, პირველ ყოვლისა, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ წარწერაში მარჯვნივ გამოიყოფა ორი ასო — Ϩ (ψ) და Ϫ (ϫ), რომელთაგან უკანასკნელი შებრუნებითაა დაწერილი: მაშასადამე, აქ ვღებულობთ სიტყვას ϪC=ϪϪ ე. ი. „შიდაϫ“.

---

2 ჯ. ფირფილაშვილი, ობოლეთი, ლიტერატურული გაზეთი, 2. 9. 1960, № 36 (1206), გვ. 2.

3 მ. ველიჯანაშვილი, ხიზაბავრის მეგზური, თბ., 1974, გვ. 8.

4 გ. ბერიძე. ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981, გვ. 195, 199.

5 თ. ბარნაველი, სოფ. ობოლეთის ეკლესიის წარწერა 4 გვ. (3 მანქანაზე ნაბეჭდი, ხელნაწერი, ინახება ჩვენთან — ჯ. ფ.).

6 აეტორმა აღნიშნული წარწერის გამოქვეყნება ვერ მოასწრო, რამდენადაც, ჩვენ საკითხთან დაკავშირებით მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, თავს ნებას ვაძლევთ და ფრაგმენტების სახით აქვე ვიუნებთ წარწერის აეტორისეულ ახსნას უმნიშვნელო კომენტარებით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფრაგმენტის გამოქვეყნება მხოლოდ მეცნიერულმა კვლევამ ან უბრალოდ მოქალაქეობრივმა მოვალეობამ როდი განაპირობა, არამედ იგი იმავ დროს, უაღრესად თავმდაბალი მეცნიერის და უანგარო მამულიშვილის ნათელი ხსოვნისა და პატივისცემის ერთგვარი დადასტურებაცაა (ჯ. ფ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვრჩა ოთხი ასო, რომელთაგან ᲗᲘ (Ი) და ᲩᲔ (Ლ) ასოები წარწერის ცენტრში მოცემულია შებრუნებით; სტრიქონის დასაწყისში კი Ს (Ს) და Ც (Ო) დაწერილია სწორად; მაშასადამე, აქ ვღებულობთ ასოთა ჯგუფს ᲡᲪᲩᲩ=ᲡᲪᲩᲘ =ᲡᲚᲘ.

თ. ბარნაველი ფიქრობდა, რომ ამ სიტყვაში იგულისხმება რომელიმე წმიდანის სახელი, რომელსაც მიეკუთვნებოდა ეკლესია; მაგალითად, ასოთა ჯგუფი სალე შესაძლოა იკითხებოდეს როგორც სახელი „სალომე“, „სავლე“[7], ან სხვა რომელიმე ეკლესიის მიერ კანონიზებული პერსონაჟის სახელი.

ასევე, მკვლევრის მიხედვით, მოყვანილ ვარიანტში შეიძლება გვქონდეს ეკლესიის დასახლება „სალომე წმიდაჲ“, „სავლე წმიდაჲ“, ან სხვა მსგავსი ვარიანტი[8].

ან იქნებ იყოს წინაუკმო წაკითხვის შემდეგი ვარიანტი: წᲐ ᲔᲚᲡᲐ, ე. ი. „წმიდაჲ ეკლესია“, რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება წარწერებში[9].

დასასრულ, მკვლევარი დასძენდა, რომ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა შეიძლებოდა ადგილობრივ ცნობათა შეკრების შედეგად.

ამგვარად, ობოლეთის ეკლესია, თ. ბარნაველის მიხედვით, X ს-ის დასასრულსა და XI ს-ის მიჯნაზე აუშენებიათ, „წმიდა სალომეს“, „სავლეს“ ან რომელიმე სხვა წმიდანის სახელზე. მკვლევარი იმასაც ვარაუდობდა, რომ შეიძლება წარწერა წინაუკმოდ იკითხებოდეს როგორც „წმიდაჲ ეკლესია“ და სხვ.

მართალია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიამ ისეთი წმიდანების სახელზე, როგორიცაა „სალომე“ ან „სავლე“, ეკლესიის მშენებლობა არ იცის, მაგრამ ჩვენ ამგვარი ახსნა უფრო მართებულად მიგვაჩნია მხოლოდ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარწერაში მოხსენიებული პიროვნება თუ წმიდანი არა, გავლენიანი სასულიერო პირი მაინცაა. ამიტომ, იგი შეიძლება იყოს ეკლესიის შემკეთი ქველმოქმედი ან აღმაშენებელი. იქნებ ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებდეს ისიც, რომ ხალხში დაცული გადმოცემის მიხედვით, ოდესღაც, რომელიღაც დიდი შემოსევისას[10], მტერს გაუნადგურებია სოფლები: ხიზა, ბავრა (ნაწილობრივ), გომი, ჩიხორიში, ოსპნაური, ვარანტა, თეთრობი, კოროშეთი, ოდანი, ჭეროული, ჭობარეთი, წერიკუნტა, კიცხი, ნაისა, გრია, ხვილიში და სხვ.[11]. უცნობ პირს, რომლის სახელიც გადმოცემაში დაცული არაა, ზემოთ დასახელებულ თხუთმეტ გაკვირანებულ-აოხრებულ სოფლის (შესაძლოა სხვა სოფლების) ობლად დარჩენილი ბავშვებისათვის ამ ტყეში გაუშენებია თავშესაფარი და ეკლესია, რის შემდეგ ეკლე-

---

7 თ. ᲑᲐᲠᲜᲐᲕᲔᲚᲘ, სოფ. ობოლეთის ეკლესიის წარწერა (დასახ. ხელნაწერი), გვ. 3.

8 იქვე, გვ. 2.

9 იქვე, გვ. 3.

10 ხალხის გადმოცემაში „დიდი შემოსევის“ სახელით ცნობილი დაპპყრობია ლაშქრობაში, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს არაბთა ამირას აბულ კასიმ ძე აბუსაჯის შემოსევა, რომელმაც 1914 წ. პირისაგან მიწისა აღგება ჯერ სომხეთის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს (სამცხესა და ჯავახეთში) მთელი სოფლები და ქალაქები, რაც ი. ჯავახიშვილის თქმით, შესანიშნავად აღწერა სტეფანე მტბევრამა 914—918 წწ. „გობრონის მარტყოლობაში“ (ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 102) თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ გადმოცემაში დაცული ცნობებიც სინამდვილის ანარეკლი უნდა იყოს.

11 ნ. ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიას „ობოლთა“ ეკლესია შერქმევია, ტყეს კი „ობოლეთის“ ტყის სახელწოდება მიუღია.

დღეს ხალხში მთელი ეს მიდამო „ობოლეთის“ სახელწოდებითაა ცნობილი[12]. შესაძლოა არც იყოს გამორიცხული, რომ წარწერაში წმიდანად მოხსენი-

სურ. 3.

ებული „სალომა“ ან „სავლე“ და ხალხის გადმოცემაში რეალურად არსებული უცნობი პირი, რომელსაც ხალხი მიაწერს ტყეში ობოლ ბავშვთა თავშესაფრის გაშენებას, ერთი და იგივე იყოს.

ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს როგორც ისტორიული ცნობები, ისე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი მასალები. მაგალითად, გიორგი ხუცესმონაზონის (მცირე, XI ს.), ი. ჯავახიშვილის[13], კ. კეკელიძის[14], ჯ. აფციაურის[15] და სხვათა მიხედვით ცნობილია, რომ XI ს-ის დასაწყისში უცხოეთიდან ჩამოსული გიორგი მთაწმინდელი ომებითა და შიმშილით განაწამებ საქართველოში ხუთი წლის განმავლობაში მეფე ბაგრატ IV-ის მხარდაჭერით კრებდა უპატრონო-უდედმამო, უმწეოდ დარჩენილ ობოლ ბავშვებს, ასწავლიდა მათ რაც კი რამ საჭირო იყო. მერე, იმავე მეფის ნებართვით, ის უკანვე გაბრუნებულა, ათონზე, სადაც წაუყვანია 80 ობოლი ბავშვი აღსაზრდელად და ქართულ მონასტრებში ქართველ ბერთა და მოღვაწეა რიცხვის გასაძლიერებლად.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული ერთი ცხოვრებისეული დეტალი, მაგალითად, ცნობილია, რომ 1940 წლამდე ქალის სახელი სალომე (სალო) და მამაკაცის სახელი სავლე (ბავლე), მესხეთ-ჯავახეთში და განსაკუთრებით სოფ. ხიზაბავრაში დიდი მოწონებით, პატივით სარგებლობდა და სხვა სახელთა შორის მეტად გავრცელებული იყო.

---

12 პ. ფირფილაშვილი, ობოლეთი, ლიტერატურული გაზეთი, 2. 9. 1960. № 36, გვ. 2.

13 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 190.

14 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 191—192.

15 ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“. თბ., 1980, გვ. 31—32, 97—98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლოა მოამაგე, „წმიდანთა“ ტოლი ადამიანის სახელი ამ გზით შემოინახეს უმეტესად იმ ობოლმა ბავშვებმა და მათმა შთამომავლებმა.

ცხადია, მოტანილი გადმოცემის მიხედვით ძნელია იმის მტკიცება, რომ გეოგრაფიული სახელი „ობოლეთი“ თითქოს წარმოდგებოდეს იქიდან, რომ XI ს-ის დასაწყისში „ობოლეთის“ ტყეში ეკლესიასთან ერთად თითქოს გაშენებული იყო „ობოლ ბავშვთა თავშესაფარი“, მაგრამ ეს ცნობა თავის მხრივ, ისტორიული საბუთების და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ერთგვარ ნიადაგს პოულობს.

ივ. ჯავახიშვილს თავის შრომებში დადგენილი აქვს, რომ V ს-ში ვარსქენ პიტიახშის მამამ აღმართა სამარტვილენი და მის გვერდით ეკლესიანი აღაშენა[16], ხოლო V ს., დიდ ბაკურს ქალაქებში „გლახაკთა თავშესაფარი“ აუგია — მას „საგლახაკოჲ ქალაქისაჲ“ ეწოდებოდა[17] იმავე მკვლევრის მიხედვით, ბაგრატ კუროპალატს (876 წ.) კი გლახაკთა და უძლურთა სასარგებლოდ განსაკუთრებული გადასახადი „გლახაკთა ნაწილი“ დაუწესებია[18].

ასევე მკვლევრების მ. საგერაშვილის[19], მ. შენგელიას[20] მონაცემებით X—XIII სს. საქართველოში ამგვარი დაწესებულებები ჩნდება მონასტრებთან არსებულ სასნეულო-ქსენონთა გვერდით და სხვ.

ერთი სიტყვით, როგორც ივ. ჯავახიშვილის, ისე სხვა მკვლევართა მიხედვით, V—XIII სს. საქართველოში ობოლებზე, მოხუცებსა და დავრდომილებზე ზრუნვა სახელმწიფოებრივ საქმედ ყოფილა აღიარებული.

ამასთან, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, როგორც ითქვა, გიორგი მთაწმინდელის მაგალითით ისიც ირკვევა, რომ აღნიშნულ დაწესებულებებს არა მარტო სახელმწიფო ქმნიდა და უწევდა მატერიალურ დახმარებას, არამედ ცალკეული გვლენიანი ქველმოქმედი პირებიც. მაგალითად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი თავის ანდერძში როსტევან მეფეს სთხოვს: თუ რაიმე შეემთხვევა და ვეღარ დაბრუნდება, მისი ქონების ნაწილი ობლებს, გლახაკებს და არასმქონეებს მისცეს, ხოლო ნაწილიც ხანაგთა და ხიდთა აგებას მოახმაროს[21].

საყურადღებოა, რომ ჩვენი დიდი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის[22] და სხვა ზოგიერთი მკვლევრის (მ. გაბაშვილის[23]) მონაცემების მიხედვით ობოლთა თავშესაფრები XI—XIII სს. გავრცელებული ყოფილა არა მარტო მახლობელ

---

16 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 74.

17 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 63.

18 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, თბ., 1948, გვ. 112.

19 მ. ს ა გ ე რ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო, № 3, 1956.

20 მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, თბ., 1961, გვ. 109—110.

21 შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“, ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედ., თბ., 1951, გვ. 171, სტ. 803—804.

22 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 63.

23 მ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში. თბ., 1981, გვ. 124—133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ მეზობელ სომხეთშიც, და იქაც ის სახელმწიფო და კერძო ქველმოქმედთა მხარდაჭერით არსებობდა[24].

ამგვარად, ქართული წერილობითი წყაროები ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, რომ ძველად საქართველოში ობლებს, დავრდომილთ და მოხუცებს არა მარტო სახელმწიფო, არამედ ცალკეული ქველმოქმედი პირები თავიანთ პირად მზრუნველობას არ აკლებდნენ. გვინდა აქვე შევნიშნოთ, რომ ობოლთა, დავრდომილთა, მოხუცთა და სხვათა მატერიალური უზრუნველყოფა, ვფიქრობთ, პირველყოვლისა, გულისხმობს მათთვის შესაფერის თავშესაფრის მოწყობას, მაგრამ არსებულ წყაროებს არა თუ აღწერილობა, არამედ ყველა მათი სახელი ზუსტად როდი შემოუნახავს. ამტომაც ზოგი მათგანი თუ დავას არ იწვევს, ზოგი კი პირიქით — სადავო და გასარკვევია. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უნებლიედ იბადება კითხვა: არსებობდა თუ არა დამოუკიდებელ დაწესებულებად და რა სახელით იხსენიებოდა წერილობით წყაროებში ხალხის მიერ ძველ საქართველოში „ობოლთა თავშესაფრად“ წოდებული დაეწესებულება?

საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ სპარსული სიტყვა „ხანაგა“ — „ობლების საკრებულო სახლადაა“ განმარტებული[25]. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით კი „ხანაგა“ „საგლახაო“ და „ობოლთა საკრებულო სახლია“[26]. ე. ი. ჩუბინაშვილის მიხედვით „ხანაგა“ ორ დაწესებულებას „საგლახაოს“ და „ობოლთა საკრებულო სახლებს“ აერთიანებს, რაც ჩვენი აზრით, ყოვლად წარმოუდგენელია. ამაზე ქვემოთ შევჩერდებით.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ს.-ს. ორბელიანი ზემოაღნიშნული განმარტებებისას წყაროზე არ მიუთითებს, ნ. ჩუბინაშვილი კი „ვეფხისტყაოსანს“ ემყარება[27].

„ვეფხისტყაოსანს“ ემყარება აგრეთვე გ. ბერიძე და „ხანაგას“ განმარტავს „სასტუმრო, უპატრონო ბავშვთა სახლად“[28] და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „ხანაგა“ სპარსული სიტყვაა და დაახლოებით სარწმუნოებრივი დანიშნულების ნაგებობას — დერვიშთა სახლს ჰქვია. ქართულად — განაგრძობს ავტორი, „ხანაგა“ კატეგორიულად სრულიად სხვა დანიშნულების დაწესებულებაა და ურესტორნო სასტუმრო სახლს გულისხმობს[29].

მ. გაბაშვილი ამასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს, რომ თუ ეს ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი აზრი ეკარგება „ხანაგას“, „საობლო სახლის“ და „საღვთო სახლის“ მნიშვნელობის განმარტებას „ვეფხისტყაოსნის“ ბევრ თარგმანში[30], მაგრამ, მისი აზრით, არ შეიძლება ანგარიში არ გა-

---

[24] А. А. Оганесян, История медицины в Армении, II, Ереван, გვ. 179—186.

[25] ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედ. წინასიტყვაობით, თბ., 1949, გვ. 897.

[26] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედ. და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 462.

[27] ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 462.

[28] გ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

[29] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატ. კულტ. ისტორიისათვის, I, გვ. 27, 62.

[30] მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში. თბ., 1981, გვ. 133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ მეზობელ სომხეთშიც, და იქაც ის სახელმწიფო და კერძო ქველმოქმედთა მხარდაჭერით არსებობდა[24].

ამგვარად, ქართული წერილობითი წყაროები ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, რომ ძველად საქართველოში ობლებს, დავრდომილთ და მოხუცებს არა მარტო სახელმწიფო, არამედ ცალკეული ქველმოქმედი პირები თავიანთ პირად მზრუნველობას არ აკლებდნენ. გვინდა აქვე შევნიშნოთ, რომ ობოლთა, დავრდომილთა, მოხუცთა და სხვათა მატერიალური უზრუნველყოფა, ეფიქრობთ, პირველყოვლისა, გულისხმობს მათთვის შესაფერის თავშესაფრის მოწყობას, მაგრამ არსებულ წყაროებს არა თუ აღწერილობა, არამედ ყველა მათი სახელი ზუსტად როდი შემოუნახავს. ამიტომაც ზოგი მათგანი თუ დავას არ იწვევს, ზოგი კი პირიქით — სადავო და გასარკვევი. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უნებლიეგ იბადება კითხვა: არსებობდა თუ არა დამოუკიდებელ დაწესებულებად და რა სახელით იხსენიებოდა წერილობით წყაროებში ხალხის მიერ ძველ საქართველოში „ობოლთა თავშესაფრად“ წოდებული დაწესებულება?

საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ სპარსული სიტყვა „ხანაგა“ — „ობლების საკრებულო სახლადაა“ განმარტებული[25]. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით კი „ხანაგა“ „საგლახაო“ და „ობოლთა საკრებული სახლია“[26]. ე. ი. ჩუბინაშვილის მიხედვით „ხანაგა“ ორ დაწესებულებას „საგლახაოს“ და „ობოლთა საკრებული სახლებს“ აერთიანებს, რაც ჩვენი აზრით, ყოველად წარმოუდგენელია. ამაზე ქვემოთ შევჩერდებით.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ს.-ს. ორბელიანი ზემოაღნიშნული განმარტებებისას წყაროზე არ მიუთითებს, ნ. ჩუბინაშვილი კი „ვეფხისტყაოსანს“ ემყარება[27].

„ვეფხისტყაოსანს“ ემყარება აგრეთვე გ. ბერიძე და „ხანაგას“ განმარტავს „სასტუმრო, უპატრონო ბავშვთა სახლად“[28] და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „ხანაგა“ სპარსული სიტყვაა და დაახლოებით სარწმუნოებრივი დანიშნულების ნაგებობას — დერვიშთა სახლს ჰქვია. ქართულად — განაგრძობს ავტორი, „ხანაგა“ კატეგორიულად სრულიად სხვა დანიშნულების დაწესებულებაა და ურესტორნო სასტუმრო სახლს გულისხმობს[29].

მ. გაბაშვილი ამასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს, რომ თუ ეს ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი აზრი ეკარგება „ხანაგას“, „საობლო სახლის“ და „საღვთო სახლის“ მნიშვნელობის განმარტებას „ვეფხისტყაოსნის“ ბევრ თარგმანში[30], მაგრამ, მისი აზრით, არ შეიძლება ანგარიში არ გა-

---

[24] А. А. Оганесян, История медицины в Армении, II, Ереван, გვ. 179—186.

[25] ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედ. წინასიტყვაობით, თბ., 1949, გვ. 897.

[26] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედ. და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 462.

[27] ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 462.

[28] გ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

[29] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატ. კულტ. ისტორიისათვის, I, გვ. 27, 62.

[30] მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში. თბ., 1981, გვ. 133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუწოით იმას, რომ ს.-ს. ორბელიანი „ხანაგას“ „ობლების საკრებულო სახლებს“ უწოდებს[31]. ამის გამო იგი, ისევე როგორც ნ. ჩუბინაშვილი ფიქრობს, რომ ქართულ სინამდვილეში „ხანაგას“ ობოლთა და გაჭირვებულთა თავშესაფრის მნიშვნელობაც ენიჭებოდა[32], ნ. ჩუბინაშვილისაგან განსხვავებით მ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ ქართულ სინამდვილეში ამის დამადასტურებელი საბუთები არ მოიპოვებიან[33] და უპირატესობას ისევ ივ. ჯავახიშვილის განმარტებას ანიჭებს, თანაც ვარაუდობს: „ხომ არ იყო სპარსული „ხანაგას“ შესატყვისი „გლახაკთა თავშესაფარი“ ანუ „საგლახაკოჲ ქალაქისაჲ“[34].

მ. გაბაშვილი, ერთი მხრივ, მართებულად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ „ხანაგის“ ივ. ჯავახიშვილისეული განმარტება უფრო სწორია და მართებული, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ მის ვარაუდს, თითქოს ქართულ სინამდვილეში „ხანაგის“ დამადასტურებელი საბუთი არ მოიპოვებოდეს და ამის გამო მის ქართულ შესატყვისად „გლახაკთა თავშესაფარი“ ან „საგლახაკოჲ ქალაქისაჲ „უნდა დარჩეს[35]. მკვლევარი თავის ვარაუდს იმით ამართლებს, რომ აზრი არ დაეკარგოს „ხანაგის“ „საობლო სახლის“ და „საღეთო სახლის“ მნიშვნელობებს „ვეფხისტყაოსნის“ ბევრ სხვადასხვა თარგმანში[36]. ამ მოსაზრების ეჭვმიუტანელ დასტურად არც ის ვარაუდი გამოდგება, რომ ს.-ს. ორბელიანი მას „ობლების საკრებულო სახლად“ თარგმნის[37].

უკვე აღვნიშნეთ, რომ ამგვარ განმარტებას ისევ ნ. ჩუბინაშვილისეულ ახსნასთან მივყავართ[38]. ნ. ჩუბინაშვილი კი „ვეფხისტყაოსანს“ ემყარება[39]. ავთანდილი თავის ანდერძში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვევით ამბობს, რომ მისი ქონების ნაწილი ობოლთა, გლახაკთა ად არასმქონეთა უზრუნველსაყოფად გაიცეს, ხოლო ნაწილი კი, „ხანაგათა“ და ხიდთა აგებას მოხმარდეს[40]. ე. ი. „ხანაგა“ რომ „საობლო სახლი“ ყოფილიყო, ავტორი ამ სიტყვებს სხვადასხვა ცნებებად არ მიიჩნევდა.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ მოტანილი ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს რომ შუა საუკუნეების საქართველოში ხიდებთან ერთად „ხანაგა“ გზათა მშენებლობასთან დაკავშირებული ნაგებობაა და როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, სასტუმროს ტიპის დაწესებულებაა[41].

მართალია, „ხანაგის“ ივ. ჯავახიშვილისეული ახსნის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, მაგრამ ამ დანაკლისს ავსებს ქართული ეთნოგრაგფიულ ყოფაში შემორჩენილი მასალა. მაგალითად, ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით მიმავალი გზის პირას, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ხიზაბავრის სანახებში, მდებარეობდა და მისი ნაშ-

---

31 ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 897.

32 მ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

33 იქვე.

34 იქვე.

35 იქვე.

36 იქვე.

37 ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 897.

38 ნ. ჩუბინაშვილი, გვ. 462.

39 იქვე, გვ. 462.

40 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დასახ. გამოცემა, გვ. 171. სტრ. 803—804.

41 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა ცხადყოფს, მის ტერიტორიაზე არსებულმა „ხანმა“ სათანადო ცვლილებებთან ჩვენს დრომდე მოაღწია. ყურადსაღებია ისიც, რომ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში აღნიშნულ გზაზე ახალქალქამდე რამდენიმე ასეთი სოფელი — გომია დასახელებული[51]. ამასთან, მოტანილი მაგალითის გამო იბადება კითხვა: ტოპონიმი — „გომი“ ხომ არ წარმოადგენს სპარსული „ხანაგის“ ქართული სახელწოდების — სასტუმროს სინონიმს ან მის თავდაპირველ ქართულ სახელს — მგზავრთა (მოგზაურთა) „სადგომს“, რომელსაც შემდგომში ჩამოშორდა თავსართი „სად“ და, თავის მხრივ, გომი ტოპონიმად — სოფლის სახელად იქცა, ხოლო მისი სპარსული შესატყვისი „ხანაგა“ კი მის ტერიტორიაზე მდგომი სასტუმროს (სადგომი ნაგებობის) სახელი გახდა. ან იქნება, აღნიშნული ტოპონიმი „გომი“ გარკვეული დროისათვის აქ ერთდროულად ორი სხვადასხვა „ხანაგის“ და „ხანის“ ან მისი მსგავსი რომელიმე სხვა დაწესებულების, მაგალითად, ფუნდუკის არსებობაზე მიგვანიშნებს, რომლებიც შემდგომ, დროის მოთხოვნის მიხედვით, ერთიმეორეს შეერწყმნენ და ერთ დაწესებულებად „ხანად“ იქცნენ.

ამგვარი ვარაუდის სასარგებლოდ მიუთითებს ისიც, რომ საქართველოში არის სოფლები, სადგურები, გაჩერებები, რომლებიც იხსენიებიან როგორც „გომის“, ისე „ხანის“, „ხანდოს“ და სხვა მსგავსი სახელით. ასევე, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ძველად საქართველოში საცხოვრებელ ადგილსა და ნაგებობას სადგომიც ეწოდებოდა და სადგურიც[52]; მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ სადგომი ადამიანისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი იყო, სადგური კი ცხოველთან ან საგნებთან დაკავშირებული, სადაც ან დგამდნენ რამეს, ან ჰყავდათ საქონელი[53].

გარდა აღნიშნულისა, ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, სასტუმროები ძველად ჩვენშიც არსებობდა და ასეთი ნაგებობის შესახებ ცნობებიც მოგვეპოვება, მაგრამ როგორც დიდი მეცნიერი შენიშნავს, სათანადო წერილობითი წყაროების უქონლობის გამო მისი ამსახველი ტერმინი ჯერ არა გვაქვს. უცხო წერილობით წყაროებში, მაგალითად, ბერძნულში I ს-დან მოყოლებული სასტუმროს პანდოქიონი ეწოდება. იგი გვგხვდება V—VI ს-ის ქართულ სასულიერო წერილობით წყაროებში, რასაც მკვლევარი ჩვენში რომაელების პოლიტიკური ბატონობის ხანას უკავშირებს, მაგრამ XII ს-ის ეს ტერმინი სრულიად დავიწყებულია და მის ნაცვლად დასავლეთიდან (იტალიის გზით) შემოდის ტერმინი „ფუნდუკი“ („ფონდოკოს“), ხოლო აღმოსავლეთიდან სპარსეთის გავლენით „ხანაგა“[54].

საყურადღებოა, ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „ფუნდუკისა“ და „ხანაგას“ ნაგებობებს შორის არსებობს განსხვავება. „ფუნდუკი“ „ქარვასლის“ მსგავსი ნაგებობაა, რომელშიც მგზავრებს შეეძლოთ როგორც თავშესაფარის შოვნა, ისევე საქონლის დაყენებაც. ხანაგა კი მხოლოდ მგზავრთათვის განკუთვნილი ურესტორნო შენობაა და ცხოველთათვის თავშესაფარი აქ არ იყო. ისე,

---

51 იქვე, გვ. 17.

52 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატ. კულტურის ისტორიისათვის, გვ. 6.

53 იქვე, გვ. 7.

54 იქვე, გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „ფუნდუკს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა, გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე სასტუმროს, მაშინდელი მიმოსვლის, ურთიერთობისა და ეკონომიური, აღებ-მიცემობის საქმესთან დაკავშირებული მოღვაწეობისათვის[58]. ამიტომ იყო, რომ თამარმა თბილისიდან ჯავახეთში მიმავალ გზაზე, თრიალეთში გადასასვლელ უღელტეხილზე ორი „ფუნდუკი“ ააგებინა: ერთი ქედს იქით, ერთი ქედს აქეთ[56].

საქართველოში „ფუნდუკების“ და „ქარავსლების“ არსებობის ფაქტები სხვადასხვა დროს დამოწმებულია ვ. ბაგრატიონის[57], ჟ. შარდენის[58], ე. თაყაიშვილის[59], ზ. გულისაშვილის[60], მ. პოლიევექტოვის[61] და ზ. ედილის[62] და სხვათა მიერ. სადღეისოდ ზოგიერთი მათგანი შესწავლილია არქეოლოგების ლ. ჭილაშვილის[63], ნ. ბერძენიშვილის[64], და არქიტექტურულად ი. ციციშვილის[65] მიერ. ნ. კვეზერელმა-კოპაძემ[66] მათ მიუძღვნა მონოგრაფიული გამოკვლევები, მაგრამ „ხანაგის“ განსაკუთრებით კი „ხანის“ ნაგებობის შესახებ, გარდა ზემოთ მოტანილი თვით ტერმინ — „ხანის“ განმარტებისა, არსად არაფერია ნათქვამი.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი, ჩვენ მიერ დამოწმებული ნივთიერი მასალა — „ხანის“ ფუნქციონირების დადასტურების ფაქტი, იმაზე მეტყველებს, რომ ამ ტიპის დაწესებულებანი ჩვენში არსებობდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროის მოთხოვნით და პოლიტეკონომიკური სიტუაციის გამო ისინი — „ხანაგა“ და „ხანი“ — თავის დროზე ფუნქციურად ერთიმეორეს შეერწყნენ და ერთ მთლიან დაწესებულებად „ხანად“ იქცნენ. „ხანი“ საბოლოოდ დასავლური „ფუნდუკის“ ტიპის დაწესებულებად გვესახება. საყურადღებოა ისიც, რომ ტერმინი „ხანი“ უფრო მეტად გავრცელებულია სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს პროვინციებში, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ იგი ჩვენში თურქეთის გზითაა შემოსული. თუ ამგვარი კარაუდი სწორია, გამოდის, რომ შუა საუკუნეებში გაბატონებული სპარსული სიტყვა „ხანაგა“ ჩვენში, თურქულ სიტყვა „ხანს“ შეუცვლია. როდის მოხდა ყოველივე ეს?

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით „ხანაგა“ XI—XII სს-ში გვხვდება, უნდა

---

55 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 28.

56 იქვე.

57 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 40, 45.

58 Путешествие кавалера Шардана по Закавказью в 1672—1673 гг. Журнал „Кавказский Вестник“ за 1901 г. № 5 гв. 233.

59 Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, разыскания и заметки, Вып., IV, Тифлис, 1913, гв. 102.

60 ზ ა ქ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ქარავსლის ხეობა, გაზეთი „ივერია“, 1900, 20. 7. № 156, გვ. 3.

61 М. П о л и е в к т о в, Материалы по истории грузино-руских взаимоотношений, гв. 297, 386.

62 ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 154.

63 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

64 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

65 ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955, გვ. 74.

66 ნ. კ ვ ე ზ ე რ ე ლ ი-კ ო პ ა ძ ე, გზათა მშენებლობა საქართველოში, თბ., 1974, გვ 76—109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიფიქროთ XIII ს-შიც იქნებოდა, მაგრამ შემდეგში აღარაა[67]. ამასთან მკვლევარი ვარაუდობს, რომ XVI ს-ის პირველ ნახევრამდე საქართველოში „ფუნდუკი“ არსებობდა, ხოლო შემდგომ იგი ცოცხალი სიტყვა აღარაა და XVII ს-ის „ქარავანსარაიმ“ ანუ „ქარვასლამ“ შეეცალა[68].

თუ ჩვენს მსჯელობას ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილ მტკიცებას დავუმატებთ, გამოდის, რომ სიტყვა „ხანი“, რომელმაც შეცვალა „ხანაგა“, ხმარებაში შემოსულა XIV ს-ში, რადგან სიტყვა „ხანაგა“ XIII ს-ის აქეთ აღარ იხმარება[69].

ამგვარად, თუ ჩვენი მტკიცება საფუძველს მოკლებული არაა და სპარსული სიტყვა „ხანაგი“ მომდევნო საუკუნეებში თურქულმა სიტყვა „ხანმა“ შეცვალა, მაშინ „ხანაგის“ ივ. ჯავახიშვილისეული განმარტება ერთადერთ სწორ მართებულ ახსნად უნდა მივიჩნიოთ, რადგან „ხანაგას“, რუსთაველის მიხედვით, როგორც თავის დროზე შენიშნა ივ. ჯავახიშვილმა, გარდა ზემოთ დასახელებული ნიშნებისა, აქვს კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანიც. კერძოდ, მას თავის კომპლექსში, შენობის შესასვლელთან აქვს სადარაჯო სახლი და ჰყავს დარაჯი — მეთვალყურე, რაც მოხუცთა და გლახაკთა თავშესაფარს არ აქვს[70]. ეს გასაგებიცაა, რადგან „ხანაგის“ ან „ხანის“ პატრონი — მფლობელი თუ გამგებელი, თავის მხრივ, ვალდებული იყო მგზავრები და მათი ქონება-საქონელი დაეცვა ხელყოფისაგან.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავუშვათ, რომ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არსებობდა როგორც „ხანაგა“ — ურეტორონი სასტუმრო სახლი[71], რომელმაც ჩვენამდე დროის მითხოვნის მიხედვით ზოგიერთი ცვლილებებით „ხანის“ სახელწოდებით მოაღწია, ისე „ობლების საკრებულო სახლი“[72], რომელსაც ხალხი „ობოლთა თავშესაფარს“ უწოდებს. ამასთან მოქმედებდნენ „მოხუცთა“ (ჯერაკუმია“)[73] და გლახაკთა თავშესაფრები[74]. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ დაწესებულებებს არა მარტო სახელმწიფო უწევდა მატერიალურ დახმარებას, არამედ ცალკეული გავლენიანი ქველმოქმედი პირებიც არ აკლებდნენ მზრუნველობას; აღნიშნულ დაწესებულებათა არსებობას, როგორც ი. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რაღაც პრინციპი ედო საფუძვლად, რომლის მიხედვითაც ისინი სავსებით განსხვავდებოდნენ „ხანაგისაგან“. წინაადმდეგ შემთხვევაში „მოხუცთა“, „გლახაკთა“ და „ობოლთა“ „თავშესაფარი“ ერთი რომელიმე სახელწოდებით იქნებოდა მოხსენიებული. ასევე შინაარსობრივადაც შეუძლებელია „გლახაკთა“, „მოხუცთა“, ან „არასმქონეთა“ თავშესაფარში ყოფილიყო ის პირობები, რაც საჭიროა ბავშვის მოვლა-პატრონობისა და აღზრდის თვალსაზრისით ან პირიქით. რაც მთავარია, იგი ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის იდეის იმ პრინციპებს, რაც მოცემულია „ვეფხისტყაოსანში“[75].

---

67 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

68 იქვე, გვ. 62.

69 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები... დასახ. გამოცემა, გვ. 63.

70 იქვე, გვ. 27.

71 იქვე, გვ. 63.

72 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 897, 464.

73 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები... დასახ. გამოცემა, გვ. 82.

74 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები... დასახ. გამოცემა, გვ. 63.

75 გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“, I, თბ., 1974, გვ. 81—122.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნულის შემდეგ, რა თქმა უნდა, იზრდება ინტერესი ჩვენ მიერ ზემოთ დასმული კითხვის მიმართ, თუ რა ეწოდებოდა ძველი ქართული წყაროების მიხედვით (ადრე ფეოდალურ ხანაში და შემდეგ) ხალხის მიერ შერქმეულ „ობოლთა თავშესაფარს"? ან როგორც მას სულხან-საბა უწოდებს — „ობოლთა საკრებულო სახლს"?

ამგვარი კითხვა მით უფრო ბუნებრივია, რომ ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ძეგლიდან „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი" (V ს.) მოყოლებული, ქართულ წერილობით წყაროებში ვხვდებით მშენებლობის ხელოვნებასთან დაკავშირებულ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „სასახლე", „ეკლესია", „სენაკი", „სენა", „ციხე", „სამარტველი"[76] და სხვ.

მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, იაკობ ხუცესის ცნობით, ვარსქენ პიტიახშის მამამ არშუშა პიტიახშმა (V ს.) ცურტავში, „აღმპართნა სამარტკლენი და ეკლესიანი აღაშჱნნა"[77].

ასევე საყურადღებოა, რომ VI ს-ში, გ. ჩუბინაშვილის [78] და ლ. მენაბდეს[79] მიხედვით, გარეჯში, დავით გარეჯელს მონასტერში აუშენებია სამარტვილე და ეკლესია. ხოლო ილარიონ ქართველს, 855 წელს დავით გარეჯში „დავითის სამატკროსა შინა ეკლესია" გაუფართოებია, განუვრცია და ხელახლა უკურთხებია[80]. ლ. მენაბდის აზრით, აღნიშნული ეკლესია გამხდარა ნიმუში, რომლის მიხედვით შენდებოდა მთავარი ეკლესიები ცალკეულ მონასტრებში[81].

ამგვარად, მართებულად უნდა მივიჩნიოთ ივ. ჯავახიშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ ეკლესიანი და სამარტვილენი V ს-ის ძეგლებში ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ დროიდან მოყოლებული ძალიან გავრცელებულიცაა[82]. ამნასთან, იმავე მკვლევრის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სახის ნაგებობა სასულიერო დანიშნულებისაა, ეკლესიასა და სამარტვილეს შორის მაინც არსებითი განსხვავებაა. ეკლესია, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, საერთო სამლოცველოა, ხოლო „სამარტვილის" ახსნისას, ეყრდნობა რა სულხან-საბას განმარტების ლათინურ მნიშვნელობას (ე. ი. სიტყვის ნაწილობრივ შინაარსს — პ. ფ.), დასაკვნის, რომ „სამარტკლე" სახოროთმოძღვრო ტერმინია და მარტვილთათვის განკუთვნილი პატარა ნაგებობაა[83]. იქვე დასძენს: თუ არსებობდა პატარა, უნდა არსებულიყო დიდი ნაგებობაც[84].

ივ. ჯავახიშვილისთვის ინტერპრეტაციაში „სამარტვილის" კონკრეტულ ფუნქციურ დანიშნულებაზე არაფერი აქვს ნათქვამი, თუ რას წარმოადგენდა დიდი ან თუნდაც პატარა სამარტვილე — წამებულთა დასასჯელ საკანს, თუ მათ საცხოვრებელ, თუნდაც „დასაყუდებელ" ადგილს?

„შუშანიკის წამებიდან" ვგებულობთ, რომ დასჯილი შუშანიკი „სამარტვილეში კი არ შეიყვანეს, არამედ ციხე-ქალაქის ერთ-ერთ პატარა „სახლკ-

---

76 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33, 74, 80, 70.

77 იქვე, გვ. 74.

78 Г. Ч у б и н а ш в и л и, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб., 1948, გვ. 35—42.

79 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი I.

80 Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 35—42.

81 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 281.

82 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

83 იქვე, გვ. 74.

84 იქვე, გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში“:... „ვითარცა შევიდეს ციხედ პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოადთ კერძო, მცირეᲗ და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმიდაᲲ იგი“[85].

ამგვარ მოსაზრებას მხარს უჭერს, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ სულხან-საბა ორბელიანის[86], ნ. ჩუბინაშვილის[87] და ი. ჯავახიშვილის[88] მიხედვით, „შეწამებულთა“ და დამნაშავეთა დასამწყვდევად განკუთვნილ შენობას უძველეს ძეგლებში ეწოდება: „საპყრობილე“, „სადილეგო“, „საკანი“, „საპატიმრო“ და არა „სამარტვლე“.

ამგვარად, როგორც „შუშანიკის წამებიდან“, ისე მომდევნო ხანის ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით დგინდება, რომ „სამარტვლის“, როგორც წამებულთა დასამწყვდევ-დასასჯელი ნაგებობის ფუნქცია გამორიცხულია და იგი სულ სხვა დანიშნულების ნაგებობად ვამოიყურება.

ვიდრე გავარკვევდეთ „სამარტვლის“ როგორც ნაგებობის კონკრეტულ ფუნქცია-დანიშნულების საკითხს, საჭიროა განვმარტოთ, რას უნდა ნიშნავდეს ქართულად სიტყვა „მარტვლი“ და აქედან გამომდინარე „სამარტვლე“?

სულხან-საბა ორბელიანის სრული განმარტებით, „მარტვილი ლაოინთა ენაა, მოწამეს უწოდენ; ხოლო მესხნი ყრმასა უწოდენ[89].

ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „მარტვრი მოწამე, ტანჯული, მესხურად ყმაწვილი, ბავშვი[90].

ე. ი. ჩვენ დიდ ლექსიკოლოგთა განმარტებით, ლათინური სიტყვის — „მარტვლის“ მესხური შესატყვისი სრულიად სხვა მნიშვნელობის სიტყვაა, იგი „ყრმას“, „ყმაწვილს“, „ბავშს“ ნიშნავს და თუ ამ განმარტებით ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ „სამარტვლე“ ქართულად „საყმაწვილეს“, „ყრმათათვის“ — „ყმაწვილთათვის“, „ბავშვთათვის“, განკუთვნილ „საბავშო სახლს“ უნდა წარმოადგენდეს და არა „საწამებელ ან მოწამეთა სამარხო“ ადგილს, როგორც ნ. ჩუბინაშვილის აქვს განმარტებული (იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 346).

ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებს თავად იაკობ ცურტაველის ცნობა, სახელდობრ: „შუშანიკმა ქმრის გამაზდიანების შემდგომ სასახლეს თავი რომ მიანება, ეკლესიითგან შინ კი ალარ დაბრუნდა, ანდა „სამარტვილეს“ კი არ მიაშურა (როგორც ეს თავის დროზე სამართლიანად შენიშნა ივ. ჯავახიშვილმა[91], არამედ „ვითარცა ალასრულეს მწუხრისა ქამი, სახლაკი ერთი მცირᲗ პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა... და მიეყრდნა ყურესა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“[92]-ო.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „სახლაკი“ პატარა სახლის აღმნიშვნელია, იხმარებოდა აგრეთვე ტერმინი „სენაკი“ და „სენა“[93]. მკვლევრის აზრით, „სე-

---

85 ი. ცურტაველი, წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა, გვ. 39.

86 ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 568, 569.

87 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 350.

88 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

89 ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 194.

90 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 269.

91 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9. გვინდა აქვე შევნიშნოთ, რომ დღემდე ამ სიტყვის „მარტვილის“ განმარტების დროს მკვლევრები გაურკვეველი მიზეზების გამო რატომღაც იყენებდნენ განმარტების მხოლოდ ლათინურ ვარიანტს, მესხურ განმარტებას, კი უყურადღებოდ ტოვებდნენ (ბ. ფ.).

92 იაკობ ცურტაველი, დასახ. თხზულება, გვ. 39.

93 ივ. ჯავახიშვილი, გვ. 9, 18, 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკი“ ცურტავში სასახლის გარეშეც ყოფილა და ეკლესიის მახლობლადაც მდგარა[94]. იაკობ ხუცესის ცნობით, დიდმარხვის მოახლოებისთანავე... „მივიდა... შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირეჲ სენაკი და მუნ დაეყუდა“-ო[95].

ამ ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ სარწმუნოებისათვის თავდადებული წმიდაული — შუშანიკი, ექვსი წლის განმავლობაში „სამარტვილეში“ ერთხელაც კი არ ყოფილა და რაც მთავარია, არც ვარსქენს გამოუყენებია იგი შუშანიკის საიზოლაციოდ.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავუშვათ, რომ „სამარტვლე“, რადგან იგი სასულიერო დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსში შედის[96], განკუთვნილი უნდა ყოფილიყო იმ ყმაწვილ (შესაძლოა ობოლთა) ბავშვთა სამზრუნველოდ ანუ მონასტრად[97], რომლებსაც სახელმწიფო მომავალ ღვთის მსახურებად და სასულიერო პირებად ზრდიდა. იქნებ ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს სხვადასხვა დროის და ხასიათის ის ისტორიული ცნობები, რომლებიც ბედის უკუღმართობას გადაურჩენენ და ჩვენამდე, ამა თუ იმ ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ნაკლული სახით მოაღწიეს. ასე მაგალითად, ლ. მენაბდის მიხედვით, VI ს-ში დაარსებულ დავით გარეჯის ლავრაში IX ს-ის პირველ ნახევარში, 15—16 წლის ასაკში სასწავლებლად მიდის შემდგომში სახელგანთქმული მოღვაწე და მეცნიერი ილარიონ ქართველი[98], იმავე ავტორის შრომიდან ვგებულობთ, რომ XI ს-ში გიორგი — პროხორე შავთელი, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მცირეწლოვანი მიიყვანეს მონასტერში[99]. ჩვენს საკითხთან დაკავშირებით, იქვე ყურადღებას იქცევს იოსებ არაგვის ერისთავის შვილის ანდრეძი, რომლის მიხედვით, ერთხელ კიდევ დასტურდება ნათლისცემლის მონასტერში აღსაზრდელად ბავშვის მიყვანა-მიბარება. თვით იოსები იქ ათი წლისა მისულა[100]. ანდრეძი საყურადღებოა იმითაც, რომ იგი გვაცნობს როგორც მონასტერში მიბარებულ ბავშვთა აღზრდელებს, ისე იქ მოღვაწე მწიგნობრებსაც[101].

მოტანილი მაგალითები, ერთი მხრივ, თვალნათლივ მიუთითებენ მონასტერში არსებულ ბავშვთა აღზრდის იმ ტრადიციებზე, რომელიც ჩვენში საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა, ხოლო, მეორე მხრივ, ცხადყოფენ ზემოთ მოტანილ იმ ისტორიული ცნობის სისწორეს, რომ ბაგრატ IV-ემ (1027—1072), საქართველოში უცხოეთიდან ჩამოსულ გიორგი მთაწმინდელს მარტვილთა[102]

---

94 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

95 იაკობ ცურტაველი, დასახ. თხზულება, გვ. 88.

96 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

97 მონასტერი ლათინურია, ქართულად სამზრუნველო ჰქვან, მონაზონთ საკრებულოსა (საბა. სიტყვის კონა, გვ. 219).

98 ლ. მენაბდე, ძველი მწერლობის კერები, I, ნაკეთი მეორე, თბ., 1962, გვ. 280.

99 ლ. მენაბდე, იქვე, გვ. 434.

100 იქვე, II, თბ., 1980, გვ. 31.

101 იქვე, გვ. 249.

102 მარტვილის მონასტერი მარტვილის რაიონში ზღვებარეობს. ვახუშტი წერს: „ბანძას“ ზეით, მაღალს აღგილზედ, არს ეკონდიდი, ეკლესია ბუნებათიანი, დიდშენი, მარტვილისა“ (იხ. მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 776).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტერში მოღვაწეობა და ჭყონდიდის[103] კათედრა შესთავაზა[104]. მეფის ამგვარი არჩევანი არცაა გასაკვირი, რადგან გიორგი მთაწმინდელს ჩამოსვლისთანავე მიზნად დაუსახავს ეთავა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყველაზე დიდი საქმე, როგორმე მოეკლო ომის და შიმშილის შედეგად გავერანებულ-გაპარტახებულ საქართველოში ობლად დარჩენილი ბავშვებისათვის. ხოლო, თავის მხრივ, ეს საქმე მატერიალური სახსრების გარდა, მოითხოვდა ტექნიკურად და მატერიალურად სრულყოფილ საწვრთნელ ბაზას — კერას, რომელიც ამასთან მტრისათვის შეუვალ-მიუდგომელიც იქნებოდა. ასევე, უნდა ახლოს ყოფილიყო ბიზანტია-კონსტანტინოპოლთან, რომ საჭირო შემთხვევაში აქედან ახალგაზრდები უცხოეთში გაეგზავნათ ქართულ საგანმანათლებლო კერებში ცოდნის მისაღებად[105] და სხვ. გარდა ამისა, ჩვენი მოსაზრებით თუ სიტყვა „მარტვილი“ ქართულად ბავშვს — ყრმაწვილს ნიშნავს და „სამარტვილე“ ეკლესიითურთ წარმოადგენდა ყრმაწვილთათვის განკუთვნილ სულიერ სავანეს (ე. ი. ბავშვთა საწვრთნელი დაწესებულების კომპლექსს), გამოდის, რომ ამ კომპლექსში„სამარტვილე“ საერთო საცხოვრებლის — სამზრუნველოს ანუ მონასტრის როლს ასრულებდა. და მართლაც, აკ. ჭყონდიდს, სადაც ადრე მუხის მსახურების სალოცავი იყო, მხოლოდ მაშინ ეწოდა „მარტვილი“ როცა იქ ეკლესია და მონასტერი (სამზრუნველო) გააშენეს (ს. მაკალათია[106], ლ. მენაბდე[107], და სხვები). თუ ეს ასეა, მაშინ მსგავსი მუშაობის წარმოებისათვის სათანადო ბაზა და ტრადიცია მარტვირში ადრიდანვე უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული. ე. ი. ჩვენი ფიქრით, მასში ღებულობდნენ ბავშვებს, რომლებიც თავიდანვე ღვთისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩეოდნენ, და შესაძლოა ობლებსაც, რომელთაც სახელმწიფო თავის საჭიროებისათვის ზრდიდა და იყენებდა. ამიტომ არ არის გამორიცხული, ის გარემოება, რომ მარტვილის მონასტერი თავიდანვე ამ მიზნისათვის ყოფილიყო განკუთვნილ-აშენებული და სახელწოდება მარტვილიც სიტყვა-ყრმაწვილიდან იყოს წარმოებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება საჭირო ეროვნულ კადრსაც მოითხოვდა და ჩვენი ფიქრით, მარტვილის მონასტერი ამ მიმართებით ადრიდანვე, ალბათ, ერთ-ერთ წამყვან დაწესებულებას წარმოადგენდა. ამგვარი მოსაზრების სისწორეს ერთხელ კიდევ მხარს უჭერს ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილი მტკიცება იმის შესახებ, რომ ეკლესიანი და სამარტვილენი V ს-ის ძეგლებში ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ დროიდან მოყოლებული საქართველოში ძალიან გავრცელებული ყოფილა[108].

ჩანს, გიორგი მთაწმინდელის უცხოეთიდან ჩამოსვლის დროს, ომით და შიმშილით განაწამებ საქართველოში სხვა კერებს შორის მარტვილის მონას-

---

103 მარტვილს ძველად ჭყონდიდს (მეგრულად დიდი მუხა) უწოდებდნენ. დადგენილია, რომ იქ ადრე მუხის მსახურების სალოცავი იყო. როცა იქ მოწამეთა (მარტვილთა) ეკლესია ააგეს და მონასტერი გაშენდა, მას მარტვილი ეწოდა) ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 348).

104 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვეთი II, თბ., 1962, გვ. 549—554.

105 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1930, გვ. 31, 249.

106 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 348.

107 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვეთი II, 1962, გვ. 549—554.

108 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერი მუშაობისათვის უფრო ხელსაყრელი იყო, ამასთან აკმაყოფილებდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობას და როცა გიორგი მთაწმინდელმა მეფეს თავისი განჯრახვა გაანდო, მხარდაჭერა პოვა. ყოველ შემთხვევაში, ისტორიულ ცნობას რომელსაც თითქმის ყველა მკვლევარი (ივ. ჯავახიშვილი[109], გ. სანინინა[110], კ. კეკელიძე[111], ჯ. აფციაური[112] და სხვანი) იზიარებს სახეზეა, რომ გიორგი მთაწმინდელი, როგორც უკვე აღნიშნეთ, ხუთი წლის განმავლობაში აგროვებდა ობლად დარჩენილ ბავშვებს, მათ ზრდიდა, წვრთნიდა და აყენებდა ცხოვრების გზაზე...

ამას იმიტომ ვიმეორებთ, რომ ამ ცნობის ფონზე გიორგი მთაწმინდელი საქართველოში გვევლინება არა როგორც ტრადიციის დამწყები, არამედ მისი აღმდგენელი და შესანიშნავი გამგრძელებელი.

აქედან გამომდინარე, გ. მთაწმინდელის შესანიშნავ წინამორბედად ცურტავის, გარეჯის, მარტვილის და სხვა სამარტვილეების აღმშენებლის თუ დამაარსებლის შემდეგ, უნდა მივიჩნიოთ ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი პირი (რომლის მოღვაწეობა თითქმის ემთხვევა ან ცოტათი წინ უსწრებს გ. მთაწმინდელის მოღვაწეობას), რომელმაც სოფ. ხიზაბავრის მახლობლად მდებარე ტაეში (X ს-ის დასასრულს და XI ს-ის დამდეგს) ითავა აგებულიყო ფუნქციურად „მარტვილის“ — სულიერი სავანის მსგავსი (მაგრამ არქიტექტურულად მცირე მასშტაბის შენობებით) დაწესებულება — „ობოლთა თავშესაფრითა და ეკლესიით, რომელსაც ხალხმა, თაობებმა, თავისი პირველადელი მწიგნობრული სახელის „სამარტვილეს“ ან ძველი ქართული სახელის „საყმაწვილეს“ ნაცვლად პირდაპირ ცხოვრებისეული სახელი — „ობოლთა საცხოვრისი“ ანუ შემოკლებით „ობოლეთი“ უწოდა. იქნება იმიტომ, რომ იგი იმ ხანად მხოლოდ ობლებისათვის იყო განკუთვნილი.

„ობოლეთის“ ძეგლებს ამჟამად დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დღემდე საქართველოში ამ ტიპის დაწესებულება ფიზიკურად მიკვლეული ან ამ თვალსაზრისით, ამ კუთხით შესწავლილი არ არის. ამიტომ საშურია მისი სათანადო, კომპლექსური შესწავლა.

პ. მ. პირპილაშვილი

О СИРОТСКОМ ПРИЮТЕ В ОБОЛЕТСКОМ ЛЕСУ

Резюме

В Аспиндзском районе, в 7—8 километрах от села Хизабавра, в Оболетском лесу находятся Оболетская церковь и остатки «сожженных домов» вокруг него (табл. I, рис. 1). Надпись на церкви (табл. II, рис. 1). Теймуразом Барнавели датирована концом X — началом XI веков и расшифрована как «Св. Саломе», «Св. Савле»

109 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 187, 190, 191.

110 გიორგი ხუცესმონაზონი, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა; გ. სანანინი, საქართველოს სამოხე, 1882, გვ. 437, 438.

111 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 192.

112 ჯ. აფციაური, გიორგი მცირის, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, თბ., 1980, გვ. 32, 98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

или «Св. церковь». Основываясь на этих данных, а также анализируя литературные сведения и устные предания, предполагается, что Оболетский комплекс являлся сиротским приютом, построенным незнакомым лицом по имени «Саломе» или «Савле». Подчеркнуты большое культурно-историческое значение «Оболети» и необходимость его комплексного изучения, так как учреждение подобного типа в Грузии ранее не обнаруживалось.

P. M. PIRPILASHVILI

TO THE PROBLEM OF THE ORPHANAGE IN THE OBOLETI WOOD

Summary

In the Aspindza viciniti, in 7—8 kilometeres from Khizabavra village, in the Oboleti wood, Oboleti church and the remains of „burnt house“ around of it are disposed (tab. I. fig. I.). The inscription over the church (tab. II. fig. I.) by Teimuras Barnaveli is dated by the end of the X—th and beginnig of the XI-th centuries and is deciphered as „St. Salome“, „St Savle“ or „St. church“. Based on this data and analysing literary information and legends, the author supposes that the Oboleti complex is the orphanage, built by the unknown for us person „Salome“ or „Savle“. The great cultural-hystorical significance of „Oboleti“ is emphasized and its complex investigation is considered necessary, because such kind of institution has not been found yet in Georgia.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლე ასტაპიშვილი

ებლას ცივილიზაცია

XX ს-ის დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენებს მიემატა კიდევ ერთი საყურადღებო აღმოჩენა: იტალიელმა არქეოლოგებმა სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიაკვლიეს ებლას — უძველეს ქალაქ-სახელმწიფოს, რომელიც ძვ. წ. III—II ათასწლეულებში არსებობდა სირიის ტერიტორიაზე. აღნიშნულმა გათხრებმა კიდევ ერთხელ უარყო მეცნიერთა მიერ ადრე ჩამოყალიბებული დოგმატური მოსაზრება იმის შესახებ, რომ კაცობრიობის პირველი ცივილიზაციები იქმნებოდა მხოლოდ დიდი მდინარეების მიმდებარე ტერიტორიებზე: ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთში, ნილოსზე, ინდის აუზში და სხვ. ებლას აღმოჩენამ წარმოაჩინა ძვ. წ. III ათასწლეულის ქალაქ-სახელმწიფო, რომლის ცენტრი არ უკავშირდებოდა დიდ მდინარეებს. ეს სახელმწიფო თავისი განვითარებით დიდად არ ჩამოუვარდებოდა ეგვიპტესა და შუმერს.

მეცნიერები ებლას გათხრებამდე იცნობდნენ. მის შესახებ ცნობებს შეიცავენ ძვ. წ. III—II ათასწლეულების ლურსმული ფირფიტები, რომლებიც ებლას მოიხსენიებენ როგორც ძლიერ სახელმწიფოს. მის წინაღმდეგ ილაშქრეს სადგონ აქადელმა, ნარამსუენმა და სხვ. მეფეებმა.

1964 წ. რომის უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სირიაში არქეოლოგიური გათხრების წარმოების შესახებ. იტალიელი არქეოლოგები დაინტერესებული იყვნენ შეესწავლათ წინაელინისტური ხანის დასავლეთ აზიის კულტურა, ფინიკიის სანაპირო ქალაქები და არამეული კულტურის ცენტრები. ამ მიზნით, რომის უნივერსიტეტმა დამასკოს სიძველეთა გენერალურ დირექტორატს მოთხოვა ნებართვა არქეოლოგიური გათხრების საწარმოებლად ალეპოს რეგიონის ორ პუნქტში: ალეპოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე თელ-მარდიხის ბორცვზე და მისგან ჩრდილოეთით, თელ-აფისში. ნებართვა დაუყოვნებლივ იქნა გაცემული, რაც არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის პაოლო მატიეს სიტყვებით, გამოწვეული იყო იტალიელი არქეოლოგებისადმი სირიელთა სიმპათიებით.

პაოლო მატიემ კარგად იცოდა ისტორიულ მეცნიერებაში გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ სირიასა და პალესტინაში „ქალაქური ცივილიზაცია“ (საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ე. წ. „კლასობრივი საზოგადოება“) შეიქმნა ძვ. წ. II ათასწლეულში და ამ მოვლენაზე დიდი გავლენა იქონიეს ე. წ. „სამეინარო ცივილიზაციებმა“ (ეგვიპტე, მესოპოტამია). მაგრამ პაოლო მატიე არ იზიარებდა ამ აზრს და მან გადაწყვიტა ჩაეტარებინა არქეოლოგიური გათხრები სირიაში. მისი არჩევანი შეჩერდა თელ-მარდიხის ბორცვზე. ჰ. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიე სამი მიზეზით განმარტავს თავის არჩევანს; ზედაპირული კერამიკული მასალა უეჭველად განეკუთვნებოდა ძვ. წ. 2500—1500 წწ.; 56 ჰა ფართობის დასახლება სარწმუნოს ხდიდა ვარაუდს, რომ თავისი არსებობის დროს ეს ადგილი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირიის ისტორიაში; დაბოლოს, ბედნიერი შემთხვევის წყალობით ბორცვზე აღმოჩენილი იქნა ძვ. წ. XIX ს-ის თასი. ნაპოვნი ამტკიცებდა ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ამ პერიოდში ქალაქს ჰქონდა სასახლის ჩამოყალიბებული სტრუქტურა და სახელოსნოები, სადაც



Figure 1 The Major Archaeological Sites of Syria

აწარმოებდნენ მაღალმხატვრულ საგნებს. გათხრების შედეგად აღმოჩენილმა სხვადასხვა პერიოდის მრავალრიცხოვანმა კულტურულმა ფენებმა დაადასტურა პ. მატიეს მოსაზრება.

არქეოლოგიური გათხრების პირველი პერიოდის მიზანი იყო აკროპოლისის კედლებისა და ე. წ. „ქვედა ქალაქის“ ფენების შესწავლა. გათხრილი იქნა სამეფო სასახლის ნაწილი და მონუმენტური ქვის ჭიშკარი. პირველი ხუთწლეულის აღმოჩენებიდან აღსანიშნავია ბაზალტის სტელა აქადური ლურსმული წარწერით, რომელიც იხსენიებდა ებლას მეფეს. სწორედ მაშინ იგულისხმეს იტალიელმა არქეოლოგებმა, რომ გათხრილი ობიექტი იყო ქ. ებლა. თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქამდე ისინი მიზნად ისახავდნენ შეესწავლათ შუაბრინჯაოს ხანის I და II ფენები, ეხლა გადაწყვიტეს გამოეკვლიათ ადრებრინჯაოს ხანის ქალაქის IV ფენაც. არქეოლოგებს რწმენას მატებდა ის აზრი, რომ ისინი თხრიდნენ სარგონის მიერ დამარცხებულ და ნარამსუენის მიერ დაპყრობილ ებლას.

უძველესი დასახლებები თელ-მარდიხის ტერიტორიაზე შეიმჩნევა მარდიხ I ფენაში — პროტოისტორიული პერიოდი (ძვ. წ. 3500—2900 წწ.), დასახლებათა ინტენსიურობა იზრდება მარდიხ II A ფენაში (ძვ. წ. 2900—2400 წწ.). ამ პერიოდის ებლას ურთიერთობანი აქვს ადრედინასტიური ხანის მესოპოტამიასთან. შემდგომ ეტაპზე, მარდიხ II B 1 ფენაში (ძვ. წ. 2400—2250 წწ.) ებლა უკვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრია. ამ პერიოდს განეკუთვნება სამეფო სასახლე, არქივები, ტაძარი, საფორტიფიკაციო ნაგებობები. ძვ. წ. 2300 წ. ებლაში იგი შეიჭრა სარგონ აქადელი, ხოლო ძვ. წ. 2225 წ. ებლა გაანადგურა ნარამსუენ აქადელმა. ებლას ისტორიის შემდგომი ეტაპია მარდიხ II B 2 ფენა (ძვ. წ. 2250—2000 წწ.). მესოპოტამიაში იგი ემთხვევა აქადის დინასტიის დასასრულს, გუთიების ბატონობის ხანას, ლამაშის II დინასტიასა და ურის III დინასტიის ეპოქას. ეს არის ადრებრინჯაო IV B ხანა. უნდა აღინიშნოს, რომ ძირეული სხვაობა ამ ფენასა და წინა ფენას შორის, მატერიალური კულტურის საგნების მიხედვით, არ შეიმჩნევა.

როგორც არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, ზემოაღნიშნული ეპოქის დასასრულს მოხდა კატასტროფა, რომლის შედეგადაც ებლა განადგურდა. ებ-



სურ. 2. თიხის ფირფიტა ეკონომიკური ხასიათის ტექსტით (ალეპოს არქეოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას ხელახალი აღორძინება იწყება მარდიხ III A (ძვ. წ. 2000—1800 წწ.) ფენიდან და ემთხვევა ქ. ისინისა და ქ. ლარსას დინასტიების ბატონობას მესოპოტამიაში, აპორეელთა გამოჩენას მესოპოტამიასა და სირიაში. ებლა კვლავ მნიშვნელოვანი ცენტრი ხდება. აღდგა არქიტექტურული ნაგებობანი, გალავნის კედლები. აღმოჩენილი მდიდარი კერამიკა, ქანდაკებები და ხელოვნების სხვა ნიმუშები მიუთითებენ ამ პერიოდის ებლას სიძლიერეზე. შემდგომ ეპოქაში მარდიხ III B ფენა (ძვ. წ. 1800—1600 წწ.) მნიშვნელოვანი კულტურული ძვრები არ შეიმჩნევა. არქეოლოგიური გათხრები ნათელყოფს, რომ ქალაქი კვლავ განადგურდა. მისი მოსპობა, ერთი მოსაზრების მიხედვით, დაკავ-

სურ. 3. მეომრებისა და ლომების თავების გამომსახავი რელიეფი (აღლეპოს არქეოლოგიური მუზეუმი).

შირებულია იამხადის სამეფოსთან; მეორე მოსაზრების თანახმად, ებლა გაანადგურა ხეთების მეფე ხათუსილი I-მა, ან მისმა შემკვიდრე მურსილიმ ძვ. წ. 1600 ;. ამ დროიდან ებლაში დასახლების კვალი ადარ შეიმჩნევა, რასაც მოწმობს მარდიხ IV A და B ფენები (ძვ. წ. 1600—1200 წწ.).

ძვ. წ. 900—720 წწ. (მარდიხ V B ფენა) ებლა ასურულებდა ციხე-სიმაგრის ფუნქციებს ჰამათისა და ლაშაგის არამეული სამეფოებისათვის. ძვ. წ. 720 წ. ებლა გაანადგურა სარგონ II-მ, რომელმაც დაიპყრო ჰამათი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. ამ პერიოდიდან იწყება ჯერ ასურელთა, ხოლო შემდეგში ბაბილონელთა ბატონობა. გათხრების შედეგად გამოვლინდა, აგრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-თვე, სპარსელთა ბატონობის პერიოდის ფენა, ელინისტური ხანისა და ბიზანტიური ხანის ნიმუშები, ისლამური ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები.

1968 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩენილი იქნა ბაზალტის სტელის ფრაგმენტი, რომელიც სპარსულ-ელინისტურ ხანაში გამოყენებული იყო სამშენებლო მასალად. იგი თარიღდება ძვ. წ. 1900 წლით. ფრაგმენტზე შემორჩენილია აქადურ ენაზე შესრულებული წარწერა ასურული დიალექტიზმებით. წარწერაში მოიხსენიება ებლას მეფე იბთალიმი. ებლა მოიხსენიება სარგონ აქადელის წარწერაშიც, აგრეთვე ნარამსუენისა და

სურ. 4. რიტუალის გამომსახავი რელიეფი (ალეპოს არქეოლოგიური მუზეუმი).

ლაგაშის ენსი გუდეას ტექსტებშიც. როგორც ურის მესამე დინასტიის წარწერები მიუთითებენ, ებლას მოსახლეობას მჭიდრო სავაჭრო კონტაქტი ჰქონდა დამყარებული შუმერთან. ებლას და მარის ხალხს იხსენიებს ისინის დინასტიის წარმომადგენელი იშბიერა (ძვ. წ. 2017—1985 წწ.) ქველბაბილონურ ტექსტში — „მითი ნიფურის ღვთაება ნანაზე", მოიხსენიება ებლას ველი. წარწერა ალალახიდან (ძვ. წ. 1700 წ.) გვაუწყებს ჭორწინების შესახებ ალალახის მეფის ძისა და ებლას მეფის ასულს შორის, ალალახის მეფის ვიზიტის შესახებ ებლაში. ებლა მოიხსენიება მარის ღ ურსმულ ტექსტებშიც.

1973—1976 წწ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა საკუთრივ ებლას სამეფო არქივები. თიხის ფირფიტების საერთო რაოდენობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

17050 აღემატებოდა. გამოიკვეთება სამი ტიპის ფირფიტები: მართკუთხა, კვადრატული და მრგვლოვანი.

არქივი შინაარსობლივად მრავალფეროვანია: აღმოჩენილია სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, დიპლომატიური, ლიტერატურული თუ ლექსიკური სახის მასალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია შუმერულ-ებლაური ლექსიკონი.

ებლას ტექსტები, მიუხედავად სირთულისა, რაც დაკავშირებულია მათ ინტერპრეტაციასთან, გარკვეულწილად ნათელს ფენს ვაჭრობისგან მიღებული შემოსავლის ფინანსურ სტრუქტურას, ქსოვილებისა და ლითონის ნივთების დანაწილების ორგანიზაციას და ვაჭრობას, საკვების გაცემის რაციონის სისტემას, საკმაოდ გავრცელებული მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და ცხვრის მოშენების ტექნოლოგიას, სამიწათმოქმედო სამუშაოებზე კონტროლის

სურ. 5. სტატუის ტორსი მეფე იბითლიმის წარწერით (ალეპოს არქეოლოგიური მუზეუმი).

ორგანიზაციას, ტაძრებისა და ღვთაებებისადმი მსხვერპლშეწირვის სისტემას, სამეფო სასამართლო ინსტანციების საქმიანობას, დიპლომატიურ ურთიერთობებს, მწერალთა მომზადების მეთოდებსა და სამეურნეო-ადმინისტრაციული ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. უნდა ითქვას, რომ ფირფიტების ფორმით შესაძლებელია გაირკვეს, თუ რა ხასიათის წყაროსთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ისტორიული დოკუმენტები იწერებოდა მხოლოდ მრგვლოვანი ფორმის ფირფიტებზე. დოკუმენტები „ბიბლიოთეკის“ ოთახებში თემატურად იყო განლაგებული. ცალ-ცალკე ინახებოდა სამოწამომქმედო-ადმინისტრაციული ტექსტები, სავაჭრო, ლიტერატურული, ლექსიკური და ისტორიული ხასიათის დოკუმენტები, დეკრეტები და წერილები. გამოიყენებოდა დოკუმენტაციის შენახვის სამი მეთოდი: ფირფიტებს აწყობდნენ ღია თაროებზე, გრძელ სკამებზე, დაზიანებისაგან დაზღვევის მიზნით ფარავდნენ ხის დაფებით.

მრავალრიცხოვანი ლურსმული ტექსტების აღმოჩენისთანავე ექსპედიციის ეპიგრაფისტმა ჯ. პეტინატომ, რომელსაც საკმაო გამოცდილება ჰქონდა შუმერული და აქადური წარწერების ამოკითხვაში, დაიწყო მათი დამუშავება. მან პირველმა აღმოაჩინა შუმერულ-ებლაური ლექსიკონის ფრაგმენტები. ებლას სამეურნეო ტექსტების კითხვისას პეტინატომ დაასკვნა, რომ მათში მოიხსენიებოდნენ ასურულ-ბაბილონური ტექსტების ცნობილი ქალაქები: აშური, ქანესი, სიქმი, მეგიდო, სამარია, ღაზა, სოდომი, გომორა, სიგორი და სხვ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ებლა წარმოადგენდა არა მნიშვნელოვან ქალაქ-სახელმწიფოს, არამედ იმპერიას ღაზადან (პალესტინის უკიდურესი სამხრეთ სანაპირო და მკვდარი ხღვის სამხრეთ სანაპირო), ვიდრე დღევანდელი თურქეთის ცენტრალურ ნაწილამდე. ექსპედიციის ხელძღვანელმა პ. მატიემ თავის პირველ წიგნს ებლას შესახებ უწოდა „ებლა — იმპერიის ხელახალი აღმოჩენა“, ხოლო პეტინატომ: „ებლა — თიხაში აღბეჭდილი იმპერია“. ჰიპოთეზას ებლას იმპერიად მიჩნევის შესახებ, მკვლევართა აზრით, ადასტურებდა დოკუმენტი, რომლის მიხედვით მარის მეფე ებლას მეფეს უგზავნის ოქროსა და ვერცხლს (ხარკს). ისტორიკოსთა დიდმა ნაწილმა იმთავითვე არ გაზიარა ებლას იმპერიად მიჩნევის ჰიპოთეზა. თავდაუზოგავი შრომის შედეგად, რაც გამოიხატებოდა ებლას ტექსტების თითოეული ლურსმული ნიშნის იდენტიფიცირებაში, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ წარწერებში მოხსენიებული ქანესი არ შეესატყვისებოდა მცირე აზიის ქანესს. მცდარი აღმოჩნდა პეტინატოსეული ამოკითხვა სახელწოდებებისა: აშური, ღაზა, სოდომი, გომორა, სიგორი, სიქმი და მეგიდო. რაც შეეხება მარის, ნაპოვნი იქნა წარწერები, რომელთა მიხედვითაც ებლას მეფეები მარის მეფეებს უგზავნიან ოქროსა და ვერცხლს. ამგვარად აღმოჩნდა, რომ ებლა წარმოადგენდა ადრებრინჯაოს ეპოქის დიდ ქალაქ-სახელმწიფოს, რომელიც შესაძლოა შევადაროთ შუმერულ ლაგაშს. ებლას ჩრდ. სირიული ცივილიზაცია, მისი თანამედროვე შუმერისა და ეგვიპტის ცივილიზაციებთან ერთად, თამამად შეიძლება ჩაითვალოს ძვ. წ. III ათასწლეულის ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძველეს ცივილიზაციად.

ებლას ტექსტების დამწერლობა კლასიკური მესოპოტამიური ლურსმული ნიმუშია, რომელიც იხმარებოდა ძვ. წ. IV ათასწლეულის შუმერში აღმინისტრაციული შინაარსის ტექსტების შესადგენად. ნიშნები პალეოგრაფიულ ევოლუციაზე მიუთითებენ. შემორჩენილია როგორც პრესარგონული, ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუგალზაგესის ურუქელის, სარგონ აქადელის, ურუქაგინასა და ლუგალანდას ეპოქის დამწერლობითი ნიმუშები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნარამსუ-ენის ეპოქისთვის დამახასიათებელი ნიშნების ევოლუცია, ებლასთვის უცნობია.

სავარაუდოა, რომ თავდაპირველად დამწერლობა, შუმერებისაგან გადაიღეს სემიტმა აქადელებმა, ხოლო სემიტი-ებლაელები სარგებლობდნენ ძველ-აქადური სამწერლობო სკოლის გამოცდილებით. ეს იქიდანაც ჩანს, რომ აქადელები შუმერული იდეოგრამების მნიშვნელობას თავიანთ ენაზე სწორად თარგმნიდნენ (მაგალითად, lugal.šarrum „მეფე“, dam-'attatum („ცოლი“). ხოლო ებლაელები ამავე ნიშნებს უთავსებდნენ არა შუმერულ ან აქადურ მნიშვნელობას, არამედ ცვლიდნენ მათ ებლაური სიტყვებით. მაგალითად, აქადურად šarrum აღნიშნავდა „მეფეს“. აქადელები სწორედ ამგვარად კითხულობდნენ შუმერულ იდეოგრამას lugal „მეფე“, attatum — აქადურად აღნიშნავს „ცოლს“ და ისინი სწორედ ამგვარად თარგმნიდნენ შუმეროგრამა dam-u. ებლაურად šarrum აღნიშნავდა „დიდებულს“, attatum „ქალს“ და „მხეკალს“, ამიტომაც შუმეროგრამებს lugal და dam ებლაელი მწერლები იყენებდნენ „დიდებულის“ და „მხევალის“ აღსანიშნავად. რაც შეეხება „მეფეს“ და „ცოლს“ ებლაელები მათ სხვა იდეოგრამებით გადმოსცემდნენ. ტექსტების შესწავლამ აჩვენა, რომ მათში გამოყენებული ლურსმული ნიშნები ებლაელებმა შეითვისეს ჩრდილოეთ შუმერული დამწერლობიდან. სწორედ ამით აიხსნება სამხრეთ შუმერული სამეფონო ხასიათის ტექსტებისაგან ანსოლუტურად განსხვავებული იდეოგრამების გამოყენება, რაც დღევანდელ ეტაპზე აძნელებს ებლას ტექსტების სრულ ინტერპრეტირებას. რაც შეეხება ორთოგრაფიას ის სავსებით შეესატყვისება ძველ აქადურს.

ისევე როგორც მესოპოტამიურ აქადურში, ებლას ტექსტებშიც უხვი რაოდენობით იხმარება შუმერული ლოგოგრამები. ენა აშკარა არქაული სემიტურია, რასაც მოწმობს სემიტური ფონეტიკური ფორმით დაწერილი სიტყვები, კავშირები და ამ ფორმების შუმერული შესატყვისები, სინტაქსი და სემიტური პრეფიქს-სუფიქსები.

ებლაური ენა, დღევანდელი მონაცემების მიხედვით, არის აფროაზიულ ენებში შემავალი სემიტური ენების ოჯახის ერთ-ერთი არქაული ენა. ის დაკავშირებულია როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ სემიტურ (აქადურ), ასევე დასავლეთ სემიტურ (არამეულ) ენებთან, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ებლაური ენა წარმოადგენდა აღმოსავლეთ სემიტური და დასავლეთ სემიტური ენების შუა მყოფ პრასემიტურ დიალექტურ კონტინუუმს, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოეყო საერთო სემიტურ არქაულ ენას.

ებლას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ჩრდ. მესოპოტამიის ისეთ მნიშვნელოვან ქალაქ-სახელმწიფოებთან, როგორიცაა: ემარი და აბარსალი. სამხრეთ-დასავლეთით მას ემეზობლებოდა ჰამათი. ებლას ვასალი ქალაქები იყვნენ ევფრატისა და ბალიხის მიდამოებში მდებარე ირიდუმი და ხარანი. მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობანი ჰქონდა ებლას ქაქმიუმთან და გასურთან (გვიანი პერიოდის ნუზი) და განსაკუთრებით ქიშთან — ქვემო მესოპოტამიის ჩრდ. ნაწილში. ისევე როგორც მარი, ებლა აკონტროლებდა სავაჭრო გზას ლიბანისა და ამასის კედარის ტყეებისა და მცირე აზიის ვერცხლისა და სპილენძის საბადოებისაკენ. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ურუქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ლუგალზაგესის (დაახლოებით ძვ. წ. 2336—2310 წწ.) გამარჯვებამ ქიშის ქალაქ-სახელმწიფოზე გაუხსნა მას „გზა ტიგროსსა და ევფრატზე, ქვემო და ზემო ზღვებზე“. ლუგალზაგესის დამარცხებამ აქადის მეფე სარგონთან (ძვ. წ. 2316—2261 წწ.), ამ უკანასკნელს საშუალება მისცა ელაშქრა ჩრდ. დასავლეთ სირიაში ტავროსის „ვერცხლის მთებამდე“. სარგონის წარწერის ძეხედვით, „ღვთაება დაგანმა უბოძა მას მარი, იარმუთი და ებლა“. სავაჭრო ურთიერთობანი ებლას ბიბლოსის საშუალებით აკავშირებდა ეგვიპტესთანაც. საკუთრივ ებლასა და ბიბლოსს შორისაც არსებობდა შუამავალი ქალაქ-სახელმწიფო. მკვლევართა აზრით, ასეთი შუამავლის როლს ასრულებდა რომელიღაც სამხრეთ სირიული პოლიტიკური ერთეული, ისეთი როგორიცაა, მაგალითად, ჰამათი, კათნა, ან თუნდაც, რომლებიც აკონტროლებდნენ უდელტეხილებს ლიბანსა და ფინიკიის სანაპიროებს შორის. ებლას სასახლეში აღმოჩენილია ალებასტრის ჭურჭლის ნამტვრევები ეგვიპტის IV დინასტიის ფარაონის ხეფრენის (ძვ. წ. 2600 წ.), VI დინასტიის ფარაონის პიოპი I-ის ამოტვიფრული სახელებით. აღმოჩენილია აგრეთვე ალაბასტრი და თუთია.

ებლას საზოგადოების სტრუქტურის შესახებ ლაპარაკი ნაადრევია მანამ, სანამ არ დამუშავდება მთელი არქივი ებლაური ტექსტებისა, თუმცა ისინი შუქს მოჰფენენ მხოლოდ სახელმწიფო აპარატის სოციალურ სტრუქტურას და არაფერს გვამცნობენ სათემო სექტორის შესახებ.

სახელმწიფოს სათავეში ედგა პიროვნება, რომლის აღსანიშნავადაც წერილობით წყაროებში გამოიყენებოდა შუმეროგრამა en („ბატონი“), რომელიც ებლაურად ითარგმნება როგორც „მეფე“ (malikum). ქვემო მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილში ტერმინით en აღინიშნებოდა ქურუმი, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში სარგებლობდა მეფის უფლებებითა და პრივილეგიებით. საერთოდ, კი შუმერული ქალაქ-სახელმწიფოს სათავეში იდგა პიროვნება, რომლის ტიტულს აღნიშნავდა შუმეროგრამა lugal „დიდი ადამიანი“. სწორედ ამ ტერმინის აქადური თარგმანი šarrum აქადის დინასტიის დესპოტური სამეფო ხელისუფლების ჟამს, იქცა ცნება „მეფის“ აბოლიშნელ სინონიმად. ებლაელი მწერლები შუმერული lugal-ის ამ ეკვივალენტს (š arrum) თავიანთ ენაზე თარგმნიდნენ როგორც „დიდგვაროვანი ადამიანი“. ებლას ტექსტებში ამ შუმეროგრამით აღინიშნებოდნენ სამეფო მეურნეობის ცალკეული დარგების მმართველებიც, რომლებიც ემორჩილებოდნენ მეფეს (შუმეროგრამა en — ებლაური malikum). ამ უკანასკნელს ადმინისტრაციულ და სამხედრო ლიდერის ფუნქციებთან ერთად ეკისრებოდა გარკვეული საკრალური ფუნქციაც, რომლის კონკრეტიზაციაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ ტექსტების საბოლოო შესწავლის შემდეგ.

ებლას მეფე — malikum სახელმწიფოს მართავდა ორი ან სამი მრჩეველის დახმარებით. მრჩეველ-უხუცესთა ინსტიტუტი არსებობდა ამ პერიოდის სირიის სხვა ქალაქ-სახელმწიფოებშიც. სამეურნეო საქმეებს განაგებდა მოხელე 'adanum-„ბატონი“. სახელმწიფო სამიწათმოქმედო და სასაქონლო მეურნეობანი მიმოფანტული იყო ქალაქ-სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. იმ მუშახელს (e'-durus) შორის, რომლებიც იღებდნენ საკვებ რაციონსა და მიწის ნაკვეთებს თავის გამოსაკვებად, მოიხსენიებიან „ახალგახრდა მუშები“ (guruš), „უფროსი მხვნელები“ (engar) და მონები (ir$_{11}$). ზოგ ადგილას მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხსენიებიან უბრალოდ „ადამიანები“ (na-si$_{11}$), რომლებსაც ტექსტები აშკარად განასხვავებენ „მონებისაგან“.

დოკუმენტთა ნაწილი ეხება დიდებულთათვის მიწების დარიგებას. იმისდა მიუხედავად, რომ ამ ტექსტებში გამოყენებულია ტერმინი nig-ba „ბოძება“, საქმე ეხება მიწის არა საკუთრებაში გადაცემას, არამედ ამ მიწიდან მოსავლის მიღების უფლებას გარკვეული ვადით. ამ პერიოდის ახლო აღმოსავლეთში მიწა იყო თემის საკუთრება და ნაწილდებოდა თემს შიგნით ოჯახებს შორის.

ებლას დღევანდელ ეტაპზე შესწავლილი არქივების დოკუმენტები არაფერს იუწყებიან ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ. ებლაზე თავიანთი ლაშქრობის თაობაზე მოგვითხრობენ აქადის დინასტიის წარმომადგენლები სარგონი (ძვ. წ. 3316—2261 წწ.) და ნარამსუენი (ძვ. წ. 2236—2200 წწ.). ამ უკანასკნელმა ძვ. წ. 2225 წ. გაანადგურა ებლა მისი უკანასკნელი მეფის იბი-ზიქირის მმართველობის ქამს. დაახლოებით ძვ. წ. 2000 წ. ებლა კვლავ აღდგა, თუმცა მისი მოსახლეობის უმრავლესობას უკვე ამორეელები და ხურიტები შეადგენდნენ. ებლა არსებობას აგრძელებს ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში, ხოლო შემდეგ კვლავ განადგურდა, უკვე საბოლოოდ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ებლას ტოპონიმიკა, როგორც ამას ი. გელბი აღნიშნავს, არც ხურიტულია, არც შუმერული, არც არამეული და არც ინდოევროპული, არამედ აქამდე უცნობი, საიდუმლოებით მოცული უძველესი ეთნიკური სუბსტრატი.

ებლას სამეფოს ღვთაებათა პანთეონი მთლიანობაში არ განსხვავდება ძვ. წ. III—II ათასწლეულების დასავლეთ სემიტურ პანთეონებისაგან. დოკუმენტები მოიხსენიებენ უსახელო ღვთაება ილს (ilum — „ღვთაება“), სეტყვისა და წვიმის ღმერთ ხადას და ქალღმერთ ეტარს. საქალაქო პანთეონის სათავეში დგას ჩვენთვის დღემდე უცნობი ღვთაება ქურა. ებლას პანთეონის ღვთაებათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე რასაფი, სიფიში, ეშთარი, ადა (ადადი), ქამიში (ქემიშის არქაული ფორმა) და სხვ.

ებლას არქივებმა შემოგვინახეს რამდენიმე შუმერული ლიტერატურული ტექსტი, რომელთა შორის აღსანიშნავია ჰიმნი მიძღვნილი მიწისა და ცის მეუფისადმი, ეპიკური ჟანრის ტექსტის ფრაგმენტი, რომელშიც მოიხსენიება გილგამეში და შორეული ქალაქი არათუ და რამდენიმე შელოცვა, მათ შორის ებლაურ ენაზე.

რაც შეეხება ებლაურ ხელოვნებას, იგი ძირითადად მიჰყვება შუმერულ-აქადური ხელოვნების პრინციპებს, თუმცა შეიმჩნევა ორიგინალური ელემენტებიც. აღსანიშნავია სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული რელიეფები, რომლებშიც გაერთიანებულია გორელიეფური და მრავლოვანი სკულპტურა.

ებლას აღმოჩენით გადაიშალა ახალი ფურცელი ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესწავლაში. შეიქმნა მეცნიერების ახალი დარგი — ებლაისტიკა და დღეს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერები სწავლობენ ამ უძველესი ცივილიზაციის საიდუმლოებით მოცულ ისტორიას — „ახალ ისტორას, ახალ ენას და ახალ კულტურას“ — როგორც აღნიშნა ჩვენი დროის ერთ-ერთმა უდიდესმა ორიენტალისტმა ი. გელბმა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ებლას გათხრები კვლავაც გრძელდება. ახლახან დაიწყო გეომორფოლოგიური და პალეობოტანიკური სამუშაოები. ასე, რომ, „თელ-მარდიხის ბორცვი“ კვლავ მრავალ გამოცანას გვპირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

ზოგა მაცხოვრისა

დაუმძიმდა კაცთა ნათესავსა ძველი ჯჯული, ძველი აღთქმა. შეერყა საძირკველი კაცთა ცხოვრებასა, რომელსაც ქვაკუთხედად ედვა ძველის აღთქმის მოძღვრება: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“. სხვა მადლის მწყურვალმა სულმა კაცისამ იგრძნო, რომ ამ მოძღვრების საფარ-ქვეშ ვეღარ იდგომილება დიდხანს, — და ძველი ქვეყანა ირყევა, ირღვევა, მიდის და იფუშება. იგრძნო, რომ იგი ღმერთი მსჯავრისა და შურის-გებისა, ღმერთი წყრომისა და რისხვისა ამასთანავე კაცთმოყვარე, მადლის მომფენი, ყოვლად მოწყალე და ყოველთა შემწყნარებელი ღმერთიც უნდა იყოს.

ამ ქვეყნის რყევასა და რღვევაში ჯერ კარგად ვერ გამორკვეული სასოება ადამიანისა, ჰხედავს-რა ძველს დედა-ბოძს სულის საფარისას წამოსაქცევად გამზადებულს, ჰკვნესს და ჰღაღადებს ზეგარდამო შთაგონებულთ კაცთა ბაგითა. რყევისა და რღვევისაგან თავის ბუდიდამ ამომფრთხალი გული ადამიანისა უთვისტომოდ, უბინაოდ ჰრჩება. გული შეშინებული, ელდაცემული ეძიებს ახალს სადგურს, ახალს ბინას, რომ მივიდეს და იქ განისვენოს. ბუნდად და გამოურკვევლად ჰგრძნობს, რომ უნდა ამოვიდეს ახალი ვარსკვლავი, ახალი ალიონი, რომელმაც უნდა გზა აჩვენოს და გაადგენინოს ძველის ქვეყნის რყევისაგან ატეხილს მტვერ-ბუქსა და ბინდ-ბუნდში.. ერთხელ წაირღვნა ქვეყანა, ეხლა კი უნდა დახსნილ იქმნას და აი ამ მხსნელს ელის ხსნის მწყურვალე სული.

„შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი! — ჰღაღადებს ზეგარდმო შთაგონებული წინასწარმეტყველი: — არა სადა უმრწემეს ხარ მთავართმა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი, ისრაილი“!

ადამიანი რაღაც ლოდინშია, გარღვეულ უფსკრულის წინაშე მდგომარე; სასოს არ იკვეთს, რომ მოვა მაცხოვარი და თავის ყოვლად-მხსნელს ხელსა მომაწვდისო. სასოებით აღსავსენი, სულით განდიდებულნი და აღფრთოვანებულნი წინასწარმეტყველნი წინათ-ჰგრძნობენ ამა მოსვლასა და ვითა მახარობელნი ნუგეშ-სცემენ გულწასულს ადამიანს, მოვაო, ოღონდ შენ „განმზადენ გზანი მისნიო“.

„აჰა ესერა მე წარვავლინო ანგელოსი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსაო, — ჰღაღადებს სრულის რწმენის ღაღადითა წინასწარ-გრძნობით აღტაცებული ისაია წინასწარმეტყველი: — განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელჰყვენით ალაგნი მისნი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აჰა „გზათა განმზადებად და წრფელყოფად ალაგთა მისთა“ მოევლინა ქვეყანასა იოანე წინამორბედი „მღაღადებელი უდაბნოსა შინა“. გულშერყეულს და ნუგეშის მწყურვალს ქვეყანას ჰგონია, რომ აი ეს არის იგი, ვინც ასე ძლიერ სწყურიან ჩვენს ობლად შთენილს სულსა და ვისაც ასეთის სასოებით მოველოდებოდითო. არაო, ეუბნება წინამორბედი იოანე:

„ესერა ძოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირსვარ გახსნად ხამლთა მისთასა. მე ნათელ-გცეთ თქვენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეთ თქვენ სულითა წმიდითა“.

იშვა ქრისტე, იშვა იგი, რომელმან ნათელ-სცა ქვეყანასა სულითა წმიდითა, იშვა იგი დედისაგან, რომელ კურთხეულ არს დედათა შორის. იშვა იგი, რომელიც, — როგორც იოანე მახარობელი ამბობს, — „დაემკვიდრა ჩვენ შორის და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდ — მობლისა სთ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა... რამეთუ ჩუენ მოსესგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესოს მიერ იქმნა... რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რათა დაჰსაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხონოს სოფელი მის მიერ“. იშვა იგი, რომლის გამო სთქვა იოანე წინამორბედმავე:

„აჰა ტარიგი ღვთისა, რომელმან აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანნ! ესე არს, რომლისათვის იგი ვსთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს“.

„ნუ გეშინინ, — ახარებს ქვეყანასა ანგელოზი: — ნუ გეშინი, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოველსა ერისა, რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი... და ესე იყოს თქვენდა სასწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი, შეხვეული და მწოლარე ბაგასა“.

რა დიდებული სახეა, რა დიდებული ხატია!... ღმერთი, მოვლინებული ცხონებად და ხსნად ქვეყნისა, ღმერთი ახალის აღთქმისა, რომელმან უნდა „აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანი“, ძე ღვთისა და კაცისა, რომელმან უნდა ნუგეშსცეს ქვეყანასა, — „მოვედინ, მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენო, და მე განგისვენოთ თქვენ“. ღმერთი, რომელმან უნდა ნათელ-სცეს ბნელს ქვეყანასა სულითა წმიდითა-იშვა ვითა ღარიბი ღარიბ საფარ ქვეშ და არის „შეხვეული და მწოლარე ბაგასა“!.. მარტო ერთი ვარსკვლავიღა აღმომხდარი აღმოსავლეთით და იგი დაჰნათის ზედ ადგილსა მას შობისასა ნიშნად მისად თუ, — რა სხივოსანი მადლი მოეფინა ქვეყანასა დედისაგან, რომელიც ამიტომ „კურთხეულ არს დედათა შორის“! ყრმა-ღმერთი „შეხვეული და მწოლარე ბაგასა“! არის�d სადმე სხვა ხატი, რომ დიდებამ ასე ადიდოს სიღარიბე და სიღარიბემ ასე ადიდოს დიდება! ყველაზედ უწინარეს ამ ხატითა ითქვა შობისავე უმალ იგი თავდაბლობა კაცთმოყვარე ქრისტე-ღმერთისა, რომელმაც მერე გაოცა ცუდმედიდობით გარყვნული ძველი ქვეყანა.

იშვა იგი, ვინც გაჭირვებულს და ძირით თხემამდე შერყეულს ქვეყანას მოაცილა უღმობელი საძირკველი „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ და ამის მაგიერ შთაუდგა „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ და ამაზედ ხელახლად დაადგინა დასარღვეველად გამზადებული ქვეყანა, ვითარცა კლდეზედ, რომელსაც ვერც ქამი და ვერც დრო ვერ შეჰმუსრავს და ვერ შეარყევს. ამ კლდეს ზედ დაანთხია მან თვისი ღვთაებური სისხლი და ზედ გადაატეხა თვისი უბიწო ხორწი. კაცთმოყვარე ძე კაცისა, ქვეყნის ხსნად მოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინებული, კაცმავე ჯვარს აცვა და ჯვარცმული მაინც ჯვართმცმელთათვის ჰლაღადებდა ღვთისა მიმართ: ღმერთო, შეუნდევ, რამეთუ არა უწყიან რას იქმან! აი რა სულგრძელი, რა კაცთმოყვარე, რა ყოვლად-მოწყალე ღმერთი იშვა დღეს და ამას სამართლიანად ჰხარობს და დღესასწაულობს მთელი ქრისტიანობა.

მას აქეთია აღსდგა ქვეყანა ახალის აღთქმისა, ახალის ცხოვრებისათვის. მას აქეთ შეაფარა კაცმა თავი თავისი ღმერთსა და სიყვარულისას, მშვიდობისას, მოწყალებისასა და შენდობისას. განახლდა კაცი და დღეს განახლებულ კაცს ძალუძს სასოებით სთქვას: „შენ ხელახლად შემქმენ მე. ქრისტე-ღმერთო, და დამდევ ჩემზედა ხელი შენი. შენ სცან დაჯდომაი ჩემი და აღდგომაი ჩემი. ალაგნი ჩემნი და ნაწილი ჩემნი და ნაწილნი ჩემნი შენ გამოიკვლიენ და ყოველნი გზანი ჩემნი წინასწარ იხილენ... საკვირველ ქმნა ცნობა შენი ჩემგან, განძლიერდა და ვერ შეუძლო მას! შენ ხარ ხსნა ჩემი, შენი მოძღვრება-მაცხოვარ ჩემდა, და ვეღარსად განვერინო სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვეღარსად ვივლტოდე: აღ-თუ-ვჰხდე ცად, შენ მუნ ხარ! შთა-თუ-ვჰხდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ! აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა, — და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძღოდეს მე და მარჯვენემან შენმან შემიწყნაროს მე!“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკად. ს. ჯანაშიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომები

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის, აკად. ს. ჯანაშიას მეცნიერული მემკვიდრეობა კარგა ხანია ქართული ისტორიოგრაფიის ოქროს ფონდშია შესული, ხოლო მოწიწების გრძნობა მისი პიროვნების ხსოვნისადმი დღითიდღე იზრდება მის მშობელ ხალხში.

1990 წ. 16 ნოემბერს, სრულიად საქართველოს გიორგი შერვაშიძის საზოგადოების ინიციატივით მოეწყო ხიმონ ჯანაშიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა რ. მეტრეველმა. ისტ. მეცნ. დოქტორმა მ. ინაძემ წარმოადგინა მოხსენება: — „საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები ს. ჯანაშიას შრომებში". მომხსენებელმა საინტერესოდ წარმოაჩინა გამოჩენილი მეცნიერის ღვაწლი საქართველოს ძველი ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. „ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი კარდინალური საკითხი ს. ჯანაშიას შრომებში" — ასეთი იყო პროფ. ე. ხოშტარია-ბროსეს მოხსენების თემა. ცნობილია, რომ ს. ჯანაშიას მეცნიერულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აფხაზეთის ისტორიის პრობლემების კვლევას. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ისტ. მეცნ. კანდიდატის გ. ანჩაბაძის მოხსენება: „აფხაზეთის ძველი ისტორიის საკითხები ს. ჯანაშიას შრომებში". ს. ჯანაშიას ღვაწლი ქართული ეთნოგრაფიის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში, ცხადად წარმოადგინა პროფ. ვ. ითონიშვილმა. სხდომაზე მოგონებებით გამოვიდნენ პროფ. გ. ჟორდანია და დოც. კ. ჩოლოყაშვილი.

ამავე წლის 20 ნოემბერს ს. ჯანაშიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა მოაწყვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სხდომა გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, აკად. ა. თავხელიძემ. სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები ა. აფაქიძე და ვ. ბერიძე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები მ. ლორთქიფანიძე, ბ. ჯორბენაძე, პროფესორები ი. მეგრელიძე, შ. ბადრიძე და სხვები.

ფასი 1 მან. 30 კაპ.

6250/30

ინდექსი 76197